K 518/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. თაყაიშვილი

# 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში

თბილისი
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# Археологическая экспедиция 1917 года в южные провинции Грузии

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში

K 518/5

38

რედაქტორი ა. შანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქშ-2000
შემოწმებულია

3062.

25მ.

# სარჩევი


გვ.

## შესავალი

1. საქართველოს სამხრეთი პროვინციები . . . 1
2. სამი არქეოლოგიური ექსპედიცია . . . 2
3. 1917 წლის ექსპედიცია . . . . . . . —
4. რამდენიმე სიტყვა 1917 წლის ექსპედიციის შედეგების შესახებ . . . . . . 4
5. ლიტერატურა ჭოროხის ხეობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესახებ . 6

## I. იშხნის საყდარი

1. ტაძრის მდებარეობა . . . . . . . 7
2. ტაძრის აშენების ისტორია . . . . . —
3. ტაძრის გეგმა და შინაგანი სახე . . . 9
4. ტაძრის დაცულობა . . . . . . . . . 10
5. ტაძრის განახლებანი და სათანადო წარწერები . . . . . . . . . . . . 12
6. ჩრდილო ეკვდრის ისტორიული წარწერა 14
7. ტაძრის ფასადები . . . . . . . . . 17
8. გუმბათი და გუმბათის ყელი . . . . . 18
9. ტაძრის ფრესკები და მათი წარწერები 20
10. მერმინდელ (XII საუკუნის) ფრესკათა ნაშთები და მათი წარწერები . . . . 26
11. ტაძრის მნახველთა და მლოცველთა წარწერები . . . . . . . . . . . 28
12. გურგენ მეფეთა მეფის ეკლესია და მისი წარწერა . . . . . . . . . . 29
13. დასკვნა . . . . . . . . . . . . 30

## II. ოშკის მონასტერი

1. მდებარეობა . . . . . . . . . . . 32
2. ტაძრის დაცულობა . . . . . . . . . 33
3. ტაძრის გეგმა . . . . . . . . . . 34
4. ტაძრის ფასადები და სამხრეთის გალერეა 36
5. გუმბათი და გუმბათის ყელი . . . . . 42
6. ფრესკათა ნაშთები . . . . . . . . 43
7. სემინარია-სასტიგნის ნაშთები . . . 44
8. მცირე ეკლესიები . . . . . . . . 45
9. ტაძრის წარწერები . . . . . . . . 46
10. დასკვნა . . . . . . . . . . . . 57

## III. ხახულის მონასტერი

1. ტაძრის მდებარეობა და დაცულობა . . 59
2. მონასტრის ორი უმთავრესი ტაძარი . . 60
3. ტაძრის ეკვდერები . . . . . . . . . 61
4. გუმბათის ყელი . . . . . . . . . 62
5. ტაძრის ფასადები და ქანდაკოვან-ჩუქურთმოვანი სამკაული . . . . . . . . 63
6. წარწერები . . . . . . . . . . . 64
7. მოხატულობა . . . . . . . . . . 65
8. მცირე ერთ-ნავიანი ბაზილიკა, დავით კურაპალატის მიერ აშენებული (976—981 წწ.) . . . . . . . . . . . 66
9. მთავარი ტაძრის შემდეგ აშენებულ მცირე ეკლესიათა ნაშთები . . . . . . —
10. გალავანს გარეთ მდებარე მცირე ეკლესიები . . . . . . . . . . . . 67

## IV. ეკეკი . . . . . . . . . 68

## V. სოხთოროთი . . . . . . 71

## VI. ისი . . . . . . . . . . 72

## VII. სუხბეჩი . . . . . . . . 73

## VIII. ოთხთა ეკლესია . . 74

1. ქართულ წყაროთა ცნობები ოთხთა ეკლესიის შესახებ . . . . . . . . . —
2. მონასტრის მდებარეობა . . . . . . . 74
3. მთავარი ნაგებობა და მისი წარწერები 75
4. მთავარი ბაზილიკის მახლობელი ნაგებობანი; სასტიგნისა და სემინარიის ნაშთები . . . . . . . . . . . . 78
5. მცირე ბაზილიკა . . . . . . . . . 79
6. მცირე ეკლესიათა ნაშთები . . . . . 80
7. ციხე . . . . . . . . . . . . . —

## IX. მუხლაჯიდილისი . . 82

## X. პარხალი . . . . . . . . 83

1. სოფელი პარხალი . . . . . . . . . —
2. ლ. ინჯიჯიანის ცნობები პარხლის შესახებ 84
3. პარხლის ტაძარი . . . . . . . . . —
4. ცნობები ბაზილიკის აშენებისა და მისი შუა ნავის მეორე სართულის შემკულობის შესახებ; სათანადო წარწერები . . 87
5. ფრესკების და ფრესკულ წარწერათა ნაშთები . . . . . . . . . . . . 93
6. მცირე ეკლესიები . . . . . . . . . 95

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ႱႳႰႠႧႤႡႨ ႲႤႵႱႲႸႨ

## ႨႸႾႠႬႨ


1. წარწერა სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე. (მონახაზი ფოტოს მიხედვით).
2. წარწერა სამხრეთის ფასადის სარკმელთან.
3. ფრესკული წარწერა ჩრდილოეთის ექვტრის სამხრეთის კედელზე.

4—11. წარწერები წინასწარმეტყველთა გრაგნილებზე გუმბათის ყელში.

12. წმინდანთა ფრესკულ გამოსახულებათა წარწერები გუმბათის ყელში.
13. ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვის ფრესკულ გამოსახულებათა წარწერები გუმბათის ყელში.

14—15. წარწერათა ნაშთები.

16. XI და XII ს-თა მიჯნის ფრესკული წარწერა გიორგი II-ისა და დავით II-ის შეწირულების შესახებ.

17—18. მლოცველთა მხედრული მინაწერები.

19. გურგენ მეფეთა-მეფის წარწერა (1006 წლისა) მცირე ეკლესიის ტიმპანში.


## ႭႸႩႨ


20—25. სკულპტურულ გამოსახულებათა წარწერები სამხრეთის გალერიის ბოძზე.

26. პეტრე ალექსანდრიელის ფრესკული გამოსახულების წარწერა საკურთხეველში.
27. სალებავით შესრულებული წარწერა მშენებელთა შესახებ ტაძრის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანზე.
28. სამშენებლო წარწერა საკურთხევლის სარკმლის თავზე.
29. წარწერა სამხრეთის ფასადზე ტაძრის მშენებელთა რელიეფური ჯგუფის ზემოთ.
30. დავით მაგისტროსის გამოსახულებასთან მოთავსებული წარწერა (იმავე რელიეფური ჯგუფიდან).
31. სალებავით შესრულებული წარწერა ბიზანტიის იმპერატორთა—ბასილისა და კონსტანტინეს შესახებ (ტაძრის სამხრეთის მკლავის შუა თალის სარკმლის ქვეშ).
32. წარწერა სამხრეთის შესასვლელის თავზე, გადმოღებული ნ. სარგისიანის მიერ.
33. ისტორიული ფრესკული წარწერის ფრაგმენტი საკურთხეველში, რომელიც მოხატულობას ათარიღებს 1036 წლით.


## ႾႠႾႳႪႨ


34--39. ოსტატთა სახელები გუმბათის ყელის სვეტების ბაზისებზე გარედან.


## ႤႵႤႵႨ


40. ბერძნული წარწერა ნ. სარგისიანის გადმოღებული პირის მიხედვით.


## ႭႧႾႧႠ ႤႩႪႤႱႨႠ


41—42. წარწერები შენობის სხვადასხვა ადგილას.


## ႮႠႰႾႠႪႨ


43. წარწერა დასავლეთის სარკმლის შემკულ ფილაზე.

44—50. სალებავით შესრულებული წარწერები ბაზილიკის სიგრძივი ფასადების შემკობის შესახებ ზემო სართულის კედლებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაბულები

## იშხანი

1. მთავარი ტაძრისა და გურგენ მეფეთა-მეფის მცირე ეკლესიის გეგმა. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
2. მთავარი ტაძრის განაკვეთი, ხედი აღმოსავლეთისაკენ. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
3. აღმოსავლეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
4. სამხრეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
5. საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
6. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. დასავლეთის ფასადი.
7. სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი.
8. დეკორატიული ფილა სამკვეთლოს სარკმლის თავზე.
9. მთავარი ტაძრის სამხრეთის შესასვლელი.
10. წარწერა სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში.
11. ტაძრის დასავლეთის მკლავის სამხრეთის სარკმლების მორთულობა.
12. საკურთხევლის სარკმლის მორთულობა.
13. გუმბათის ყელი.
14. გუმბათქვეშა კვადრატის ხედი დასავლეთის მხრიდან.
    დასავლეთის შესასვლელი (გადაკეთებულია).
15. ტაძრის აღმოსავლეთის ნაწილისა და გუმბათქვეშა ნაწილის აქსონომეტრიული განაკვეთი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
16. ტაძრის აფსიდის ერთ-ერთი სვეტის დეტალები. საკურთხევლის ჩრდილოეთის ნახევრის გეგმა პატრონიკეს დონეზე. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შეასრულა ნ. სევეროვმა.
17. საკურთხევლის ჩრდილოეთის ნახევრის ხედი.
18. საკურთხევლის სამხრეთის ნახევრის ხედი.
19. ნერსეს დროინდელი უძველესი შენობის საკურთხევლის კოლონადა.
20. საკურთხევლის უძველესი ნაწილის ცალკეული სვეტები.
21. აღმოსავლეთის გუმბათქვეშა პილონების ბაზისები.
22. აღმოსავლეთის ერთ-ერთი გუმბათქვეშა პილონის სვეტისთავი.
    დასავლეთის გუმბათქვეშა პილონის ბაზისი.
23. ორმაგი სვეტებიანი სარკმლები პატრონიკეებზე, საკურთხევლის გვერდით.
24. შიდა ხედი დასავლეთისაკენ.
25. დასავლეთის გუმბათქვეშა პილონების სვეტისთავები.
26. პატრონიკენი ჩრდილოეთის მკლავში.
    ჩრდილოეთის მკლავის ხედი.
27. გუმბათის კამარის მოხატულობა.
28. გუმბათის ყელის მოხატულობა. გამოსახული არიან ანგელოსთა დასნი და ეტლი ზაქარია წინასწარმეტყველის ხილვიდან.
29. გუმბათის ყელის მოხატულობა ხილვის ორი სხვა ეტლის გამოსახულებით.
30. მოხატულობის ფრაგმენტები ტაძრის ჩრდილოეთის მკლავში.
31. 954 წლის ფრესკული წარწერა ჩრდილოეთის ექვტრის სამხრეთის კედელზე.
    ფრესკების ორნამენტული მოტივების ნაშთები.
32. მოხატულობისა და XII ს-ის ისტორიული ფრესკული წარწერის ნაშთი.
33. გურგენ მეფეთა-მეფის მიერ 1006 წ. აგებული მცირე ეკლესიის გეგმა და განაკვეთი.
    წყაროს საერთო ხედი.
34. მცირე ეკლესიის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.
35. მცირე ეკლესიის საერთო ხედი დასავლეთიდან.
36. მცირე ეკლესიის აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობა.
    მცირე ეკლესიის დასავლეთის სარკმლის მორთულობა.
37. მცირე ეკლესიის შესასვლელის მორთულობა.
38. მცირე ეკლესიის ტიმპანის წარწერა.

## ოშკი

39. ძირითადი გეგმა. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა მ. კერნმა.
40. გეგმა პატრონიკეთა დონეზე. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა მ. კერნმა.
41. განივი განაკვეთი, ხედი აღმოსავლეთისკენ. აღმოსავლეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა მ. კერნმა.
42. სამხრეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა მ. კერნმა.
43. მონასტრის საერთო ხედი.
44. მონასტრის საერთო ხედი სამხრეთიდან.
45. ხედი დასავლეთიდან.
46. სამხრეთის ფასადი.
47. აღმოსავლეთის ფასადი.
48. აღმოსავლეთის ფასადის სამხრეთის კუთხე.
49. სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი.
50. სამხრეთის კარიბჭის აღმოსავლეთის ბოძი.
51. სამხრეთის ფასადის კარიბჭე.
52. დასავლეთის ფასადის ორმაგი სარკმელი.
სამხრეთის ფასადის შვერილის შუა ნაწილი.
53. სარკმლის მორთულობა ჩრდილოეთის ფასადის შვერილ ნაწილში.
სარკმლის მორთულობა სამხრეთის ფასადის შვერილი ნაწილის მარჯვენა თაღში.
54. სამშენებლო წარწერა სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში, კარიბჭის შიგნით, შესრულებული საღებავით.
რელიეფური კომპოზიცია მაშენებელთა გამოსახულებით სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთის ნაწილში.
55. არქიტექტორის რელიეფური გამოსახულება (ფოტო და ნახატი).
56. ხედი დასავლეთიდან.
ხედი ჩრდილოეთიდან.
57. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.
გუმბათის ყელი.
გუმბათის ყელის დეტალი.
58. გუმბათის ყელის ქვემო ნაწილის რელიეფები (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე). ესტამპაჟი.
59. ბაგრატის ფიგურა სამხრეთის ფასადის რელიეფური ჯგუფიდან. (ესტამპაჟი).
„ვედრება“ და „საქმის ზედამდგომის“ (მშენებლობის ხელმძღვანელის) გრიგოლ ოშკელის გამოსახულება (ესტამპაჟი).
მოჩუქურთმებული სვეტის ნაწილი ტაძრის სამხრეთის გალერიის ბოლოს (ესტამპაჟი).
ტაძრის სამხრეთის გალერიის მოჩუქურთმებული სვეტის ორი დეტალი (ესტამპაჟი).
60. გუმბათის ყელის ქვემო ფრიზის ორი დეტალი (ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარე).
დასავლეთის შესასვლელის ტიმპანი.
61. აღმოსავლეთის აფსიდის ხედი (შიგნით).
62. დასავლეთის მკლავის ხედი.
63. ხედი საკურთხევლიდან დასავლეთისაკენ.
დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთის კედლისა და დასავლეთის გუმბათქვეშა პილონის ხედი.
დასავლეთის მკლავის კამარის ხედი (დასავლეთიდან).
გუმბათქვეშა აფრა.
64. დასავლეთის გუმბათქვეშა პილონების ბაზისები.
65. დასავლეთის გუმბათქვეშა პილონების ბაზისები (მეორე მხრიდან).
66. დასავლეთისა და აღმოსავლეთის პილონების ბაზისები.
67. მოხატულობის ნაშთი საკურთხევლის აფსიდში.
68. ანგელოზის გამოსახულება ჯვარცმის სცენიდან. ფრესკა.
უცნობი საერო პირი სამხრეთის შვერილის სარკმლის ქვეშ მოთავსებული სცენიდან. ფრესკა.
69. წმ. თეკლეს გამოსახულება სამხრეთის მკლავის მცირე სარკმელში. ფრესკა.
70. მოხატულობის ნაშთი ჩრდილოეთის აფსიდში.
71. სვეტისთავებიანი და ბაზისებიანი ბოძები სამხრეთის გალერიაში.
72. ბოძების სვეტისთავები სამხრეთის გალერეაში.
მოჩუქურთმებული სვეტი სამხრეთის გალერიის ბოლოში.
ანგელოზის რელიეფური გამოსახულება.
73. მოჩუქურთმებული ბოძი სამხრეთის გალერიის ბოლოში.
74. მოჩუქურთმებული ბოძის ორი ფოტო-სურათი.
75. მოჩუქურთმებული ბოძის რელიეფების დეტალები.
76. წმ. კოზმანისა და წმ. ნინოს რელიეფები.
რელიეფები სვეტისთავზე.
77. მოჩუქურთმებული ბოძის რელიეფებიანი სვეტისთავი.
გრიგოლ ოშკელის რელიეფური გამოსახულება.
78. წმ. ნინოსი და გრიგოლ ოშკელის რელიეფები (ესტამპაჟი).
79. მცირე ეკლესია მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით, მთის ფერდზე. გეგმა და განაკვეთი.
ექვტრიანი მცირე ეკლესია მთავარი ტაძრის სამხრეთით, მთის ფერდზე.
გეგმა და განაკვეთი.
სემინარია-სატრაპეზოს გეგმა და მისი გუმბათოვანი დარბაზის განაკვეთი.
80. მთის ფერდზე მდებარე მცირე ეკლესიის საერთო ხედი.
სემინარიის ხედი გუმბათოვანი დარბაზის შესასვლელიდან.

81. სემინარიის შუა ნავის ხედი.
82. სემინარიის გარეთა კედელი.
სემინარიის თაღები და ბოძები.
83. სემინარიის გუმბათოვანი დარბაზის შიდა ხედი.
კუთხის ტრომპი გუმბათის სალტის ქვეშ.

## ხახული

84. მონასტრის გენერალური გეგმა ციხის გალავანს შიგნით.
85. მთავარი ტაძრის გეგმა. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა ბ. რიაბოვმა.
86. სიგრძივი განაკვეთი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა ბ. რიაბოვმა.
87. სამხრეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა ბ. რიაბოვმა.
88. დასავლეთის ფასადი. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა ბ. რიაბოვმა.
89. მონასტრის მდებარეობის საერთო ხედი.
90. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.
91. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან.
92. სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი.
93. აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობის ორი დეტალი.
გუმბათის ყელის მორთულობა.
გუმბათის ყელის მორთულობის ორი დეტალი: სვეტების ბაზისები.
94. აფსიდის ხედი.
95. ტაძრის ინტერიერი, ხედი ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ა. კალგინის განაზომის მიხედვით შესრულა ბ. რიაბოვმა.
96. დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთის კოლონადა.
ერთ-ერთი სვეტის კაპიტელი.
97. საკურთხევლის მოხატულობა.
გუმბათის კამარის მოხატულობა.
98. ფრესკა სამხრეთის კედელზე: იერუსალიმს შესვლა.
ქრისტეს ფიგურის დეტალი.
99. იერუსალიმს შესვლა. მხატვარ ლადო გუდიაშვილის მიერ გადმოღებული პირის მიხედვით.
100. სამხრეთის გალერიის თაღედის ნაწილი.
101. სამხრეთის გალერიის თაღედის საერთო ხედი.
გალერიის ორი სვეტი.
102. ჯვრის ამაღლების რელიეფი ტაძრის სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში.
გალერიის წარწერიანი ბოძი ტაძრის შესასვლელთან.
ამავე ბოძის წარწერა.
103. რელიეფები კედელზე ტაძრის სამხრეთი შესასვლელის აღმოსავლეთით. ნაწილობრივ დაფარულია გალერიის კამარის დასაყრდენე-ბი ბოძებით.
ტაძრის სამხრეთის შესასვლელი, კამარის საყრდენი ბოძები და რელიეფები შესასვლელის დასავლეთით.
104. ლომის რელიეფური გამოსახულება (ესტამპაჟი).
ლომი გლეჯს ხარს. რელიეფი (ესტამპაჟი).
105. წმ. პეტრეს რელიეფი (ესტამპაჟი).
იონა წინასწარმეტყველს ხმელზე ამოაგდებს ვეშაპი. რელიეფი (ესტამპაჟი).
106. მამლისა და გრიფონის რელიეფები (ესტამპაჟი).
107. დავით I კურაპალატის მიერ 967—981 წწ. აგებული მცირე ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი.
იმავე მცირე ეკლესიის კარიბჭე და შესასვლელი რელიეფებიანი ტიმპანით.
108. მცირე ეკლესია გალავანს გარეთ, მთავარი ტაძრის სამხრეთით.
საერთო ხედი.
ქვა იმავე ეკლესიის შესასვლელის თავზე.
მცირე ეკლესია გალავანს გარეთ, მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ხახულისწყლის მარჯვენა ნაპირზე. საერთო ხედი.
ძველი ერთთაღიანი ხიდი მდ. თორთუმის წყალზე.
მცირე ეკლესია ხიდის ყურეში. საერთო ხედი.

## ეკეკი

109. გეგმა. აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები.
110. ტაძრის მდებარეობის საერთო ხედი.
111. აღმოსავლეთის ფასადი.
112. სამხრეთის ფასადი.
სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი.
113. აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილოეთის ნაწილი სარკმლითა და წარწერით.
სამკვეთლოს სარკმლის მორთულობა და წარწერები.
წარწერა კედელზე.

## ისი, სუხბეჩი, მუხლაჯილილისი, სოხთოროთი

114. ისის, სუხბეჩის, მუხლაჯილილისისა და სოხთოროთის გეგმები.

## ოთხთა ეკლესია

115. ბაზილიკა სატრაპეზოთი და მინაშენით. გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხის მცირე ეკლესიის გეგმა.
ბაზილიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მცირე ეკლესიის გეგმა და განაკვეთი.
116. ბაზილიკის ძირითადი გეგმა.
შუა ნავის გეგმა მეორე სართულის დონეზე
117. საკურთხევლის გეგმა მეორე სართულის დონეზე.
ბაზილიკის სიგრძივი განაკვეთი.
118. აღმოსავლეთის ფასადი. განაზომი.
სამხრეთის ფასადი. განაზომი.
119. ბაზილიკისა და მის სამხრეთით მდებარე მცირე ეკლესიის საერთო ხედი აღმოსავლეთიდან.
ტაძრისა და სემინარიის საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.
120. ტაძრისა და სემინარიის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან. სამხრეთის ფასადი.
121. ბაზილიკის ზემო ნაწილი სამხრეთ-დასავლეთიდან.
შუა ნავის თაღედის ნაწილი ჩრდილოეთის ფასადზე.
122. აფსიდის ზემო ნაწილი კონქითურთ.
აფსიდის შუა ნაწილი ფრესკული მხატვრობით.
123. საკუროხევლის მოხატულობის ნაშთი.
124. საკურთხევლის (?) სარკმლის მოხატულობის ნაშთი.
125. საკურთხევლის მიმდებარე პილონები ჩაშენებული ნიშებით.
126. შუა ნავის ერთი თაღი ჩრდილოეთის მხარეს და სარკმელი მის თავზე.
შუა ნავის დასავლეთის კედელთან მიშენებული პატრონიკენი.
127. წარწერა სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთის ნაწილში.
ექვტრის სახურავიდან პატრონიკეში შესასვლელის საპირე.
128. სემინარიის შიდა ხედები.
129. სემინარიის აღმოსავლეთის ნაწილის შიდა ხედი.
სემინარიის სამხრეთ-დასავლეთის კუთხე (შიგნით).
130. სემინარიის ჩრდილოეთის ფასადი შესასვლელითურთ.
131. ციხე მდ. ოთხთა-ეკლესიის-წყლის მარცხენა ნაპირზე.

## პარხალი

132. ბაზილიკის გეგმა.
ბაზილიკის შუა ნავის გეგმა ზემო სართულის დონეზე.
133. ბაზილიკის სიგრძივი განაკვეთი.
საკურთხევლის გეგმა მეორე სართულის დონეზე.
ბიბლიოთეკა
მცირე ეკლესიის გეგმა.
134. აღმოსავლეთის ფასადი. განაზომი.
ჩრდილოეთის ფასადი. განაზომი.
135. სოფლისა და ტაძრის საერთო ხედი.
136. აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობა.
აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილოეთის ნახევარი.
137. აღმოსავლეთის სარკმლის საპირე და ორი როზეტი.
გვიანდელი ექვტერი, მიშენებული ბაზილიკის სამხრეთის ფასადზე.
138. შუა ნავის გარეთა თაღები სამხრეთიდან.
139. საღებავით შესრულებული წარწერები შუა ნავის სამხრეთის ფასადზე.
140. საღებავით შესრულებული წარწერები და სამკაულები შუა ნავის სამხრეთის ფასადზე.
141. დასავლეთის ფასადის სარკმლის თავი ჩუქურთმითა და წარწერით.
ჩრდილოეთის სარკმლის თავი ლომის გამოსახულებით.
142. ჩრდილოეთის სარკმლის თავი ორი ფრინველის გამოსახულებით.
ჩრდილოეთის სარკმლის თავი, შემკული ჩუქურთმებით.
143. სამხრეთის შესასვლელის თავზე მდებარე სარკმელი.
აღმოსავლეთის კედლის ნაწილი ქვაში ნაკვეთი ჯვრებით.
144. ფრესკული მხატვრობის ნაშთი აფსიდში.
ფრესკული წარწერა აფსიდში.
აფსიდის მოხატულობის ზემო ნაწილი.
145. წინამძღვრის ნიშა საკურთხევლის სარკმლის ქვეშ.
ამბიონის ზემო ნაწილის მორთულობა.
146. ორმაგი ნიშები ხატებისთვის საკურთხევლის მარცხნივ და მარჯვნივ.
147. პილონების მეორე წყვილი (აფსიდიდან) ნიშებით წინამძღვრისათვის.
148. პირველი პილონი საკურთხევლის მარცხნივ, ფრესკების კვალით.
პატრონიკენი შუა ნავის დასავლეთის კედელთან.

## ციხეები

149. თორთუმის ციხე მაღალ კუნძულზე მდინარის შუაში.
150. ალჯა-ყალა — თორთუმის ხეობის მეორე ციხე.
151. ერსეს-ყალა — მესამე ციხე. უკან ართვინის მთები მოჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

## 1. საქართველოს სამხრეთი პროვინციები

საქართველოს სამხრეთ პროვინციებზე რომ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს პროვინციე-
ბი, რომლებიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული და შეადგენს ე. წ. „თურქეთის საქარ-
თველოს". ოქტომბრამდელი რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, ეს არის ყარსის
ოლქის ორი „ოკრუგი": არტაანისა (არტაჰანისა, არდაგანისა) და ოლთისისა — და აგრეთვე ბათო-
მის ოლქი, მისი მცირე ნაწილის, საბჭოთა აჭარის გამოკლებით, რომელიც შეიცავს მდ. აჭარის
წყლის ხეობას და ნაწილობრივ მდ. ჭოროხის ქვემო წელს (ე. წ. კახაბერის დაბლობს). როდესაც
რუსეთის იმპერიამ ბერლინის 1878 წლის ხელშეკრულებით ეს მხარე მიიღო, მან არტაანისა და
ოლთისის ოკრუგები ყარსის ოლქში მოაქცია. მაგრამ ეს იყო ხელოვნური გაერთიანება, ვინაიდან
ამ ორ კუთხეს არაფერი ჰქონდა საერთო ყარსის ოლქის სხვა ნაწილებთან არც გეოგრაფიულად,
არც ისტორიულად და არც ეთნოგრაფიულად. მანამდე ყარსის ოლქი შეიცავდა მხოლოდ ყარსისა
და აღზევნის (ყაღიზმანის) ოკრუგებს, რომელნიც ისტორიულად და ეთნოგრაფიულად სომხეთს
ეკუთვნოდა. ხოლო არტაანისა და ოლთისის ოკრუგები, ისევე როგორც ბათომის ოლქი, ისტო-
რიულადაც და ეთნოგრაფიულადაც საქართველოსი იყო.

არტაანის ოკრუგი მდ. მტკვრის ზემო წელს მოიცავდა. ყარსისაგან მას ჰყოფს ყარსის მაღალი
მთები, რომელთა გადაღმა გზა ბუღა-თაფას ზეკარით გადადიოდა, ხოლო ოლთისის ოკრუგისაგან
მესხეთის მთები (ამჟამად სოღანლუღის ქედი), რომელზედაც რამდენიმე ზეკარი გადადის (მათ შორის
მთავარია აგუნდირისა). ოლთისის ოკრუგი მდებარეობს ჭოროხის მარცხენა შენაკადის, ოლთისის
წყლის ხეობაში (თურქ. ოლთი-ჩაი), ხოლო ჭოროხი შავი ზღვის აუზს ეკუთვნის. არტაანის ოკრუგი კი
მდებარეობს მტკვარზე, რომელიც კასპიის ზღვის აუზს ეკუთვნის. ამიტომ წესით ოლთისის ოკრუგი
ბათომის ოლქს უნდა მიჰკუთვნებოდა, ხოლო არტაანისა, როგორც ჯავახეთის ნაწილი[1], — თბილი-
სის გუბერნიას.

არტაანისა და ოლთისის ოკრუგები და ბათომის ოლქის მომეტებული ნაწილი ისევ მიიტაცეს
თურქებმა 1921 წლის მარტში. ბათომის ოლქს მათ 4.442 კილომეტრი ჩამოაშორეს და საბჭოთა
საქართველოს 2.500 კვ. კილომეტრი-ღა დარჩა. ეს ჩვენთან დარჩენილი მიწა-წყალი მოქცეულია
მდ. ჩოლოქსა და ბათომს სამხრეთით გამავალ სახელმწიფო საზღვარს შორის. დღევანდელი ად-
მინისტრაციული დაყოფით აქ გვაქვს: ბათომის, ქობულეთის, ქედისა და ხულოს რაიონები. ისტო-
რიულად კი ამ მიწა-წყალზე არსებობდა ოთხი ქართული თემი: ქობულეთი, კინტრიში, ციხისძირი
და აჭარა.

არტაანის ოკრუგის სივრცე 5.664 კვ. კილომეტრს უდრიდა, მოსახლეობა — 84.527 სული.
მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა გამაჰმადიანებული ქართველობა — მესხები, დანარ-
ჩენს კი — ქურთები, ყარაფაფახები, თურქმენები, სომხები და რუსი სექტანტები („დუხობორები").
ფიზიკურ-გეოგრაფიულად ეს ოკრუგი ზეგანს წარმოადგენდა. იგი იყოფოდა სამ უბნად: ჩრდილისა
(რომელიც თურქულ გამოთქმაში ჩილდირად იქცა)[2], არტაანისა და ფოცხოვისა. ეს უკანასკნელი
ფიზიკურ-გეოგრაფიულად არ ეკუთვნოდა არტაანის ზეგანს, უფრო ახალციხის ტერასისაკენ მოიღ-
ტვოდა და მოიცავდა ნაწილს მტკვრის მარცხენა შენაკადის, ფოცხოვის წყლისა და მის შემდინა-

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 120, თბილისი, 1941.

[2] როგორც ს. ჯიქიამ გამოარკვია, „ჩილდირი" — წარმოდგა ქართ „ჩრდილ" სიტყვისაგან. „ჩრდილი" გვხვდება
სოფლის სახელებში, მისი საპირისპიროა ზვარე (ჩრდილი — ჩრდილოეთით მდებარე, ზვარე — სამხრეთით მდებარე). ორი-
ვე სახელწოდება დღესაცაა, მაგ., ხარაგოულის რაიონში, მდ. ზვარულას ხეობაში.

ეროვნული

რეთა — წურწყაბის წყლის, შუა წყლის, ჯაყის წყლისა და ქობლიანის წყლის — [illegible] ფოც-ხოვის წყალს 75 კილომეტრამდე სიგრძე აქვს. აქედან არტაანის ოკრუგზე მხოლოდ 62 კილომეტ-რი მოდიოდა და დანარჩენი ახალციხის მაზრაში იყო, თბილისის გუბერნიაში, ხოლო ეხლა საქარ-თველოს სსრ ახალციხის რაიონს ეკუთვნის. ფოცხოვის წყალი მტკვარს ქ. ახალციხის სამხრეთით, მისგან 7,5 კილომეტრის მანძილზე ერთვის.

ყოფ. არტაანის ოკრუგის, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების, ჭოროხის მთელი ხეობისა და აგრეთვე ჭანეთის (ლაზისტანის) ნაწილის ტერიტორიას ძველად ქართველები ზემო ქართლს, სამცხეს ანუ მესხეთს უწოდებდნენ, ხოლო XIII საუკუნიდან, როდესაც აქ სამცხის ათაბა-გების (ჯაყელთა საგვარეულოს) ძალაუფლება დამკვიდრდა, ამ მხარეს სამცხე-საათაბაგო ეწოდა.

ამგვარად, თანამედროვე „თურქეთის საქართველო“ მოიცავს მტკვრის ზემო წელსა და თით-ქმის მთელს ჭოროხის ხეობას, ჭანეთით ანუ ლაზისტანითურთ.

ისტორიულ ხანაში ამ ტერიტორიაზე არსებობდა შემდეგი ქართული თემები (ჩამოვთვლით მხოლოდ უმთავრესს): ფოსო, ჩრდილი, არტაანი, ერუშეთი, კოლა და ფოცხოვი მტკვრის ხეობაში; ტაო, თორთუმი, ისპირი, კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და იმერხევი ჭოროხის ხეობაში. ტაო და კლარჯეთი უმნიშვნელოვანესი თემები იყო ამ ხეობაში და ამიტომ მთელს ჭოროხის ხეობას მოკ-ლედ ტაო-კლარჯეთი ეწოდებოდა. ამათ გარდა, ცალკე შავი ზღვის პირას იდო ჭანეთი ანუ ლაზეთი.

თურქების მიერ 1921 წელს საქართველოსაგან მიტაცებული მიწა-წყლის საერთო სივრცე 13,072 კვ. კილომეტრს უდრის, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 250.000-ს აღემატება. სომხეთისაგან მიტაცებულ იქნა ყარსის ოლქის ყარსის ოკრუგი და აღზევნის ოკრუგი, ქალაქი და ციხე-სიმაგრე ყარსითურთ (კარითურთ)[1].

## 2. სამი არქეოლოგიური ექსპედიცია

1917 წლამდე „თურქეთის საქართველოში“ (როდესაც არტაანისა და ოლთისის ოლქები რუ-სეთის იმპერიაში შემოდიოდა), ორჯერ ჩავატარეთ არქეოლოგიური ექსპედიცია.

**პირველი ექსპედიცია** მოეწყო 1902 წელს. მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ ხუროთმოძღვარი სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი (ცნობილი ფოტო-გრაფის დ. ერმაკოვის მოწაფე). ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ზოგიერთ ძეგლთან ერთად, მაშინ გამოვიკვლიეთ არტაანის ოლქის ძეგლები (გარდა კოლას რაიონისა) და ნაწილი ოლთისის ოლქისა, სახელდობრ ბანა და მის ახლო მდებარე ეკლესიები. ამ ექსპედიციის შედეგები დაბეჭდი-ლია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების Материалы по археологии Кавказа-ს XII წიგნში 1907 წელს[2].

**მეორე ექსპედიცია** მოვაწყეთ 1907 წ. თან გვახლდნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი ნიკოლო-ზის ძე კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ კარლოს ძე ლიოზენი (ფრანგული ენის მასწავ-ლებელი თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში). ამ ექსპედიციის დროს გამოვიკვლიეთ არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დავამთავრეთ გამოკვლევა ოლთისის ოლქისა საერთოდ და შევისწავლეთ ჩანგლის ტაძარი აღზევნის მახლობლად.

1907 წ. შესწავლილ ძეგლთა გეგმები და ნახაზები მოთავსებულია ჩვენ მიერ შედგენილ და თბილისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომ“-ში (თბილი-სი 1924 წელი; ტაბულები 12—31); ხოლო ძეგლების აღწერილობა დაიბეჭდა წიგნში: „არქეოლო-გიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ (პარიზი, 1938). სამწუხაროდ ფოტოგრაფიული სურათები ამ გამოცემას არ ახლავს და ისინი უნდა გამოიცეს უსათუოდ ან რუსულ ტექსტთან ერთად, რომელშიც მოთავსებული იქნება გეგმები და ნახაზებიც, ან ცალკე. ამ წიგნში აღწერილი ექსპედიცია, შემდგარი 1917 წ., სათვალავით მესამეა.

## 3. 1917 წლის ექსპედიცია

როცა პირველი მსოფლიო ომის დროს რუსის ჯარმა თითქმის მთელი ანატოლია დაიკავა, ჭოროხის ხეობა ზურგს უკან მოექცა რუსის ჯარს, და 1917 წელს ჩვენც საშუალება მოგვეცა, მო-

---

[1] ყარსის ძველი ქართული სახელი კარი იყო.

[2] ეს ნაშრომი დაჯილდოებულია დიდი ოქროს მედლით რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ პეტერ-ბურგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვეწყო მესამე ექსპედიცია ტაო-თორთუმ-ისპირის ძეგლების შესასწავლად. ამ ექსპედიციაში, რომელიც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით იყო მოწყობილი, ჩვენ მოვიწვიეთ სამოქალაქო ინჟინერი ა. კალგინი, მხატვარი დ. შევარდნაძე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ალპინისტი ი. ზდანევიჩი, მხატვარი ლადო გუდიაშვილი, მხატვარ-მსახიობი მიხეილ ქიაურელი და ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი იპოლიტე. ეს უკანასკნელი საქართველოს სამღვდელოების მიერ და პირადად ლეონიდე კათალიკოსის რჩევით იყო მოწვეული. ის ჩვენთან ერთად უნდა გასცნობოდა ხახულის, ოშკისა და იშხნის მონასტერთა ნაშთებს და, თბილისს მობრუნების შემდეგ, ისევ უნდა გამგზავრებულიყო თორთუმის ხეობაში, რათა მიეღო ზომები მათ დასაცავად და შესაკეთებლად. ჩვენი თბილისს მოსვლის შემდეგ მღვდელ-მონაზონი იპოლიტე მართლაც გავგზავნეთ დიდის მარაგით თორთუმში, მაგრამ იგი იძულებული გახდა გზიდანვე დაბრუნებულიყო, ვინაიდან ამ დროს რუსის ჯარმა მიატოვა ფრონტი და თურქებმა ხელახლა დაიჭირეს მათ მიერ დაცლილი ადგილები.

ჩვენი ექსპედიციის სუსტ მხარეს შეადგენდა სპეციალისტი ფოტოგრაფის უყოლობა. კავკასიის განთქმული ფოტოგრაფი დ. ერმაკოვი, რომელსაც წინათ დიდი სურვილი ჰქონდა ჩვენთან ერთად ემგზავრა „თურქეთის საქართველოში“, უკვე ცოცხალი აღარ იყო. ჩვენ წარვუდგინეთ სამხედრო უწყებას რამდენიმე ფოტოგრაფის კანდიდატურა, მაგრამ მან არც ერთს ნება არ დართო ჩვენთან ემგზავრა, და იძულებული გავხდით ფოტოგრაფის როლი დაგვეკისრებინა ჩვენი ექსპედიციის ზოგიერთი წევრისათვის.

ფულით დაგვეხმარნენ თბილისის თავადაზნაურობა და საქართველოს სამღვდელოება, მაგრამ ფული ვერას გვიშველიდა, რომ სამხედრო ორგანიზაციას არ შეეწყო ხელი: ფულით არაფრის შოვნა არ შეიძლებოდა ჩვენ მიერ გამოსაკვლევ რაიონში. ომისაგან ის მხარე სრულიად განადგურებული იყო და ხალხი — დამშეული. დახმარებისათვის მივმართეთ სრულიად რუსეთის ერობის კავშირის გამგეობას, რომელმაც ნება დაგვრთო, მიგვეღო მათი საწყობებიდან ყველაფერი, რაც კი საჭირო იქნებოდა ჩვენი ექსპედიციისათვის. ამის განხორციელება დაევალა მათ მოხელეს ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილს, ჩემს ყოფილ მოწაფეს, რომელიც დიდი ხალისით და თანაგრძნობით შეუდგა ამ განკარგულების სისრულეში მოყვანას: ყარსიდან ფორდის მანქანებით მიგვიყვანა ხახულში, და საერთოდ ისე მოგვიწყო საქმე, რომ მთელი ექსპედიციის განმავლობაში არაფერი დაგვკლებია. ალექსანდრე ციციშვილი საოცარი ენერგიის პატრონი აღმოჩნდა, ზრდილი, პატიოსანი, თავმდაბალი და დაუღალავი მუშაკი. მას ყველა მისი თანაშემწენი და ხელქვეითნი დიდად აფასებდნენ. სამწუხაროდ, ალექსანდრე ციციშვილი დღეს ცოცხალი აღარ არის, და ჩვენს ზნეობრივ მოვალეობად ვთვლით, პატივი ვსცეთ მის ხსოვნას და განვაცხადოთ, რომ, თუ არ მისი ენერგიული დახმარება, ჩვენი ექსპედიცია თავის მოვალეობას ჯეროვნად ვერ შეასრულებდა.

გეზი ჩვენი მგზავრობისა ასეთი იყო: 8 ივლისს საღამოს გავემგზავრეთ მატარებლით ყარსისკენ და მეორე დილას უკვე ყარსში ვიყავით. იმავე დღეს, ნასადილევს, ყარსიდან ავტომობილით წავედით დაბა მერდენეკში, კოლას (გელის) რაიონში, რომელიც 120 კილომეტრით შორავს ყარსს. მაშინ იქ მშვენიერი გზატკეცილი გაეკეთებინა სამხედრო უწყებას ბუღა-თაფას ზეკარის მიმართულებით. 10 ივლისს დილით მერდენეკიდან გავემგზავრეთ ქ. ოლთისში, აგუნდირის ზეკარით, ხოლო ოლთისიდან ახპუსორის მაღალი ზეკარით გადავედით თორთუმის ხეობაში და საღამოს უკვე ხახულში მივედით. მერდენეკიდან ოლთისამდის 20 კილომეტრია, ხოლო ოლთისიდან ხახულამდის — 90. რუსის ჯარის მიერ გაყვანილი გზა ადგილ-ადგილ გაფუჭებული იყო, მაგრამ ჩვენ ორი მანქანით მაინც მშვიდობიანად ვიმგზავრეთ ხახულის ხევის დასაწყისამდის.

ჩვენი მუშაობა დაიწყო ხახულის მონასტრიდან. ხახულიდან ვინახულეთ სოფელი თორთუმი და თორთუმის ციხე („თორთუმ-ყალა“), თორთუმის წყლის სათავეში (თორთუმის წყალი ჭოროხის მარჯვენა შენაკადია).

ეს დიდი ციხე აშენებულია მაღალ, მოგრძო კლდოვან კუნძულზე, შუა წყალში. იგი კარგადაა დაცული და საკვირველად ჰგავს ქალაქ გორის ციხეს. (ამ ციხის სურათი მოთავსებულია 149-ე ტაბულაზე; თორთუმის ხეობის „ალჯა-ყალას“ სურათი—150-ე ტაბულაზე, ხოლო იმავე ხეობის მესამე ციხის „ერსეს-ყალას“ სურათი—151-ე ტაბულაზე, რომელზედაც მოშორებით მოჩანს ართვინის მთები. სამივე სურათი წარმოდგენილია ერმაკოვის ფოტოების მიხედვით). აქედან ექსპედიციის ორი წევრი წავიდა ექექის ეკლესიის დასაზომად, რომელიც თორთუმის მახლობლად მდებარეობს, მაღალ მთაზე. შემდეგ ჩვენ ყველანი დავბრუნდით ხახულში და იქიდან გავემგზავრეთ ოშკში. გზა მიდიოდა თორთუმის წყლის კალაპოტით. როცა ოშკში მუშაობა გავათავეთ, წავედით იშხანში. იშხანში ოშკიდან ორი გზა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ორი ბილიკი მიდის: ერთი თორთუმის ტბის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება, მეორე—მარცხენა ნაპირს. ჩვენ ყველანი, გარდა ერთი წევრი-

სა, გავემგზავრეთ მარცხენა ნაპირით, ხოლო ის ერთი გაჰყვა მარჯვენა ნაპირს, რომ [illegible], არის თუ არა ეკლესიის ნანგრევები იმ მხარეში. მართლაც, სოფელ ისთან, თორთუმ[illegible] რას, მან აღმოაჩინა და დაზომა ეკლესიის ნაშთები. მარცხენა მხარის სოფლებში ჩვენ მიერ გასინჯული ეკლესიები კი ყველა ჩვეულებრივი რიგისა იყო და თან სულ განადგურებული.

როცა დავამთავრეთ იშხანში მუშაობა, იმ ხანში ჩემი და კალგინის შვებულების ვადა უკვე გასული იყო და ჩვენ უნდა დავბრუნებულიყავით თბილისში. იმედი გვქონდა, რომ მეორე წელს განვაგრძობდით ჭოროხის ხეობის გამოკვლევას იშხნიდან ბაიბურთამდე. მიუხედავად ამისა, მაინც მაშინვე მივავლინე ჩვენი ექსპედიციის ორი წევრი (რომელნიც თავისუფალნი იყვნენ სამსახურისაგან) ოთხთა ეკლესიაში და პარხალში წინასწარი გამოკვლევის ჩასატარებლად. ეს საქმე კარგად მოვიდა, ვინაიდან შემდეგ წელს რუსის ჯარმა მიატოვა თურქეთის ფრონტი. ყველა ეს ადგილები უკანვე დაიბრუნეს თურქებმა და ახალ ექსპედიციაზედ ოცნებაც კი აღარ შეიძლებოდა. მოხალისეებმა ღირსეულად შეასრულეს თავისი მიზანი: ინახულეს და დაზომეს ოთხთა ეკლესია და პარხალი, გადმოიღეს წარწერები და ძეგლების ფოტოგრაფიული სურათები და მშვიდობით დაბრუნდნენ თბილისში, ბათომის გზით.

ამ დროს თბილისში ჩამოვიდა მთელი კომისია ხუროთმოძღვრებისა, რომელნიც მონაწილეობდნენ აკადემიკოს პ. უსპენსკის ტრაპიზონის ექსპედიციაში: მ. კერნი, ბ. რიაბოვი და ნ. სევეროვი,— რომ გეგმებისა და ნახაზების დამუშავება არ დაგვიანებულიყო, მოვიწვიეთ ისინი და დავავალეთ გეგმებისა და ნახაზების გაკეთება იმ მასალების მიხედვით, რომელნიც ჩამოიტანა ჩვენმა ექსპედიციამ. მათ ეს დავალება კეთილსინდისიერად შეასრულეს ინჟინერ კალგინის ხელმძღვანელობით (მათ ეხმარებოდნენ კიდევ ტექნიკოსები კუბერა და მელიქოვი). დამზადებულ იქნა ბარელიეფები ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი ესტამპაჟების მიხედვით, დაიბეჭდა ფოტოგრაფიული სურათები; ზოგი წარწერა გადატანილ იქნა ტილოზე და თავი მოეყარა გუდიაშვილისა და ქიაურელის მიერ გადმოხატულ სურათებს.

როდესაც მთელი მასალა მზად იყო, 1920 წელს თბილისში მოვაწყეთ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების პირველი გამოფენა. გამოფენის ქართული კატალოგი შევადგინე მე, ხოლო რუსული— დ. გორდეევმა[1]. ყველა აქ მოხსენებული მასალა, ჩვენ მიერ ჩატარებული სხვა ექსპედიციათა მასალებთან ერთად, ინახებოდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, ხოლო ამჟამად ნაწილი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და ნაწილი — საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

## 4. რამდენიმე სიტყვა 1917 წლის ექსპედიციის შედეგების შესახებ

მანამ შევუდგებოდეთ შესწავლილი ძეგლების განხილვას, ჩვენ ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნია დიდი პატივით მოვიხსენიოთ აწ განსვენებული ინჟინერი ანატოლი ნიკოლოზის ძე კალგინი, რომელმაც დაზომა იშხნის, ოშკისა და ხახულის ტაძრები, გადმოიღო ზოგიერთი ბარელიეფის ესტამპაჟები და სამივე ტაძრის დიდი ფოტოგრაფიული სურათები. შემდეგ უგულითადეს მადლობას მოვახსენებ ჩვენი ექსპედიციის ყველა წევრს, რომელთა დაუღალავი, მეგობრული საერთო შრომის მეოხებით ჯეროვნად ჩატარდა ეს რთული და მძიმე ექსპედიცია.

ექსპედიციამ გააკეთა ყოველივე, რის გაკეთებაც შეიძლებოდა იმ მცირე ხნის განმავლობაში, რომელიც მის განკარგულებაში იყო, დაამზადა გეგმები და განაკვეთები ყველა ნახული ეკლესიამონასტრისა, მულაჟით გადმოიღო მრავალი ბარელიეფი და ჩამოიტანა ისინი თბილისში (მულაჟით გადმოღება წინათ ქართული ძეგლების შესასწავლად სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებს არ უწარმოებიათ).

ექსპედიციამ გადაიღო ბევრი ფოტო-სურათი ყველა ძეგლისა. ამ გამოცემაში ყველა ისინი სანახევროდაც არ არის გამოყენებული ადგილის უქონლობის გამო, რამდენადმე აგრეთვე იმის გამო, რომ ზოგი მათგანი მკრთალი გამოვიდა.

ექსპედიციამ აღმოაჩინა და ფოტოგრაფიულად ან ხელით გადმოიღო მრავალი ძვირფასი წარწერა, გამოარკვია ზოგი მონასტრისა და ტაძრის სახელი, რომლებიც ლიტერატურაში არ იყო ცნობილი.

---

[1] კატალოგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენისა. თბილისი, 1920 წ., Д. Гордеев, Указатель выставки древнегрузинской архитектуры. Тбилиси, 1920. კატალოგებში დაწვრილებით არის აღნიშნული, თუ ვის მიერაა გაზომილი ესა თუ ის ძეგლი და ვის მიერაა შესრულებული ძეგლთა გეგმები და ნახაზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ განვიხილავთ ამ ექსპედიციის შედეგებს და აგრეთვე ჩვენი წინა ორი ექსპედიციისა საქართველოს სამხრეთ პროვინციებში, აღმოჩნდება მრავალი ახალი და მეტად ძვირფასი მასალა საქართველოს კულტურის ისტორიისათვის.

გარდა ქართული ტაძრებისა და ეკლესიების საერთო ტიპებისა, აქ გვხვდება უნიკუმები, როგორიცაა, მაგალითად, ტაძარი ტაოსკარში, რომლის გეგმა და ხედები მოთავსებულია ჩემს „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომში" (ტაბ. 12, 13, 14).

ამას გარდა, არის რამდენიმე ეკლესია, რომელთა გეგმა იშვიათად მოიპოვება სხვა ქვეყნებში; ასეთია, მაგ., სამ-აბსიდიანი ეკლესიები. ასეთი ეკლესია ჩვენ ვიპოვეთ ოთხი: ერთი სოფელ ორთულში, მეორე—ბაღჩალო-ყიშლაში, მესამე—დორთ-ქალისაში (კოლას რაიონში; ტაბ. 23 იმავე ალბომში) და მეოთხე—სოფელ ისი-ში, თორთომის ტბის ნაპირად (ტაბ. 114).

ორ-აბსიდიანი ეკლესია ვნახეთ სოფელ ფარსადანში (კოლას რაიონში: „ალბომში", ტაბ. 24). სოფ. ჩახმუსიში (ბანას ახლოს, ოლთისის რაიონში) ჩვენ ვნახეთ ნაშთი ეკლესიისა, რომელიც აშენებულია მცხეთის ჯვრის გეგმის თანახმად. ეკლესია ოთხ-აფსიდიანი ყოფილა, აბსიდებს შორის კუთხეებში მოთავსებული ყოფილა ოთახები სამ-წახნაგიანი მოყვანილობისა, მაშინ როდესაც მცხეთის ჯვარში ეს მოყვანილობა სხვანაირია. სამწუხაროდ, ეს შენობა ისე დანგრეული იყო, რომ შეიძლება მხოლოდ გეგმა აღადგინოს კაცმა, მეტის თქმა კი არაფრისა არ შეიძლება.

მეტად საინტერესოა აგრეთვე მეორე ეკლესია—სუხბეჩის ტეტრაკონქი: მასალისა, წყობისა და სტილის მიხედვით ეს ეკლესია უთუოდ სხვებზე უძველესია და უნდა ეკუთვნოდეს V—VI საუკუნეებს.

ჩვენი 1917 წლის ექსპედიციის ანგარიში წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ დაკვლევას ყოფ. ყარსის ოლქის არტაანისა და ოლთისის ოკრუგების ძეგლებისას.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ამ ძეგლების შესახებ უკანასკნელი სიტყვაა თქმული. არა, ამ აზრისაგან ჩვენ შორსა ვართ. საქმე ის არის, რომ ისეთი ძეგლები, როგორიცაა იშხანი, ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია და პარხალი, მოითხოვენ თვითეული მათგანი მთელი წლობით შესწავლას, დეტალურ გაზომვას, დეტალურად გადმოღებას შენობის ნაწილებისას, ფრესკების ნაშთებისას, წარწერებისას, ბარელიეფებისას, ჩუქურთმებისას და სხვა. არც ყველა წარწერაა ჯერ შეგროვილი და გარჩეული. მაგალითად, მე მგონია, სპეციალისტი პარხალში ბევრ რამეს ამოიკითხავს იმ ასომთავრულ და ძველ მხედრულ წარწერებში, რომელნიც ფრაგმენტულად ყოფილა დაცული შიგნით კედლებზე. იგივე ითქმის ოთხთა ეკლესიის ერთი ასომთავრული წარწერის შესახებ, რომელიც მოტანილ ფოტოგრაფიაზედ სრულად არ განირჩევა. მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს: ფოტოგრაფიის საშუალებით მე ვერ შევძლებდი, წამეკითხა ხახულის გალერეის სვეტის წარწერა, ადგილობრივ დაკვირვებით კი მისი გარჩევა შესაძლებელი შეიქნა. ნერსეს სარგისიანის ხელით გადმოღებულ წარწერებს ბროსე ზოგჯერ შეცდომაში შეჰყავდა. შეუძლებელი იქნებოდა აგრეთვე ოშკის მრავალი წარწერის გარჩევა, რომ ეს წარწერები ადგილობრივ არ მენახა.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომი, ექსპედიციის მასალებზე დამყარებული, ზოგადი ხასიათის წინასწარი გამოკვლევაა, რომელიც, თუ შესაძლებელი შეიქნა და თუ ეს ძეგლები მოსპობილი და განადგურებული არაა, შემდეგმა ექსპედიციებმა უნდა შეავსოს და გააღრმავოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი რამ ამ ძეგლთა შესახებ და აგრეთვე მათი საერთო მნიშვნელობა ეხლაც გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, ასეთი საკითხებია, მაგალითად, დრო დიდი ტაძრების აშენებისა (ოთხთა ეკლესიის ბაზილიკის გარდა, რის შესახებაც მხოლოდ ის ითქმის დანამდვილებით, რომ იგი დავით კურაპალატის ხანას უსწრებს წინ), დრო ზოგიერთი ეკლესიის ფრესკებით შემკობისა, გარჩევა დიდძალი წარწერებისა და დადგენა მათში მოხსენებულ პირთა ვინაობის; საზოგადოდ, ამ ძეგლების მნიშვნელობა ჩვენი ისტორიისა და კულტურისათვის.

ყველა ამასთან ერთად უაღრესად სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გულითადი გრძნობით და სრული შეგნებით განვაცხადო შემდეგი:

ამ უმნიშვნელოვანესი ექსპედიციის შედეგების გამოქვეყნებას დიდად დააგვიანდა და ეს ალბათ სულაც არ მოხერხდებოდა, თუ არ ის უდიდესი მზრუნველობა, რომლითაც საბჭოთა ქვეყნის მესვეურნი მოეკიდნენ პირადად ჩემს ბედ-იღბალსა და ჩემს შრომას.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ უმაგალითო დამარცხება აგემა ფაშისტურ გერმანიას და ნამდვილ მხსნელად მოევლინა მთელს ევროპას, შესაძლო გახდა ამ ოცდაშვიდი წლის წინათ მენშევიკური მთავრობის მიერ საფრანგეთში გაზიდული სამუზეუმო განძეულის საქართველოში დაბრუნებაც და ამასთანავე პირადად ჩემი გამომგზავრება სამშობლოში. მას აქეთ მე ყოველ წუთს ვგრძნობ და უღრმესი მადლობით აღვნიშნავ სრულსა და ზედმიწევნით საქმიან ხელისშეწყობას

საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრივ. ამან ძალიან გამიადვილა მრავალი, დიდი ხნით გადადებული ნაშრომის დასრულება და გამოცემა.

უდიდესი კმაყოფილებით უნდა განვაცხადო, რომ საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოთა სახით ჩვენი წარსულის ბრწყინვალე კულტურულ მემკვიდრეობას შესანიშნავი მოამაგე ჰყავს, ისეთი, როგორსაც ძველი თაობის მუშაკები მხოლოდ თუ ვინატრებდით.

იმედი მაქვს, რომ წინამდებარე წიგნიც სათანადო წვლილს შეიტანს აღორძინებული ქვეყნის კულტურული წარსულის დაცვა-შესწავლის საქმეში.

იგი წარმოადგენს საერთო ხასიათის წინასწარ გამოკვლევას და, რა თქმა უნდა, მასში არაა ნათქვამი უკანასკნელი სიტყვა განხილულ ძეგლთა მნიშვნელობის შესახებ. ამ ძეგლთა შესწავლა მომავალი კვლევის საქმეა.

## 5. ლიტერატურა ჭოროხის ხეობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის შესახებ

არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ჭოროხის ხეობის მარტო ერთი ნაწილი იყო ასე თუ ისე შესწავლილი, სახელდობრ ბათომის ოლქი: კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი და აჭარა. ამათი გამოკვლევა ეკუთვნის: დ. ბაქრაძეს (Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. СПБ, 1878); გ. ყაზბეგს («Три месяца в Турецкой Грузии», Записки Кавк. Отд. Русск. Геогр. Общества, кн. X; ყაზბეგს აღწერილი აქვს პარხლის მონასტერიც)., აკადემიკოს პავლინოვს, («Матер. по арх. Кавказа» Московского арх. общества, вып. III); პ. უვაროვას («Матер. по арх. Кавказа», вып. IV) და აკადემიკოს ნ. მარრს «Житие св. Григория хандзтийского, с дневником поездки в Шавшетию и Кларджети», СПБ, 1911 («Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии», кн. УП).

რაც შეეხება ტაოს იმ ნაწილს, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდის ყარსის ოლქის ოლთისის მხარეს შეადგენდა, ჩემს 1902 და 1907 წლის ექსპედიციებამდის მოიპოვებოდა მხოლოდ ცნობები გერმანელი ბოტანიკოსის კ. კოხისა ოლთისის ციხის შესახებ და უმთავრესად ნეფსი-პენიაკის ანუ, ჩვენებურად, ბანას და აგრეთვე კოლას ტაძრის თაობაზე: M. K. Koch, Wanderungen im Oriente. Reisen im pontischen Gebirge und türkischen Armenien. II. Weimar, 1846, გვ. 251—252 და, ამას გარდა, კიდევ წერილი დ. ბაქრაძისა, რომელმაც პეტერბურგის აკადემიის დავალებით იმგზავრა ოლთისის ოლქში 1879 წელს («Историко-этнографический очерк Карской области». Известия Кавказского отд. Русск. Геогр. общества, том VII, стр. 92—202). ამ წერილში სულ მოკლედ ჩამოთვლილია ოლთისის ოკრუგის ზოგიერთი ძეგლი, მაგრამ არ არის მოცემული არც აღწერა, არც გეგმები და არც სურათები. უფრო ვრცლად აქვს მას ცნობები დღიურში; რომელიც ინახებოდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავში.

თორთუმის ხეობის ძეგლები — ხახული, ოშკი და ექექი (და არა ეგრეკი, როგორც ბროსე წერს) და აგრეთვე ტაოს ძეგლი იშხანი ცნობილი იყო მხითარისტის ნერსეს სარგისიანის მოგზაურობის აღწერილობის მეშვეობით, რომელიც მან გამოაქვეყნა ჟურნალ „ბაზმავეპში“ 1863—1864 წლებში. მის მიერ გადმოღებული ქართული წარწერები გამოსცა ბროსემ („Mémoires de l' Académie Impériale des sciences de St. Pétersbourg, VII série, t. VIII, №10, 1864).

ქვემოთ ამ ნაშრომს ვგულისხმობთ ყოველთვის, როდესაც ბროსეს წაკითხვას ვიხსენიებთ.

უნდა მიეზღოს დიდი პატივი დაუღალავისა, უანგარო და პატიოსანი მკვლევრის ნერსეს სარგისიანის ხსოვნას: მას საზოგადოდ გულმოდგინეთ აქვს გადმოღებული — ხან კალკით და ხან ხელით — წარწერები, რომლებიც შეუმჩნევია და რომლებიც მის დროს კარგად ყოფილა დაცული. წარწერები, რომელნიც ცუდად ყოფილან დაცული, ცუდადვე გამოსულა გადმოღებისას და აქედან წარმოდგება მათი არასწორი წაკითხვა ბროსეს მიერ.

ოშკის შესახებ კიდევ მოიპოვება თავის დროისათვის საინტერესო, ხელმოუწერელი სტატია ფრანგულ გამოცემაში-Archives des missions scientifiques, 1875, 2 livr.; მას ახლავს გეგმა, არასწორი.

ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურის გარდა არსებობს კიდევ ფოტოგრაფ დ. ერმაკოვის მიერ 1872 წელს გადაღებული მშვენიერი სურათები ოშკისა, იშხნისა, ხახულისა და ორიოდეც ოთხთა ეკლესიისა (საქ. მუზეუმის ფოტოარქივი, № 308—325, 332, 363 და 364). ეს ფოტო-სურათები გვამცნობენ, რომ იმ დროიდან 1917 წლამდე აღნიშნულ ძეგლებს დაზიანება განუცდიათ, მაგრამ არც თუ ისე თვალსაჩინო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# I. იშხნის საყდარი[1]

## 1. ტაძრის მდებარეობა

იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი, ანუ საყდარი[1], მდებარეობს ტაოში, სოფელ იშხანში, ჭოროხის მარჯვენა შენაკადის ოლთისის წყლის მარჯვენა ნაპირას. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა იშხნის მდებარეობის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ სხვა მისი ცნობები კი სწორია. იგი წერს: „ხოლო ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ჴევი, რომელი გამოსდის თორ-თომ-ისპირის მთასა, მოდის აღმოსავლით. ამ ჴევზედ არს იშხანის ციხე, ფრიად მაგარი, დიდ-შენი და ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს“ (იხ. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა, 1941, გვ. 136—137).

ზეგანი, რომელზედაც ძველი ტაძარი და სოფელია გაშენებული, მაღალია, ფართო და თან-დათან მცირეოდენად იხრება ოლთისის წყლის მიმართ. ადგილი საუცხოოა მდებარეობით, კარგი ჰაერით, წყაროებით, ბაღებითა და მშვენიერი გადასახედით. ეს საუკეთესო კუთხეა ტაოსი. სოფ-ლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს იშხნის ციხე, ეხლა ძალზე დანგრეული. ზემოთ მოჩანს მაღალი მთა ქარიელი („ქარიელ“), სამხრეთით—მთა-მწვერვალი „არაფეკი“, სამხრეთ-აღმოსავლეთით მთა „ურლუნ-დუზი“.

სოფელ იშხნის მცხოვრებნი ყველა გამაჰმადიანებული ქართველებია, მესხები. 1917 წელს ქართული ზოგ მოხუცებულსღა ესმოდა, სხვებს უკვე დავიწყებული ჰქონდათ. პირველ მსოფლიო ომამდის იშხანი მოზრდილი დაბა იყო და იქ თურქული ბატალიონი იდგა. აშენებული იყო ყაზარმები, ოფიცერთა სახლები და სხვა შენობები, მაგრამ ომიანობის დროს ეს ყველაფერი განადგურებული იყო, ასე რომ ჩვენ ძლივს ვიშოვეთ მცირე ხის ქოხი ღამის გასათევად.

ტაძარი მდებარეობს სოფლის დასავლეთით, განცალკევებით, გაშლილ პლატოზედ. იგი შო-რიდანაც კარგად მოჩანს, რაც იშვიათია ტაოში. ჩვენ ის პირველად დავინახეთ სოფ. ლოქის ზეკარიდან, საიდანაც, სხვათა შორის, მოჩანდა აგრეთვე ოთხთა ეკლესია, პარხალი და კიდევ დიდი კარჩხალის მთის მწვერვალი, კლარჯეთში. ტაძარსა და სოფელს შუა დიდი წყაროა, აუზით (ტაბ. 33, 1—2), ამის გვერდით არის დაზიანებული ძველი ქვის კოშკი (იხ. იგივე ტაბ. 33, 2). მთავარი ტაძრის მახლობლად ეხლაც დაცულია მხოლოდ ნანგრევები გურგენ მეფეთა მეფის (გარდა-იცვალა 1008 წელს) პატარა ეკლესიისა, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

## 2. ტაძრის აშენების ისტორია

იმ ადგილას, სადაც ეხლა იშხნის საყდარია (IX საუკუნიდან ქართველი ეპისკოპოსების, იშხნელების საჯდომი), წინათაც არსებობდა საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც აუგია მართლმადი-დებელ ნერსე ეპისკოპოსს VII საუკუნის პირველ ნახევარში. ეს ნერსე შემდეგ გახდა სომეხთა კათალიკოსი ნერსეს II და მან ღირსეულად გაითქვა აღმაშენებლის სახელი. ამ ნერსეს მიერ არის აშენებული VII საუკუნის მეორე ნახევარში „მლვიძარეთა“ შესანიშნავი ტაძარი („ზვართნოცი“)

[1] „საყდარ“ ტერმინს აქ ვხმარობთ მისი ძველი მნიშვნელობით: ს ა ყ დ ა რ ი—კათედრალი, საეპისკოპოსო ეკლესია.

ეროვნული

ეჩმიაძინის მახლობლად, რომელიც XIX საუკუნის მიწურულში შეიქმნა ცნობილი არქიმანდრიტ ხაჩიკის მიერ წარმოებული გათხრის შემდეგ, წმინდა გრიგორის ეკლესია ხორ-ვირაპში, პატარა სამლოცველო წმ. სარგისის სახელზე დვინში და ღვთისმშობლის ეკლესია ალაშკერტში (ამჟამად ჰასან-ყალა)[1], სადაც X საუკუნიდან (ამაზე ადრე თუ არა) ქართველი ეპისკოპოსის, ალაშკერტელის კათედრა იყო. მაგრამ, როდესაც ნერსე მესამის მართლმადიდებლობა აშკარად გამომჟღავნდა და მან დაუწყო რწმუნება სომხებს, მიეღოთ ქალკედონის კრების დადგენილება, ის აიძულეს გადამდგარიყო კათალიკოსობიდან. ნერსე III იშხნის სოფლის მკვიდრთაგანი იყო. მის მიერ იშხანში საყდრის აშენების შესახებ სომეხი ისტორიკოსები დუმან, ალბათ იმიტომ, რომ ის პირველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იყო იშხანში.

იშხნის ტაძრის აშენების ისტორია ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა გამოაქვეყნა გიორგი მერჩულის შესანიშნავი თხზულება, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“[2]. გრიგოლ ხანძთელმა, ამ უებრო საეკლესიო მოღვაწემ VIII—IX საუკუნისამ, როგორც ცნობილია, აშენა მონასტრები, პირველ ყოვლისა, კლარჯეთში, სადაც ის ბოლოს გახდა არქიმანდრიტად კლარჯეთის თორმეტი უდაბნოსი ანუ მონასტრისა, რომელთა შორის ხუთი აშენებული იყო მის და მისი მოწაფეების მიერ. იშხნის საყდარი ერთად-ერთი ტაძარია ტაოში, რომელიც გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების სახელთან არის დაკავშირებული. მოკლედ რომ აღვნიშნოთ, საქმე თითქოს ასე ყოფილა: როცა გრიგოლ ხანძთელმა პირველად ააშენა კლარჯეთში, აშოტ კურაპალატის დახმარებით, ხანძთის ეკლესია და აშოტისაგანვე გამოითხოვა უფრო კარგი და ვრცელი ადგილი მეორე დიდებული, შატბერდის ტაძრის ასაშენებლად, მან განიზრახა მოევლო და მოელოცა საბერძნეთის წმინდა ადგილები და თან გასცნობოდა, რა თქმა უნდა, ბერძენთა საეკლესიო წეს-წყობილებას და ლიტერატურას. მან თან წაიყვანა საბა ანუ საბანი, თავისი დედის დისწული და კიდევ ერთი მოწაფე. როცა ესენი უკან დაბრუნდნენ და მოაღწიეს ტაოს, შეიტყვეს აშოტ კურაპალატის მოკვლის ამბავი და ცრემლებით ილოცეს მისთვის. თხზულების იმ ადგილას, სადაც საუბარია იმაზე, რომ ისინი დაუახლოვდნენ იშხანს, თანახმად აგიოგრაფიაში შემოღებული ტრადიციისა, ნათქვამია, ვითომც „გამოეცხადა ღმრთისა მიერ... იშხნისა პირველი დიდებულებაჲ... და ეუწყა, ვითარმედ კუალად განახლებად არს პირველებრ ხელითა საბანისითა, და ეცნობა გზაჲცა მისავალად, რამეთუ მის ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი“. იშხანს რომ მივიდნენ, მათ ფრიად გაუხარდათ „პოვნაჲ დიდებულისა მის ადგილისაჲ, რამეთუ იყო მას შინა ნუგეშინისსაცემელი სულიერი და ჴორციელი“[3]. საბანმა მაშინვე გადაწყვიტა იქ დარჩენა, მაგრამ გრიგოლმა უთხრა: ჯერ უნდა ხანძთას დატოვებული ძმები ვინახულოთ და შემდეგ წამოხვალ აქაო. მართლაც, სულ მცირე ხანში, გრიგოლმა გაისტუმრა საბანი იშხანს და თან გააყოლა ორი მოწაფე. საბანი შეუდგა მუშაობას და აშოტ I-ის ძეების, ბაგრატ I კურაპალატისა და მისი ძმების ნივთიერი დახმარებით ააშენა იშხანი.

ამრიგად, იშხანი მეორედ იქნა აგებული IX საუკუნის პირველ ნახევარში, ნერსე ეპისკოპოსის ტაძრის ნანგრევებზე. ბაგრატს ძალიან უყვარდა ეს ადგილი და ხშირად მოდიოდა აქ, ისევე როგორც გრიგოლ ხანძთელი. საბანი გახდა იშხნის პირველი ქართველი ეპისკოპოსი და მან დაიკავა პირველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის ნერსეს საყდარი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გაუქმებული იყო. გაუქმება გამოწვეული იყო, რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ არაბთა სარდალმა მურვანმა, რომელსაც ქართული ისტორიული წყაროები ყრუს უწოდებენ, (მურვან ყრუმ) საშინლად დაარბია და იაოხრა ტაო-კლარჯეთი, ისე რომ იმავე წყაროების ცნობით, აღარ გადარჩა არც ერთი სოფელი და არც ერთი ძეგლი. ამ კუთხის აღორძინება დაიწყო აშოტ I კურაპალატის დროს, IX საუკუნის დასაწყისში. იშხნელი ეპისკოპოსის სასულიერო ხელისუფლება ვრცელდებოდა კლარჯეთიდან ბაიბურთამდე და უფრო იქითაც და მთელს თორთუმის მხარეზე.

ტაოს მეორე საეპისკოპოსო საყდარი იყო ბანაში, სადაც განთქმული მრგვალი ტაძარია, ამჟამად დანგრეული, მრგვალი შემოსავლელით. ეს ტაძარი ააგო პირველმა ქართველთა მეფემ ადარნესე II კურაპალატმა, X ს-ის დასაწყისში (ადარნერსე II გარდაიცვალა 923 წ.).

კლარჯეთში ორი საეპისკოპოსო კათედრა იყო: ანჩისა და ტბეთისა. ამათგან ადრინდელია ანჩისა (ის იშხნისაზე უფრო ძველია) და შემდეგ მას მიემატა ტბეთის საეპისკოპოსო, რომელიც აშოტ კუხმა († 918) დააარსა. სტეფანე მტბევარი პირველი ეპისკოპოსი იყო.

---

[1] სტრიგოვსკის მიხედვით (Baukunst der Armenien) ალაშკერტი ანუ თოფრახ-კალავანდი იმყოფება ბაგრევანდის პროვინციაში, მურად-სუს სათავეებში: Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана. СПБ, 1918, стр. 24

[2] Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, книга VII, СПБ, 1911.

[3] Георгий Мерчул, Житие Григория Хандзтийского, СПБ, 1911 (=ТР, VII), თ. XIV.

ტაოსი და კლარჯეთის ოთხივე საყდრის ეპისკოპოსები მაწყვერლითურთ (ე. ი. აწყურის ეპისკოპოსთან ერთად) იწოდებოდნენ ზემო ქართლის ეპისკოპოსებად. მათ შორის ყველაზე დიდი პატივი მეფის კარზე მინიჭებული ჰქონდა, როგორც ეს ჴელმწიფის კარის გარიგებიდან ჩანს,[1] იშხნის ეპისკოპოსს, იშხნელს.

იშხნის კათედრა განაგრძობდა არსებობას ოსმალთა მიერ ზემო ქართლის დაპყრობის შემდეგაც, ოღონდ იშხნელებს ოსმალეთის სულთნები ამტკიცებდნენ ხოლმე. იშხნის კათედრა საბოლოოდ გაუქმდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში.

## 3. ტაძრის გეგმა და შინაგანი სახე

იშხნის საყდრის ეხლანდელი გეგმა საერთოდ წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათიანი ტაძრისა და ერთნავიანი ბაზილიკის გაერთიანებას (ტაბ. 1), მაგრამ მისი საკურთხევლის ნაწილების განლაგება სრულიად სხვაგვარია,—არ ეგუება ჩვეულებრივ გეგმებს ამგვარი ეკლესიებისას, რომელთა სამკვეთლო (ანუ სამსხვერპლო) და სადიაკვნე უშუალოდ ეკვრიან ხოლმე მთავარ საკურთხეველს, რომლის აბსიდი ნახევრად მრგვალი ყრუ კედელია. აქ კი ისინი საკურთხევლისაგან გამოყოფილნი არიან გალერეებით (ტაბ. 2). თვით საკურთხეველი ამაღლებულია ტაძრის იატაკიდან 1,81 მეტრით. ამას გარდა, ამაღლებულ საკურთხეველზე აღმოსავლეთ გლუვი აბსიდის მაგიერ მომრგვალო სახით შემორიგებულია სვეტები, ე. ი. აბსიდის კედლის მაგიერ გვაქვს სვეტნარი ანუ კოლონადა (ტაბ. 1, 2). ასეთივე გეგმა აქვს საკურთხეველს ზუართნოცის მრგვალ ტაძარშიც და ბანაშიც. ზუართნოცი, როგორც აღვნიშნეთ, თვით ნერსე კათალიკოსის აშენებულია VII საუკუნის მეორე ნახევარში. ასეთივე გეგმისა უნდა ყოფილიყო ის თავდაპირველი საყდარიც, რომელიც ნერსემ იშხანში VII საუკუნის პირველ ნახევარში ააშენა. მაგრამ ნერსეს აშენებული საყდარი საბანს დანგრეული დახვედრია და, შეიძლება ითქვას, დაახლოებით, იმავე სახით, როგორითაც მე დამხვდა ბანას ტაძარი 1902 წელს და ეგებ კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშიც. ბანაში ჩემი ყოფნის დროს მთელი საკურთხეველი ძირიდან თავამდის დაცული იყო[2], იშხანში კი საბანის დროს გადარჩენილი ყოფილა მარტო ქვემო ნაწილი, საკურთხევლის სვეტნარით. საბანს განუზრახავს საკურთხევლის ამ გადარჩენილი ნაწილის მთლიანად დაცვა და თავის ახალ საყდარში მისი მოქცევა—რაღა თქმა უნდა, ნერსე ეპისკოპოსის ხსოვნის პატივსაცემად და მისი ღვაწლის ძეგლად. ნერსე ხომ პირველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იყო იშხნისა, საბანი კი მეორე. ამ ნერსეს გიორგი მერჩული დიდის ქებით იხსენიებს—ალბათ, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, მისი მართლმადიდებლობის გამო. საბანის განზრახვა, რა თქმა უნდა, დიდად ართულებდა გეგმის განხორციელებას, მაგრამ იშხნის ხუროთმოძღვარს ეს ამოცანა ნიჭიერად და დიდი ოსტატობით გადაუწყვეტია. მას ნერსეს საკურთხევლისაგან ცოტა მოშორებით და მის მარჯვნივ და მარცხნივ ამოუყვანია ვიწრო, მაგრამ გრძელი ოთახები სამკვეთლოსა ანუ სამსხვერპლოსა და სადიაკვნისათვის, რომლებიც წაგრძელებულია ნერსეს საკურთხევლის ხაზიდან აღმოსავლეთით. ეს ოთახები შეერთებულია კედლით, რომელიც ჯერ აყვანილია ნერსეს სვეტნარის სიმაღლემდის და შემდეგ ნახევარი თაღით გადაყვანილია სვეტნარის თავზედ, რომელზედაც აყვანილია მეორე ნაწილი ახალი ტაძრის აღმოსავლეთი კედლისა. გრძელი ოთახები პატარა აბსიდებით, ანუ აბსიდიოლებით თავდება. იმ ოთახების განი უდრის 1,75 მეტრს. აბსიდიოლებში თითო სარკმელია. დასავლეთით ამ გრძელ ოთახებს ახლავს თითო კვადრატული ორსართულიანი ოთახი, რომელთაც გარედან თითო სარკმელი აქვთ და რომელნიც გაშლილი თაღებით შეერთებული არიან საკურთხეველთან, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მის გალერეასთან (ტაბ. 1).

იშხნის ტაძრის გუმბათი და მისი ყელი დამყარებულია ოთხ დიდ, მაღალ და მძლავრ სვეტზე. წინა სვეტებიდან იწყება საბანის ტაძრის საკურთხეველი და ამ სვეტებზეა გადაყვანილი ტაძრის კამარა (ტაბ. 14,1). ამავე სვეტების ხაზს უსწორდება კვადრატული ოთახების დასავლეთის კედლებიც. ამრიგად გადარჩენილი ნაწილი ნერსე ეპისკოპოსის ტაძრის საკურთხევლისა ეხლა მთლიანად მოთავსებულია ახალი ტაძრის საკურთხევლის ქვედა სართულში და მას სამი მხრით—აღმოსავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით—უვლის ოთხკუთხედი გალერეა (ტაბ. 1, 2). საკურთხევლის ზედა სართული სულ ახალია. ეს გარემოება ორსართულიან სახეს ანიჭებს აღმოსავლეთის ფასადს (იხ. ტაბ. 3). ამ სართულს თან ახლავს ერთობ ლამაზი პატრონიკე, უკეთ რომ ვთქვათ, ორი პატრონიკე—ერთი მარცხნივ და მეორე მარჯვნივ. თვითეული მომრგვალებით მიემართება საკურთ-

[1] ე. თაყაიშვილი, ჴელმწიფის კარის გარიგება (თბ., 1920), გვ. 14.
[2] Материалы по арх. Кавказа, Моск. Арх. общ., XII, стр. 88—117, табл. XVIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევლის კედლის ცენტრისაკენ, მაგრამ ერთმანეთს ისინი არ უერთდებიან. მათი გეგმა და პროფილი სრულიად ერთგვარია. ჩვენ ვათავსებთ აქ მარცხენა პატრონიკეს გეგმას (ტაბ. 16), რომელიც სრულ წარმოდგენას გვაძლევს მარჯვენა პატრონიკეს შესახებაც. პატრონიკენი ორმაგი, მომრგვალებული სარკმლით გამოდიან საკურთხეველში და მათ შუაში ლამაზი სვეტები აქვთ. ამას გარდა აღმოსავლეთით ახლავთ გრძელი მრგვალი უბეები აბსიდის მსგავსად, მაგრამ უსარკმლოდ. ესენი მეტ სივრცეს აძლევენ პატრონიკეებს და თანაც ამსუბუქებენ საკურთხევლის აღმოსავლეთი კედლების საქმეს. ამ პატრონიკეთა და საზოგადოდ მთელი შინაგანი ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის ხედი წარმოდგენილია ტაბულებზე (15, 16, 17, 18, 19, 23). რაც შეეხება იშხნის ტაძრის საკურთხევლის სვეტნარს, თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს სვეტნარი კარგად არის დაცული. მცირე ზიანი ეტყობა მხოლოდ კვარცხლბეკს პირველი სვეტისას მარჯვნივ და მეორე სვეტისას მარცხნივ (ტაბ. 20, სურ. 1 და 2). სვეტნარი შედგება რვა სვეტისაგან, რომელთაც უბრალო კვარცხლბეკები, მაგრამ ნაირ-ნაირი სვეტის თავები აქვთ, უმეტესად კუბიკური მოყვანილობისა. კამარები სვეტებს ზემოთ ნალისებრია, ისევე როგორც ბანაში. კუთხის კამარები უფრო ამაღლებულია და ამით აძლიერებენ აბსიდის სიღრმის შთაბეჭდილებას (ტაბ. 19). სვეტები ერთი მეორისაგან დაშორებულია 1,88 მეტრით. სვეტის სიმაღლე უდრის 2,48 მეტრს.

ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ტაოს ეს ერთად-ერთი უძველესი, VII საუკუნის პირველი ნახევრის საეკლესიო ნაგებობის ნაშთი, ე. ი. გადარჩენილი სვეტნარი ჯეროვნად და დეტალურად ყოფილიყო ახაზული და ფოტოგრაფიულად გადმოღებული. საბედნიეროდ, ეს საქმე კარგად მოგვარდა.

ჩვენი სურათები და ფოტოები სრულ წარმოდგენას იძლევიან როგორც სვეტნარის, ისე მთელი კანკელის მოწყობილობის შესახებ (იხ. ტაბულები 15, 16, 17, 18, 19, 20; ამათგან მე-15 ტაბულაზე მოთავსებულია: აღმოსავლეთის აქსონომეტრიული ხედი, მე-16-ზე—აბსიდის სვეტთა გეგმები და დეტალები და პატრონიკის გეგმა, მე-17-ზე—აბსიდის მარცხენა მხარე, მე-18-ზე—აბსიდის მარჯვენა მხარე, მე-19-ზე—აბსიდის სვეტნარი, მე-20-ზე (სურ.2)—აბსიდის სვეტის ხედი აღმოსავლეთის გალერეიდან).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თექვსმეტ-წახნაგოვანი გუმბათის ყელი და კონუსისებრი გუმბათი დამყარებულია ოთხ განცალკევებულ, მსხვილ, მაღალ და ძლიერ სვეტზედ. მათზედ გარდამავალი კამარები ოდნავ წვეროვანია. სვეტის სიმაღლე არის 4,8 მეტრი, სვეტების მრგვალი კვარცხლბეკები, სიმაღლით თითო მეტრი, შემკულია ქანდაკოვანი მორთულობით (ტაბ. 21). დასავლეთ მარცხენა სვეტს მაღალი, მაგრამ არა-ღრმა უბე აქვს (ტაბ. 29, სურ. 2). სვეტისთავებს სხვადასხვა სამკაული ახლავს (იხ. ტაბ. 22, სურ. 1 და ტაბ. 25, სურ. 1 და 2). აფრები კონუსის მსგავსია, კოვზურად შემკული (ტაბ. 15).

გუმბათის ყელის წახნაგები შიგნით დაყოფილია წვრილი სვეტებით. გუმბათის ყელის სიმაღლე უდრის 6,01 მეტრს, დიამეტრი 9,67 მეტრს. ამრიგად, გუმბათის ყელის სიმაღლე უდრის თითქმის 2/3 დიამეტრისას; თვით გუმბათის სიმაღლე უდრის 9,38 მეტრს. ირგვლივ გუმბათის ყელი გარემოცულია მრგვალი შემოსავლელით. ტაძრის თაღები გოდრულია. დასავლეთი ფრთის კედლები შიგნით სამწახნაგოვანი გამოწეული პილასტრებით დაყოფილია ოთხ ცრუ კამარად (იხ. გეგმა). პილასტრთა იმპოსტები მრავალკუთხიანია. ამგვარივეა კამარათა გარეგანი დეკორატიული მორთულობაც. ამასთანავე ტაძრის ოთხივე ფრთის კიდურის იმპოსტები წაგრძელებულია. ეს იშხნის ტაძრის თავისებურებას წარმოადგენს (იხ. გეგმა).

## 4. ტაძრის დაცულობა

იშხნის ტაძარს, რა თქმა უნდა, პირვანდელი სახით ჩვენამდის არ მოუღწევია. ის ძალზედ დაზიანებულია; ზოგი რამ აკლია, ზოგი რამ გადაკეთებული აქვს და შეცვლილი. პირველ ყოვლისა მას დაუკარგავს დასავლეთის ეკვდერი, რომლის ნაშთები ცხადად ეტყობა და რომელიც, როგორც ჩანს, მთავარი ტაძრის თანამედროვე ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, დიდი განახლების დროს, 1032 წ. იგი დაცული ყოფილა. ამ დროს ტაძრის დასავლეთი კედელი შეუძერწიათ თლილი ქვით, მარტო ეკვდრის სახურავის დასაწყისამდის. ქვემო ნაწილი კი შეუძერწელი დაუტოვებიათ, რადგანაც ეს ნაწილი ეკვდერში იყო მოქცეული. ამას გარდა, დიდი უბე დასავლეთის კარს ზემოთ (ფრესკების ნაშთებით) ცხადჰყოფს, რომ ეს უბეც მოქცეული ყოფილა ეკვდერში (იხ. ტაბ. 6, სურ. 2, ტაბ. 14).

შემდეგ ტაძრის დასავლეთი და აღმოსავლეთი მკლავებისა და ნაწილობრივ აგრეთვე სხვა მკლავების თაღები სულ ჩანგრეულია. ტაძრის დასავლეთი ფრთა, რომელიც ჯამედ არის გადაქ-

ცეული, მაჰმადიანებს ახლად გადაუხურავთ კრამიტის ორფერდა სახურავით; სხვა ნაწილები კი გადაუხურავია. გუმბათი და გუმბათის ყელი და კედლები კარგად არის დაცული (ტაბ. 13, 14, 15).

როგორც აღვნიშნეთ, ტაძრის გრძელი დასავლეთი ფრთა ჯამედ გადაუქცევიათ მუსულმანებს. ამისათვის ის აღმოსავლეთი ნაწილიდან გამოუყვიათ რიყის ქვის კედლით, რომელსაც ერთი სარკმელი აქვს დატანებული (ტაბ. 24). დასავლეთი ფრთის სამხრეთი კარი დაუხშავთ. ამას შიგნით ჯამეს „ქუმბეთი“ აქვს მიშენებული. ამის გამო ტაძრის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი უკაროდ დარჩენილა. ამიტომ ამ ნაწილში შესასვლელად მათ გამოუნგრევიათ სამკვეთლოს ჩრდილოეთი კედელი, მაგრამ კარის სახით კი არ გაუკეთებიათ, არამედ ისევე, ტლანქად გამონგრეული დაუგდიათ. (ტაბ. 1). ამრიგად მათ დაუხშავთ ტაძრიდან ჩრდილო ეკვდერში შესასვლელი კარი და სამაგიეროდ ეკვდერში შესასვლელად ტლანქად შეუნგრევიათ ეკვდრის დასავლეთი კედელი (ტაბ. 1 და 6,2). ამას გარდა, სრულიად ახლად გადაუკეთებიათ ტაძრის დასავლეთი კარიც, ასე რომ ამ კარს აღარავითარი ძველი ნაშთი აღარ გააჩნია (ტაბ. 6, 2; მისი გარეგანი სახე იხ. ტაბ. 14,2).

მე ვფიქრობ, რომ საბანის ტაძარს თავდაპირველად დასავლეთი ფრთის სამხრეთის გასწვრივ უნდა ჰქონდეს გალერეა ღია კამარებით, ისე როგორც ოშკის ტაძარს აქვს დაცული (იხ. ტაბ. 39), მაგრამ ეს გალერეა არ შენახულა, ცხადია, რომ ოშკის ტაძრის გეგმა, მცირეოდენი განსხვავებით, საერთოდ განმეორებაა იშხნის ტაძრის გეგმისა და, მაშასადამე, რაც დაცულია ასლში, უნდა არსებულიყო დედანშიც.

თუ შევადარებთ ოშკის გეგმას (იხ. ტაბ. 39) ეხლანდელი იშხნის გეგმას, დავრწმუნდებით, რომ უკანასკნელი არაა სრული, მას აკლია სამხრეთის გალერეა და ეს არღვევს სიმეტრიას ტაძრის ჩრდილო ეკვდერთან. სინამდვილეში ოშკის დასავლეთი ფრთის გეგმა (თავისი ეკვდრებით) სამნავიანია (ტაბ. 39), ხოლო შუა დიდი ნავი გამოყოფილია დანარჩენებისგან ყრუ კედლებით და ესენი შეადგენენ ჩრდილო ეკვდერს და სამხრეთის გალერეას. ეგრევე იყო ალბათ თავდაპირველად



სურ. 1

იშხანშიც, ოღონდ ოშკის გალერეას ოთხი ღია თაღი აქვს, იშხანში კი, მისი სივრცის მიხედვით, სამი უნდა ყოფილიყო. იშხნის გალერეა, უნდა ვიფიქროთ, მოისპო საერთო დიდი განახლების დროს, 1032 წ. ან, შესაძლოა, უფრო ადრეც, გიორგი I დროს (1014—1027), როდესაც გადააკეთეს სამხრეთი კარიბჭე. მაშინ მოშალეს ალბათ ორი კამარა და მესამე შეცვალეს კარიბჭედ, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია; ის, ეტყობა, მოსპეს 1032 წლის განახლების დროს. ქვემოთ სწორედ ამ განახლებათა შესახებ გვექნება საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ტაძრის განახლებანი და სათანადო წარწერები

თავდაპირველად იშხნის ტაძარი ნაშენი ყოფილა, გარეთ და შიგნით, ცალკეული ნაჭერი ქვებით. მაგრამ 1032 წელს, მეფე ბაგრატ IV-ის დროს, ის განუახლებიათ. განახლება შეხებია საერთოდ ტაძრის გარეგან სახეს. ის ერთობ შეუძერწავთ ლამაზად ნათალი წითელ-ყვითელი ფიქლებით. პირვანდელი ნაგებობა მოჩანს ჩრდილო ეკვდრის კედლებზე, რომლებიც არ შეუძერწავთ ახალი ნათალი ქვით (იხ. ტაბ. 6, 2); ხოლო შინაგანი ნაშენობა ემჩნევა კედლებზე, რომელთაც დაუკარგავთ ფრესკებიც და ნალესობაც (ტაბ. 30, 2, ტაბ. 32, 1 და 2). თაღები ნაშენი ყოფილა ფოროვანი მსუბუქი ქვით, ანუ სპონდიკით[1]. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იშხნის ტაძარს XI საუკუნეში ორჯერ განუცდია განახლება. ორივეჯერ ეს განახლება შეხებია მარტო გარეგან სახეს ტაძრისას. პირველად განუახლებიათ მხოლოდ სამხრეთის კარიბჭე. ეს კარიბჭე არ შენახულა, როგორც ნათქვამი იყო, მაგრამ წარწერა, რომელიც ამ განახლების შესახებ მოგვითხრობს, კარგადაა დაცული, (იხ. ტაბ. 9, 10, ნახ. 1). იგი მოთავსებულია სამხრეთის კარის წრის თავზე და მის კარაკინზე (ტიმპანზე) და, ქარაგმების გახსნით, იკითხება ასე:

1. ქ. იესუ ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხორებათა გიორგი მეფე და შვილნი მათნი ამინ[2].

2. ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გლახაკმა ანტონი ეპისკოპოსმ(ან) იშხნელმ(ან), განვაახლე ესე კარისა ბჭე წმიდისა

3. (კ)ათოლიკე ეკლესიისა სადიდებლად მეფეთა, გიორგი მეფისა და შვილთა მათთა, სალოცველად სულისა ბაგრატ კურაპალატისაჲსა, შენდობისათჳს ცოდვათა ჩუენთაჲსა.

4. წმიდაო კათოლიკე ეკლესიაო, შემწე და მ-

5. ფარველ გუეყავ წინაშე ღმრთისა და ნავსაყუდელ გუექმენ საშინელსა მა.

6 (ს) დღესა მისაგებელისასა წინაშე ნსაჯულისა ყოველთ

7. (ა)ჲსა ღირს ვიქმნეთ მოტევებასა[3] ცოდვა

8. თასა და წყალობასა ღმრთისასა. გევედრები

9. (ყო)ველთა შემომავალთა[4], ლოცვასა მომიჴ

10. ს-

11. ენე-

12. თ.

ამ წარწერას თარიღი არა აქვს და იბადება საკითხი, თუ რომელ გიორგი მეფეზე არის მასში საუბარი: გიორგი პირველზე (1014—1027), მეფე ბაგრატ III შვილზე, თუ გიორგი მეორეზე (1072—1089), მეფე ბაგრატ IV-ის ძეზე? სხვა გიორგის მოხსენება გამორიცხულია, რადგანაც წარწერა, სხვათა შორის, ბაგრატ კურაპალატის სულის სალოცველადაც არის შესრულებული. თუ წარწერა გიორგი პირველს იხსენიებს, მაშინ მასში მოხსენებული ბაგრატი იქნება ბაგრატ III, გიორგი I-ის მამა; ხოლო თუ წარწერა გიორგი II დროს ეკუთვნის, მაშინ ბაგრატ კურაპალატი იქნება ბაგრატ IV, გიორგი II-ის მამა. ბროსემ ეს საკითხი გიორგი II-ის სასარგებლოდ გადასჭრა. ამან აიძულა, სხვათა შორის, ბროსე, რომ პირველ წარწერაში ნახსენები ანტონი მათეოსად (Mattheos) შეეცვალა, ვინაიდან ანტონს, რომელიც 1032 წელს არის მოხსენებული, არ შეეძლო ეცოცხლა გიორგი II-ის დროსაც, რომელიც 40 წლის შემდეგ გამეფდაო, ესე იგი 1072 წელს (Op. cit., p. 20). მაგრამ ეს მსჯელობა მცდარია: თუ მივიღებთ, რომ წარწერა გიორგი II-ეს ეკუთვნის, მაშინ ორთავე წარწერის ანტონი ერთი და იგივე კი არ იქნება, არამედ სხვადასხვა ანტონი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1033 წელს იშხნელ ეპისკოპოსად იყო ილარიონ მასორისძე. იმის თაოსნობით არის გადაწერილი, 1033 წელს, სურათებიანი სახარება-ოთხთავი, რომელიც ამჟამად დაცულია სვანეთში, სოფ. მესტიაში[5].

მაგრამ საქმე ის არის, რომ წარწერა, სხვადასხვა ფაქტების მიხედვით, ეკუთვნის გიორგი I-ს, და არა II-ს. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მეფე ხსენებული წარწერისა არავითარ ბიზანტიურ პატივს (ტიტულს) არ ატარებს და ასეთი მას არც ჰქონია, ვინაიდან იგი

---

[1] ეს ტერმინი ცნობილია ოშკის ტაძრის წარწერის მიხედვით. დღეს იგი ხალხშიცაა დარჩენილი (მაგ., რაჭაში ისევე როგორც მისი სინონიმი „შირიმი" (მაგ. კახეთში).

[2] ეს პწკარი დაწერილია კარაკინის ზემო მომრგვალებულ წრეზე.

[3] ბროსე: „ღირს ვიქმნეთ მიტოვებისა".

[4] ბროსე: „რომელთა შემოვალთ".

[5] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, § 3. 180—181.

ეროვნული

მუდამ მტრულად იყო განწყობილი ბიზანტიის მიმართ. გიორგი II კი ყოველთვის სხვადასხვა უაღრესი ტიტულებითაა ცნობილი: ის იყო კურაპალატი, ნოველისიმოსი, სევასტოსი და ბოლოს კესაროსიც.

ამას გარდა აღსანიშნავია, რომ მეორე წარწერა შესრულებულია „სადიდებელად გიორგი მეფისა და შვილთა მათთათჳს“. მაშასადამე, ამ გიორგის რამდენიმე შვილი ჰყოლია, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ ორისა. გიორგი II-ს კი, ქართული წყაროების მიხედვით, ერთი მხოლოდშობილი ძე დავით IV (აღმაშენებელი) ჰყავდა[1], ხოლო გიორგი I მართლაც ჰყავდა რამდენიმე, სახელდობრ, ხუთი შვილი[2]. ეს ორი ფაქტი, თუ თვითეული ცალკე არა, ერთობლივ მაინც ცხადად გვაჩვენებს, რომ ხსენებული წარწერა ეკუთვნის გიორგი პირველის მეფობას და ამ დროს განუცდია განახლება სამხრეთის კარიბჭეს.

მეორე უფრო დიდი და კარდინალური განახლება ტაძრისა მომხდარა ბაგრატ IV მეფობის დროს, 1032 წელს. ამის შესახებ მოგვითხრობს კარგად დაცული ლამაზი ასომთავრული წარწერა, რომელიც იწყება სამხრეთის მეორე სარკმლის თავზე და გაგრძელებულია სარკმლის მარჯვნივ, კედელზე (სურ. 2, ტაბ. 11). ასეთი მნიშვნელოვანი წარწერა ჩვეულებრივად მოთავსებული უნდა ყოფილიყო სამხრეთის კარის კარაკიბზე, მაგრამ რადგანაც ეს ადგილი უკვე დაკავებული ჰქონდა უფრო ძველ წარწერას, ახალი სხვა ადგილას მოუთავსებიათ. ესეც, სხვათა შორის, იმის მაჩვენებელია, რომ პირველი წარწერა ეკუთვნის მეფე გიორგი I-ის დროს (1014—1027) და არა გიორგი II-ისას (1072—1089).



სურ. 2

წარწერა ქარაგმების გახსნით იკითხება ასე:

1. „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, ანტონი იშხნელ მთავარ ეპისკოპოსმან, განვაახლე და განვასრულე წმიდაჲ[3]
2. ესე ტაძარი ღმრთისაჲ, კათოლიკე ეკლესიაჲ,
3. სადიდებელად ბაგრატ კურაპალატისა,
4. სალოცველად და საჴსენებლად
5. სულისა ჩემისა და
6. ცოდვათა ჩემთა
7. შენდობისათჳს

---

[1] მარიამისეული რედაქცია ქართლის-ცხოვრებისა, გვ. 287; ანასეული, გვ. 205.

[2] Histoire de la Géorgie, II, 1, გვ. 623.

[3] ეს პწკარი დაწერილია სარკმლის მომრგვალებულ წრეზე, დანარჩენი პწკრები კი გაგრძელებულია სარკმლის მარჯვენა სარკმელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ქრონიკონსა სნბ—
9. და ვაშენე ჭელითა ი(ო)
10. ვანე მორჩაჲს ძი-
11. საჲთა."

ქრონიკონი უდრის 1032 წელს (780+252=1032).

ამ დროს ჩვენს ხუროთმოძღვარს თვალწინ ედგომებოდა ოშკის დიდებული ტაძარი, თავისი დეკორით უკვე დამთავრებული 961 წელს. მორჩაისძე, ეჭვს გარეშეა, ჰბაძავს ოშკის მორთულობას: იშხნის კედლები შემკობილია ისეთივე კამარნარით, როგორიც ოშკშია; კარ-სარკმელი მოჩუქურთმებულია საერთოდ ოშკის მსგავსად; გუმბათი დახურულია ისეთივე მოჭიქული კრამიტით, როგორითაც ოშკი; პოლიქრომი აქაც ისე იხმარება, როგორც ოშკში და სხვა. მაგრამ საზოგადოდ იშხნის დეკორი უაღრესად განვითარებულია და უფრო თვალ-წარმტაცი, ვიდრე ოშკისა. ყველაფერი ეს მოწმობს, თუ რა დიდი წინსვლა განუცდია ქართულ ჩუქურთმას და საერთოდ დეკორს იმ 70 წლის განმავლობაში, რომელიც ოშკის აშენების შემდეგ გავიდა.

იშხნის გარეგან კედელს მესამე წარწერაც ჰქონია, მაგრამ ეს წარწერა ძალზე დაზიანებულია და ფრაგმენტებადღაა დაცული. ნ. სარგისიანს ისიც გადმოუღია. ბროსეს ამ წარწერის ფაქსიმილე არ გამოუცია და ტექსტი მას ამ რიგად მოჰყავს:

1. ...ლთა მადლითა და მეოხებითა წმიდისა წინამორბედისათა, და წმიდისა მამისა სიმონისათა მ... რომელსა მე გიორგი და... ძლიერისა ბაგრატისათა ძელდ მი...

2. რისათჳს... ცოდვათა ჩ(უ)ენთა)... კათოლიკე ეკლესია ოვ... აწე... ედრ... ნი ღირსი... ნთ შმა...[1]

წარწერის ცუდად დაცულობა არ გვაძლევს საშუალებას ამ ტექსტს რაიმე დავუმატოთ; პალეოგრაფიული ხასიათი და „ძლიერი ბაგრატის" მოხსენიება ცხადჰყოფს, რომ აქაც საუბარი მეფე ბაგრატ მეოთხეზეა (1027—1072). ვინმე გიორგის რაღაც შეუწირავს ტაძრისათვის ბაგრატ IV სალოცველად და თავისი ცოდვების შესანდობლად.

ამრიგად, იშხნის ტაძრის გარეგანი კედლების სამივე წარწერა ეკუთვნის XI საუკუნეს, მაგრამ ტაძარში, რომელიც თავდაპირველად აშენებული იყო IX საუკუნის პირველ ნახევარში, მოსალოდნელი იყო უფრო ძველი წარწერის არსებობა და ასეთი წარწერა, ფრიად მნიშვნელოვანი და საინტერესო, მართლად აღმოჩნდა ჩრდილოეთის ეკვდერში.

## 6. ჩრდილო ეკვდრის ისტორიული წარწერა

იშხნის ჩრდილო ეკვდერი არ ყოფილა განკუთვნილი კულტისათვის, ე. ი. წირვა-ლოცვისათვის და ამიტომ მას არც აბსიდა ახლავს და იგი არც ფრესკებით არის დამშვენებული, თუმცა კედლები კი შელესილი აქვს. ეს ეკვდერი, ისევე როგორც ოშკისა და ხახულის ჩრდილო ეკვდრები, მარტო სალაროდ და სურსათის შესანახად ყოფილა გამოყენებული. ეს იქიდანაც ირკვევა ცხადად, რომ ხახულში, ჱის მსგავს ჩრდილო ეკვდერში ღვინის ქვევრებიც არის დაცული (მიწაში ჩაფლული).

ჩვენთვის იშხნის ჩრდილო ეკვდერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თავისი წარწერით. ეკვდრის სამხრეთ კედელზე, ეხლა დახშული კარის მარჯვნივ, ყოფილა დიდი, 27 პწკრიანი ლამაზი ასომთავრული წარწერა, მწვანე ფერადით შესრულებული. 8 უკანასკნელი პწკარი სრულიად წარხოცილია; დანარჩენი მკრთალად მოჩანს, მაგრამ ამოკითხვა მაინც შესაძლებელი გახდა, მე-10, მე-12, მე-14 და მე-18 პწკართა ბოლოები გაფუჭებულია, მაგრამ აზრით მათი აღდგენა ძნელი არ არის. ჩვენ ასეთი აღდგენილი სიტყვები ფრჩხილებში გვაქვს ჩასმული, მე-19 პწკრიდან მარტო ორი პირველი ასოა დარჩენილი. სასვენი ნიშნები ცოტაა (მხოლოდ მე-6 და მე-8 პწკრებში ემჩნევა ორ-ორი წერტილი), მაგრამ თარიღის აღმნიშვნელი სიტყვები და რიცხვითი ასოები ყველგან გამოყოფილია ╳ ნიშნით. ზოგჯერ იგივე ნიშანი წერტილებით არის შემკობილი: ※. ორ შემთხვევაში ასეთივე ნიშნით იწყება პწკრები (1-ლი და მე-10); ერთ შემთხვევაში ამით თავდება პწკარი (მე-9). ქვების ქართულ ზედწერილებს საზოგადოდ ასეთი ნიშნები არა აქვთ, მაგრამ ფრესკათა წარწერებს იშხანში სხვა ადგილებშიაც ემჩნევა. წარწერა გადაღებულია ფოტოგრაფიულად. სურათი, რა თქმა უნდა, მკრთალი გამოვიდა (იხ. ტაბ. 31, 1), მაგრამ წარწერა მშვენივრად და

[1] Op. cit., p. 18, № 16.

სისწორით გადმოიღო ხელით მ. ჭიაურელმა და შემდეგ თბილისში ტილოზედ გადაიტანა მხატვარმა ქეთო მაღალაშვილმა[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 3

წარწერა ასე იკითხება:

※ ქრონიკონსა ✕ რლზ-სა თ˜ა ✕ სეკდენბერსა ✕ ზ-სა ✕
შეწევნითა ქ˜ესითა და მადლითა წმიდისა
კათოლიკე ეკლესისაჲთა ადარნერსე ქართ
ველთა მეფისა ბრძანებითა დ˜დგინა ნეტარი
მამაჲ ჩ˜ნი ბასილი ეპისკოპოსი და ჰმსახურა ამას
წმიდასა ეკლესიასა წელი ✕ ით: კეთილითა მოღუაწებითა
და სრულითა სარწმუნოვებითა და შეჰვედრა
სული თ˜სი ღ˜ა: თ˜ა დეკემბერსა ※ კვ ※ დღესა პა
რასკევსა ※ ქ˜ე სულსა მათსა განუსუენე. ა˜ნ ※
※ და შემდგომად მათსა ბრძანებითა დ˜დებულთა ღირსთა (მეფეთა)
აცხოვნენინ ღ˜ნ მეფენი ჩ˜ნ(ნი) დავით ქართველთა მეფე და
აშოტ კურაპალატი ბაგრატ მაგისტროსი (და სუმბატ ანთი)
პატრიკი ※ ადიდენინ ღ˜ნ წარავლინეს საბერძნეთს ტრა
პეზონთა და მუნ აკურთხეს მღდ˜ლთ მთავრად (იშხნისა)
სტეფანე პატიოსანი და ღირსი მამაჲ ჩ˜ნი ჴელითა
ბასილი ღ˜თ შემოსილისა და პატიოსნისა ბერძენთა პატრიარქი
საჲთა ✕ თ˜ა მარტსა ✕ ა-სა დღესა კჳრიაკესა. ღ˜ნ წარუ
მართენ. ა˜ნ ✕ რ˜ მას ჟამსა ოდენ ქართლისა (კათალიკოსი ნეტა)
რი . . . . . . . . . . . . . . . .

ქარაგმების გახსნით:

ქრონიკონსა რლზ-სა (ე. ი. 137-სა), თუესა სეკდენბერსა ზ-სა (ე. ი. 7-სა) შეწევნითა ქრისტესითა და მადლითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲთა ადარნერსე ქართველთა მეფისა ბრძანები-

[1] სამწუხაროდ, ეს ტილო ჯერჯერობით ვერსად ვიპოვნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა დაიდგინა ნეტარი მამაჲ ჩუენი ბასილი ეპისკოპოსი და ჰმსახურა ამას წმიდასა ეკლესიასა წელი ით (19) კეთილითა მოღუაწებითა და სრულითა სარწმუნოვებითა და შეჰვედრა სული თჳსი უფალ-სა თუესა დეკემბერსა კვ (26), დღესა პარასკევსა. ქრისტე, სულსა მათსა განუსუენე, ამენ. და შემდგომად მათსა ბრძანებითა დიდებულთა ღირსთა (მეფეთა)—აცხოვნენინ ღმერთმან მეფენი ჩუენ(ნი): დავით ქართველთა მეფე და აშოტ კურაპალატი, ბაგრატ მაგისტროსი (და სუმბატ ანთი)-პატრიკი ადიდენინ ღმერთმან,—წარავლინეს საბერძნეთს ტრაპეზონთა, და მუნ აკურთხეს მღდელთ-მთავრად (იშხნისა) სტეფანე პატიოსანი და ღირსი მამაჲ ჩუენი ჴელითა ბასილი ღმერთ-შემოსილი-სა პატიოსნისა ბერძენთა პატრიარქისაჲთა, თუესა მარტსა ა-სა (1-სა), დღესა კჳრიაკესა. ღმერთმან წარუმართენ! ამენ. რამეთუ მას ჟამსა ოდენ ქართლისა (კათალიკოსი ნეტა) რი . . . . .

ეს შესანიშნავი წარწერა მრავალმხრივ არის საყურადღებო. პირველ ყოვლისა, მისი სახით ხელთა გვაქვს იშხნის უძველესი წარწერა, ჩვენამდის მოღწეული. იგი ნ. სარგისიანს ვერ შეუნიშ-ნავს და ამრიგად ჩვენი ექსპედიციის აღმოჩენას წარმოადგენს. მასში მოხსენებული ადარნერსე, ანუ ადარნასე, არის ადარნასე II ტაოს ბაგრატიონთა შტოისა, პირველი ქართველთა მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის (889—923), კურაპალატ-ქმნილი ლეონ ბრძენის მიერ, ბანას შესანიშნავი ტაძრის აღმაშენებელი და კარგად ცნობილი როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ და სომხურ ისტორიაში. მას 137 ქორონიკონს, ესე იგი 917 წელს, სექტემბრის 7-ს, იშხნის ეპისკოპო-სად განუწესებია ვინმე ბასილი, რომელიც გარდაცვლილა 19 წლის მოღვაწეობის შემდეგ, ე. ი. 936 წელს, დეკემბრის 26, პარასკევს. ამ დროს ადარნასე II ცოცხალი აღარ იყო—ის გარდაიცვა-ლა 923 წელს—და ტაოს ფლობდნენ მისი შვილები: დავით II, ქართველთა მეფე († 937), ბაგრატ II მაგისტროსი († 945), აშოტ IV კურაპალატი († 954) და სუმბატ I კურაპალატი 954 წელს შემდეგ († 958). ამათი საერთო თანხმობით იშხნის მღვდელ-მთავრად განუწესებიათ სტეფანე და ეს უკანასკნელი გაუგზავნიათ ტრაპიზონს, სადაც იგი უკურთხებია ბერძენთა პატრიარქს ბასილის, 1 მარტს, კვირა დღეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი 937 წელს უნდა მომხდარიყო, ვინაიდან მისი წინამორბედი, ეპისკოპოსი ბასილი, 936 წლის 26 დეკემბერს მიიცვალა. წარწერის ბოლოში განმარტებული იქნებოდა, თუ სტეფანე რატომ ქართლის ეპისკოპოსს არ გაუგზავნეს მცხეთაში საკურთხევლად, მაგრამ ეს ნაწილი, სამწუხაროდ, აკლია წარწერას. თუ ჩვენ მიერ, აზრით აღდგე-ნილი უკანასკნელი ორი სიტყვა წარწერისა სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დროს ქარ-თლის კათალიკოსი გარდაცვლილი ყოფილა და ახალი ჯერ არ ჰყოლიათ არჩეული. ეს საკითხი გამოსარკვევია.

გამოსარკვევია აგრეთვე მეორე საკითხი: ვინ არის „ღმერთ-შემოსილი და პატიოსანი ბერ-ძენთა პატრიარქი ბასილი", რომელსაც ტრაპიზონში უკურთხებია სტეფანე იშხნის მღვდელმთავ-რად? საქმე ის არის, რომ, როგორც ვიცით, ტრაპიზონს თავისი პატრიარქი არ ჰყოლია, ის შედიოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში. შესაძლებელია, აღმოსავლეთის რომელიმე ეკლე-სიის პატრიარქი ბასილი იმ დროს შემთხვევით იყო ტრაპიზონში, მაგრამ ეს სახელი იმ დროისა-თვის მსოფლიო პატრიარქთა სიაში არ ჩანს, იბადება საკითხი, იშხნის წარწერის ავტორმა ტრაპიზონის მიტროპოლიტი ანუ არქიეპისკოპოსი ზვიადობით პატრიარქად ხომ არ გამოაცხადა (ad maiorem gloriam)?

ამას გარდა, ჩვენს წარწერაში ჩამოთვლილია ოთხივე შვილი ადარნასე II ქართველთა მეფისა, რომელნიც კარგად არიან ცნობილნი სუმბატის ქრონიკის მიხედვით: ეს გარემოება ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რამდენად სწორია სუმბატის გენეალოგიური ცნობები. ამ წარწერაში შვილები იმავე პატივით არიან მოხსენებული, როგორც სუმბატის ქრონიკაში, გარდა სუმბატ პირველისა, რომე-ლიც აქ ანთიპატრიკის ანუ ანთიპატოს-პატრიკის წოდებით იხსენიება[1], ხოლო სუმბატის ქრონიკა-ში კურაპალატად. ეს გასაგებია: მანამ სუმბატი კურაპალატი გახდებოდა, მას ზემოხსენებული ბიზანტიური პატივი ჰქონია და ეს ჩვენთვის არის ახალი ამბავი, რომელიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ ყოფილა. 951 წელს, როდესაც გიორგი მერჩული თავისი შესანიშნავი თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" წერას ათავებს, სუმბატი ერისთავთ ერისთავის პატივით არის მოხსენებული (იხ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", გვ. 3). მეორე მხრივ ჩვენ ვიცით, რომ კურა-პალატობა სუმბატ I-მა თავისი ძმის, აშოტ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ მიიღო; ეს გარემოება გვაძლევს საშუალებას გამოვარკვიოთ, თუ როდის არის დაწერილი ზემოხსენებული ისტორია იშხნის ჩრდილო ეკვდრის კედელზე. წარწერაში ადარნასე II ქართველთა მეფის ყველა

---

[1] ამ სიტყვის პირველი ნაწილი წაშლილია და დანამდვილებით არ ვიცით, თუ რა ფორმით იყო წოდება წარმო-დგენილი. სუმბატის ქრონიკაში კი ეს პატივი ორივე ფორმით გვხვდება (იხ. მარიამისეული ვარიანტი, გვ. 342).

შვილები გარდაცვლილად იგულისხმებიან, გარდა სუმბატ I-ისა. მათ შორის აშოტ კურაპალატი 954 წელს მიიცვალა და იმავე წელს, ან შემდეგ, 955 წელს სუმბატს უნდა მიეღო კურაპალატობა. ამიტომ ჩვენი წარწერა შესრულებული უნდა იყოს 954—955 წლებში. რომ ამ წლებს შემდეგ ყოფილიყო იგი დაწერილი, სუმბატი უსათუოდ კურაპალატად იქნებოდა მოხსენებული. უნდა გვახსოვდეს, რომ, როდესაც იბერიის ანუ ქართლის თუ საქართველოს კურაპალატი გარდაიცვლებოდა, ეს უნდა მოხსენებოდა ბიზანტიის იმპერატორს საგანგებოდ წარგზავნილი ელჩების საშუალებით და მასთან უნდა მოხსენებოდა, თუ რომელი ბაგრატიონის დამტკიცება სურთ ახალ კურაპალატად გარდაცვალებული კურაპალატის მემკვიდრეებს, ხოლო ამის შემდეგ იმპერატორი გზავნიდა თავის მოხელეს შესაფერისი ამალითა და კურაპალატის ხარისხის ნიშნებითურთ, რომელსაც დაწესებული საჯარო ცერემონიით უნდა აეყვანა დანიშნული ბაგრატიონი კურაპალატის თანამდებობაზე და მიენიჭებინა მისთვის ეს პატივი. ეს ამბავი სწრაფად არ ხდებოდა: თვეები და ზოგჯერ წელიწადიც გადიოდა ამის მოგვარებაში.

ამას გარდა, წარწერა ცხადჰყოფს, რომ საჭირო ყოფილა ყველა ძმების ნებართვა იშხნის მთავარეპისკოპოსად სტეფანეს განწესებისათვის. ბაგრატიონები ერთობლივ განაგებდნენ და ფლობდნენ ტაო-კლარჯეთს, ხოლო ზნეობრივად, რა თქმა უნდა, უპირატესობა და საერთო ხელმძღვანელობა იმას ეკუთვნოდა, რომელიც ქართველთა მეფის ანუ კურაპალატის პატივს ატარებდა. ქართველთა მეფედ ირჩევდნენ ყოველთვის უფროს ძმას. ეს ხარისხი მემკვიდრეობით გადადიოდა და საპატიო რამ უფრო იყო, ვიდრე რეალური ხელისუფლების შემცველი. კურაპალატად კი ირჩევდნენ უფრო უნარიანს, ნიჭიერს, მხნესა და ენერგიულს. უპირატესობა, პრიორიტეტი, ყოველთვის კურაპალატს ენიჭებოდა—იმ შემთხვევაშიაც, როდესაც ის ქართველთა მეფის ხარისხს არ ატარებდა, მაგრამ ყოველთვის სასურველი იყო—და ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა,— რომ ქართველთა მეფე იმავე დროს კურაპალატიც ყოფილიყო.

## 7. ტაძრის ფასადები

**აღმოსავლეთი ფასადი,** საკურთხევლის შინაგანი აგებულების შესაბამისად, ორ-სართულიანია (ტაბ. 3). ქვედა სართული წარმოადგენს ფასადს შინაგანი აღმოსავლეთი გალერეისა და სამკვეთლო-სადიაკვნისათვის. ამ ნაწილებში ხუთი სარკმელია: სამი გალერეისათვის და თითო სამკვეთლოსა და სადიაკვნისათვის (იხ. ტაბ. 3). სამკვეთლოს სარკმლის თავს ამშვენებს ოთხკუთხედი ქანდაკოვანი ქვა, რომელზედაც ამოჭრილია საუცხოო აყვავებული ჯვარი (ტაბ. 8). სადიაკვნის სარკმელს ასეთი შემკულობა არ შემოუნახავს, მაგრამ ალბათ ექნებოდა, სიმეტრიისათვის. მეორე სართული ეფარდება საკურთხევლის ზემო ნაწილს (სვეტნარს ზემოთ). იგი შემკულია სამი კამარით. შუა, უფრო მაღალ კამარაში მოთავსებულია იშვიათი სილამაზის სარკმელი, ირგვლივ შემკული საუცხოო ჩუქურთმით და ორნამენტული ჯვრით. მის ზემოთ (ტაბ. 12), ფრონტონის კონქის ძირში მრგვალი სარკმელია, აგრეთვე შემკული. ამ ფასადის ორივე სართული მარჯვნივ და მარცხნივ შემოზღუდულია თითო კამარით, რომელნიც აერთიანებენ ქვედა და ზედა სართულების კამარებს და ხუთ-კამაროვნად ხდიან აღმოსავლეთის ფასადს. საერთოდ იშხნის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი საუცხოოა (ტაბ. 3).

**სამხრეთი ფასადი**. ასევე ლამაზია, თუ მეტად არა, სამხრეთი ფასადიც (ტაბ. 4). ესეც ორ ნაწილად იყოფა. ერთი შეიცავს ტაძრის სამხრეთ მკლავს, რომელიც შემკულია სამი თითო-სარკმლიანი კამარით. შუა, უფრო მაღალ კამარას ახლავს კიდევ პატარა მრგვალი სარკმელი და ზემოთ მას ამშვენებს მოჩუქურთმებული ჯვარი, რომელიც ერმაკოვის ფოტოგრაფიაზე აღბეჭდილია, როგორც მთლიანად დაცული, და ეხლა კი დაზიანებულია (ტაბ. 7).

ამ ფასადის მეორე ნაწილი შეიცავს ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელს და შემკულია ოთხი კამარით, რომელთაგან სამში თითო მდიდრულად შემკული სარკმელია, ხოლო მეოთხე, უფრო ვიწრო კამარა, რომელიც სამხრეთ მკლავს ეკვრის, გლუვი არის (ტაბ. 4). მეორე კამარაში საუცხოო ჩუქურთმით დამშვენებული კარია, ეხლა მაჰმადიანების მიერ დახშული (ტაბ. 4). სარკმლების გაფორმება და ჩუქურთმა-ქანდაკებანი იხ. ტაბ. 12.

**ჩრდილო ფასადი** საერთოდ იმეორებს ტაძრის სამხრეთ მკლავს, მაგრამ არაა ისე მდიდრულად შემკული, როგორც სამხრეთი ფასადი. ტაძრის ჩრდილო მკლავსაც ახლავს სამი კამარა და სამი სარკმელი. შუა, უფრო მაღალ კამარაში მრგვალი სარკმელიც არის, ოღონდ მის ზემოთ კამარაზე არ არის ჯვარი (ტაბ. №8): ამას გარდა, ამ მკლავის ფანჯრები ისე მდიდრულად არ არის შემკული, როგორც სამხრეთი მკლავისა (ტაბ. 5).

2. 1917 წლის არქ. ექსპედიცია...

ეროვნული

დასავლეთ მკლავს გასწვრივ ამ მხარეზე, როგორც აღნიშნული იყო, არის ეკვდერი, რომელიც შეუძრწავი დაუტოვებიათ 1032 წელს და რომელსაც ჩრდილოეთით სარკმლები არ ახლავს და მხოლოდ დასავლეთი მხრიდან აქვს ერთი სარკმელი (ტაბ. 6, 2).

**დასავლეთი ფასადი.** დასავლეთი ფასადი განით უდრის აღმოსავლეთი ფასადის ზედა ნაწილს, ანუ ზედა სართულს და მის მსგავსად შემკულია სამი კამარით. შუა, უფრო მაღალ კამარაში აქაც სარკმელია, მაგრამ არა ზემოდან მომრგვალებული, როგორც აღმოსავლეთში, არამედ ოთხკუთხედი და აგრეთვე ჩუქურთმებით შემკობილი. ამ სარკმელს ქვემოთ კიდევ ოთხკუთხედი პატარა სარკმელია. კამარები ჩამოსულია დასავლეთის ეკვდრის სახურავამდის, რაც აშკარად მოწმობს ეკვდრის და ტაძრის თანადროულობას (ტაბ. 6). დასავლეთი ფასადის ქვედა ნაწილი მოქცეული იყო დასავლეთ ეკვდერში და უდრიდა აღმოსავლეთი საკურთხევლის ქვედა სართულს, სადაც სვეტნარი იყო. ამ ნაწილში ქვემოთ გაჭრილი იყო კარი. კარს მარჯვნივ და მარცხნივ სამკუთხედი უბეები ჰქონდა (ტაბ. 6, 2), ხოლო ზემოთ დიდი მომრგვალებული სფერული უბე,— როგორც ნაშთებიდან ჩანს, მოხატული. ყველაფერი ეს ეხლა მოშლილია, კარი ახალია, კედელიც მარჯვნივ და მარცხნივ გადაკეთებულია (ტაბ. 14, 2). ამიტომ შეუძლებელი ხდება ამ მხარის პირვანდელი სახის აღდგენა. ტაძრის ჩრდილო ეკვდერს, ზემოთ, დასავლეთ კედელში, როგორც ვთქვით, ერთი სარკმელი აქვს, ხოლო ქვემოთ რომ კარია, ის მაჰმადიანების მიერაა შენგრეული და დამუშავებულიც არ არის (ტაბ. 6).

## 8. გუმბათი და გუმბათის ყელი

აგრეთვე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს თექვსმეტ-წახნაგოვანი გუმბათის ყელის გარეგანი შემკულობა. მისი კამარები ეყრდნობა პატარა მოჩუქურთმებულ სვეტებს, რომელთაც ნაირ-ნაირი თავები და ფუძეები აქვთ. მრგვალი და მოგრძო სარკმლები დამშვენებულია ჩუქურთმებით და წნულებით, გუმბათის ლავგარდანი დაკბილულია. თვით ცილინდრული მაღალი გუმბათი თავდება ქვის მრგვალი ქუდით (ჯვარის მაგიერ, როგორც საერთო წესად იყო მიღებული ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში). გუმბათი დახურულია წითელ-მწვანედ მოჭიქული კრამიტით (ტაბ. 13).

1032 წლის საერთო დიდი განახლების დროს იშხნის ტაძრის გუმბათის ყელს მცირე გადაკეთება განუცდია. ეს ყელი, როგორც აღვნიშნეთ, თექვსმეტ-წახნაგოვანია. რვა წახნაგში ზემოთ მომრგვალებული გრძელი სარკმლებია, დანარჩენი რვა წახნაგი თავდაპირველად გლუვი ყოფილა, ხოლო განახლების დროს ამ გლუვ წახნაგებშიც გამოუკვეთიათ რვა პატარა მრგვალი სარკმელი.



სურ. 4, 5

ცნობილია, რომ ასეთ სარკმელს ძაბრის სახე აქვს ხოლმე. იგი გარედან იწყება პატარა მრგვალი წრით და შიგნით თანდათან ფართოვდება. მაგრამ როდესაც ამ სარკმლებს აკეთებდნენ, გუმბათი და გუმბათის ყელი უკვე მოხატული ყოფილა ფრესკებით. გუმბათის ყელის რვა გლუვ წახნაგზე შიგნით დახატული ყოფილან წინასწარმეტყველები, რომელთაც ხელთ ჰპყრობიათ ქარტები და ამ ქარტებზე წერებულა ტექსტები მათი წინასწარმეტყველებიდან: ერთზე ბერძნულად, სხვებზე ქართულად (ასომთავრულით). სარკმელთა გამოჭრის დროს ეს ფრესკები და მათი წარწერები დაუზიანებიათ, ასე ვთქვათ, დაუკოდიათ, და ნაწილობრივ მოუსპიათ (იხ. სურ. 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11). სარკმელთა შინაგანი არეები თეთრად მოულესიათ, მაგრამ არაფრით არ შეუმკვიათ. ეს გარემოება ცხადად გვიმტკიცებს ორ მნიშვნელოვან ფაქტს: პირველ ყოვლისა იმას, რომ 1032 წელს იშხნის ტაძარი დამშვენებული

ყოფილა ფრესკებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფრესკების დათარიღებისათვის. [illegible] იმას, რომ განახლებისას იშხნის გუმბათისა და მისი ყელის პროპორციებს არავითარი ცვლილება არ განუცდიათ და მათი სიმაღლე-სიგანე იგივე დარჩენილა, რაც IX საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ ეკლესიათა გუმბათ-ყელის პროპორციების თანდათანობითი განვითარების გასარკვევად.



სურ. 6



სურ. 7



სურ. 8

ამავე განახლების დროს ეკუთვნის ის მდიდარი და ერთობ ლამაზი მხატვრული შემკულობა გუმბათის ყელისა, კარ-სარკმლებისა და ფასადებისა, რომელიც ასე ამშვენებს იშხნის ტაძარს



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11

და მოწმობს, თუ როგორ განვითარებული ყოფილა ქართული ჩუქურთმა-ორნამენტი XI საუკუნის პირველ ნახევარში, ბაგრატ IV-ის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 9. ტაძრის ფრესკები და მათი წარწერები

იშხნის ტაძრის კედლები შიგნით სულ შემკული ყოფილა მშვენიერი ფრესკული მხატვრობით, მაგრამ ეხლა, ცოტაოდენ ნაშთებს გარდა, ყველაფერი მოსპობილია. ჯერ კიდევ ნ. სარგისიანს აქვს აღნიშნული, რომ, როცა მაჰმადიანები დაუფლებიან ტაძარს და იგი მიზგითად უქცევიათ, კედლების გასწვრივ მათ ცეცხლი დაუნთიათ ფრესკების მოსასპობად და რაც ცეცხლისაგან გადარჩენილა, შუბის წვერებით ჩამოუფხეკიათ. ეს ცნობა უნდა ეხებოდეს მხოლოდ დასავლეთ ფრთას, რომელიც მიზგითად იქნა გადაკეთებული და არა დანარჩენ სამ მკლავს. ამ უკანასკნელებში კი, უნდა ვიფიქროთ, სარგისიანის დროს მეტი ნაშთები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩვენ დაგვხვდა. იშხნის მუხთარმა მითხრა, მეფის სალდათებმა ხიშტების წვერებით მოშალეს ფრესკები, თორემ წინათ საკმაოდ იყო ისინი დაცულიო. რომ პირველი მსოფლიო ომის დროს მართლა მოუვიდა ზიანი იშხნის ტაძარს, ამას კაპიტანი ნ. შუგუროვიც აღნიშნავს თავის ბროშურაში ხახულის მონასტრის შესახებ[1].

იშხნის ფრესკები წინათ დიალაც ლამაზი და შესანიშნავი ყოფილა. ამას ამტკიცებს მუსულმანთა მიერ შექმნილი თქმულებაც: „სახელ-განთქმულია სილამაზე ოშკის ტაძრისა, ადგილ-მდებარეობა ხახულისა და მხატვრობა იშხნისაო[2]“. ამას კიდევ მეტი სიცხადით ის ამტკიცებს, რაც კი რამ დღემდის გუმბათის ცაში და გუმბათის ყელის წახნაგებზე შიგნით ასე თუ ისე გადარჩენილა. ჩვენ სწორედ აქედან ვიწყებთ ფრესკათა ნაშთების აღწერას.

გუმბათის ცაში წარმოდგენილია ფრიად მდიდრული ორნამენტებით მორთული ჯვარი, რომელიც ოთხ ფრთა-გაშლილ ანგელოზს მიაქვს ცაში (ტაბ. 27). ჯვრის შარავანდი ქადრაკულია, ფონი მწვანე, თვით ჯვარი—თეთრი. ზედ ახატია ძვირფასი ქვები. ანგელოზთა შესამოსლის ფერი ნაირნაირია: ერთისა კვართიცა და მოსასხამიც თეთრია, მეორის კვართი თეთრია, ხოლო მოსასხამი—მტრედისფერი, მესამის კვართი ცისფერია და მოსასხამი თეთრი, მეოთხის კვართი თეთრია და მოსასხამი მწვანე; ანგელოზთა ფრთები მოვარდისფრო-მიხაკისფერია (ტაბ. 28, 1, 2, ტაბ. 29, 1, 2). 16 წახნაგის ზედა ნაწილი მოცულია მედალიონებში წარმოდგენილი ფიგურებით „ყველა ანგელოზთა დასისა“ (ტაბ. 27, 28, 29), ხოლო სარკმელთა ზედა ნაწილები შეიცავენ სხვადასხვა წმიდანთა გამოსახულებას (წელს ზევით) წარწერებით: წ͠ჲ ორენტი,—დიმიტრი,—ფოკა;—კონონ,—სერგის,—თ͠ე (თეოდორე), (~)—მინა,—პროკოპი (სურ. 12). გრძელ სარკმელთა შიდა მხარეები მარჯვნივ და მარცხნივ შემკულია წმიდათა შარავანდიანი ფიგურებით, რომელთაც წარწერები არ მოეპოვებათ. სარკმელთა ზემოთ, გუმბათში, ოთხივე მხარეს წარმოდგენილია დიდებული სურათები ოთხი ეტლისა თავისი მეეტლებით და სხვადასხვა ფერის ცხენებით (იხ. ტაბ. 28, 29). ეს აპოკალიპსური ეტლები წარმოგვიდგენენ ზაქარია წინასწარმეტყველის ჩვენებას (ზაქარია, 1, 8; 6, 2—3). მათი ლამაზი ასომთავრული წარწერები ზოგჯერ შეიცავენ უფრო არქაულ ტერმინებს, ვიდრე დაბეჭდილ დაბადებაშია (იხ. სურ. 13).



სურ. 12

პირველ, ჩრდილო ეტლს აწერია:

1. „ და ეტლთა მათ პირველთა ებნეს ცხენნი შავნი“.

მეორე, დასავლეთის ეტლს აწერია:

2. „ხოლო დასავლეთით ცხენნი **სპეტაკნი**“.

მესამე, სამხრეთის ეტლს აწერია:

3. „და ეტლთა მას საჩხრისათა ებნეს ცხენნი ხსედნი“
(საბას განმარტებით, „ხსედი“ არის „წაბლის ფერი, გინა ქურანი“.)

მეოთხე, აღმოსავლეთის ეტლს აწერია;

4. „და აღმოსავლეთით ფესანგნი“.
(საბას განმარტებით „ფესანგი“ არის „ჭრელი ცხოველი“, დაბეჭდილ დაბადებაში ამ ადგილას სწერია „ჭრელნი“).

[1] Н. М. Шугуров, Грузинский хахульский монастырь, Батум, 1918, стр. 6.
[2] Н. Марр, Георгий Мерчул. Житие Григория Хандзтийского, СПБ, 1911, стр. XXXV.

გუმბათს შიგნით, რვა წახნაგზე, როგორც უკვე ითქვა, გამოხატული არიან, თავით ქრისტეს წინასწარმეტყველნი, რომელთაც ხელში უჭირავთ ქარტები და ზედ წარწერებია—ერთზე ბერძნული და შვიდზე—ქართული, ასომთავრული. ფიგურები და წარწერები, როგორც აღვნიშნეთ, დაზიანებულია მრგვალი სარკმლების გაჭრის შედეგად. წარწერათაგან რაც შემორჩენილა, წარმოდგენილია ჩვენს ფოტოსურათებზე (იხ. სურ. 4—11).

გუმბათის სამხრეთ ნაწილში, ეტლის სურათს ქვემოთ, მრგვალ წრეში მოჩანს რქოსან მხეცზე მჯდარი, სანახევროდ შიშველი ქალი. ეს, რასაკვირველია, „ბაბილონელი მეძავია", რომელსაც ჩვეულებრივ ხატავენ ხოლმე ტაძართა დასავლეთ კედლებზე, ხოლო გუმბათის ყელში კი იშვიათად გვხვდება[1], ეს სურათი აქვარელით გადმოიღო მ. ჭიაურელმა. ფოტოგრაფიულ სურათზე ფიგურა კარგად ვერ არის გამოსული და ამიტომ არც მოგვყავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტაძრის დასავლეთ კედელზე არცერთი ფიგურა არ შემორჩენია.

გუმბათის ყელის ძირში, ირგვლივ ყოფილა წარწერა, ამოყვანილი წითელი, მწვანე და შავი ფერადებით. მაგრამ მისგან ეხლა მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და ასოა გადარჩენილი.

„...რა/ ...ნი/ დიდ/ არს/ დიდ/ არს... დნი..."

ტაძრის კედლების ქვედა ნაწილში მხატვრობა ნაკლებად არის შერჩენილი. დასავლეთ მკლავში, სადაც ეხლა მიზგითია მოწყობილი, მთელი სურათი არსად არ შერჩენილა. ეს მით უფრო სამწუ-



სურ. 13

ხაროა, რომ სწორედ ამ ნაწილებში, დასავლეთსა და სამხრეთ კედლებზე, ყოფილან დახატული ტაოს ბაგრატიონები. ეს სურათები სრულიად მოსპობილია, მაგრამ პილასტრთა კუთხეებში გამოჩნდა სამიოდე პორტრეტის ვერტიკალური წარწერები, წითელი ფერადით შესრულებული. სანამ მათ ჭერის მაგივრად დაფენილი ჩალიდან ალმაცერად ჩამოსული სხივები არ მოხვდა, ჩვენ ეს წარწერები არ შეგვიმჩნევია.

აი ეს წარწერები:

| | | |
|---|---|---|
| [ႠႣႨ | ႢႤႨႠႰ | ႢႤႨႰ |
| ႬႱႤ | [ႧႠႢႤႱႰ] | ႤႤ:ႧႤ |
| ႵႭႨ] | ႨႭႱႤ | ႠႣႨ |
| ႠႰႫ | +ႠႨႣ | ႬႤ |
| ႠႡႰ | ႥႤႡ | ႱႤႵ |
| ႤႧႤ | ႣႠ | ႨႠႰ |
| ႢႤႨ | ႧႤ | Ⴋ |
| ႠႰ | Ⴔ | Ⴁ |
| ႧႠႢႤ | Ⴄ | ႰႤ |
| ႱႰႨ | | ႱႠ |
| ႭႱႤ | | Ⴢ |
| ႱႠ | | |
| Ⴢ | | |

პირველ წარწერას თავი აკლია, ბაგრატიონის სახელი წაშლილია, მაგრამ, რადგან დაცულია მამის სახელიცა და სახელიც, შვილის სახელის აღდგენა ადვილია და ეჭვს არ იწვევს. წარწერა ასე იკითხება:

[1] პროფ. შ. ამირანაშვილმა მოგვაგონა, რომ ასეთი სურათი ამავე ადგილას (გუმბათის ყელს შიგნით) მანგლისის ტაძარშიც მოიპოვება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ადარნესე კურატპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისაჲ“
მეორე წარწერა ასე იკითხება:
„ბაგრატ (მაგისტ)როსი, ქართველთა მეფე“.
მესამე წარწერა:
„ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნესე კურატპალატისაჲ“.

ამრიგად, დასავლეთ კედელზე წარმოდგენილი ყოფილა ტაოს შტოის ბაგრატიონთა სამი სურათი: ადარნასე III კურაპალატისა (958—961), მამამისის ბაგრატ II მაგისტროსისა (937—945) და ადარნასე III შვილის ბაგრატ ერისთავთ ერისთავისა.

მეორე წარწერის ბაგრატ მაგისტროსი უეჭველად ადარნასე II ქართველთა მეფის შვილია. მას ბაგრატიონთა ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძეც მაგისტროსის პატივით იხსენიებს[1]. კონსტანტინე პორფიროგენეტიც მას ბაგრატ მაგისტროსს უწოდებს[2], მაგრამ არც ერთს დღემდე ცნობილ წარწერაში ის „ქართველთა მეფედ“ არ ყოფილა მოხსენებული. ესეც ჩვენი ექსპედიციის ახალი აღმოჩენაა, ფრიად მნიშვნელოვანი საქართველოს ისტორიისათვის, ვინაიდან ის ნაწილობრივ ავსებს უმეფობის ხარვეზს. საქმე ის არის, რომ ადარნასე II, პირველი „ქართველთა მეფის“ შემდეგ (ბაგრატიონთა შორის), მეორე „ქართველთა მეფე“ იყო მისი შვილი დავით II, რომელიც მიიცვალა 937 წელს. ამის შემდეგ მისი ძმების, ბაგრატ მაგისტროსის († 945), აშოტ IV კურაპალატის († 954) და სუმბატ I კურაპალატის († 958) დროს, 937—958 წლების განმავლობაში „ქართველთა მეფედ“ აღარავინ ჩანდა. ეხლა კი ზემოთმოყვანილი წარწერა ცხადჰყოფს, რომ, დავით II ქართველთა მეფის შემდეგ, ქართველთა მეფედ ყოფილა მისი ძმა ბაგრატ მაგისტროსი (937—945). ამიერიდან პირველ „ბაგრატ ქართველთა მეფედ“ მიღებულ უნდა იქნეს ეს ბაგრატ მაგისტროსი და არა ბაგრატ I კურაპალატი († 876), ძე აშოტ დიდის კურაპალატისა, რომელიც ქართველთა მეფე არ ყოფილა. ზემომოყვანილი ცნობის შემდეგ უმეფობის პერიოდი გვრჩება მხოლოდ 945—958 წლებში, აშოტ IV კურაპალატისა და სუმბატ კურაპალატის დროს. რა იყო ამ უმეფობის მიზეზი ჯერ გამოსარკვევია. უნდა ვიფიქროთ, რომ მიზეზი ბიზანტიის იმპერატორთან უთანხმოება იქნებოდა. ამათ დროს ცნობილია კონფლიქტი ბიზანტიასთან ბასიანისა და არტანუჯის თაობაზე, რომელიც მშვიდობიანად და ბაგრატიონთა გამარჯვებით დამთავრდა. ხოლო სუმბატ I კურაპალატის შემდეგ ქართველთა მეფე იყო მისი შვილი ბაგრატ II რეგვენი (958—994), მის შემდეგ — გურგენ მეფეთა მეფე (994—1008), რომლის შვილი ბაგრატ III, ჯერ აფხაზთა მეფე გახდა (978 წელს), შემდეგ 1001 წელს მან მიიღო წოდება ქართლის კურაპალატისა, ხოლო მამა რომ მოუკვდა, ქართველთა მეფეც გახდა. მან გააერთიანა აფხაზთა და ქართველთა სამეფონი, შემოიერთა კახეთიც და ჰერეთიც, და ამ რიგად შექმნა მთლიანი საქართველოს სამეფო. მაშინ მოისპო „ქართველთა მეფის“ წოდება და მას შემდეგ ჩვენი მეფენი იწოდებოდნენ „საქართველოს მეფეებად“.

ბაგრატ III იყო საქართველოს პირველი მეფე და მისგან მომდინარეობენ საქართველოს შემდეგი მეფეები.

იშხნის მესამე წარწერაში მოხსენებული ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისა, არის შვილიშვილი მეორე წარწერაში მოხსენებულის ბაგრატ მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა, ერთი მაშენებელთაგანი ოშკის ტაძრისა, დავით კურაპალატის ძმა. ადარნასე კურაპალატი, ქართველთა მეფის ბაგრატ მაგისტროსის ძე, მიიცვალა 961 წელს, ხოლო მისი ძე ბაგრატ ერისთავთ ერისთავი—966 წელს.

სხვა ბაგრატიონთა სურათები, როგორც ცხადად ეტყობა, ყოფილა წარმოდგენილი ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე, სადაც მოჩანს ნაშთი ბიზანტიელი კარისკაცის მოსასხამისა და მეტადრე ნაწილი ასეთივე ძვირფასი ქვებით შემკული ქუდისა (აქვარელით გადმოიღო ლ. გუდიაშვილმა). ასეთივე შესამოსლებით არიან წარმოდგენილი ბარიელიეფებზე ოშკის ტაძრის მაშენებლები ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი. ჩვენი აზრით ეს ნაშთები დავით მაგისტროსის, ე. ი. შემდეგ დავით კურაპალატის ტანისამოსის ნაშთებია. ყოვლად დაუშვებელია, რომ დავით მაგისტროს-კურაპალატი არ ყოფილიყო დახატული იშხნის ტაძრის კედელზე. ამას გარდა, ამავე კედელზე წარმოდგენილი ყოფილან წმ. მხედრები გიორგი და თეოდორე. ჩანს მათი სამოსლისა და იარაღის ნაწილი.

ნ. სარგისიანის დროს სამხრეთ კედლებზედაც ყოფილა წარწერათა ნაშთები, რომელნიც ეხლა აღარ ჩანან (Op. cit., P. 19, № 19):

---

[1] იხ. მარიამისეული ვარიანტი, გვ. 51.
[2] იხ. De administrando imperio.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ...ოვიდეს: ამას:
2. ლნიც ტანი
3. ს:
4. ცდა: ათი:
5. სისანი:
6. საუკუნეთა;
7. კლ. : ეე
8. მათი:
9. ნების:
10. მიერი...

ბროსე ასე თარგმნის ზოგიერთ სიტყვებს:
...viendra daus ce ...trente ...des siècles
...de leur volonté ...souvenez-vous(?)".

ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სათუოა. უფრო დანამდვილებით შეიძლება წავიკითხოთ მე-7 რიგის სიტყვა „ეე", როგორც „ერისთავთ ერისთავი", რაც ცხადჰყოფს, რომ აქ რომელიღაც ბაგრატიონის სურათი ყოფილა[1]. ამავე სამხრეთი კედლის ერთ კუთხეში ბროსე აღნიშნავს სიტყვებს: „ბაგრატ მაგისტროსი". მაგრამ აქ უსათუოდ იგულისხმება ჩვენ მიერ მოყვანილი წარწერა დასავლეთი კედლისა: „ბაგრატ მაგი(სტროსი) ქართველთა მეფე". ნ. სარგისიანს, ეტყობა, მხოლოდ ორი პირველი სიტყვა გაურჩევია. დასავლეთ კედელზე სხვა წმიდანების სურათებიც ყოფილა, რასაკვირველია, მაგრამ აღარაფერი მოჩანს, გარდა სამი სიტყვისა:

„...და აბრჰმის წე" (ე. ი. აბრაჰამის წინაშე).

საკურთხევლის თაღზე, სულ ზემოთ, მცირე ნაშთების მიხედვით, წარმოდგენილი ყოფილა ცხოვარი ანგელოზებითურთ, ქვემოთ მოციქულთა წყება და მათ ქვემოთ კი ეკლესიის მამანი.

საკურთხევლის თაღის მარცხენა ნაწილზე მოჩანს პარალელურად ორი მოგრძო მომრგვალებული მედალიონი წაშლილი ფიგურებით და ასომთავრული წარწერებით. ფიგურები წელზევითია. მარცხენა მედალიონს რვა-პწკრიანი ასომთავრული წარწერა აქვს, მარჯვენას—შვიდ-პწკრიანი სომხური. როგორც ფიგურები, ისე წარწერები საერთოდ მოშლილია, მაგრამ პირველი მედალიონისა უკეთ არის დაცული. აქ ეტყობა ქალის ფიგურა, რომელსაც მარჯვენა ხელი გულზე აქვს მიდებული, ხოლო მარცხენაში სახარება უჭირავს და რომლის პირიც ნიკაპს ზემოთ მოშლილია. სამოსელი მიხაკის ფერი აცვია. წარწერიდან კარგად გაირჩევა მხოლოდ მეხუთე პწკრის უკანასკნელი ოთხი ასო: „ლი ნი" და სამი უკანასკნელი პწკარი მთლიანად გადარჩენილი პწკრები ასე უნდა წავიკითხოთ: „(დედოფა)ლი ნინოჲს მიერ განათლებული".

ეს დედოფალი, რასაკვირველია, უნდა იყოს ნანა, მირიან მეფის მეუღლე, რომელმაც პირველმა მიიღო ნათელი ნინოს მიერ. ამ ფაქტის და ზოგი ასოს ნაშთების მიხედვით, შეიძლება ვარაუდით და არა დაბეჯითებით—ასე წარმოვიდგინოთ მთელი წარწერა:



სურ. 14

„ნანა
მეუღლე
მირიანისა,
მცხეთისა
დედოფა/ლი ნი
ნოჲს მიერ გ
ანათლებუ
ლი ※"

მეორე მედალიონის სურათი სულ მოსპობილია. წარწერიდან ჩანდა მხოლოდ რამდენიმე ასოს ნაშთი, რომლებიც ხელით გადმოიღო მ. ჰიაურელმა, მაგრამ სპეციალისტებმა მათში ერთი სიტყვის ამოკითხვაც კი ვერ შეძლეს (გასინჯეს აკად. ნ. მარმა, პროფესორმა ნ. ადონცმა და სხვებმაც). სურ. № 15.

უნდა ვიფიქროთ, რომ როგორც პირველ მედალიონში იყო წარმოდგენილი პირველი ქრისტიანი ქართველი დედოფალი, ისე მეორე მედალიონში იქნებოდა დახატული პირველი ქრისტიანი სომეხთა დედოფალი, ესე იგი თირდატ მეფის მეუღლე აშხავნარი[2] ანუ აშხენი[3], რომლის სურათიც წარმოდგენილია ფრესკით, გრიგოლ განმანათლებელთან ერთად, ტიგრან ჰონენცის ტაძრის კედელზე ანისში, ქართული (ასომთავრული) წარწერებით (იხ. Н. Марр, Ани, стр. 85). ყველაფერი ეს,

---

[1] იხ. დასახ. ნაშრ. გვ. 19. უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს მე-7 ფრაგმენტის ასოთა ასეთი ამოშიფრვა ცნობილი არ იყო.

[2] იხ. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ცხორებაჲ გრიგოლ პართელისაჲ, თბილისი, გვ. 37.

[3] წარწერის ასოები შვეულად არის ჩამომწკრივებული კედელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, მოწმობს ქართველების და სომხების ძმურ კულტურულ კავშირს ტაო-კლარჯეთში. სამწუხაროა, რომ ნ. სარგისიანს არ შეუნიშნავს ეს მედალიონები: იგი შეძლებდა რისამე გარჩევას სომხურ წარწერაში, რომელიც მის დროს, ალბათ, უკეთ ჩანდა.



სურ. 15

საკურთხეველში ამასთანავე მოჩანს წაშლილ ფიგურათა წარწერები: იოსებ არიმათიელი, საბა, წ῀ჲ ფილიპე. ამ უკანასკნელის სახელი წარმოდგენილია ბერძნულადაც Ο αγιος Φιλιππος. ფილიპეს პირდაპირ გამოხატულია ურწმუნო თომა, რომელიც გვერდს უსინჯავს იესო ქრისტეს და რომელსაც ბერძნულად აწერია Α. Θομας; ქვემოთ ბართლომეა დახატული. ჩრდილო კედლის ფრესკათა ნაშთები იხ. ტაბ. 30, 1 და 2.

ტაძრის დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთით ერთ პილასტრზე დარჩენილია წარწერის ნაწილები, ამრიგად:

| | | |
|---|---|---|
| . . . . ქნვე | . . . . . . . ძრიელ | რლსამეშიდა |
| . . . . ილი | გნვსრლეყ῀ვ | კ῀ოლკე ეკლ῀სი |
| . . . . ისრისა | | |
| . . . . ეყდ | ბრტსლოც . . . . | |

შუა წარწერა, ჩვენი აზრით, ასე უნდა იკითხებოდეს:

„განვასრულე ყოვლითა კათოლიკე ეკლესიაჲ ბაგრატის სალოცავად“. ეს წარწერა ალბათ ეკუთვნის ტაძრის ფრესკების მხატვარს და მოგვითხრობს, თუ ვისი დავალებით მოუხატავს მას იშხნის ტაძარი. ამ ბაგრატში უნდა იგულისხმებოდეს ადარნასე კურაპალატის ძე ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომლის სურათი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დახატული ყოფილა დასავლეთ კედელზე და რომლის წარწერაც ზემოთ მოვიყვანეთ. იგივე ბაგრატი არის ოშკის ტაძრის ერთი მაშენებელთაგანი, ცნობილი დიდი საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც, სხვათა შორის, საჭიროდ დაუნახავს შეევსოთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება სასწაულების მიმატებით და სხვ., მაგრამ საფიქრებელია, რომ ბაგრატთან ერთად იშხნის ტაძრის მოხატვის მონაწილე იყო მისი ძმაც, დავით მაგისტროსი, შემდეგ კურაპალატი, რომლის წარწერა არ შენახულა. მათი საერთო ძმური მოღვაწეობა დადასტურებულია ოშკის ტაძრის აგებით.

სადიაკვნეში წარმოდგენილია ე. წ. ტრაპეზის გამზადება—დახატულია მაგიდა და მის მარჯვნივ და მარცხნივ ანგელოზები. მარცხნივ არის ოთხსარკმლიანი გუმბათის მქონე ტაძრის სურათი და შემდეგი წარწერის ნაშთი:

„...მხუნი ბ̃ნი მრთლნი და შეიწყნრთ მშობელი დამბადებელისა ცათაჲ და ქუნისაჲ—(ქარაგმების გახსნით: „მოიხუენით ბჱენი მართალნი და შეიწყნარეთ მშობელი დამბადებელისა ცათაჲ და ქუეყანისაჲ“).

აქვე, სარკმლის თავზე, ზემოთ დახატული ყოფილა ღვთისმშობლის მიცვალება, ქვემოთ—ორი ანგელოზი. სარკმელს ქვემოთ მოჩანს წმინდანის თავი და ნაწილი წარწერისა: „მამაო, უკუეთუ ჯერ-არს გარე წარმჴად(?) სასუმელი ესე“ (მათ. 26, 42; მარკ. 14, 36).

ზემოთ სადიაკვნის ჩრდილო კედელზე წარწერაა:

„კაფარ ნა უმ“.

სამხრეთის დიდი სარკმლის ქვემოთ დახატული ყოფილა კონსტანტინე და ელენე. კონსტანტინეს წარწერა დაცულია: „წ῀ჲ კონსტანტინე“. ტაძრის ჩრდილო მკლავის კედელზე დახატული ყოფილა „ხარებაჲ“ (ტაბ. 30). ღვთისმშობლის სურათი რიგიანად შენახულა. შემდეგ—„(დაბა-)დ῀ბაჲ“; ქვემოთ „მირქმა“, თითქმის მთლიანად დაცული: ღვთისმშობელი აწვდის ყრმას სვიმეონს. ღვთისმშობელს უკან დგას იოსები, მარჯვნივ მოჩანს წარწერა „ანნა“. ჩრდილო სარკმლის კედლებზე. „წ῀ჲ ბ῀რბრე“ და „წ῀ჲ მ῀რნე“.

ჩრდილო ოთახის სვეტს ქვემოთ, რომელიც ტაძარში გამოდის, დახატული ყოფილა ფერისცვალება; მეორე სართულს ქვემოთ, მარცხნივ ჯვარცმა. (ტაბ. 30, სურ. 1), ქვემოთ გარდამოხსნა ქრისტესი: მოჩანს იოსებ არიმათიელი, რომელსაც უჭირავს ქრისტეს ფეხები; მარიამი სევდიანი იყურება, ზემოთ ორი ანგელოზია (ტაბ. იგივე).

დეკორატიული შემკულობა, ფურცლოვანი და ყვავილოვანი, ცოტაა შენახული, მაგრამ რაც საკმაოდ მოჩანდა, გადმოიღო ფერადებით მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა. არის ფოტოგრაფიული სურათიც (ტაბ. 31, სურ. 2).

როდის მოიხატა თავდაპირველად იშხნის ტაძარი, ზუსტად ვერ ვიტყვით, მაგრამ, ჩემი აზრით, უეჭველია, რომ მხატვრობა შეუსრულებიათ X ს-ის მეორე ნახევარში, არა უგვიანეს 966 წლისა, როცა გარდაიცვალა ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომლის პორტრეტის წარწერასაც ზემოთ შევეხეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 16

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10. მერმინდელ (XII საუკუნის) ფრესკათა ნაშთები და მათი წარწერები

აქამდე ჩვენ ვიხილავდით მხოლოდ თავდაპირველ ფრესკათა ნაშთებს და მათ წარწერებს; მაგრამ იშხნის ტაძარში მოიპოვება შემდეგი დროის ფრესკებიცა და წარწერებიც. ტაძრის ჩრდილო კედელზე, მთელი ჩრდილო მკლავის სიგანეზე, ქვედა რიგში მოჩანს შვიდი განცალკევებული წმიდანის წელზევითი სურათი, საკმაოდ დაზიანებული. იკითხება ოთხის სახელი: „წჲ ნკლზ, — იაკობ, ანდრია, — ლუკა." სხვების სახელები აღარა ჩანს. ყველა ფიგურა შავ ფონზე შავივე ფერადებით არის დახატული და მკვეთრად განირჩევა ძველი მხატვრობისაგან, როგორც შედარებით გვიანდელი და უფრო მდარე ღირსებისა. მათ სიგრძივ დაუყვება ექვს-პწკრიანი, ხვეული ასომთავრული წარწერა, რომელიც ნ. სარგისიანის დროსაც ნაკლული და დაზიანებული ყოფილა და შემდეგ კიდევ უფრო მეტად დაზიანებულა. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ მადლობით ნ. სარგისიანი—ეს დაუღალავი და ენერგიული არქეოლოგი. დიდი მოთმინება და სიმტკიცე იყო საჭირო ასეთი გრძელი წარწერის ასე გულმოდგინედ გადმოღებისათვის. (იხ. ბროსეს ტაბულა II, და ამ ტაბულიდან გადმოღებული ფოტო, ჩვენი 30, 1 და 2 ტაბულა და სურ. 16, 1—6).

წარწერა მოგვყავს ქარაგმების გახსნით და მცირეოდენი შესწორებით (სადაც კი შესაძლებელი იყო):

1. ...ადიდენ ღმერთმან უძლეველი მეფეთ მეფე დემეტრე ორთავე შინა ცხორებათა, სალოცველად მეფობისა მათისად და საჴსენებლად საუკუნოდ თავისუფალ ყვეს სოფელი ლოზნი[1] მკჳდრი ამის საყდრისაჲ, რომელი ყ͞ათა რათმე უბადოთა ეშენა[2] სიყუარულისა და ერთგულობისა მიზეზითა და[3]... (ე)ქ(ი)რა ერთგულობასავე შინა. გირავოითვე[4](?) არამედ მოგუმადლა[5] ღმერთმან და შეწევნამან ყოველთა წმიდათამან რომელთა...

2. ...დაგნა იშხანსა კათოლიკე ეკლესიასა[6] წმიდისა ღმრთისმშობელისა და წმიდისა სჳმეონის[7] საკჳრველთ მოქმედისა ეგრეთადვე[8] მკჳდრად და შეეწირა[9], ვითარცა პირველთა მეფეთა[10] სულკურთხეულთა მამათა და პაპათა მათთა შემოეწირა... აწ მე მიწამან მეფობისა მათისამან ეგნატი, იშხნისა მთავარეპისკოპოსმან, რომელი მათვე ღირს მყვეს უღირსი, ვიკადრო გას... (არა ს) რულად ჰნათობს და მცირედ და უჴმარად. ერთგულობისათჳსცა ეპისკოპოს მყვეს თეოდორე და ყოველთა საყდრის შვილ(თა)...

3. ...მიუკუნენი(?) და დისა მათისა წ... ძლიერთა მეფეთა დავითის და გიორგისთჳს. პირველად დავჰკიდენით კანდელნი[11] დღით და ღამით, ერთი მეო...ა ზედა, მეორე წმიდისა ღმრთისმშობელისა წინაშე კარისასა და მესამე წმიდისა სჳმეონის წინაშე საკჳრველ მოქმედისა, და განვაწესეთ[12] აღაპი წინადღ͞ე[13] წმიდისა მოწამისა თეოდორესი: ა: პარასკევი პირმარხვისაჲ, რომელი დიდსა მ... და კიდეგან მწირველნი ვაჩინენით ორნი: ერთი ელია, დისწულის შვილი ელია დეკანოზისაჲ, და გრ[იგოლ]··· ეგრევე···

4. კჳრიაკესა მათთჳს შესწირვიდენ მსხუერპლსა··· ფალ წასვენით (?), ესრე ვითა თჳთ მათთა დაწერილთაშინა სწერია[14]··· არს მშბლ··· უფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა უძლეველი მეფეთ მეფე დემეტრე, დაჲ მათი დედოფალთა დედოფალი ქუეყანისაჲ და ჭეშმარიტად დედოფალი ზეცისაჲ თამარ და შვილნი მათნი ძლიერნი მეფენი დავით და [გიორგი]... მათთა ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მათნი და მიეც ცხორებაჲ უშფოთველი საწუთ...[15]

---

[1] ასო „ო" ამ სიტყვაში აქ არ არის, მაგრამ ქვემოთ კი გვხვდება.
[2] საეჭვო კითხვაა, როგორც ბროსეც შენიშნავს.
[3] ბროსე: „დი".
[4] ბროსე: „გირაოთი".
[5] ბროსე: „გამომადლა."
[6] ბროსე: „ეკლესთა."
[7] ბროსე: „სჳმონისა."
[8] ბროსე: „ეგრეთვე."
[9] ბროსე: „შეეწირათ."
[10] ბროსეს არ მოჰყავს ეს სიტყვა.
[11] ბროსე: „სანთელნი."
[12] ბროსე: „განეწერათ."
[13] ბროსე: „დღეს."
[14] ბროსე: „ხბისა."
[15] ბროსე: ამ სამი სიტყვის მაგიერ: „უფალთ.. ელისა წყობათ."

5. ...მოდგამნი შენნი ქუეყანისანი. ვინცა ესე განგებული ჩუენი სალოცველი მეფობისა მათისაჲ შეცვალოს, იყავნ წყეულ, კრულ და შეჩუენებულ ღმრთისაგან დაუსაბამოჲსა, წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა[17] ...ისა მადლითა და წმიდისა სჳმეონ საკჳრველთ მოქმედისა მადლითა, ექუსთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა[18] გაუჴსნელად და ნაწილი მისი იყავნ იუდას თანა ქრისტეს განმც[ემელისა[19]. და ვინცა დაამტკიცოს, წყალობა]ჲ ღმრთისა]ჲ და შეწევნაჲ ამათ ყოველთა წმიდათაჲ იყავნ მას ზედა. ქრონიკონი იყო...

6. ...ამოჩნდეს და მეფეთაგან თავისთჳს ეჰაჯნეს[20], ანუ ვინ თანა-მოჰაჯე[21], მაწუეველ[22] და განმზრახ ექმნენ[23] ამის საყდრისაგან ლოზთა გამოჴუებისათჳს, ესე ზემოჲთნი კრულებანი ყოველნი სრულობით მათ ზ[ედა[24]... მღდელ]თ-მოძღუარნი, პატრიარქნი, კათალიკოსნი და ეპისკოპოსნი დასხდომილ არიან[25] და წალმართვე საძაგელისა ანტისა გამოჩინებამდე დასხდომად[26] არიან, მათ[ითა მადლ]ითა წყეულ[27] იყვნენ, კრულ და შეჩუენებულ სულითა... [და ვინცა დაკ]ლებასა დაჰრიდოს, ღმერთმან ყოველნი ბრალნი მისნი აღუჴოცენ...

თუმცა ამ წარწერას ბევრი აკლია, შემორჩენილი დაზიანებული სიტყვების აღდგენა ძნელია და წაკითხვა ზოგან საეჭვო, მაგრამ საერთო შინაარსის გაგება საკმაოდ ადვილია, და მოკლედ შეიძლება ისე გადმოიცეს, როგორც ბროსესაც აქვს გადმოცემული.

მეფე გიორგი II-ს (1072—1089) და მის შვილს დავით II აღმაშენებელს (1089—1125) იშხნის ტაძრისათვის შეუწირავთ და დაუმტკიცებიათ სოფელი ლოზნი, მაგრამ შემდეგ ეს სოფელი სხვებს ჩავარდნიათ ხელში, ხოლო მეფე დიმიტრი I-ს გაუთავისუფლებია და კვლავ შეუწირავს იგი იშხნის ტაძრისათვის. ამის სანაცვლოდ იშხნის მთავარ ეპისკოპოსს ეგნატის, რომლის არჩევაში მონაწილეობა მიუღიათ, გარდა მეფე დიმიტრისა, „თეოდორეს და ყოველთა საყდრის შვილთა“, დაუკიდნია იშხნის ტაძარში დღისით და ღამითაც მანათობელი სამი კანდელი (ამათგან მეორე კანდელი დაუკიდნია „წინაშე ღვთისმშობლის კარისასა“, ალბათ აღსავალის კართან, ვინაიდან შუა ეკვდერი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა ნაკურთხი. მესამე კანდელი დაუკიდნია წმ. სვიმეონ საკვირველთმოქმედის ხატის წინაშე, რადგან, ეტყობა, სადიაკვნის ეკვდერი ამის სახელზე ყოფილა ნაკურთხი. არა ჩანს, თუ რომელი წმიდანის ხატის წინაშე იყო დაკიდული პირველი კანდელი, ესე იგი ვის სახელზე იყო ნაკურთხი სამკვეთლოს ეკვდერი, მაგრამ ტაძრის სამხრეთ კედლის მესამე წარწერის ნაშთების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ეკვდერი იოანე ნათლისმცემლის, ანუ წინამორბედის სახელზე ყოფილა ნაკურთხი (იხ. ზემოთ). ამას გარდა, ეგნატის განუწესებია აღაპი და მოხსენებანი მეფე დიმიტრის და მისი ოჯახის წევრებისათვის, წინადღეს წმიდისა მოწამისა თეოდორესი, პირმარხვის პირველ პარასკევს. მწირველად დაუნიშნავს ორი მღვდელი ყველაფერი ეს, როგორც ვიცით, იშხნელ ეგნატის განუწესებია: მეფეთ მეფისა დიმიტრისათვის (1125—1154), მისი დის, თამარ დედოფლისათვის, დიმიტრის შვილთათვის, დავით მეფისა (1154—1155) და გიორგი მეფისათვის (1155—1184).

ამრიგად, ჩრდილო კედლის წარწერა და შვიდი წმიდანის ფრესკა შესრულებულია XII საუკუნის მეორე ნახევარში, არა უგვიანეს 1155 წლისა. თამარ დედოფალი, დიმიტრის და, იყო შირვან შაჰის აღსართანის მეუღლე. შემდეგ იგი მონაზნად აღიკვეცა და თიღვის მონასტერი ააშენა ჩრდილო ქართლში (ამჟამად შედის სამხრ. ოსეთის ზნაურის რაიონში). წარწერაში მოხსენებული თ ე ო დ ო რ ე, რომელსაც მონაწილეობა მიუღია ეგნატის იშხნელად განწესებაში, უნდა იყოს ჩვენს ისტორიაში უცნობი კათალიკოსი, მეფე დიმიტრი I-ის დროისა.

---

[17] ბროსე: „მოციქულთაგან“.

[18] ბროსე: „მადლითა“.

[19] ბროსე: ამ ორი სიტყვის მაგიერ: „ქრისტეს განმცა“.

[20] ბროსე: „ილაჯნეს“.

[21] ბროსე: „მოლაჯე“.

[22] ბროსე: „მწეველ“.

[23] ბროსე: „ექმნეს“.

[24] ბროსე: „მოზ...“

[25] ბროსე: ამ ორი სიტყვის მაგიერ: „დასხმლმან“.

[26] ბროსე: „დასხმედამოდ“.

[27] ბროსე: „წყებულებანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 11. ტაძრის მნახველთა და მლოცველთა წარწერები

გარდა ფრესკათა წარწერებისა, იშხნის ტაძრის კედლებზე შიგნით აქა-იქ შემორჩენილია ნაწილობრივ მნახველთა, შემავალთა და მლოცველთა წარწერებიც. ჩვეულებრივ ასეთ წარწერებს ათავსებდნენ ამა თუ იმ წმიდანის სურათს ქვემოდან. ერთი მათგანი, დასავლეთი მკლავის ჩრდილო კედელზე XII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით შესრულებული, მთლიანად არის დაცული და გადმოღებულია ექსპედიციის წევრის ლ. გუდიაშვილის მიერ (იხ. სურ. 17). წარწერა იკითხება ასე:



სურ. 17

„ქ· წმიდაო: დემეტრე: დამიცევ:
და: ნუ: გამწირავცა: მონასა.
შენსა: და: მადიდებელსა: ოქრო
მჭედლის ძესა: ნარზეს რათა:
დაუცხრომელად გადიდებდე:“

ამ წარწერის ზოგიერთი სიტყვის ვულგარიზმი მოწმობს, რომ მლოცველი მდაბიო წრეს ეკუთვნის და ხალხურ კილოს ხმარობს.

მეორე წარწერა (სურ. 18) უფრო გვიანდელია, XIV–XV საუკუნეებს ეკუთვნის და ნაკლულად არის დაცული. მისი სავსებით აღდგენა შეუძლებელია:



სურ. 18

„(წმიდაო ღ)თის მშობელ(ო) (და უძლი)
ერესო გმირთ მთავარ
ო დემეტრე დამი
(ცევ და ნუ) გამწირავ
... ვ: მონასა შენსა და (მა
დიდე)ბელსა შენსა ქობულ(?)
ლიპარიტსა რათა: დაუ
(ცხრომ)ელადა გადიდო გადი
დო დემეტრე . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . .

მესამე წარწერა კიდევ უფრო ცუდად და ნაკლულად არის დაცული.

„(წმი)დაო დემეტრე დამი
(ცე)ვ და ნუ გამწირ(ავ მადიდებელსა)
.... და მონასა შენსა......
.........................
.........................“

კიდევ ერთ ადგილას მე-12 საუკუნის ხუცური ასოებით სწერია:

„დ῀დო ღთისაო შ῀ე ფრ῀დ
ცოდვილი სული
იოვანესი......“

არც ერთი ზემოთ მოყვანილი წარწერა ნ. სარგისიანს არა აქვს აღნიშნული. მას მოჰყავს მხოლოდ ერთი, სომხური ასოებით დაწერილი თარიღი, რომელიც უჩვენებს სომხური წელთაღრიცხვის 690, ესე იგი 1241 წელს (იხ. ბროსეს გამოცემა, №21, გვ. 19). ჩვენ ეს წარწერა ვეძიეთ, მაგრამ ველარ ვიპოვნეთ. ისიც უსათუოდ ეკლესიაში შემავალი მლოცველის მინაწერი უნდა ყოფილიყო.

სხვა მლოცველთა ქართული მინაწერები აქა-იქ კიდევ ეტყობა, მაგრამ თითო-ოროლა ასო-ღაა გადარჩენილი.

## 12. გურგენ მეფეთა მეფის მცირე ეკლესია და მისი წარწერა

იშხნის დიდ ტაძართან ეხლა მარტო ერთი შენობაა დაცული და ისიც ძალზე დაზიანებული. ეს არის პატარა ერთ-ნავიანი ეკლესია, გურგენ მეფეთა მეფის მიერ აშენებული 1006 წელს. აშენების დრო აღნიშნულია ქართული ქორონიკონით, მრგლოვანი ასოებით და აგრეთვე სომხური წელთაღრიცხვით, სომხური ასოებით. შიგნით, სიგრძივი კედლები ორ-ორი დეკორატიული თაღითაა მორთული. საკურთხეველში ორი ნიშაა (გეგმაზე ისინი არ აღუნიშნავთ). ფრესკების კვალი ჩანს საკურთხეველში, მაგრამ ეს მხატვრობა დაზიანებული და შეთეთრებულია.

ეკლესია ნაშენია სხვადასხვაფერი (უფრო მოვარდისფრო-ყვითელი), ფრიად წმიდად ნათალი ქვებით, რომელნიც მოზაიკურად არიან განწყობილნი, თაღი გოდრულია, ერთი კამარით შეკრული. იგი ჯერ კიდევ მტკიცეა. სარკმელი ორია: ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით (ტაბ. 34, 35; გეგმა და განაკვეთი იხ. ტაბ. 33. სურ. 1, 2). ორივე სარკმელი შემკულია საუცხოო ჩუქურთმებით (ტაბ. 36. სურ. 1, 2). კარი ერთი ჰქონია, ჩრდილოეთით. ეხლა ეს კარი დახშულია და მის მაგიერი დასავლეთ კედელში ტლანქად გამოუნგრევიათ შესავალი და შეუკეთებელი დაუტოვებიათ. ჩრდილო კარის შემკულობა სამაგალითოა თავისი სინაზით და სილამაზით. სხვათა შორის, მის ჩუქურთმებში ჩაქსოვილია ცხოველთა მინიატურული ქანდაკებანი (ტაბ. 37). ლავგარდანი ოთხი გამოკვეთილი ზოლისაგან შედგება. სამხრეთი კედელი ეხლა ნაწილობრივ გამონგრეულია და პერანგი მოძარცული აქვს, რაც ერმაკოვის დროს—წარსული საუკუნის 70-იან წლებში—არ ყოფილა. საკურთხეველში ორი პატარა უბეა (გეგმაზე აღნიშნული არ არის) სამხრეთი კარის თავი, ერთობ მდიდრული ჩუქურთმებით დამშვენებული, შემკულია კიდევ ლამაზი ასომთავრული წარწერით, რომელიც იწყება კარის თავის წრეზე და შემდეგ გადადის კარაკინზე (ტაბ. 38 და სურ. 19)



ნახ. 19

ქარაგმებს თუ გავხსნით, იგი ასე იკითხება:

ქ. სახელითა ღმრთისაჲთა მე, გურგენ
მეფეთა მეფემან, აღვაშენე ესე წმიდაჲ ეკლესიაჲ
სახელსა ზედა წმიდისა ღმრთის მშობელისასა, სალოცველად
სულისა ჩემისა. წმიდაო ღმრთისმშობელო, ტალავარ
მექმენ დღესა მას საშჯელისასა.
ესე არიან ბჭენი უფლისანი და
მართალნი შევლენან[1] ამას.
ყოველთა შემავალთა ლოც

[1] ბროსე ამ სიტყვებს ასე კითხულობს: „რომელთა შემოვალს“ (გვ. 19).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასა მომიჯს

ენ

ეთ.

ქრონიკონი იყო სკვ (226+780)=1006.

სომხური თარიღი კარის წრის მარჯვენა ქუსლზე იმავე 1006 წელს უდრის (იხ. ბროსე, გვ. 19, № 22).

წარწერაში მოხსენებული გურგენ მეფე (994—1008), აღმაშენებელი ამ საუცხოო პატარა ეკლესიისა, არის მეფის ბაგრატ II-ის შვილი. ბაგრატიონთა შორის მან პირველმა მიიღო მეფეთა მეფის პატივი, რადგან მისი შვილი ბაგრატ III 978 წელს აფხაზთა მეფე გახდა.

## 13. დასკვნა

მოკლედ რომ შევაჯამოთ, იშხნის ტაძრის ისტორია ასეთია:

ტაძარი აშენებულია IX საუკუნის პირველ ნახევარში, გრიგოლ ხანძთელის დედის დისწულის და მისივე მოწაფის საბას ანუ საბანის მიერ.

საბანმა ტაძარი ააგო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომელიც აშენებული იყო VII საუკ. პირველ ნახევარში, მართლმადიდებელი ეპისკოპოსის ნერსეს მიერ. ეს ნერსე შემდეგ სომხეთა კათალიკოსი გახდა, ნერსე III-ის სახელით, და მან ამ დროს ააშენა ზუართნოცის (ე. ი. მღვიძარეთა) შესანიშნავი ტაძარი ეჩმიაძინის მახლობლად.

ნერსეს მიერ აშენებული იშხნის ტაძარი, როგორც ჩანს, ისეთივე მრგვალი იყო, როგორიც ზუართნოცი, და დაახლოებით იმავე სიდიდისა. ნერსეს ტაძარი იშხანში საბანს სულ დანგრეული დახვედრია, გადარჩენილი ყოფილა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის ქვედა სართული სვეტნარით, და ეს ნაწილი ნერსეს სახსოვრად და პატივისაცემად საბანს მთლიანად მოუქცევია თავის ახალ შენობაში.

თავდაპირველად საბანის ტაძარი ნაშენი იყო სულ ოდნავ თლილი პატარა ქვებით, მაგრამ XI საუკუნის პირველ ნახევარში ტაძარმა ორჯერ განიცადა განახლება.

პირველი, სულ მცირედი განახლება მეფე გიორგი I-ის დროს მოხდა (1014—1027) და შეეხო მხოლოდ სამხრეთ კარიბჭეს.

მეორე განახლება მეფე ბაგრატ IV-ის დროს, 1032 წელს—ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი იყო. ამ დროს ტაძრის ყველა კედელი (გარდა ჩრდილო ეკვდრის კედლებისა) გარედან შეიძერწა ლამაზად თლილი წითელ-ყვითელი ფილებით და ტაძარმა მიიღო ის მშვენება და საუცხოო დეკორი, რომელიც ეხლაც ხიბლავს მნახველს. იმავე დროს გუმბათის ყელის გლუვ წახნაგებში გამოსჭრეს რვა პატარა მრგვალი სარკმელი, რომელნიც ერთობ ლამაზად შეამკეს გარედან. მაშინვე, როგორც ვფიქრობთ, მოსპობილ იქნა სამხრეთის ღია გალერეა და აგრეთვე ის კარიბჭე, რომელიც მეფე გიორგი I-ის დროს იყო განახლებული. ღია გალერეის არსებობას ვგულისხმობთ იმიტომ, რომ ასეთი გალერეა აქვს ოშკის ტაძარს, რომლის გეგმაც, ზოგიერთი ცვლილებებით, იმეორებს იშხნის გეგმას. ამ გალერეის უქონლობა არღვევს იშხნის ტაძრის გეგმის სიმეტრიას. ტაძარს მოაკლდა, ასე ვთქვათ, ერთი (სამხრეთის) გვერდი. ეს დიდი და ძირითადი განახლება მოხდა იშხნელი მთავარეპისკოპოსის ანტონის თაოსნობით და ზედამხედველობით, ხოლო ხუროთმოძღვარი იყო ივანე მორჩაისძე.

ამ დიდი განახლების შემდეგ ტაძარმა დაკარგა კიდევ მთელი დასავლეთის ეკვდერი, რომელიც მთავარი ტაძრის თანამედროვე იყო, და აგრეთვე თაღები, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც გუმბათის ყელის ირგვლივ არის გადარჩენილი.

ტაძრის ეხლანდელი დასავლეთი კარი სულ გადაკეთებულია მაჰმადიანთა მიერ, რომლებმაც ტაძრის დასავლეთი მკლავი ჯამედ აქციეს. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გადაარჩინა იშხნის ტაძარი სრული განადგურებისაგან.

იშხნის ტაძრის შინაგანი კედლები მოხატული იყო—როგორც ჩანს, მეათე საუკუნის მეორე ნახევარში,—მშვენიერი ფრესკებით, რომელთა მიხედვითაც არის შემდეგ მოხატული აგრეთვე ოშკის და ხახულის ტაძრები. მაგრამ ეხლა ეს სურათები მოსპობილია ჟამთა სიავისა და თან ადამიანთა ხელების მიხმარების გამო. უკეთ დაცულია მხატვრობა გუმბათის ცაში და გუმბათის ყელის წახნაგებზე. აქ საკმაოდ კარგად მოჩანს მშვენივრად შესრულებული სურათი ანგელოზთა მიერ ჯვართამაღლებისა და ოთხი ეტლი სხვადასხვა ფერის ცხენებითურთ. ამ სურათის შინაარსს ზაქარია წინასწარმეტყველის აპოკალიფსური ჩვენება შეადგენს და იგი ერთობ ლამაზია. ამას

ეროვნული

გარდა აქ წარმოდგენილია ყველა ანგელოზთა დასი და სხვადასხვა წმიდანები, აგრეთვე წინასწარ-მეტყველნი გუმბათის ყელში მრგვალი სარკმლების გაჭრის დროსაა დაზიანებული.

საკურთხეველში, გარდა ჩვეულებრივ ფრესკათა ნაშთებისა, გვაქვს ორი დედაკაცის გამოხატულება სათითაო მედალიონებში. პირველში ვხედავთ ნანას, მირიან მეფის მეუღლეს, ქართლის პირველ გაქრისტიანებულ დედოფალს, სანახევროდ მოშლილი ასომთავრული წარწერით, ხოლო მეორეში სომხეთის პირველ გაქრისტიანებულ დედოფალსა, თირდატ მეფის მეუღლეს აშხანავრს ანუ აშხენს, სომხური წარწერით, რომელიც გაფუჭებულია და აღარ განირჩევა.

როგორც ფრესკის ფრაგმენტული წარწერიდან ჩანს, იშხნის ტაძრის მომხატველი უნდა იყოს ბაგრატ ერისთავთ ერისთავი († 966) და საფიქრებელია, რომ მასთან ერთად აგრეთვე მისი ძმა დავით მაგისტროსი, შემდეგ დავით დიდი, ტაოს კურაპალატი († 1001). მათ ერთად ააშენეს ოშკის დიდებული ტაძარი და მათივე თაოსნობით უნდა იყოს მოხატული იშხნის ტაძარიც X საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ არა უგვიანეს 966 წლისა.

იშხნის ტაძარში ჩრდილო მკლავის კედელზე დაცულია XII საუკუნის ფრესკების ერთი წყება. აქ წარმოდგენილია შვიდი წმიდანი გრძელი, ექვს-პწკრიანი, ხვეული მრგლოვანი წარწერით. ეს ცუდად დაცული წარწერა გვამცნობს, რომ მეფე დიმიტრი I-ს იშხნის ტაძრისათვის სამკვიდროდ დაუბრუნებია სოფელი ლ ო ზ ნ ი, რომელიც უწინ ტაძრისათვის შეწირული ყოფილა დიმიტრის პაპის მეფე გიორგი II-ის და მისი მამის, მეფე დავით აღმაშენებლის მიერ, მაგრამ შემდეგ სხვას ჩაუგდია ხელში. ამ შემოწირულების გამო იშხნის მთავარეპისკოპოსს ეგნატის განუჩენია მეფე დიმიტრისათვის აღაპი და დაუკიდნია ტაძარში სამი კანდელი—დიმიტრი მეფისა, მისი დის, თამარ დედოფლისა (შირვან-შაჰის აღსართანის მეუღლისა) და დიმიტრის შვილების—მეფე დავითისა (1154—1155) და მეფე გიორგი III-ის (1155—1184) სალოცველად.

ტაძრის შიდა კედლებზე ტაძრის მლოცველ-მნახველთა წარწერებიც მრავლად ყოფილა. გადარჩენილთა შორის საყურადღებოა XII საუკუნის ლამაზი მხედრული წარწერა (სურ. 17).

ტაძრის უძველესი ისტორიული წარწერა ცოტა ნაკლოვანად შემორჩენილია ჩრდილო ეკვდერის კედელზე. ამ წარწერაში მოხსენებულია ბაგრატიონთა შორის პირველი „ქართველთა მეფე" ადარნასე II († 923) და მისი ოთხი შვილი. წარწერაში აღნიშნული თარიღები უდრის 917 და 936 წლებს, ხოლო თვით წარწერა შესრულებულია 954—955 წლებში. წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის. სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო მის აღმოსაჩენად ღირდა ჩვენი ექსპედიციის მოწყობა.

გურგენ მეფეთ მეფის მიერ 1006 წელს აშენებული პატარა ეკლესია (მთავარი ტაძრის გვერდით, მის სამხრეთით) ეხლა მეტად დაზიანებული და გაპარტახებულია, მაგრამ მისი კედლების საგანგებოდ ნაშენობა წმიდად ნათალი, სხვადასხვა ფერი ქვით და უაღრესად საუცხოო შემკულობა მისი ჩრდილო კარისა და ორთავე სარკმლისა ცხადად მოწმობენ, რომ ეს ეკლესია სამაგალითო ყოფილა. ამ ტიპის ეკლესიებს დიდი სიმრავლით მოუღწევიათ ჩვენამდის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება გურგენის ნაგებობას.

იშხნის საეპისკოპოსო კათედრა მოღვაწეობას განაგრძობდა თურქთა მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგაც და საბოლოოდ გაუქმდა მხოლოდ XVII საუკუნეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოშკის მონასტერი

## 1. მდებარეობა

ოშკის მონასტერი მდებარეობს მაღალი მთის ფერდობზე, თორთუმის წყლის (თურქულად „თორთუმ-ჩაის“) მარცხენა ნაპირას, სულ ახლოს იმ ადგილიდან, სადაც ეს მდინარე ერთვის თორთუმის ტბას. X საუკუნეში, როდესაც ოშკის ტაძარს აშენებდნენ, თორთუმის ტბა არ არსებობდა; იგი გვიან გაჩნდა, დაახლოებით 1791 წელს, როდესაც ძლიერმა მიწისძვრამ მოსწყვიტა ხორსბაშ-დაღის მთის მწვერვალი, ჩააზვავა იგი თორთუმის წყალში და შეაგუბა მდინარე, რის შედეგადაც წყლის დონემ აიწია მაღალ კლდოვან მთათა შორის და ამრიგად წარმოიშვა ტბა, სიგრძით 13 კილომეტრი და 420 მეტრი, სიგანით 2 კილომეტრი და 170 მეტრი (შუაში ამაზე ნაკლებიც —ერთი კილომეტრი და 680 მეტრი). ტბას ამშვენებს სამი ჩანჩქერი, რომელთა შორის ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი პირველია[1].

თორთუმის ტბის მახლობლად თორთუმის წყალს ერთვის პატარა მდინარე, რომელიც წარმოშობილია ოშკის ხევისა და მანუსორის ხევის შეერთებით. ამ ორი ხევის შეყრის შემდეგ მაღალი და გრძელი ფერდობი, რომელზედაც ოშკის ტაძარია აშენებული, იღებს სახეს (გეგმაში) აყირავებული სამკუთხედისა, რომლის მწვერვალზე, ხევების შესართავთან, კლდეები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ გასასვლელი გზის სიგანე ორ მეტრს არ აღემატება. ამ გასასვლელის დახშვით მთელი ვრცელი სამკუთხედი ფერდობი თავის მონასტრიანად წარმოგვიდგება ძნელად მისასვლელ სიმაგრედ, ვინაიდან აღმოსავლეთით მას უვლის მანუსორის ხევის ხრამი, სამხრეთ-დასავლეთით ოშკის ხევის ხრამი, ჩრდილოეთით კი ამართულია მაღალი ქედი სობათი და მისი კლდოვანი მწვერვალი, ბალაბეთი. ეს მწვერვალი ისეა ღვარების მიერ დასერილი, რომ შორიდან დიდი ლოდებით ნაშენი ციხე ეჩვენება კაცს. აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრიად ღრმა ხევებს თან ახლავთ კლდოვანი ქედები, მწვერვალებითურთ. ამ ღრმა ხევთა და მაღალ მწვერვალთა შორის, ხელოვნურად დავაკებულ ფართობზე ამართულია უზარმაზარი ნაგებობა ოშკის მონასტრისა, რომლის მშვენიერი გუმბათი უფრო მაღლა ადის, ვიდრე ორი მახლობელი მწვერვალი, მაგრამ ვეღარ უთანასწორდება ჩრდილოეთით მდებარე მწვერვალ ბალაბეთს.

თორთუმის წყლის ნაპირიდან მონასტრამდის ხუთი კილომეტრია. გზა საკმაოდ ციცაბო აღმართით მიემართება. ოშკის წყლის ნაპირებზე მდებარე სოფლის სამხრეთ ნაწილს **ოშკი** ანუ, თურქულად **„ეოშკ“** ეწოდება, ხოლო ჩრდილო გაშლილ ნაწილს—ოშკის ეკლესია (თურქულად „ეოშკვანქ“). ზაფხულობით ოშკის წყალი ბაღების მოსარწყავად არის ხოლმე განაწილებული, რის გამოც მისი კალაპოტი მშრალია და გზად არის გადაქცეული და სხვა გზა არც არის. თორთუმის ხევის ბაღები, სადაც კი წყალი სწვდება, საუცხოოა. თუმცა მონასტერი დიდ მაღლობზეა აგებული, მის ახლოს ვენახიც ხარობს, ისე ცხოველია აქ სამხრეთის მზის სხივები.

თორთუმის წყლიდან და თორთუმის ტბის დასაწყისიდან, ე. ი. იქიდან, სადაც თორთუმის წყალი ტბას ერთვის, ოშკის ტაძარი კარგად მოჩანს, მაგრამ მისკენ ამავალ აღმართს რომ შეუდგებით, ტაძარი იმალება, ხოლო როცა ზედ მიადგებით, ის მოულოდნელად გეცემათ თვალში, როგორც ჭალარა ბუმბერაზი, ბევრი ჭირ-ვარამის გადამხდელი და საკმაოდ დაზიანებული. ეს შთაბეჭ-

---

[1] Я. Проскуряков, Заметки о Турции, Записки Кавказского Отдела Русск. Географического общества, кн. XXV, вып. 1, Тифлис, 1905 г., стр. 74—76.

დილება ერთი-ორად მატულობს, როდესაც მონასტრის სამხრეთ ეზოდან გადახედავთ თორთუმის წყლის ხეობის დიდებულ სურათს და თორთუმის ტბის დასაწყისს. მთელი ხეობა მოცულია ბაღე-ბით, მდელოთი, მწვანეულობით, ხოლო მისი მაღალი ქედების ფერდობები შემოსილია ტყით.

ტაძარი, როგორც ვთქვით, აგებულია საგანგებოდ დაკავებულ ადგილას და სამხრეთით მას ახლავს საკმაოდ მოზრდილი, ღორღმოყრილი ფართობი. ამ ფართობის ქვეშ, ტაძრის დასავლეთის მკლავის გასწვრივ არის თაღოვანი საძვალე სარდაფი, რომელიც ტაძრის ქვეშ მოქცეულ მეორე საძვალესაც უერთდება საერთო კარით და საერთო ჩასასვლელით. ჩასასვლელი ეხლა სანახევროდ მიწით არის ამოვსებული. ამ საძვალეთა პირველი ნაწილი ალბათ საერო პირთათვის იყო განკუთ-ვნილი და, სხვათა შორის, ტაოს ზოგიერთი ბაგრატიონიც აქ უნდა იყოს დამარხული, მეორე საძვალე ალბათ ბერთა და საეკლესიო პირთათვის იყო დანიშნული. ერთიც და მეორეც ეხლა ძვლე-ბით არის სავსე.

მცირე ფართობი აღმოსავლეთითაც ახლავს ოშკის ტაძარს. წ. ნათ ეს ფართობი ბევრად უფრო დიდი ყოფილა, მაგრამ ეხლა იგი ნაწილობრივ დაუპყრია ხრამს, რომელიც თანდათან ფარ-თოვდება და ემუქრება ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს, ხოლო მეორე დიდ ნაგებობასთან, სემინარია-საოსტიგნესთან, რომელიც ჩრდილოეთით ეკვრის ოშკის ტაძარს, სულ ახლოს არის მისული და მოსპობას უქადის გზას, რომელიც აქედან სოფელ ლოქის ზეკარზე მიემართება და რომლის განი აქ ერთ მეტრსაც აღარ აღემატება.

ვინაიდან ტაძარს აღმოსავლეთით ძალიან მცირე ადგილია დარჩენილი, იქედან აღმოსავლეთ ფასადის მთლიანად გადაღება შეუძლებელი იყო და ერმაკოვიც იძულებული შეიქნა, ორ ნაწილად გადაეღო იგი. მაგრამ ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა მოახერხა აცოცება მაღალ კლდოვან მწვერ-ვალზე (რომელსაც დიდი და ღრმა ხრამი გამოჰყოფს ტაძრისაგან) და შეძლო იქედან მთლიანად გადაღება ტაძრის აღმოსავლეთი ფასადისა და აგრეთვე მასზე ჩრდილოეთით მოშენებული სემი-ნარია-საოსტიგნისა (იხ. ტაბ. 44).

ტაძრის დასავლეთით მდებარე ადგილი მთიანი მაღლობია, მაგრამ ფართოა და ადვილად მისადგომი.

ჩრდილოეთით ტაძარი ეკვრის ფერდობს, რომელიც შვეულად არის ხელოვნურად ჩამოჭრი-ლი სამი მეტრის სიმაღლეზე. ჩრდილო ეკვდრის კედელი სამი მეტრით შორავს ჩამოჭრილ ფერდობს. თუ რამდენად შორავდა ტაძრის ჩრდილო მკლავის კედელი ფერდობს, ძნელი სათქმელია, რადგან ეს ადგილი ეხლა ამოვსებულია მიწით და აღნიშნული მკლავი უერთდება ფერდობსა და სხვა ნაგე-ბობას. მაგრამ აშკარაა, რომ აქ მანძილი იმთავითვე სულ მცირე უნდა ყოფილიყო.

## 2. ტაძრის დაცულობა

ოშკის ტაძარი საერთოდ ცუდად არ არის დაცული. ეს იმის გამოა, რომ მაჰმადიანებს მისი სამხრეთი მკლავი მიზგითად ანუ ჯამედ გადაუქცევიათ და ამიტომ ასე თუ ისე უნდა დაეცვათ კიდევაც მთელი შენობა განადგურებისაგან, მაგრამ ამ გარემოებას მაინც არ შეუშლია მათთვის ხელი, რომ ტაძრის დანარჩენი ნაწილები — სამხრეთი სტოა, ჩრდილო ეკვდერი, დასავლეთი და სამხრეთი მკლავები და სხვანი — გადაექციათ ბოსლად, საჯინიბედ, ფარეხად თუ თივის საწყობად და შესაფერისად გადაეტიხრათ ისინი.

ვიდრე გაზომვასა და აღწერას შევუდგებოდით, გავაწმენდინეთ და ნაგავ-ნაკელისაგან გავა-სუფთავებინეთ მისი ყველა ნაწილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩამოზვავებული თაღები და ქვები იქვე დარჩა. ყველაზე უფრო კარგად დაცულია ტაძრის შუა ნაწილი თავისი გუმბათით და გუმბა-თის ყელით. დასავლეთი მკლავის თაღის 3/5 ჩამონგრეულია (ტაბ. 46 და 57, 1) და ნაწილობრივ თაღი ჩამოვარდნილია საკურთხევლის აფსიდაშიც. ოთხკუთხოვანი გუმბათის მაგვარი ცა სადიაკვ-ნის წინ ჩამონგრეულია. დასავლეთი ფრთის კედელი თავიდან ბოლომდის გაბზარულია. (ტაბ. 56, 1) დასავლეთი ეკვდერი დანგრეულია. ქვის იატაკი შიგნით სანახევროდ აყრილია. ჩრდილო მკლავის პილასტრების ქვები ჩრდილო-დასავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეებში სანახევ-როდ მოძარცულია. რამდენიმე ქვა აკლია ჩრდილოეთის კედლის შინაგან პილასტრებს. აღმოსავ-ლეთ კედელს ქვემოთ და ჩრდილოეთით აკლია რამდენიმე ნათალი ქვა. ასეთი ქვები ამოღებულია აგრეთვე უბეებიდან, დასავლეთი კარის ორივე მხრით. ამას გარდა დაზიანებულია სამხრეთი გრძე-ლი სტოა თავისი ფრონტონებიანად. ერთი სვეტი სამხრეთი კარის წინ დამტვრეულია და მისი თავი თითქოს ჰაერში იყოს ჩამოკიდებული, ისე წკიპზე-ღა უჭირავს პილასტრის ქვას (ტაბ. 71, სურ. 2). გუმბათის ქვის ქუდი, რომელიც ჩვეულებრივ გუმბათს აგვირგვინებდა ხოლმე და რომე-

ლიც ნ. სარგისიანის დროს, 1864 წ., მთლად დაცული ყოფილა, ეხლა ჩამოტეხილია (ტაბ. 57, 1). თავები მოტეხილი აქვთ აგრეთვე მთავარანგელოზთა ბარელიეფებს, რომელნიც ამშვენებდნენ ტაძრის სამხრეთ ფასადს (ტაბ. 52, 2). ესენი ნიშნად ყოფილა მიჩნეული, როდესაც მაჰმადიანი ახალგაზრდობა თოფის სროლაში ვარჯიშობდა და ტყვიებით მოუმტვრევიათ.

## 3. ტაძრის გეგმა

ოშკის ტაძრის გეგმა საერთოდ იმეორებს იშხნის ტაძრის გეგმას, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით (ტაბ. 39—41, 1). მისი სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ უდრის 38,5 მეტრს[1] (დასავლეთი ეკვდრის გამოკლებით); განი შუა ნაწილში, ე. ი ჩრდილო და სამხრეთ მკლავთა ჩათვლით, მცირედ აღემატება 36 მეტრს; სიმაღლე უწევს 40 მეტრამდის.

ოშკის ტაძრის გეგმა, ისევე როგორც იშხნის კათედრალისა, წარმოგვიდგენს ცენტრულგუმბათიანი ტაძრის შეერთებას ერთნავიან ბაზილიკასთან, დასავლეთი მკლავის გაგრძელებით. აქაც ისეთივე ჯვრის სახე გვაქვს შიგნით და გარეთ, როგორიც იშხანში, იგივე ოთხი განსაკუთრებული მძლავრი სვეტ-ბურჯი, რომლებზედაც დამყარებულია მაღალი გუმბათის ყელი და კონუსის მაგვარი გუმბათი; იგივე რთული ნაგებობა საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ცვლილებას, რომელიც გამოიწვია ნერსეს ტაძრის საკურთხევლისა და მისი სვეტნარის დაცვამ იშხანში); ისეთივე ეკვდრები ჩრდილოეთით და დასავლეთით; ისეთივე სტოა-გალერეა ფრონტონებითურთ, როგორიც, ჩვენი წარმოდგენით, თავდაპირველად უნდა ჰქონოდა იშხანს.

მაგრამ ამასთანავე არის ზოგიერთი თვალსაჩინო განსხვავება, რომელიც ოშკს მეტ სილამაზეს და შნოს აძლევს. ჯერ ერთი, იშხნის ტაძარი თავდაპირველად ნათალი ქვით როდი იყო აშენებული; ის ამრიგად შეიძერწა მხოლოდ 1032 წელს. ოშკის ტაძარი კი იმთავითვე აშენებულია ლამაზად თლილი, მოყვითალო-წითელი ფილებით. იშხანში ტაძრის ყველა მკლავი, საკურთხევლის გამოკლებით, შიგნითაც და გარეთაც სწორკუთხოვანია, ხოლო ოშკის ყველა მკლავი, გარდა დასავლეთისა, აფსიდურია, მომრგვალებული; გარეთ კი ისინი სწორი ხაზით თავდებიან, მაგრამ გაყოფილი არიან სამ ნაწილად, ღრმა სამკუთხედი ნიშნებით. ამასთანავე, როგორც აღმოსავლეთ მკლავს ახლავს მარჯვნივ და მარცხნივ აფსიდებიანი ოთახები სამკვეთლოსა და სადიაკვნისათვის, ისე ჩრდილო და სამხრეთ მკლავებს ახლავთ ოთახები პატარა აფსიდებით. ამრიგად, ტაძრის თვითეული მკლავი, გარდა დასავლეთისა, სამაფსიდიანია. საერთოდ ოშკის ტაძრის ქვემო სართულში არის სულ 12 აფსიდი (ტაბ. 39), ვინაიდან პატარა აფსიდები სამხრეთის სტოაშიცაა, ხოლო ჩრდილო ეკვდრის ქვემო სართულიც აფსიდით თავდება. ამას შეიძლება მივუმატოთ სამხრეთი სტოის სამი მომრგვალებული ნიში, რომელნიც ტაძრის სამხრეთ კედელში არიან მოთავსებული და ერთგვარ აფსიდიოლებს შეიცავენ. ამრიგად, ოშკის ტაძარი მრავალაფსიდიან ნაგებობას წარმოადგენს (იხ. ტაბ. 39).

ჩრდილო ეკვდერი იშხანში ერთ-სართულიანია, ოშკში კი ორი სართულისაგან შედგება. ამასთანავე, მისი ზემო სართული წარმოადგენს პატრონიკეს, რომელიც ტაძრის დასავლეთ ფრთაში მომრგვალებული მაღალი სარკმლებით გამოდის, ხოლო აღმოსავლეთით თავდება ორმაგი სარკმლით რომელსაც შუაში სვეტი აქვს აღმართული (ტაბ. 40). ოშკში პატრონიკე არის კიდევ ტაძრის დასავლეთ ნაწილში (ტაბ. 39, 62, 63, სურ. 1 და 2); იშხანში პატრონიკე სრულებით არ არის; ყოველ შემთხვევაში, მისი ნაშთი იქ არსად ჩანს.

სვეტ-ბურჯები და მათზე გადაყვანილი სანახევროდ-ისრული კამარები, რომლებზედაც დამყარებულია გუმბათის ყელი და გუმბათი, ოშკში კიდევ უფრო მონუმენტური, ლამაზი და ძლიერია, ვიდრე იშხანში (ტაბ. 64, 65, 66). აფრები კოვზისებრი სამკაულითაა დამშვენებული, როგორც იშხანში (ტაბ. 63, სურ. 4). წინა სვეტთა საფეხურები მრგვალია, უკანასი—მრავალკუთხედი. (ტაბ. 39). ზემოთ ამ საფეხურებს ენაცვლება დიდებული, საუცხოო კვარცხლბეკები, რომელნიც შემკულია ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევნების წრეთაგან შემდგარი სარტყლით და სხვა ჩუქურთმებით. ამათ ზემოთ სვეტები მრავალწახნაგოვანია, მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ სხვა ფორმას იღებენ და კაპიტელთა მახლობლად მწკრივი წრეებითა და ლენტებით არიან შემკული (ტაბ. 64, 65,66). დასავლეთ ბურჯთა ზემო ნაწილები შემკულია პილასტრებით, რომელნიც უთანასწორდებიან ტაძრის დასავლეთი მკლავის სართავ კამარათა პილასტრებს. დასავლეთ მარცხენა სვეტში არის ღრმა, ისრულ-თავიანი, სვეტებიანი, ფრიად მდიდრულად შემკული ნიში. ასეთი ნიში განკუთვ-

[1] სხვათა შორის, ჩემი გამოთვლით, სწორედ ამ სიგრძე ყოფილა ბაგრატის ტაძარიც ქუთაისში.

ეროვნული

ნილი იყო წინამძღვრის თუ ეპისკოპოსის საჯდომად (ტაბ. 64, 1). ამ სვეტის კვარცხლბ[illegible] ლამაზია და ფრიად მდიდრულად არის შემკული (ტაბ. 64, 2). ასევეა წინა მარჯვენა სვეტის კვარცხლბეკი (ტაბ. 66, 2) და პირველი მარცხენა სვეტის კვარცხლბეკი (ტაბ. 66, 1). სამხრეთი სვეტებიდან ეხლა იწყება მაჰმადიანთა ჯამეს კედელი, რომელიც ნაწილობრივ ფარავს ამ სვეტებს და მათ კვარცხლბეკებს. საზოგადოდ ოშკის ტაძრის სვეტები მოგვაგონებენ ტბეთის ტაძრის სვეტებს, კლარჯეთში[1]. ტბეთის ტაძარი, როგორც ცნობილია, აშენებულია აშოტ კუხის მიერ († 918).

ოშკის დასავლეთი გოდრული თაღები ეყრდნობა ხუთ სართავ კამარას (თუ მათვე მივათვლით დასავლეთ კედელზე მიშენებულს ერთს ნახევარ-კამარასაც). პილასტრებს, რომლებზედაც კამარები ეყრდნობა, რთული სახე აქვთ. მათი ფუძეები მრავალ-კუთხოვანია. დასავლეთი მკლავის სიგრძივი კედლები პილასტრებით დაყოფილია ოთხ დეკორატულ კამარად (ტაბ. 39).

დასავლეთი პატრონიკე სამ გაშლილ კამარას ზემოთ იყო მოთავსებული. იგი უკვე ჩამონგრეულია, მაგრამ მისი კამარები დაცულია (ტაბ. 63. სურ. 1 და 2). პატრონიკეზე ასასვლელი კიბე მოთავსებული იყო ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. ტაძრის დასავლეთი მკლავი კარით უერთდებოდა ჩრდილო ეკვდრის ქვემო სართულს, დასავლეთ კედელთან, პატრონიკეს ქვეშ (ტაბ. 39). ასეთივე კარი აერთიანებდა ჩრდილო ეკვდრის ზემო სართულის პატრონიკეს ტაძრის დასავლეთ, ზედა სართულის პატრონიკესთან (ტაბ. 40).

ტაძარს ოთხი კარი ჰქონდა. ერთი დასავლეთით იყო, ერთი ჩრდილოეთით (ეხლა დახშულია — იხ. ტაბ. 70—და გარედან სულ აღარ მოჩანს), რადგან მიწით არის ამოვსებული და შეერთებულია ჩრდილო ფერდობთან და მასზე აგებულ მერმინდელ ნაგებობასთან (აქ ჩვენ დროს იყო პატარა ოთახი, რომელშიაც ერთი სომხის დედაკაცი ცხოვრობდა). დანარჩენი ორი კარი სამხრეთით იყო მათ შორის უმთავრესი, საზეიმო და მდიდრულად მორთული, ტაძრის სამხრეთ მკლავშია. ამ კარს ამშვენებს საუცხოოდ შემკული და დღემდე სრულიად უნაკლოდ დაცული კარიბჭე (ტაბ. 39, 42, 46, 49, 50, 51). მეორე კარი იყო სამხრეთ მკლავში, სტოადან (ტაბ. 39, 42). ჩრდილო ეკვდრის კარი არის მის დასავლეთ კედელში (ტაბ. 39).

ოშკის ტაძარი უხვად და მშვენივრად ყოფილა განათებული მრავალრიცხოვან სარკმელთა საშუალებით. გუმბათის ყელში 12 სარკმელია[2], საკურთხეველში 3, სამკვეთლოსა და სადიაკვნეში თითო; ამდენივეა მათ ზედა სართულებში. სარკმელთა რიცხვი პატარა აფსიდებში, რომელნიც თან ახლავს ჩრდილო და სამხრეთ მკლავებს, ერთი და იგივე არ არის: ჩრდილო მკლავის ქვედა სართულის აფსიდებში ორ-ორია, სამხრეთი მკლავის აფსიდებში კი თითო (ტაბ. 39). ამის მიზეზი ის არის, რომ ჩრდილო მკლავი სულ დაახლოვებული იყო ფერდობის ჩამონაჭერთან და აქედან ერთი სარკმელი საკმაო სინათლეს ვერ მისცემდა ტაძარს, ვინაიდან იგი ფერდობის ჩამონაჭერის ხაზს ზემოთ კი არ იყო მოქცეული, არამედ ქვემოთ. ზედა სართულებში კი ამგვარ აფსიდებს თითო სარკმელი ახლავს (ტაბ. 40). ტაძრის ჩრდილო და სამხრეთი მკლავების ზედა სართულების სამივე ნაწილში აგრეთვე თითო სარკმელია. დასავლეთ მკლავში სამხრეთით სამი (ტაბ. 40, 42), ხოლო დასავლეთით ერთი ორმაგი სარკმელია (ტაბ. 40; 56, 1). ჩრდილო ეკვდრის ორთავე სართულში ოთხ-ოთხი სარკმელია, ჩრდილოეთით, (ტაბ. 39, 40). სარკმლებს, ეტყობა, ალებასტრის ჩარჩოები ჰქონიათ, მაგრამ არ შენახულა; ამ ალებასტრის მცირე ნაწილი მოჩანს მხოლოდ გუმბათის ყელის ერთ სარკმელში (ტაბ. 57, 3).

ყველა ჩრდილო და სამხრეთ კუთხის ოთახში აღმოსავლეთით არის პატარა მომრგვალებული თაროები, ნიშები. მათ ვერ ვხედავთ მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთ პორტიკში. (ტაბ. 39). ამას გარდა, ქვედა სართულის ყველა გვერდითს ოთახს შესასვლელები აქვს განცალკევებული ოთხკუთხოვანი სივრცეებიდან, რომელთა ზედა სართულის ცა გუმბათოვანი თაღებით და აფრებით თავდება. ეს აძლიერებს ტაძრის სიმაღლის შთაბეჭდილებას, როდესაც დასავლეთიდან საკურთხეველს უმზერთ. მაგრამ მათი ფარდი ოთხკუთხედი სივრცეები დასავლეთით ასეთი თვალსაჩინო გუმბათოვანი ცით კი არ თავდება, არამედ სულ მცირე შესამჩნევი გუმბათოვნობით. ეს, რა თქმა უნდა, იმით აიხსნება, რომ ისინი არ ჩანან, როდესაც ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილს უცქერით დასავლეთიდან, და მათ არ შეუძლიათ გააძლიერონ ნაგებობის სიმაღლის შთაბეჭდილება. სამკვეთლოს და სადიაკვნის ზედა სართულები უერთდებიან ამ სივრცეებს ორმაგი კამარებით, რომელთაც შუაში სვეტი აქვთ. ამავე წესით ჩრდილო ეკვდრის ზედა სართულის პატრონიკე უერთდება

---

[1] П а в л и н о в, МАК, вып. III, стр. 71—75.

[2] გლუვ წახნაგებში მრგვალი პატარა სარკმლები როდია გამოჭრილი იშხანსავით. ეს გასაგებიცაა: თავდაპირველად ხომ, როგორც ზემოთ სათანადო ადგილასაა აღნიშნული, არც იშხნის გუმბათს ჰქონია ასეთი სარკმლები.

ასეთსავე სივრცეს მის აღმოსავლეთით (ტაბ. 40). ამავე პატრონიკის აღმოსავლეთ კუთხეში ჩანს ნაშთები კიბისა, რომელიც მიდიოდა გუმბათის ყელთან. მისავალი ეხლა დახშულია [illegible] ქვებით. სამკვეთლო და სადიაკვნე თითო კარით უერთდება საკურთხეველს. ხოლო მათი ზედა სართულები ვიწრო გასასვლელებით არიან შეერთებული გვერდის ოთახებთან. ასეთივე გასასვლელით უერთდება ჩრდილო პატრონიკე ჩრდილო-დასავლეთ გვერდის ოთახს (ტაბ. 40). ამას გარდა, კუთხის ყველა ოთახი შეერთებულია ჩრდილო და სამხრეთი მკლავების აფსიდებთან ღია კამარებით.

ოშკის საკურთხეველში დაცულია დიდი ოთხკუთხედი, მთელი ქვისაგან გამოკვეთილი ტრაპეზი, რომელიც უძრავად არის მოთავსებული საკურთხევლის შუა ნაწილში, აღმოსავლეთი კედლიდან 2 მეტრის მანძილზე. მისი სიგრძე უდრის 1,73 მეტრს, განი 86 სანტიმეტრს. სიმაღლე 85 სანტიმეტრს. საკურთხევლის იატაკი 3/4 მეტრით არის ამაღლებული ტაძრის იატაკთან შედარებით.

## 4. ტაძრის ფასადები და სამხრეთის გალერეა

**აღმოსავლეთი ფასადი**, ტაძრის შინაგან გეგმასთან სრული შეთანხმებით, დაყოფილია ხუთ კამარად (ტაბ. 41, 2, 47, 48). სამი შუა კამარა ერთ ფრონტონშია მოქცეული და გამომხატველია საკურთხევლის შუა აფსიდისა; დანარჩენი ორი, მის მარჯვნივ და მარცხნივ, შეესაბამება სამკვეთლოს და სადიაკვნეს. ამ უკანასკნელ კამარებში ორ-ორი სარკმელია, თითო-თითოც ქვედა და ზედა სართულებში, მაგრამ სამ ცენტრალურ კამარაში მარტო თითო სარკმელია. სარკმელთა თავები ყველა შემკულია ორნამენტებით, ხოლო ცენტრალური კამარის მთავარ სარკმელს ორნამენტი ახლავს ირგვლივ, ქვემო ნაწილის გარდა (ტაბ. 47). აღსანიშნავია, რომ ეს ორნამენტები ისე ზერელეა, თითქოს ქვაზე ამოჭრილი კი არა, არამედ ხელით ნახატი დეკორიაო. აღნიშნული შუა კამარა ყველაზე მაღალია და ფრონტონამდე ადის.

სწორედ ამ ადგილას, ფრონტონს ქვეშ, დიდ ქვაზე ყოფილა რელიეფი, როგორც ეტყობა, ტაძრის ხუროთმოძღვრისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ქვა გამოვარდნილა და დამტვრეულა. მისი ზედა ნაწილი ე. ი. თავი დაკარგულია. ქვედა ნაწილი, მუხლებსზევით, ვიპოვნეთ იმ ქვებში, რომლებითაც შემოზღუდული იყო ტაძრის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ბოსტანი და გადმოვიღეთ მისი ორი ფოტოგრაფიული სურათი — ერთი მოდიდო და მეორე მომცრო. ეს უკანასკნელი უკეთ იყო გამოსული, მაგრამ ფოტოფირფიტა გზაში გაგვიტყდა. ტაბულაზე (55) ვათავსებთ ხელით ნახატს (ფოტო-სურათიდან გადმოღებულს) და ერთ ფოტოგრაფიულ სურათს იმ ქვისას, რომელნიც გვამცნობენ რელიეფის შინაარსს. აქ წარმოდგენილია მამაკაცი, რომელსაც აცვია საერო ქართული ტანისამოსი: გრძელ-სახელოებიანი კაბა და ქსოვილის და არა მეშის სარტყელი. ხელები, ნებთა გაშლით, გულზე აქვს სამლოცველოდ ამაღლებული.

რა თქმა უნდა, დაკარგული თავისა და პირის ირგვლივ წარწერილი იქნებოდა ხუროთმოძღვრის ვინაობა, სახელი და გვარი, მაგრამ წარწერის ეს ნაწილიც ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. სამაგიეროდ, ბარელიეფის მხრებზე დაცულია მცირე ლამაზი ასომთავრული წარწერა. იგი შეიცავს სულ სამ სიტყვას. ეს სიტყვები ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია. მათი ასოები განლაგებულია ფიგურის მარჯვენა და მარცხენა მხრებზე, მარჯვენა მხარზე დაცულია ორი პწკარი, მარცხენაზე კი — ოთხი. ამ ოთხი პწკრის ასოები მშვენივრად არის შენახული და იკითხება:

სა
აშ
ნებ
და

ამ წარწერის პირველი ორი ასო **სა** წარმოადგენს დაბოლოებას მარჯვენა მხრის უკანასკნელი სიტყვისას, რომელიც წაბლალულია, მაგრამ მაინც ჩანს, რომ შეიცავს **წლ** ასოებს, მაშასადამე, წარწერის ეს ორი სიტყვა ასე იკითხება: „წელსა აშენებდა“. სახელდობრ თუ რამდენ წელს აშენებდა, დაწერილი ყოფილა მარჯვენა მხრის პირველ სიტყვაში, მაგრამ საუბედუროდ, ამ სიტყვის პირველი სამი ასოც წაბლალულია ისე, რომ სამივე ასოს ერთი და იგივე სახე მიუღია (იხ. ტაბ. 57). სამივე ერთნაირად შეგვიძლია მივიჩნიოთ: ანადაც, თანადაც და ონადაც. უკანასკნელი ასო უთუოდ **ს** ასოსაგან არის წარმომდგარი და მისი დაბოლოება (ა) კარგად არის დაცული მეორე სტრიქონის დასაწყისში. მაშასადამე, პირველი სიტყვის დაბოლოება ყოფილა **სა**, ისევე როგორც მეორე სიტყვის დაბოლოებაა, მარცხენა მხარეზე. წაბლალული პირველი სიტყვის პირველი ორი ასო უნდა იკითხებოდეს **ათ**, ან, ნაკლები ვარაუდით, **ოც**. ამრიგად, მთელი წარწერა უნდა იკითხებოდეს: „ათსა წელსა აშენებდა“, ან, ნაკლები ვარაუდით, „ოცსა წელსა აშენებდა“.

ჩვენი რწმენით, უფრო სწორია „ათსა წელსა“. ადგილობრივ დაკვირვებით ისეთი შთაბეჭდილება, რომ პირველი ასო ყოფილა ა და მეორე კი თ. ეს ასეც უნდა იყოს. როგორც ოშკის დიდი კარიბჭის კარაკინზე გამოყვანილი წარწერიდან ჩანს, ტაძრის შენება ერთობ ინტენსიურად უწარმოებიათ— სახელდობრ, დღეში 70 მუშა უმუშავებიათ. ამიტომ შენობა ათი წლის განმავლობაში უნდა დამთავრებულიყო, ოცი წელიწადი საამისოდ მეტად დიდი დრო იქნებოდა. და თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დიდ დღიურ ხარჯებსაც, რომლებიც აღნიშნულია წარწერაში, მით უფრო შეუძლებელია, ხანგრძლიობა ოც წლად მივიჩნიოთ. ამრიგად, მთელი წარწერა ასე უნდა წარმოვიდგინოთ.

ათს
ა წლ სა
აშ
ნებ
და

ე. ი. „ათსა წელსა აშენებდა“.

ეხლა განვაგრძოთ აღმოსავლეთის ფასადის დანარჩენი ნაწილების აღწერა.

იმ ორ კამარაში, რომელნიც მარჯვნივ და მარცხნივ ეკვრიან შუა კამარას, თვითეულში მოთავსებულია თითო ღრმა და მაღალი ნიში. ამათი თავები შიგნით შემკულია პოლიქრომული, მარაოს მსგავსი ორნამენტით (ტაბ. 50, 59). ასეთი ნიშები, როგორც ცნობილია, ქართულ ხუროთმოძღვრებაში მარტო ორნამენტულ დეკორს კი არ შეიცავენ ხოლმე, არამედ გარეგნულადაც აღნიშნავენ სამკვეთლოს და სადიაკვნის გამოყოფას საკურთხევლის აფსიდისაგან და ამასთანავე ამსუბუქებენ კედლების ზედმეტ სისქეს.

აღმოსავლეთით ოშკის ტაძრის ზეძირკველი სამი საფეხურისაგან შედგება.

**დასავლეთი ფასადის** (ტაბ. 52,1) უმთავრეს შემკულობას წარმოადგენს ორმაგი, მდიდრულად მორთული სარკმელი (რომელსაც შუაში სვეტი აქვს) და სარკმლის თავზე წარმოდგენილი ლამაზი ბარელიეფი სვიმეონ მესვეტისა (ტაბ. 59). შუა სვეტის თავი შემკულია ოთხი ყურძნის მტევნის ქანდაკებით. სარკმელს აქეთ-იქით აქვს ორმაგი, გრძელი სვეტებისაგან შემდგარი ჩარჩოები, რომელთა თავები შემკულია აკანთებით. ზედა კამარების ფოთლოვან მორთულობაში ხშირად არის წარმოდგენილი ცხოველთა ლამაზ მინიატურულ ქანდაკებათა წყება. მათ შორის მარჯვნივ სამი გრიფონია. მარცხნივ ლომი, რომელიც კუროს გლეჯს; უკან კი—უკანა ფეხებზე დამდგარი ლომის ლეკვი. სამივე სვეტის იმპოსტები შემკულია.

სარკმლის თავის შუა ნაწილიდან აღმართულია სამ-საფეხურიანი სვეტი, რომელზედაც დამყარებულია ერთობ შნოიანი ბარელიეფი სიმეონ მესვეტისა, ჯვარით გულზე, მოგრძო-მომრგვალებული წვერით და თავზე საბერო ქუდით, ჩაჩით. წმინდანის პირი ეხლა დაზიანებულია ზევიდან ჩამოვარდნილი ლავგარდანის ნატეხით, მაგრამ ერმაკოვის 1874 წლის ფოტოზე, რომელსაც ჩვენ აქ ვათავსებთ, იგი უზადოდ დაცული ჩანს (ტაბ. 52,1).

ერთობ ლამაზი წნულით შემკული, ჰორიზონტულ-ქუსლებიანი ნახევარი წრე ქუდივით ფარავს მთელ სარკმელს და მასზე წარმოდგენილს ბარელიეფს სიმეონ მესვეტისას. ამ ნახევარი წრის შიდა არე მოცულია პოლიქრომულად შესრულებული დიდი მარაოს სურათით (ტაბ. 52, 1.). ზემოთ, დასავლეთის ფრონტონის ძირში მოჩუქურთმებული ჯვარია, რომლის ფუძეც შედგება მტევნებით შემკული სამი კამარისაგან.

ჩრდილო ზედა ეკვდრის დასავლეთ კედელში ერთი მცირე, მოგრძო ოთხკუთხედ-თავიანი სარკმელია. დასავლეთი ფასადის სარკმლის მარჯვნივ კედელი თავიდან ბოლომდე გაბზარულია. ერმაკოვს შემდეგ ნაბზარს ცოტა მოუმატნია. ლავგარდანი ეტყობა მხოლოდ ფასადის დასავლეთ მხარეზე. დასავლეთი კარი მოქცეულია ფასადის შუაში, სარკმელს ქვემოთ. მის ორთავე მხარეს არის თითო, ოდნავ ისრული კამარა, ღრმა და ვრცელი ნიშებითურთ.

დასავლეთით, როგორც აღვნიშნეთ, ოშკის ტაძარს ეკვდერი ჰქონდა მიდგმული ტაძრისა და ჩრდილო ეკვდრის მთელ სიგანეზე: სამხრეთ სტოას მაშინ ეკვდერი არ ჰქონია. ამ სტოასთვის შემდეგ, უფრო გვიან, მიუშენებიათ ეკვდერი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ოთახი, რომელიც ძალზე აუშნოებს სამხრეთის საუცხოო ფასადს (ტაბ. 39, 42). ეს დასავლეთი ეკვდერი დაბალი ყოფილა; მას ცალფერდა სახურავი, ხუთი სართავი კამარა და გოდრული თაღი ჰქონია. კედლები აგებული ყოფილა ნაწილობრივ ნატეხი და ნაწილობრივ ტლანქად თლილი ქვით, ხოლო კამარები და თაღები უფრო ლამაზად თლილი ქვით. თაღები სულ ჩანგრეულია და საზოგადოდ სხვა ნაწილებიც ცუდად არის დაცული. რომ ეკვდერი ტაძრის თანამედროვე არ არის, არამედ მერმეა მიშენებული, ეს იქიდა-

ნაც ცხადად ჩანს, რომ ის სხვა მასალით არის ნაშენი და, ამას გარდა, მას დაუზიანებია ეკვდრის პირველი სართულის დასავლეთი სარკმელი. ამ ეკვდერს ჩრდილო კედელში სამი სარკმელი ჰქონია.

**სამხრეთი ფასადი** ოშკის ტაძრის მთავარი ფასადია; იგი ურთულესია, უმშვენიერესი და ყველაზე უფრო მდიდრულად შემკული (ტაბ. 42, 44, 46). განსაკუთრებით მოხდენილი და საგანგებოდ შემკულია გარეთ გამოწვდილი მარჯვენა მკლავი ტაძრისა. მას, როგორც აღმოსავლეთ ფასადს, ამშვენებს კამარნარი. აქაც ხუთი კამარაა, ხოლო თვითეულში თითო სარკმელია. შუა, უმაღლესსა და უდიდეს კამარაში ქვემოთ მოთავსებულია საზეიმო შესავალი საუცხოო კარიბჭით, რომელიც, საბედნიეროდ, უზადოდ არის დაცული (ტაბ. 43, 46, 49). უფრო დაბალ კამარებში, შუა კამარის მარჯვნივ და მარცხნივ, ღრმა და მაღალი სამკუთხოვანი ნიშებია, რომელთა ზემო ნაწილები შემკულია გამოქანდაკებული თორმეტმუხლოვანი „მარაოებით“. ამ უკანასკნელთა მუხლები პოლიქრომულად — წითელი, თეთრი და მწვანე ფერადებით (ტაბ. 46, 52) არის შეღებილი.

საზეიმო კარს ზემოთ დიდი მომრგვალებული სარკმელი აქვს, ირგვლივ ნაზი ჩუქურთმით შემკული. ამგვარივე ჩუქურთმით არის შემკული სარკმლის თავიც, ხოლო თავის წრის ქუსლები ცხოველთა ორნამენტით არის მოცული. სარკმლის თავის წრის ქვეშ ჩვეულებრივი პოლიქრომული „მარაო“ წარმოდგენილი (ტაბ. 46, 52). წრის ზემოთ ამოჭრილია ბარელიეფი: არწივს ბრჭყალებით უჭირავს რაღაც ოთხფეხი ცხოველი. სამწუხაროდ, ეხლა არწივის თავიცა და ცხოველის თავიც მოტეხილია, მაგრამ ერმაკოვის ფოტოგრაფიაზე არწივს თავი აქვს. ცხოველის ქვეშ რომელიღაც ფრინველი მოჩანს (ტაბ. 52, 2). სულ ზემოთ, ფრონტონს ქვემოთ, ამ კამარაზე წარმოდგენილია ბარელიეფი, რომელიც გამოხატავს მთავარანგელოზებს, თავით ფეხამდე, ხელში საზომებით. მარცხნივ მიქელია, მარჯვნივ—გაბრიელი. ასომთავრული წარწერები წითელი ფერით არის გამოყვანილი. მიქელს თავი მოტეხილი აქვს, გაბრიელს—დაზიანებული (ტაბ. 52, 2). იმ სარკმელთა თავები, რომლებიც ტაძრის სამხრეთ მკლავის სხვა კამარებშია მოქცეული, წარმოადგენს ნაზი წნულებით შემკულსა და წითელი ფერით შეღებილ ნახევარ-წრეებს. მხოლოდ მარჯვენა კამარის სარკმლის თავის წრე ფრინველთა გამოსახულებითაც არის შემკული. მარჯვენა განაპირა კამარის სარკმლის თავი ქანდაკოვანი სახეებით არის მოცული. მოგრძო ქვაზე ზემოთ წარმოდგენილია ხე, რომელსაც მისდგომიან და შტოებს კვნეტენ ირმები. მარჯვნივ ორი ირემია, მარცხნივ ერთი. ამ უკანასკნელს მიჰპარვია მონადირე და დაჩოქილი ესვრის ისარს (ტაბ. 53, 2) სარკმელს ქვემოთ, განცალკევებულ ქვაზე, სხვა ბარელიეფებია: ორი ლომი ირემს დასცემია, მესამე კი ზემოდან დასცქერის მათ. ბარელიეფი დაზიანებულია.

ლავგარდანი შედგება სამი ორწყება ქვისაგან და ზემოთ შემკულია ფესტონებით. ტაძრის სამხრეთ მკლავში შესასვლელის ლამაზი კარიბჭე შედგება სამი გაშლილი, ოდნავ ისრული კამარისაგან. იგი დახურულია კრამიტის ორფერდა სახურავით (ტაბ. 52, 2). ბურჯები, რომლებზედაც კამარებია დამყარებული, შედგება მთელი გროვა პატარა სვეტებისაგან, თავიანთი კვარცხლბეკებითა და თავებითურთ, რომელნიც ნაირ-ნაირი ორნამენტებით არიან შემკული (ტაბ. 42, 49). მარცხენა, რთული ბურჯის თავი, კაპიტელი, შემკულია ყურძნის მტევანთა ქანდაკებებით, მარჯვენისა კი ფოთლოვანი ორნამენტით (ტაბ. 50, 51). ჩუქურთმით შემკულია აგრეთვე მარცხენა სვეტი და მეორე მარჯვნივ, მაგრამ ამ უკანასკნელზე შემკულობა მხოლოდ შუამდეა აყვანილი (ტაბ. 50, 51). ამასთანავე, მარცხენა ღერძზე დაცულია წითელი ფერადით გამოყვანილი კონტურები, რომელთა მიხედვით უნდა ამოეჭრათ ჩუქურთმები. ეს შემთხვევით გადარჩენილი კონტურები გვიჩვენებენ, თუ რა წესით ხდებოდა ჩუქურთმათა დამუშავება ქართულ ძეგლებზე: შენობის დამთავრების შემდეგ საჩუქურთმო ადგილზე წითელი ფერით ხატავდნენ კონტურებს და ამათ მიხედვით ამოსჭრიდნენ ქვაზე ჩუქურთმებს. ამოჭრას იწყებდნენ ქვემოდან და ჩუქურთმა ზემოთ აჰყავდათ. კარიბჭის ცა გუმბათოვან-თაღიანია. შუაში მას ჯვარი აქვს. ამ კარიბჭიდან შესავალი კარი ეხლა დახშულია მაჰმადიანების მიერ, რადგან ტაძრის მარჯვენა მკლავი მათ გამოყენებული აქვთ ჯამესთვის და „ქუნბეთი“ სწორედ ამ კარშია მოქცეული. ამან გადაარჩინა განადგურებას როგორც კარიბჭე, ისე კარაკინის დიდი ასომთავრული წარწერა, ბოლოში ცოტა ნაკლული. ეს წარწერა ქვემოთ იქნება მოყვანილი.

**სამხრეთის სტოა-გალერეა** არა ნაკლებ ლამაზია, ვიდრე ზემოთ აღწერილი კარიბჭე. იგი სიგრძივ გაჰყვება დასავლეთ მკლავს და ოთხ ნაწილად არის გაყოფილი. ნაწილები ერთმანეთს უერთდება ღია კამარებით, ხოლო გარეთ გამოდის ფრონტონიანი გაშლილი კამარებით (ტაბ. 39, 42, 46, 71, 72). თითოეულ ნაწილს, გარდა მესამისა დასავლეთიდან (სადაც ტაძარში შესასვლელია მოწყობილი), ტაძრის კედელში ახლავს მომრგვალებული ნიში, აფსიდიოლი, ასე რომ ისინი ცალ-ცალკე სამლოცველოებადაც გვევლინებიან. ნამეტნავად ჩანს ეს პირველ ნაწილში, რომელსაც

უფრო დიდი აფსიდა აქვს აღმოსავლეთ კედელში და რომლის თაღში შერჩენილია საკმაოდ კარგად დაცული დიდი ფრესკა ქვეყნის მპყრობელი მაცხოვრისა (ტაბ. 41). ფანჩატური შიგნით გადახურულია გუმბათოვან-ქანდაკებიანი თაღებით, მრავალ-სხივოსანი ვარსკვლავის მაგვარად. გარედან სახურავი ორფერდა არის. გალერეის თაღები სვეტების ოთხ წყვილს შორის გოდრულია. სვეტები შემკულია კვარცხლბეკებით და ნაირ-ნაირი თავებით (ტაბ. 71, 72): შიდა წყების სვეტისთავები უფრო ლამაზია, ვიდრე გარეთა ოთხი სვეტისა.

ზემოაღწერილის მსგავსი გალერეა თითქოს არცერთ სხვა ქართულ ეკლესიაში არ შემონახულა, მაგრამ ჩვენი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლის აღწერის[1] მიხედვით, ამგვარი გალერეა ჰქონია სოფელ ეხვევის ეკლესიასაც (ყვირილის ხეობა, საჩხერის რაიონი). 1920 წელს მე ვინახულე ეს ეკლესია, მაგრამ სამწუხაროდ, იქ აღარავითარი გალერეა აღარ დამხვედრია, არც ჩრდილოეთით და არც დასავლეთით: ისინი ეხვევლებს მოეშალათ ეკლესიის რესტავრაციის დროს[2].

ეხვევის ეკლესიას თარიღი არ გააჩნია. გ. წერეთელმა იგი IX საუკუნეს მიაკუთვნა, მე კი — XI საუკუნეს. მე, რა თქმა უნდა, კარ-სარკმელთა კარგად შემონახული სამკაულის სტილისტიკურ ანალიზს ვემყარებოდი. ამასთანავე აღვნიშნე, რომ ეხვევის ტაძრის გალერეები, გ. წერეთლის მიერ აღწერილი, სავსებით ანალოგიური ყოფილან X საუკუნის მეორე ნახევარში აგებული ოშკის ტაძრის სამხრეთი გალერეისა.

ჩემ შემდეგ, სახელდობრ 1938 წელს, ეხვევის ეკლესიას სწვევიან ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე-ხუროთმოძღვარი ვახტანგ ბერიძე და ხუროთმოძღვარი ბეჟან ლორთქიფანიძე. პირველს უკვე გამოქვეყნებული აქვს ამ ეკლესიის დაწვრილებითი აღწერა თავისი გეგმებით, ნახაზებითა და ფოტო-სურათებითურთ[3].

როგორც ეტყობა, ვ. ბერიძე მაშინ არ იცნობდა ჩემს ზემოთ მითითებულ წერილს, მაგრამ ეხვევის ეკლესიის აშენებას ისიც XI საუკუნით ათარიღებს. ამასთანავე, მისი აზრით, ეხვევის ეკლესიაში, გ. წერეთლის მიერ აღწერილი გალერეის აგება ტაო-კლარჯეთის ისეთ ნაგებობათა გავლენას უნდა მიეწეროს, როგორიც ოშკის ტაძარი იყო და ეს გავლენა უნდა დაწყებულიყო მას შემდეგ, რაც ცალკეული დამოუკიდებელი სამთავროები მთლიან საქართველოს სამეფოდ გაერთიანდა, ბაგრატ III (978—1014) დროს. აგრეთვე სავსებით სწორად იქცევა ავტორი, როდესაც იშხნის ტაძრის სამხრეთი კარის წარწერას მეფე გიორგი I-ს (1014—1027) მიაწერს და არა გიორგი II-ს (1072—1089), როგორც ბროსე ჩადიოდა. ეჭვმიუტანელია ავტორის ის დებულებაც, რომ იშხნის ტაძრის სამხრეთი კარის სამკაული სავსებით ანალოგიურია ეხვევის ეკლესიის კარიბჭისა და სარკმლების ასეთივე სამკაულისა, მაგრამ ის კი აღარაა სწორი, რომ იგი, როგორც ჩანს, ამ სამკაულებსაც გიორგი I-ს დროს აკუთვნებს. იშხნის ტაძრის გარეგანი გაფორმება და სამკაული უნდა მიეწეროს ტაძრის გარეგანი სახის რესტავრატორებს (1032 წ.), რომელთაც თლილი ქვით შემოსეს ტაძარი და იმ მდიდრული დეკორით მორთეს მისი კედლები და კარ-სარკმლები, რომელიც დღესაც აღტაცებას იწვევს. სამხრეთ კარში ამ რესტავრატორებს გიორგი I-ის დროინდელი მხოლოდ კარაკინი და მისი წარწერა დაუტოვებიათ ხელ-უხლებელი, დანარჩენი კი ყველაფერი (კარის მომრგვალებული სათაური ჰორიზონტული ქუსლებით, ჩარჩოებით, ორმაგი გრეხილი სვეტები, ფაქიზი წნულები და სხვ.) ხელახლა გაუკეთებიათ, ზუსტად ისეთივე სამკაულის მსგავსად, ტაძრის სამხრეთი კედლის სამ სარკმელს რომ ამკობდა იმ მხარეს, სადაც კარი იყო.

ოშკის ტაძრის დასავლეთი ფასადის აღწერას თუ განვაგრძობთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სტოის ზემოთ, დასავლეთ კედელში არის სამი სარკმელი ნახევარწრიული თავებით, რომელთა ქვეშ პოლიქრომული მარაოს ორნამენტებია მოქცეული (ტაბ. 42, 46). ამას გარდა, დასავლეთი მკლავის სამხრეთი ფასადი შემკული ყოფილა სამი მთავარანგელოზის ბარელიეფით. მთავარანგელოზები გამოხატული ყოფილან თავით ფეხამდე. მათი სახელები წითლად ყოფილა ნაწერი, მაგრამ გადარჩენილია მარტო ორი ლავგარდანს ქვეშ მოთავსებული ფიგურა და ისიც თავ-მოტეხილი (ტაბ. 42, 46).

**სამხრეთი სტოის გვიანი მინაშენი.** სამხრეთ სტოას დასავლეთით მიშენებული აქვს გვიანი დროის ეკვდერი, თლილი ნაცრისფერი ქვით ნაგები. ამ ეკვდერს შემოსასვლელი დასავლეთით აქვს

---

[1] იხ. მისი წერილი ჟურნ. „კვალ"-ში, 1895 წ. № 20, და მისივე „Археологическая прогулка по Квирильскому ущелью" (МАК, вып. VII, 1898 г., стр. 105, 108).

[2] დათვალიერებული ეკლესიის მოკლე აღწერა 1936 წელს მოვათავსე ჟურნალ Georgica-ს (A journal of Georgian and Caucasian Studies) I ტომის 2—3 ნომერში. (გვ. 169—172, ტაბ. XVII—XXII).

[3] ვ. ბერიძე, ეხვევი: Ars Georgica, I, 1942, გვ. 141—148 ტაბ. 15—17 ფრანგ. რეზუმე, 164—165.

(ტაბ. 42, 43). დასავლეთით, ფრონტონს ქვეშ არის ორი მთავარანგელოზის ბარელიეფი, საშუალო ღირსების ხელობისა (ტაბ. 72). ბარელიეფები ცოტა დაზიანებულია. სართავი კამარები სამხრეთით ჩამოკიდებული არიან, ხოლო ჩრდილოეთით ემყარებიან ბრჯენებს („კრონშტეინებს"), რომელნიც მიშენებულია დასავლეთი ეკვდრის სამხრეთ კედელზე, მაგრამ ეს მინაშენი ეკვდერი კარით როდია შეერთებული ადრინდელ დასავლეთ ეკვდერთან. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ სამხრეთით სტოის ეკვდერი ტაძრის დასავლეთი ეკვდრის შემდეგ არის აგებული, ხოლო დასავლეთი ეკვდერი, თავის მხრივ, როგორც აღნიშნული იყო, ტაძრის თანამედროვე კი არ არის, არამედ მერმინდელია. ეს მინაშენი აუშნოებს სამხრეთი ფასადის სახეს, არღვევს მის ჰარმონიას და სილამაზეს და თან ჩრდილავს სამხრეთი სტოის უკანასკნელ გაშლილ-კამაროვან ნაწილს და მასში მოთავსებულს, ორნამენტებით შემკულს, ორ საუცხოო სვეტს. მინაშენი უნდა ეკუთვნოდეს XV—XVI საუკუნეებს, არა უადრეს.

**ორნამენტებით შემკული ორი სვეტი.** სამხრეთ სტოის უკანასკნელ დასავლეთ მონაკვეთში, როგორც აღვნიშნეთ, მოთავსებულია ორი განცალკევებული სვეტი, იშვიათი თავისებური ორნამენტებით შემკული. ამათი მსგავსი რამ სხვა ქართულ ტაძრებში ჯერ ცნობილი არ არის. ერთი მათგანი წარმოადგენს მთლიანი ქვისგან გამოთლილ მრგვალ სვეტს. მისი ორმაგი კვარცხლბეკიც მრგვალია. ნრგვალია აგრეთვე სვეტის თავი. მთელი სვეტი შემკულია ერთობ ნაზი ჩუქურთმებით, რომელიც წრეებისაგან შედგება (შუაში პატარა ჯვრებით) და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ხავერდით იყოს შემოსილი (ტაბ. 59, 3 და 72, 2). მისი კვარცხლბეკიც და თავიც მოჩუქურთმებულია. მეორე ვეებერთელა სვეტი რვა-წახნაგოვანია, მაგრამ მისი წახნაგები სხვადასხვა ზომისაა: ოთხი ფართოა, ხოლო ოთხი, მათ შორის მოქცეული, ვიწრო. სვეტის თავიც რვა-წახნაგოვანია და შემკულია კბილოვანი ორნამენტითა და პალმეტებით. სვეტის თავზე დამყარებულია დიდი ქვა ზედ გამოყვანილი ბარელიეფით, სიმეონ მესვეტისა (ტაბ. 73 და 74, 1). სიმეონი წარმოდგენილია ლოცვად ხელ-აპყრობილი. თავზე მას საბერო ქუდი ახურავს, წვერი მოგრძო და მომრგვალებული აქვს. მისი პირისახე ეხლა დაზიანებულია. სვეტის თავის წახნაგებზე წარმოდგენილია ყველა ანგელოზთა დასის ქანდაკოვანი ფიგურები: მთავარანგელოზნი, ანგელოზნი ქერაბინნი, სერაფიმნი და სხვანი. გამოქანდაკებულია აგრეთვე მახარობელთა ემბლემები: არწივი, კურო, ლომი და ანგელოზი (ტაბ. 73—78). თვით სვეტის ყოველი წახნაგი მოცულია ნაზი და რთული ჩუქურთმებითა და არაბესკებით, ხოლო ამათ შორის მოთავსებულია წმიდათა ფიგურები, ნიღაბები და ბურთულები. მაგრამ ბევრ ადგილას ფიგურები და ბურთულები მოტეხილია. მაგალითად, სამხრეთ წახნაგზე ექვსი ნიღაბიდან სამია დაცული; დასავლეთ წახნაგზე გამოხატულია ვედრების კომპოზიცია (ტაბ. 59 და 75, 1), რომელზედაც ქრისტესა და ღვთისმშობელს ხელში უჭირავთ ქარტები. ამ უკანასკნელებზე ყოფილა წითელი წარწერები, რომლებიც ეხლა გადასულა; ქრისტეს შარავანდიც ფერადი ყოფილა. ვედრების კომპოზიციის ქვემოთ, მარჯვნივ წარმოდგენილია მუხლ-მოყრილი ფიგურა ტაძრის მშენებლობის გამგის, გრიგოლ ოშკელისა (ტაბ. 77, 2 და 78, 2) წითელი ასომთავრული წარწერით:

| | |
|---|---|
| „ქნ შე მნჲ<br>შენი გრიგო<br>ლ[1]. | ესე იგი: „ქრისტე, შეიწყალე<br>მონაჲ შენი გრიგოლ"[2]. |

ვედრების კომპოზიციის ზემოთ არის მთავარანგელოზთა წარწერები: „მქლ", „გბრლ". მის მარჯვნივ და მარცხნივ, ვიწრო წახნაგებზე წარმოდგენილია რელიეფური ფიგურები კოზმანისა და დამიანესი, რომელთაც ხელთ საწერლები და კალმები უპყრიათ და აქეთ-იქით უწერიათ: „წჲ კოზმან", „წჲ დამნე". (ტაბ. 75, 2 და 76, 1). თავები ამ ფიგურებს მოტეხილი აქვთ მაჰმადიანთა მიერ, ცულით. მაგრამ მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა იპოვა კოზმანის თავი, სოფლის ერთ-ერთი სახლის კედელში ჩაშენებული. იგი მივადეთ სათანადო ადგილას კოზმანის ბარელიეფს და ისე გადავიღეთ ფოტო-სურათი. იგივე ფიგურა გადაღებულია უთავოდაც. ეს თავი წამოვიღეთ და გადავეცით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს (ეხლა ინახება ხელოვნების მუზეუმში). კოზმანის ბარელიეფს ზემოთ, მარჯვნივ, წარმოდგენილია წელსზევითი ქანდაკება ქართველთა განმანათლებლის, წმიდა ნინოსი. მას ორივე ხელი ლოც-



სურ. 20

[1] ამ „ლასის" წინ მერმინდელი ხელით მიმატებულია, ალბათ უვიცი მნახველის მიერ, ასო „ნარი".
[2] ამ წარწერის ფაქსიმილეს ვათავსებთ სურ. 24-ზე.

ვად აპყრობილი აქვს (ტაბ. 76, 1) და აწერია: „წჲ ნინო“, ეს არის წმიდა ნინოს ერთად-ერთი რელიეფური გამოხატულება და თან, საერთოდ, მისი უძველესი სურათი, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია და იგი მით უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ ჩვენ მისი მულაჟი გადმოვიღეთ და თბილისში ჩამოვასხმევინეთ (ტაბ. 76, 1 და 78).


სურ. 21

აღმოსავლეთით, სვეტის თავზედ არის განმეორებული ტეტრამორფი (ტაბ. 74, 2; 76, 2 და ნახ. 22, წარწერით:

„...ოთხხ ატეულ ნი“ — (ე. ი. „(ანგელოზნი) ოთხხატეულნი“

ამას ქვემოთ, გრძელსა და ნაზ ჩუქურთმებს შორის გამოკვეთილია მცირე სრულ-ტანოვანი ფიგურა, რომელიც უნდა გამოხატავდეს მღვდელმთავარს, რომელსაც თავზე მიტრა ახურავს (ტაბ. 74, 2). ტეტრამორფს მარჯვნივ გამოხატულია მთავარანგელოზები, თავით ფეხამდე, წარწერებით: „გაბრიელი“, „მიქაელ“ (ტაბ. 76, 2 და სურ. 23). სვეტის თავის წახნაგზე ჩრდილოეთით წარმოდგენილი არიან


სურ. 22


სურ. 23


სურ. 24


სურ. 25

ქერაბინნი და სერაფინნი (წარწერებით) (სურ. 25) და აგრეთვე მახარობელთა ემბლემები: არწივი, ლომი და კურო. ამათ ქვეშ ერთი სრულ-ტანოვანი ფიგურაა, გაფუჭებული. სამხრეთ წახნაგზე იგივე ფიგურებია განმეორებული, მაგრამ მათ წარწერები არ ახლავთ. სამხრეთ-დასავლეთ წახნაგზე ანგელოზია, წარწერით: „რაფიელ“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მოხატულობის შესწავლასა და ფოტოთი გადმოღებას დიდად უშლიდა ხელს სინათლის უკმარისობა რის მიზეზიც ის იყო, რომ კარიბჭის კამარები ამოქოლილი იყო დიდრონი ქვებით.

**ჩრდილო ფასადი.** ოშკის ტაძრის ჩრდილო მკლავის მორთულობა საზოგადოდ განმეორებაა სამხრეთი მკლავის მორთულობისა, მაგრამ ბევრად უფრო სადა. მაგალითად, ღრმა ნიშებს ამ მხარეზე არა აქვთ მარაოს მსგავსი შემკულობა კამარებში (ტაბ. 56, 2 და 57, 1). მაგრამ შუა კამარის დიდი სარკმლის თავი აქაც მდიდრულად არის შემკული. ეს თავი წარმოადგენს ჰორიზონტულ-ქუსლებიან ნახევარწრეს, პალმეტებითა და მათ შორის მოქცეული ყურძნის მტევნებით შემკულს. წრის ქვეშ საღებავებით შესრულებული პოლიქრომული მარაოა. მარაოს მუხლები ნახატი რგოლებით მთავრდება. სარკმლის ზემო წელს მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილია მშვენიერი ბარელიეფები. მარცხნივ გამოხატულია ლომი, რომელიც მზად არის ეძგეროს მარჯვნივ გამოხატულ კუროს (ტაბ. 53, 1 )[1]. სარკმელს, ეტყობა, ალებასტრის ჩარჩოები ჰქონია, მაგრამ არ შენახულა, ხოლო იმ ლურსმანთა მიერ დატოვებული ნახვრეტები, რომელთა საშუალებითაც ისინი მიმაგრებული ყოფილან ქვაზე, კარგად მოჩანს (სურ. იგივე). მარცხენა ნიშის სარკმელი ნაზი ჩუქურთმებით არის შემკული, მარჯვენა ნიშის სარკმელი კი ფოთლოვანი ორნამენტით, ხოლო მისი თავი ქანდაკოვანი ზოლებით. ამ მკლავის აღმოსავლეთი სარკმელი ეხლა სანახევროდ მიწაშია და მისი თავი ბაწრული ორნამენტით არის შემკული. განაპირა კამარებს და აგრეთვე შუა წელთა კამარის ქვემო ნაწილს თლილი ქვები მოძარცული აქვთ.

ტაძრის ჩრდილო ეკვდერი, როგორც აღნიშნული იყო, შედგება ორი სართულისაგან. ქვედა სართული, ისევე როგორც იშხანში, აქაც გამოყენებული ყოფილა სალაროდ, ზედა სართული კი პატრონიკეს წარმოადგენდა. ერთიცა და მეორეც ჩრდილოეთიდან განათებულია ოთხ-ოთხი თავმორგვალებული სარკმლით. ქვედა სართულის უფრო ვიწრო სარკმელთა თავები შემკულია ქანდაკოვანი ქვის ზოლებით, რომელთა ზემოთ აგრეთვე ქანდაკოვანი რგოლებია. ზედა სართულის სარკმლები უფრო ფართოა, მაგრამ მათ არავითარი შემკულობა არ ახლავთ. თვითეულ სართულში

---

[1] შესაძლებელია, ეს ფიგურები აქ უფრო ადრინდელი ნაგებობიდან (იქნებ წარმართული ტაძრიდან) იყოს გადმოტანილი.

დასავლეთით თითო სარკმელია გაჭრილი. ჩრდილო ეკვდერს ისეთივე ლავგარდანი აქვს, როგორც ტაძრის სხვა ნაწილებს. ჩვენ უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ ტაძრის მთელი ჩრდილო კედელი ფერდს ეჯჯინება. ჩრდილო ეკვდრის ჩრდილო კედელსა და შვეულად ჩამოჭრილ ფერდს შუა მანძილი 2 მ-ზე მეტი არ იქნება, მაგრამ მანძილი ჩრდილო მკლავსა და ფერდს შუა ეხლა ერთიანად მიწითაა ამოვსებული და ამიტომ, გარედან ჩრდილოეთის შესასვლელი სულ აღარ ჩანს.

სამკვეთლოს მეორე სართულის ჩრდილო კედლის ლავგარდანი შემკულია ფოთლოვანი რელიეფური ჩუქურთმებით, რაც ოშკში სხვაგან არსად გვხვდება.

საზოგადოდ ამ ნაწილის განსაკუთრებული დეკორი იმით აიხსნება, რომ მთის ფერდობი ამ მხრით მაღალია და აქედან სულ ახლო და კარგად ჩანს ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი: კარგად ჩანდა ალბათ ეს მხარე საოსტიგნე-სემინარიის აივნიდანაც და ამიტომაც ეს ნაწილი და ნამეტნავად კი გუმბათის ყელის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე ერთობ მდიდრულად და საუცხოოდ არის შემკული. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

## 5. გუმბათი და გუმბათის ყელი

გუმბათის ყელი მაღალია, ძალუმი და ლამაზი (ტაბ. 41—46, 56—57). მისი სიმაღლე უდრის 6,4 მეტრს, ხოლო რადიუსი 5,66 მეტრს (კედლების ჩათვლით). თვით გუმბათი კონუსის მაგვარია, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გამობერილია და ჩაფხუტს ემსგავსება. მისი სიმაღლე უდრის 6,86 მეტრს. ქუდი, როგორც აღვნიშნეთ, ეხლა მოტეხილი აქვს და თავი—ცოტა დაზიანებული (ტაბ. 56, 2. ტაბ. 57, 1) ნ. სარგისიანის დროს კი იგი მთელი ყოფილა. გუმბათი დახურულია წითლად და ყვითლად მოჭიქული კრამიტით, ისევე როგორც იშხანში. დანარჩენი ტაძრის სახურავიც კრამიტისა ყოფილა, მაგრამ, როგორც ეტყობა, მოუჭიქავისა. გარედან გუმბათის ყელი 24-წახნაგოვანია. წახნაგები ზემოთ გაერთიანებულია პატარა კამარებით. 12 წახნაგში თავმომრგვალებული სარკმლებია, რომელთაც თავზე, კამარებს ქვეშ, შავი ფერადით დახატული ჯვრები ადგიათ. კამარები ეყრდნობა წნულით შემკულ, ორმაგ პატარა სვეტებს, რომელთა თავები და კვარცხლბეკები ქანდაკოვანი მორთულობით არიან შემკული. ერთ მათგანზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოქანდაკებულია ბიუსტი მამაკაცისა, რომელსაც ზურგზე თოკით ტვირთი აქვს მოკიდებული. სხვებზე—ჯვრები, პალმეტები, ორი შებმული ცხოველი და სხვა სამკაულებია (ტაბ. 57, სურ. 2, 3). გუმბათის ყელის ქვემო ნაწილის შემკულობა სრულიად სხვადასხვაგვარია. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან გუმბათის ყელის ქვედა ნაწილები ერთობ მცირედ მოჩანს—ამ მხარეებზე ტაძრის დიდი სიმაღლის გამო; ასე რომ, რაგვარი შემკულობაც უნდა ყოფილიყო ამ ნაწილებში, მათი გარჩევა უბრალო თვალით მაინც შეუძლებელი იქნებოდა. ჩრდილოეთით და ნამეტნავად კი ჩრდილო-აღმოსავლეთით ადგილის კონფიგურაცია მძაფრად იცვლება. სახელდობრ, მთის მაღალი ფერდობი, რომელზედაც სემინარია-საოსტიგნე და მათი აივანია, სულ ახლოს უცქერის განიერს გუმბათის ყელს. ნამეტნავად ახლოა ეს ნაწილი და თითქოს ხელით მისაწვდომია ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და ამიტომ საკვირველი არ არის, რომ უმთავრესი და უმდიდრესი შემკულობა სწორედ ამ ნაწილზეა მოთავსებული. გუმბათის ყელის ქვედა ნაწილი ამ მხრით შემკულია ცხოველთა ბარელიეფებისაგან შემდგარი ლენტით. ზოგი წყვილად რბის, ზოგი ერთმანეთს მისდევს, ზოგი ერთმანეთს ებრძვის, მათ შორის გამოირჩევა ირმები და ძაღლები (ტაბ. 58, 60, 1,2). ზოგიერთი ცხოველისა თავებია წარმოდგენილი, წრეებში. ერთ წრეში მტაცებელი ფრინველის (არწივის) თავია (ტაბ. 58, 4). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი რეალიზმით ქანდაკება, რომელზედაც წარმოდგენილია ფურ-ირმის მიმდევარი ხარ-ირემი[1]. გუმბათის ყელის რამოდენიმე ბარელიეფი ჩვენ მულაჟით გადმოვიღეთ და თბილისში ჩამოვასხმევინეთ. (მათი ფოტოები იხ. ტაბ. 58, 1—7)[2].

ამავე რიგის მდიდრულ შემკულობას ეკუთვნის აგრეთვე სამკვეთლოს ზედა სართულის ფოთლოვანი ჩუქურთმები, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. ეს ფოთლოვანი სამკაული უაღრე-

---

[1] სრულიად ასეთივე ბარელიეფი უნახავს უდროოდ გარდაცვალებულს ნიჭიერ ახალგაზრდა არქეოლოგს ლ. მუსხელიშვილს დმანისის მახლობლად მდებარე ერთს პატარა ჩვეულებრივი რიგის სომხურ ეკლესიაზე. ამავე ეკლესიის კედლებზე ცხოველთა და მხეცთა სხვა ტლანქი ბარელიეფებიც ყოფილა, რომელთაგან ირმების ბარელიეფი მკვეთრად განირჩევა სილამაზითა და მხატვრული შესრულებით როგორც ეტყობა იგი სხვა, ძველი ეკლესიიდან მოხვედრილა აქ (იხ. მისი „არქეოლოგიური ექსკურსიები“ თბ., 1941, გვ. 37—44; ტაბ. X, 18, 19).

[2] ამ ოციოდე წლის წინ ისინი ჩვენი თანხმობით გამოსცა იურგის ბალტრუშაიტისმა თავის წიგნში: Etudes sur l'art mèdièval en Géorgie et en Arménie. Paris, 1929, pl, LXVI, 105, 106, LXXlll, pp. 12C; 121.

ეროვნული

სად რეალისტურია, ბუნებასთან დაახლოვებული, მას ნასახიც არ ემჩნევა შემდეგი დროის სტილი-ზაციისა ამგვარ შემკულობაში. რაც შეეხება გუმბათის ყელის ქვემო ნაწილთა შემკულობას აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით, ისინი შედგება ერთი მეორეზე გადაბმული ნახევარ წრეთა ჩუქურთმებისაგან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი ეხლა დაცული აღარ არიან.

## 6. ფრესკათა ნაშთები

ოშკის ტაძარი, როგორც ეტყობა, იმთავითვე განკუთვნილი ყოფილა ფრესკებით შესამკობად. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შიდა კედლები თლილი ქვით არ არის შეძერწილი თაღებამდის; თაღები თლილი „სპონდიკით“, ე. ი. მსუბუქი, ფოროვანი ქვით არის ნაშენი (ტაბ. 61, 62). ამას გარდა, შიდა კედლებს არავითარი ქანდაკება-ბარელიეფები არ ახლავს, რაც ჩვეულებრივია იმ ტაძრებისათვის, რომელთაც ფრესკებით შემკობა არ მოელოდათ. სვეტები კი მდიდრულადაა შემკული ქანდაკოვანი ჩუქურთმებით და ისინი ამრიგად გამორიცხული იყვნენ ფრესკებით შემკობისაგან. თუმცა ცნობილია, რომ ბევრ ქართულ ეკლესიაში, მაგ. ზარზმაში, ბოძებიც მოხატული იყო.

მაგრამ ოშკის ტაძარი მოხატული უნდა იყოს მხოლოდ აშენებიდან 75 წლის შემდეგ, ესე იგი 1036 წელს, რაც მტკიცდება თარიღიანი წარწერით, რომელიც ჩვენ ქვემოთ მოგვყავს (იხ. სურ. 31, წარწერა). ოღონდ ამ მხატვრობისაგან თითქმის არაფერი შენახულა, ყველაფერი მოშლილია და გაფუჭებული. ფრესკათა ნაშთები წარწერათა ნაწილებითურთ უფრო საკურთხეველში მოჩანს (ტაბ. 67), ფრესკების სტილი მონუმენტური ხასიათისაა, ისევე როგორც იშხანში, თითქოს ასლები იყოს გადმოღებული მოზაიკური მხატვრობიდან. საკურთხევლის ზემო თაღზე (კონქზე) ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი ყოფილა წარმოდგენილი, მთავარანგელოზებითურთ მარჯვნივ და მარცხნივ. ეხლა მოჩანს მხოლოდ მაცხოვრის ფეხები, ტახტის კვარცხლბეკი და ერთი მთავარანგელოზის ტანსაცმლის ნაწილი. ქვემოთ, აღმოსავლეთის კედელზე გამოხატული ყოფილა ღვთისმშობელი, ვედრებად ხელ-აპყრობილი. მის მარჯვნივ და მარცხნივ წარმოდგენილი არიან პეტრე და პავლე მოციქულები, წარწერებით: „წ҃ჲ პ҃ე, წ҃ჲ პავლე“. ამათ შემდეგ სხვა მოციქულებია. პეტრეს გრაგნილს აწერია: „თქუენ ხართ ნათელი სოფლისა...“ ამას ქვემოთ წარწერიანი ლენტია ტაძრის მოხატვის თარიღით, რომელზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. სარკმლის მარჯვნივ გამოხატულია იაკობი, შვეული წარწერით:

„წჲ<br>ჲაკობ<br>ძმაჲ<br>ო҃ჲ“

შუა სარკმლის კედელზე წმიდა ეკატერინეა, წარწერით: „წ҃ჲ ეკატერინე და სტეფანე წარწერით:

„წჲ<br>სტ<br>ფ<br>ნე<br>პირვ<br>ლი<br>მწ<br>მე“

სარკმლის ორივე მხარეს, ლენტისავე ქვემოთ, ეკლესიის მამებია გამოხატული. შუა სარკმლის გვერდზე, მარჯვნივ, პეტრე ალექსანდრიელია, შვეული წარწერით:



სურ. 26

„წჲ<br>პე<br>ალქს<br>ადრიე<br>ლი“ (სურ. 26)

სარკმლის მარჯვნივ, კედელზე გამოხატულია იოანე ოქროპირი, წარწერით: „წჲ ოქროპირი“- მისი ფიგურა უკეთესად არის დაცული. იქვე გამოხატული მეორე ფიგურა გაფუჭებულია. საკურთხევლის მარცხნივ წარმოდგენილი ყოფილა ქრისტეს ჯვარცმა. მოჩანს ჯვარზე მიმსჭვალული მარც-

ხენა ხელი ქრისტესი, საიდანაც სისხლი წვეთავს; ჩანს აგრეთვე ქრისტეს ბავშვთან მიტანილი ღრუბელი და მახვილი; ჩანან წინამდგომნიც. მგლოვიარე ანგელოზის სახე მიწის ქვეშ აღმოვაჩინეთ. საქმე ის არის, რომ ტაძრის ეს ნაწილი მაჰმადიანებს, როგორც ნათქვამი იყო, ჯამედ აქვთ გადაქცეული და სახურავზე მას თითქმის ერთი მეტრის სისქე მიწა აყრია. ეს მიწა კედლის ძირას გადავთხარეთ და დავინახეთ აღნიშნული სახე (ტაბ. 68, სურ. 1). ეს ერთი ყველაზე უკეთესად დაცული ნახატია მათ შორის, რომელთაც ჩვენამდის მოუღწევიათ. მისი და ზოგი სხვა ნახატის მიხედვით შეიძლება ვიქონიოთ მსჯელობა ოშკის მხატვრობის სტილის შესახებ. ტაძრის სამხრეთ მკლავის სარკმელს ქვემოთ არის სურათი (en face) იოანე ნათლისმცემლისა, რომელიც მარჯვენა ხელით ხალხს აკურთხებს. მარცხენაში მას გრძელი ჯვარი უჭირავს, მასთან მარჯვნივ და მარცხნივ თითო ხელებ-გაწვდილი კაცია მისული, კურთხევის გამოსათხოვად. მათ ღია ფერების ქართული სამოსლები აცვიათ, მაღალი ქუდები ჰხურავთ და შავი წვერები აქვთ. მარჯვენა ფიგურას იოანე ჯვარს სწერს სამი თითით (ცერით, სალოკი, და შუა თითით). მარცხენა ფიგურის პირისახე მოშლილია, მარჯვენასი კი დაცულია, მაგრამ თვალები მისთვის რაღაც წვეტიანი იარაღით მოუთხრიათ (ტაბ. 68, 2). ამ ფიგურების მარჯვნივ მოჩანს ნაგებობანი, რომელთა ზედა ნაწილები მოშლილია. აქ ალბათ იერუსალიმში შესვლის სურათი იყო გამოხატული და იერუსალიმის შენობები უნდა ვიგულისხმოთ.

სამხრეთი მკლავის პატარა სარკმლის გვერდებზე შენახულია თეკლეს და მარინეს ფიგურები, წარწერებით: „წ̃ჲ თეკლე“, „წ̃ჲ მრნე“. მარინეს პირისახე მოშლილია, თეკლესი კი გვარიანად არის შენახული, თუმცა თვალები მასაც რაღაც წვეტიანი იარაღით აქვს განგებ დათხრილი (ტაბ. 69). თავზე წითელი შარავანდი ადგია. ჩრდილო მკლავის სარკმელს ქვემოთ წარმოდგენილი ყოფილა წმინდა ელენე, მაგრამ ახლა მისი წარწერაღაა დაცული: „წჲ ელ(ენე)“. გუმბათის ყელის ძირში, ირგვლივ, ლენტზე ყოფილა წითელ-ფერადოვანი წარწერა, რომლისგანაც დარჩენილია მხოლოდ შვიდი ასო: „რლი ცხორ...“ ამას გარდა როგორც უკვე ნათქვამი გვაქვს, სამხრეთი სტოას აღმოსავლეთ ნაწილში, აფსიდის ცაში, შემორჩენილია საკმაოდ კარგად დაცული ფრესკა ყოველთა მპყრობელი მაცხოვრისა.

ეს არის სულ, რაც ასე თუ ისე შემორჩენილია ოშკის მდიდრული მხატვრობისაგან. სხვა ადგილებში ყველგან კედლის ნალესობაცა და ფრესკებიც სავსებით მოსპობილია.

## 7. სემინარია-სამოსტიგნის ნაშთები

ტაძრის ჩრდილო მკლავთან სულ ახლოს იწყება და სამხრეთიდან ჩრდილოეთით გაგრძელებულია უზარმაზარი სამ-ნავიანი ბაზილიკის რიგის შენობა (ტაბ. 79, 3; 80, 2; 81 და 82) რომლის ნანგრევები ეხლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. შენობა საერთოდ ნაგები ყოფილა ზერელედ ნათალი ნაცრისფერი ქვით, მაგრამ მისი კამარები, სვეტები და აგრეთვე პილასტრები, რომლებზედაც კამარები ეყრდნობა, კარგად ნათალი ქვისაა. რვა სვეტ-ბურჯი და ოთხი პილასტრი, მათზე დამყარებული კამარებითურთ, ჰყოფს ბაზილიკის ნავებს ერთმანეთისაგან. დასავლეთით კედელი მიბჯენილია შვეულად ჩამოჭრილ ფერდობზე და ამ მხრივ ბაზილიკას სარკმლები არა აქვს. აღმოსავლეთი ნაწილის ქვედა სართულში კედელში კი ხუთი სარკმელია, ალბათ ამდენივე იყო ამ მხრის შუა ნავის აღმოსავლეთ, ამაღლებულ კედელში, მაგრამ ეს ნაწილები და ყველა თაღი ეხლა სულ ჩამონგრეულია და მათი ნაშთიც არ შენახულა.

ბაზილიკას ორი კარი აქვს: ერთი აღმოსავლეთ კედელში და მეორე დასავლეთში. ამ კართა ზემოთ თითო სარკმელია. ამასთანავე აღმოსავლეთით შუა ნავს კიდევ ერთი სარკმელი აქვს (ბაზილიკის შინაგანი სახე და მისი კამარები და სვეტები იხ. ტაბ. 81; 82, 1—2).

აღსანიშნავია აგრეთვე ერთი გარემოება: აღმოსავლეთით სვეტ-ბურჯები უფრო მსხვილი და მძლავრია, ვიდრე დასავლეთით. (ტაბ. 79, 3). ეს იმით აიხსნება, რომ აღმოსავლეთ ნავს მეტი დაწოლა ჰქონდა, ვიდრე დასავლეთს და ამ მხრით აღმოსავლეთი ნავის თავზედ აივანი იყო (ალბათ მიწით დახურული), საიდანაც საუცხოო სურათი იშლებოდა თორთუმის წყლის ხევისა, მეტადრე ტაძრის ჩრდილო აღმოსავლეთი, ორნამენტიანი ნაწილისა და განსაკუთრებით კი ცხოველთა ბარელიეფებით შემკული გუმბათის ყელისა.

ჩრდილოეთით ბაზილიკას ახლავს და მასთან გაშლილი კამარებით შეერთებულია ბაზილიკის შუა ნავის სიგანეზე განცალკევებული დიდი კვადრატული დარბაზი სფერული თაღითა და შუაში ღია დაბალი ტრომპებიანი გუმბათით (გვირგვინით) ისე, როგორც ეს სჩვევია ძველებურ ქართულ დარბაზებს იმ განსხვავებით, რომ გუმბათი სვეტებზე არ არის დაყრდნობილი (ტაბ. 79).

დარბაზი, ისევე როგორც ბაზილიკა, ნაშენია ზერელედ ნათალი ქვით, ხოლო მისი ტრომპები ლამაზად ნათალი ქვით (ტაბ. 83). ჩრდილოეთით დარბაზს ახლავს კარი, რომელიც უერთდება ჩრდილოეთით მდგარ შენობას, ამჟამად მოსპობილს (ტაბ. 83). თვით დარბაზი, საბედნიეროდ, უნაკლოდ არის დაცული.

იბადება საკითხი; რა დანიშნულება ჰქონდა ამ ვეებერთელა შენობას?

უმალ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი შენობები იყო ტაო-კლარჯეთის თითქმის ყველა დიდ ეკლესია-მონასტერში—მაგალითად, ოპიზაში[1], პორტაში (რაც, ნ. მარის აზრით, იგივე შატბერდია[2]), ბერთაში[3], ხანძთაში[4] და ისპირის ოთხთა ეკლესიაში (რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

საზოგადოდ ასეთი შენობა საოსტიგნედ ანუ ბერების სასადილო დარბაზად არის მიჩნეული, მაგრამ ეს არ არის სავსებით სწორი. ეს შენობა სასადილოდაც იქნებოდა გამოყენებული და აგრეთვე საერთო საკრებულოდ (უმეტესად ზამთარში), მაგრამ უმთავრესად და უპირველეს ყოვლისა იგი წარმოადგენდა სასწავლო სემინარიის შენობას, რომელშიც ამზადებდნენ მომავალ საეკლესიო მოღვაწეებს, ასწავლიდნენ მათ წერა-კითხვას, კალიგრაფიას, სალვთისმეტყველო საგნებს, საეკლესიო გალობას, ბერძნულსა და სხვა ენებს, საეკლესიო წეს-კანონებს და სხვა. დიდი გუმბათიანი დარბაზი განკუთვნილი იყო წიგნთსაცავისათვის და ნამეტნავად კი ხელნაწერთა გადაწერაზე მომუშავეთათვის. მსურველს დღესაც შეუძლია ოშკის ეს ჩინებული დარბაზი გამოიყენოს სამწერლობო ოთახად: ამისათვის საკმარისია მისი საუცხოო გვირგვინის ქვეშ დაიდგას მაგიდა და სკამი[5].

ძალაუნებურად მაგონდება ის შესანიშნავი ხელნაწერები, რომელნიც აქ არის გადაწერილი—უთუოდ სწორედ ამ დარბაზის გვირგვინს ქვეშ—როგორც, მაგალითად, ათონის ივერიის მონასტერში დაცული ეტრატის დაბადება, 978 წელს გადაწერილი; აგრეთვე „სამოთხედ“ წოდებული ხელნაწერი, 977 წელს გადაწერილი და იქვე, ათონზე, დაცული[6], და სხვა მრავალი, ათონის თუ სხვა მონასტრებში და ეკლესიებში დაცული ხელნაწერები, რომელთა მინაწერები გვაუწყებენ, რომ ისინი ოშკის მონასტერში არიან გადაწერილი. ცნობილია, რომ X საუკუნის II ნახევარში ოშკიდან და ტაო-კლარჯეთის სხვა მონასტრიდან ზოგიერთი ბერი გადასახლდა ათონის მონასტერში და მათ თან გადაიტანეს ძვირფასი ქართული ხელნაწერები.

ამის მიხედვით ჩვენ ამგვარ ნაგებობას ყველგან სემინარია-საოსტიგნეს ვუწოდებთ. კერძოდ ასეთივე დანიშნულება ჰქონია ალბათ გელათის დიდ დარბაზოვან, ერთნავიან ბაზილიკას დაბალი ორიგინალური, მონოლითური სვეტების მქონე კარიბჭით, რომელიც ბერების სასადილო შენობად იყო მიჩნეული, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ დავადგინეთ, რომ გელათში ყოფილა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული აკადემიაც[7], აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა სამართლიანად სცნო, რომ ხსენებული შენობა სწორედ აკადემიისათვის იქნებოდა გამოყენებული[8]. ამ აზრს მხარს უჭერს პროფ. სიმონ ყაუხჩიშვილის საცდელი გათხრა, რომელიც მას უწარმოებია თვით ამ შენობაში და მის გვერდით.

## 8. მცირე ეკლესიები

საქართველოში ყოველ დიდ მონასტერს ჩვეულებრივ თან ახლდა ხოლმე პატარა ეკლესიები, ანუ განსაკუთრებული სამლოცველოები. ორი ამგვარი ეკლესია დაცულია ოშკშიც.

---

[1] Н. Марр, Житие Григория Хандзтийского, с дневником поездки..., стр. 162—163; Павлинов, МАК, III, стр. 65, рис. 43.

[2] Н. Марр, стр. 152; Павлинов, стр. 67, табл. XXXIV.

[3] Н. Марр, стр. 168—169, рис. 56.

[4] Н. Марр, стр. 127.

[5] არაა სწორი ბროსეს აზრი, თითქოს ამ დარბაზში ქვევრები იყო ჩაფლული (Op. cit., p. 6, note 3). მან, როგორც ჩანს, ერთმანეთში აურია ეს დარბაზი და ჩრდილო ეკვდრის ქვემო სართული.

[6] А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, СПБ, 1886; წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი. ტ. I, ა. შანიძის რედაქციით, 1947.

[7] ე. თაყაიშვილი, ჴელმწიფის კარის გარიგება. თბილისი, 1920, გვ. XXVII—XXXII. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ამ აკადემიის პირველი მოძღვართ-მოძღვარი, ანუ ეხლანდელი ტერმინოლოგიით რექტორი, უნდა ყოფილიყო ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელმაც გელათში, სხვათა შორის, თარგმნა ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათჳს კაცისა“ (უკვე გამოცემულია ს. გორგაძის მიერ 1912 წ.).

[8] იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე III, გვ. 118; ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, თბილისი, 1948, გვ. 28—31.

ა) ერთი მათგანი მდებარეობს ფერდობზე, მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით. ეს არის ჩვეულებრივი რიგის პატარა დარბაზული ეკლესია, სიგრძით 5,11 მეტრი, განით 2,34 მეტრი. იგი შემოსილია ნაცრისფერი, ნათალი ქვით. მისი აღმოსავლეთი ზეძირკველი ორი საფეხურისაგან შედგება, ხოლო დასავლეთი კედელი სარკმლამდე ღორღით არის დაფარული. კარი ამ შენობას ერთი აქვს, სამხრეთით; სარკმელი—სამი: აღმოსავლეთით, დასავლეთითა და სამხრეთით. მომრგვალებულ საკურთხეველში ორი უბეა. საკურთხევლის კამარა კრონშტეინებზეა დაბჯენილი. (ეკლესიის გეგმა და განაკვეთი იხილე ტაბ. 79; საზოგადო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იხ. ტაბ. 80, სურ. 1). თაღი ეკლესიას გოდრული აქვს, სახურავი—ქვისა. ეკლესია საერთოდ კარგად არის შენახული, ოღონდ ერთ ადგილას თაღი ცოტა გამოტეხილია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლიდან რამდენიმე თლილი ქვაა მოცილებული. ლავგარდანის შემკულობა ნამგლისებრი სახეებისაგან შედგება. ასეთივე მორთულობა აქვს საკურთხევლის პილასტრთა ქუსლებს. კარის თავი ქანდაკოვანი ნახევარი წრით არის შემკული, ხოლო მის ზემოთ, რგოლებში ჯვრებია გამოყვანილი. სამხრეთ სარკმელსაც ქანდაკოვანი ნახევარწრიული თავი აქვს, ხოლო თავს ზემოთ—ჯვარი. ასეც ია სხვა სარკმელთა შემკულობაც. ეკლესიის კედლები შიგნით შელესილია, მაგრამ ფრესკებით არაა შემკული.

ბ) მეორე პატარა ეკლესიას ასეთივე გეგმა აქვს. ისიც ფერდობზე დგას, ტაძრის სამხრეთით. ჩრდილოეთით მას მერმინდელი ეკვდერი ახლავს, ეკვდერს ნახევრად-გოდრული თაღი აქვს. ეკლესია გამოყენებულია ბეღლად, ხოლო მისი ეკვდერი—სათივედ. ეკლესიის სიგრძე შიგნით 6,11 მეტრია, სიგანე—3,1 მ, კედლის სისქე—0,74 მ. ეს ეკლესია უარესად არის შენახული, ვიდრე პირველი: თლილი ქვის პერანგი მას სულ შემოცლილი აქვს; სახურავიც არ შერჩენია, მაგრამ თაღები დაცულია. საკურთხეველში არის ერთი სარკმელი და ორი უბე. სარკმელი ალბათ დასავლეთითაც იყო, მაგრამ ახლა აღარ ჩანს, კედელი აქ ჩამონგრეულია. საკურთხევლის სართავი კამარები დაკიდულია. კარი აქვს სამხრეთით. ეკვდერს შესავალი აქვს ეკლესიიდან, დასავლეთით. (ეკლესიის გეგმა და განაკვეთი იხ. ტაბ. 79).

## 9. ტაძრის წარწერები

ოშკის ტაძრის კედლებზე ერთობ მრავალი ასომთავრული წარწერები ყოფილა, მეტწილად წითელი ფერადით გამოყვანილი. ქვაზედ ამოჭრილი წარწერა მხოლოდ სამია. მრავალი წარწერა მოსპობილია ჟამთა ვითარებაში, ატმოსფერულ მოვლენათა მიერ და ზოგჯერ აგრეთვე ადამიანის ხელით (მაგალითად, ფრესკების წარწერა). მაგრამ, საბედნიეროდ, წარწერათა საკმაო ნაწილი მაინც გადარჩენილია თუმცა ფერადოვანი წარწერები ზოგჯერ ისე მკრთალადაა მოღწეული, რომ ჩვეულებრივ მზიან დარშიაც კი ძლივს ემჩნევა. ამ რიგის წარწერები უკეთესად ჩანს, როდესაც წვიმის შემდეგ მათ მზის სხივები ალმაცერად ადგება ხოლმე. იმ წარწერებს, რომელნიც ნ. სარგისიანმა გადმოიღო და ბროსემ[1] გამოსცა, ჩვენმა ექსპედიციამ რამდენიმე ახალი და თვალსაჩინო შემატა. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ოშკის მონასტრის შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები ცოტაა დაცული. ოშკს არ იცნობს ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილიც კი, თუმცა ამ მონასტერს სახელი გაუთქვამს იქ გადაწერილი ხელნაწერებით და ფრიად წარჩინებული მოღვაწე პირებით. ოშკის და საზოგადოდ ტაო-კლარჯეთის მონასტერთა სიგელ-გუჯრებს ჩვენამდის არ მოუღწევიათ. მხოლოდ ერთი, XVI საუკუნის გუჯარი მოგვეპოვება, რომელშიც ოშკის ტაძარი მონასტრად არის მოხსენებული[2].

პირველი დიდი, 12-პწკრიანი წარწერა მოთავსებულია, როგორც ნათქვამი იყო, სამხრეთი მკლავის საზეიმო კარის კარაკინზე („ტიმპანზე“) (სურ. 27; ტაბ. 54, 1). იგი შესრულებულია წითელი ფერით. ამ შესავალს აქვს კარიბჭე, რომელიც ზემოთ იყო აღწერილი. თვით კარი ეხლა ამოშენებულია და ამ ამოშენების დროს დაზიანებულა წარწერის უკანასკნელი პწკარი და აგრეთვე ზოგიერთი სიტყვა მე-11 და მე-12 პწკრებისა. წარწერა ფოტოგრაფიულად გადმოიღო ერმაკოვს, ხოლო ესტამპაჟით ნ. სარგისიანს (იხ. ბროსსე, Op. cit., გვ. 7, ტაბულა I). ჩვენც გადმოვიღეთ იგი ფოტოგრაფიულადაც და ხელითაც. მისი გადიდებული ფოტოგრაფია და ტილოზედ გადაღებული ასლი გადავეცით საქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს, ხოლო ამჟამად

[1] Inscription Géorgiennes et autres, recueillies par le père Nersès Sargisian et expliquées par M. Brosset: Mémoires de l'Académie des Sciences de St-Pétersbourg, VII Série, t. VIII, № 10, St-Pétersbourg, 1864, ქვემოთ ჩვენ ყველგან ვიმოწმებთ ბროსეს ამ გამოცემას.

[2] საქართველოს ისტორია ბატონიშვილის ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა , დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ გამოცემული, 1883, თბილისი, გვ. 125, შენ. I.

ინახება ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმში. წარწერის ტექსტი ჯერ თავისი ქარაგმებითურთ მოგვყავს.

ბიბლიოთეკა



სურ. 27

1 ქ მოწყალებითა ღ˜თისაჲთა რ˜ლი სცავს ყლ˜თა მოშ˜შთა მს˜თა და წაროუმართ˜ბს მოყუარეთა სახელისა მისისათა ყლ˜თა სქმ

2 თა კთ˜ლთა ამის წ˜დისა სმ˜ბსა სარწმუნოვებ˜თა და მ˜ბთა წდ˜ისა დ˜დოფლისა ჩ˜ნისა ღ˜თის-მშობ˜ლისაჲთა მდ˜ლითა წდ˜ჲსა ძლ˜ისა ცხორებისაჲ

3 თა შეწ˜ვნითა და მეოხბ˜თა დიდებულისა ნათლიმცემელისაჲთა და ყლ˜თა წმიდათაჲთა რ˜ნი საუკოვნით˜გან სათნო ეყნ˜ეს ღთ˜სა ამათ ყლ˜თა

4. წმიდათა სადიდებლ˜დ და საქებ˜ლდ იწყ˜ს ღ˜თვ გუირგუინოს˜ნთა მფ˜თა ჩნ˜თა შ˜ნბ˜დ ამის წმიდისა საყ˜დრისა რ˜თა ამას შ˜ნა აღესრულებოდიან დღესა

5. სწაულნი და შეიმკვებოდიან ჴსენებ˜ნი წმიდთანი ვ˜ა წერილ არს ჴსენებასა წმიდათასა ეზიარე-ბოდ˜თ ამათ ყლ˜თა წმიდათა სურვილითა

6 ამათ დიდებულთა მ˜ფთა ჩნ˜თა უშურვ˜ლ ყნეს საფსნი წარმავ˜ლნი წარუვალისა მ˜სთუის რ˜თა იგი ყ˜ნი წმიდანი შემწ˜დ მოიგნენ და ღ˜ნ შწ˜ნ ორთავე

7 ცხოვრებ˜თა ძ˜თა ღ˜თვ კურთხეულისა ადარნესე კურაპალატისათა ბ˜გრტ ერისთავთა ერისთ˜ვმ˜ნ დავით მაგისტროსმ˜ნ სამებამ˜ნ წმიდამან

8 სამნივე დაიფარენ მარჯუენითა თ˜სითა და ად˜ნ ორთავე ცხოვრებ˜თა და მე გრიგოლ ღირს მყო ღ˜ნ მსახურებ˜სა ამას მ˜თსა ღთისა მიმართ და მე ვიყ

9 ავ საქმესა ზ˜ა მდგომი და არწმოჳნა ღ˜ნ გონებასა მ˜თსა ერგულობაჲ ჩ˜მი მ˜თისაჲ ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშე

10 თაჲ რ˜ლ წელიწადსა წაეგების დრამაჲ :კ: ათასი ღუინოჲ ფ˜სი :ჭ: რკინაჲ ლიტრ˜ჲ :ნ: ხუარ-ბალი გრივი :ს: მ:ი: გალატოზი და ხუროჲ და მჭედელი რ˜ლ მარადის შურებო

11 და : ჲ:ი: ჴ˜რი რ˜ლ ქვასა კრ˜ბდა :ლ: ჯორი და სხუაჲ აზავერი რ˜ლ გრიგოჳლ წმიდით სპონ-დიკსა კრ˜ბდა :ლ: სხუაჲ აზავე(რი) რ˜(ლ)... (კრბ)˜და :ჲ:˜.

12 .....ჲდა.... (ყი) ერი და მოქმედი :პ:.........

ქარაგმების გახსნითა და ზოგან შესწორებით ასე ვკითხულობთ:

(1) ქ. მოწყალებითა ღმრთისაჲთა, რომელი სცავს ყოველთა მოშიშთა მისთა და წარუმართებს მოყუარეთა სახელისა მისისათა ყოველთა (2) საქმეთა კეთილთა, ამის წმიდისა სამებისა სარწმუნოვებითა[1] და მეოხებითა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთის მშობელისაჲთა, მადლითა წმიდჲსა (sic) ძელისა ცხორებისაჲ (3) თა, შეწევნითა და მეოხებითა დიდებულისა ნათლიმცემლისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა, რომელნი საუკუნითგან სათნო-ეყვნეს ღმერთსა, ამათ ყოველთა (4) წმიდათა სადიდებელად და საქებელად იწყეს ღმრთივ გუიგუინოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა, რაჲთა ამას შინა აღესრულებოდიან დღესა(5)სწაულნი და შეიმკვებოდიან ჴსენებანი წმიდათანი, ვითარცა წერილ არს: „ჴსენებასა წმიდათასა[2] ეზიარებოდით". ამათ ყოველ-

---

[1] ბროსე კითხულობს: „სარწმუნოებითა".

[2] ბროსე: „წმიდათა".

თა წმიდათა სურვილითა, (6) ამათ დიდებულთა მეფეთა ჩუენთა უშურველ ყნენ (sic) სათასენი წარმავალნი წარუვალისა მისთუის, რაჲთა იგი ყოველნი წმიდანი შემწედ მოიგნენ[1]; და ღმერთმან შეეწიენ[2] ორთავე (7) ცხორებათა ძეთა[3] ღმრთივ კურთხეულისა ადარნესე კუროპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა, დავით მაგისტროსსა[4], სამებამან წმიდამან (8) სამნივე დაიფარენ (sic) მარჯუენითა თჳსითა და ადიდენ ორთავე ცხოვრებათა

და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმერთმან[5] მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყ(9)ავ საქმესა ზედამდგომი, და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულობაჲ ჩემი, მონისა მათისაჲ.

ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშე(10)თაჲ, რომელ წელიწადსა წაეგების, დრამაჲ: კ (20): ათასი, ლუინოჲ ფისოსი[6] ჭ (5000); რკინაჲ ლიტრაჲ ნ (50); ხუარბალი გრივი ს მ ი (250): გალატოზი და ხუროჲ დი მჭედელი, რომელ მარადის შურებო (11) და ჲ ი (70); ჭარი, რომელ ქვასა კრებდა ლ (30), ჯორი და სხუაჲ აზავერი, რომელ გრიგოლ-წმიდით[7] სპონდიკ-სა კრებდა: ლ (30); სხუაჲ აზავერი, რომელ... კრებდა ჲ (60): .... (12).......... ჲ (60) და........ (ყოველი) ერი და მოქმედი პ (80): . . . . . . . . . . . . . . . . .

სქოლიოებში აღნიშნულია სიტყვები, რომელთა წაკითხვაშიც ჩვენ არ ვეთანხმებით აკადემიკოს ბროსეს. წვრილმანს თავი დავანებოთ და შევჩერდეთ მათ შორის უმნიშვნელოვანესზე.

მე-7 სტრიქონში შემოკლებით გადმოცემულ სიტყვას „ძ῀თა" ბროსე კითხულობდა: „ძალითა". ეს აშკარა შეცდომაა. ქართულ წარწერებში არსად გვაქვს ასეთი მაგალითი და საზოგადოდ არც შეიძლება ითქვას, ტაძარი აშენდა ძალითა რომელიმე მეფისაჲთა, ანუ სხვა ვისამე ძალითაო. გამოთქმა „ძალითა" იხმარება მხოლოდ ღმერთის („ძალითა ღმრთისაჲთა"), ქრისტეს ანუ რომელიმე წმინდანის შესახებ. ამას გარდა, აქ რომ „ძალითა" იგულისხმებოდეს, შემოკლებით ეწერებოდა „ძლ῀თა და არა „ძ῀თა". თქმა არ უნდა, ამ შემოკლებაში იგულისხმება „ძეთა" და არა „ძალითა" და წარწერის ეს ადგილი ასე უნდა წავიკითხოთ: „და ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხორებათა ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნესე კურაპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა და დავით მაგისტროსსა". (დედანში გრამატიკული უხერხულობაა და სწერია: „ერისთავმან... მაგისტროსმან", ე. ი. მოთხრობითი ბრუნვაა მიცემითის მაგიერ, როგორც ბროსესაც აქვს აღნიშნული). საკვირველია, რომ არც ერთ სპეციალისტს, რომელიც ამ წარწერას მიუთითებს ან მოჰყავს იგი თავის ნაშრომში, არ მიუქცევია ყურადღება ამ შეცდომისათვის, თუმცა ყველას ადვილად შეეძლო მისი შესწორება. მაგალითად, ისეთი საუცხოო მცოდნე ქართული ეპიგრაფიკისა, როგორც დ. ბაქრაძე იყო, ამ წარწერას ბროსეს სიტყვებით იმეორებს[8]. ასეთმა მცდარმა წაკითხვამ, როგორც ეტყობა, აიძულა სახელოვანი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი ადარნასე III კურაპალატი ელიარებინა ოშკის ტაძრის ერთ-ერთ მაშენებლად, მის შვილებთან ერთად[9], რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორი არ არის.

მე-10 სტრიქონში მოყვანილ ქარაგმიან სიტყვას „ფ῀სი" ბროსე კითხულობს „ფასი": „ლჳნოჲ ფასი: ჭ (5000)," იგულისხმება „დრამა"-ო. ამ წაკითხვას ვერავინ უსაყვედურებს სახელოვან აკადემიკოსს; ეს შეიძლება ასეც იყოს და ეგებ სხვებიც ასე წაიკითხავდნენ ამ სიტყვას. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით ტექსტის აზრს და მასში ნახმარ ტერმინებს, უნდა ვიფიქროთ, რომ შეუძლებელია ეს ასე იყოს. საქმე ის არის, რომ მშენებლობის გამგე გრიგოლი ჯერ აღნიშნავს, თუ რამდენი იხარჯებოდა წელიწადში ფულად (20.000 დრამაჲ), ხოლო შემდეგ აღნუსხავს, თუ რა იხარჯებოდა ნატურით—საგნებით თუ სანოვაგით. ამ საგნებს ყველას საზომ-საწყაოთი გვიჩვენებს; მაგალითად: „რკინა 50 ლიტრა", „ხუარბალი 250 გრივი" და სხვ. უეჭველია, ღვინოც მისი შესაფერი საწყაოთი უნდა იყოს აღნიშნული და არა ფულადი საფასით; მით უმეტეს, რომ ფულის აღმნიშვნელი სიტყვა „დრამა" ღვინის მაჩვენებელ რიცხვს არ ახლავს თან. აქ მხოლოდ ნათქვამია: „ლუინოჲ ფ῀სი 5000", ეს „ფ῀სი" რომ „ფასი"-ს შემცველი იყოს, მაშინ უნდა წერებულიყო: „ღვი-

---

[1] ბროსე „მოეგნენ."

[2] ბროსე: „შეეწივნეს."

[3] ბროსე: „ძალითა."

[4] დედანში სწერია: „ბაგრატ ერისთავთა ერისთავმან, დავით მაგისტროსმან."

[5] ბროსეს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს.

[6] ბროსე კითხულობს: ფასი.

[7] ბროსე: გრიგოლ-წმიდით.

[8] საქართველოს ისტორია ბატონიშვილის ვ ა ხ უ შ ტ ი ს ა, თბილისი, 1883, გვ. 125, შენ. 1.

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული პალეოგრაფია, თბილისი, 1926, გვ. 164—165.

ეროვნული

ნოჲ ფ῀სად (ანუ ფს῀ით) 5000 დრამა". ამიტომ, ჩვენი აზრით, „ფ῀სი" აქ ნიშნავს ღვინის საწყაოს და უნდა წავიკითხოთ, როგორც „ფისოხი":—„ღჳნოჲ ფისოხი 5000". ფისოხი, როგორც საწყაო ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში" აღნიშნულია ორჯერ. იქ ვკითხულობთ (პ. უმიკაშვილის გამოცემით), რომ მოლარეთუხუცესს, სხვათა შორის, უნდა მიეღო „ერთი ფისოხი ქონი" (გვ. 60), ხოლო ფეშქაშის აღმწერელს, „ფეშქაშნივისს", ჯამაგირისა და ულუფის გარდა, უნდა მიეღო აგრეთვე ერთი ფისოხი ქონი (გვ. 84). სიტყვა „ფისოხი" სპარსულია და დასტურლამალის გამომცემლის პ. უმიკაშვილის განმარტებით უდრის სპარსულ „ფიზუს"-ს, რაც რკინის ან სპილენძის ჭრაქს ანუ ჯამს ეწოდებოდა. უჩვენებს რა ყველა ამ საბუთებს, ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ ფისოხი ქონის ჭურჭელი უნდა ყოფილიყო (იხ. მისი „ნუმიზმატიკა-მეტროლოგია", გვ. 89). მაგრამ ჩვენი წარწერა ცხადჰყოფს, რომ ფისოხი ღვინის და საზოგადოდ თხევადი ნივთიერების საწყაოც ყოფილა[1]. ამრიგად, „ფისოხი", რომლის შემოკლებული აღნიშვნა „ფ῀სი" სხვაფრივ ვერ გაიხსნება, ერთად-ერთ მისაღებ ფორმად რჩება[2].

დრამა იყო ვერცხლის ფული, რომელიც უდრიდა არაბულ „დირჰემს", შემდეგი დროის აბაზს[3]. მაშასადამე, 20.000 დრამა უდრიდა 4.000 რუსულ ვერცხლის მანეთს, როგორც ბროსემაც აღნიშნა.

ქართული ლიტრა სხვადასხვა წონისა იყო, მაგრამ ძველად იგი 64 მისხალს უდრიდა[4], ხოლო მისხალი უდრიდა 4,266 გრამს. მაშასადამე, 50 ლიტრა რკინა უდრის 213 კილოგრამს (და არა 450 რუსულ გირვანქას, როგორც ბროსე ანგარიშობს.

უფრო ძნელი გამოსაცნობია, თუ რას უდრის „25 გრივი ხუარბალი". ჩვენ არ ვიცით, რამდენს იწონიდა გრივი. გრივზე უმცირესი საწყაო იყო კაბიწი, მაგრამ ცნობილი არ არის, თუ რამდენი კაბიწი შეადგენდა გრივს. სულხან საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში წერს: „ეზეკიას თარგმანში ეწერა, 22 ქსესტი ერთი გრივიაო; ხრონოღრაფში ეწერა, 30 მოდი ერთი გრივიაო, თემითი-თემად საწყაოა, უდიდესიც არის და უმცირესიცა, მაგრამ 22 ქსესტი უფრო სწორესა ჰგავს". ბროსეს ანგარიშით, 250 გრივი უდრის 62 $^1/_2$ რუსულ „ჩეტვერიკს", ანუ 6554 ფრანგულ ლიტრას (ის ემყარება ცნობას, რომ 30 მოდი ერთი გრივია), მაგრამ ეს ანგარიში საეჭვოა.

სპონდიკი (resp. სპონდიო) არის მსუბუქი ფოროვანი ქვა, რომლითაც ჩვეულებრივ თაღები ამოჰყავდათ ხოლმე და არა სიპი ქვა, როგორც თავის დროზე პროფ. დავით ჩუბინაშვილს ურწმუნებია ბროსე (გვ. 9).

გრიგოლ-წმიდის მდებარეობა, სადაც, თქმა არ უნდა, წმიდა გრიგოლის ეკლესია იქნებოდა, ამჟამად ცნობილი აღარ არის.

წარწერის ბოლო, სადაც თარიღი უნდა ყოფილიყო, მოსპობილია მაჭმადიანების მიერ კარის ამოქოლვის დროს. ამიტომ ტაძრის აშენების დრო შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ დაახლოებით, წარწერაში მოხსენებულ ისტორიულ პირთა მიხედვით. ეს პირნი, როგორც ვიცით, არიან ადარნასე კურაპალატი და მისი ორი შვილი, ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი. ტაოს ბაგრატიონთა შორის ადარნასე კურაპალატი სამი იყო: ადარნასე II, კურაპალატი და პირველი „ქართველთა მეფე" ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის († 923)[5]; ადარნასე III, ბაგრატ II მაგისტროსის ძე († 961)[6] და ადარნასე IV, სუმბატ I კურაპალატის ძე († 983)[7]. ეს უკანასკნელი გამორიცხულ უნდა იქნეს, ვინაიდან მას ჰყავდა მხოლოდ ერთი შვილი, დავით მცირე. დაგვრჩა ორი: ადარნასე II და ადარნასე III. ჩვენს წარწერაში უნდა იხსენებოდეს ერთ-ერთი მათგანი. ბროსეს აზრით, აქ არის ადარნასე II, მაგრამ ეს აზრი ყოვლად მიუღებელია, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ადარნასე II, როგორც აღვნიშნეთ, ქართველთა მეფე იყო და ამ დიდ

---

[1] ი. მეგრელიძის ცნობით, გურიაში (სოფ. ბახვში, ასკანაში და სხვ.) ეს სიტყვა, „ფისუხაი"-ს ფორმით, ეხლაც ხმარებაში ყოფილა და ნიშნავს სალამურ მცირე ჭრაქს, რომელსაც ბავშვიანი ქალი ან ავადმყოფი იდგამს ხოლმე. ამასთანავე ფისუხა შეიძლება იყოს თუნუქის, თიხის ან შუშისაც.

[2] ამ მხრივ დამახასიათებელია და ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელია ის გარემოება რომ ნ. ბერძენიშვილის, ი. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას წიგნში „საქართველოს ისტორია" (ს. ჯანაშიას რედაქციით, 1946 წ., გვ. 151) ამ წარწერის „ფსი"-ს მაგიერი ზოგადი სიტყვა „საწყაო" არის ნახმარი.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, გვ. 16, 25.

[4] ივ. ჯავახიშვილი, Op. cit., გვ. 102.

[5] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, თბ., 1900, გვ. 149. რომაული ციფრები აქ და ქვემოთ აღნიშნავს ბაგრატიონთა რიგს ტაოს შტოში, კლარჯეთის შტოსგან განსხვავებით.

[6] იქვე, გვ. 150.

[7] იქვე, გვ. 151.

ხარისხს წარწერის ავტორი მას ვერ წაართმევდა, რომ მართლაც ის იგულისხმებოდეს წარწერაში. ეს სამართლიანად აღნიშნა უკვე აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა. ამას გარდა, ადარნასე II-ს ჰყავდა შვილები: დავითი († 937) და ბაგრატი († 945), მაგრამ ეს დავითი იყო ქართველთა მეფე (ამ ხარისხით ის ცნობილია სუმბატ დავითის ძის ქრონიკაშიც[1]), ხოლო ბაგრატი იყო მაგისტროსი და არა ერისთავთ ერისთავი, როგორც ნათქვამია წარწერაში[2]. ამას გარდა, ადარნასე II-ს ჰყავდა კიდევ წარჩინებული შვილები: აშოტ IV კურაპალატი († 945) და სუმბატ I კურაპალატი († 958), რომელნიც დიდ როლს თამაშობდნენ იმ დროის ისტორიაში და რომელნიც ჩვენს წარწერაში სრულიად არ არიან მოხსენებული. ამიტომ შეუძლებელია ჩვენი წარწერის ადარნასე კურაპალატი მივიღოთ ადარნასე II ქართველთა მეფედ. დაგვრჩა ადარნასე III კურაპალატი († 961), ძე ბაგრატ მაგისტროსისა[3]. მას მართლა მხოლოდ ორი შვილი ჰყავდა: ბაგრატ ერისთავთ ერისთავი († 966), რომელიც ამავე ხარისხით იხსენება ჩვენ წარწერაში, და დავით II ტაოს დიდი კურაპალატი († 1001)[4], რომელიც ჩვენ ჩარწერაში მაგისტროსად იხსენება. ეს გარემოება გასაგებია: სანამ დავითი კურაპალატად გახდებოდა, ის მაგისტროსი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც. პარხლის სახარებაში, რომელიც 973 წელსაა გადაწერილი იოანე ბერას მიერ შატბერდის მონასტერში და შეწირულია პარხლის ახალი ეკლესიისათვის, დავითი მაგისტროსად იხსენება[5]. მაგრამ 977 წელს ოშკში გადაწერილს „სამოთხე“-დ წოდებულ ხელნაწერში დავითი უკვე კურაპალატად არის მოხსენებული[6]. სწორედ ამ წელს მიაშველა დავითმა თავისი ჯარები ბიზანტიის იმპერატორებს, ბასილ II-სა და კონსტანტინეს, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ და, ივ. ჯავახიშვილის მართებული შენიშვნისა არ იყოს, ამისთვის უნდა მიეღო ამ წელს დავითს კურაპალატის ხარისხი. ყველა ამ ფაქტის მიხედვით ივ. ჯავახიშვილმა მართებულად დაასკვნა, რომ ჩვენი წარწერა გულისხმობს ადარნასე III კურაპალატს და მის ორ შვილს, ბაგრატ ერისთავთ ერისთავს და დავით დიდს კურაპალატს, რომელიც ტაძრის აშენების დროს მაგისტროსის პატივს ატარებდა[7]. ამასთანავე ივ. ჯავახიშვილს ადარნასე III კურაპალატი ოშკის ერთ-ერთ აღმაშენებლად მიაჩნია და რადგანაც მან კურაპალატობა 958 წელს მიიღო, ხოლო მისი შვილი ბაგრატ ერისთავთ ერისთავი 966 წელს მიიცვალა, ამიტომ ოშკის ტაძარი, ჯავახიშვილის აზრით, აშენებული უნდა იყოს 958–966 წლებში. ამ მოსაზრების გაზიარება, ზემოთაც ითქვა, შეუძლებელია. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ ადარნასე III ოშკის ტაძრის მაშენებელთა რიცხვს ვერ მიეკუთვნება. ის წარწერაში მოხსენებულია, როგორც მაშენებელთა, ბაგრატ ერისთავთ ერისთავისა და დავით მაგისტროსის მამა, და არა როგორც თვით მაშენებელი. რა თქმა უნდა, თუ გავიზიარებთ ბროსეს წაკითხვას, ვითომ ტაძარი აშენებული იყოს „ძალითა ადარნასე კურაპალატისათა“, მაშინ ეს აზრი სწორი იქნება, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დედანში სწერია „ძეთა ადარნასე კურაპალატისათა“. ამას გარდა, ტაძრის მაშენებლები, ბაგრატი და დავითი იხსენებიან ოშკის ოთხ სხვა წარწერაშიც, რომლებშიც ადარნასეს შესახებ, როგორც დავინახავთ, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთი ფაქტი: ოშკის მაშენებლები, ბაგრატი და დავითი დიდი ჰორელიეფებით არიან წარმოდგენილი ტაძრის აღმოსავლეთით, ხოლო ადარნასეს გამომხატველი ჰორელიეფი თუ ბარელიეფი კი არსად მოიპოვება. განა ეს შესაძლებელი იქნებოდა, რომ ადარნასე ერთი მაშენებელთაგანი ყოფილიყო? მე მგონია, არა! მართალია მხოლოდ ის ფაქტი, რომ ოშკის ტაძარი დამთავრებულია ადარნასე III კურაპალატის სიცოცხლეშივე: ის წარწერაში ცოცხლად არის მოხსენებული, თავის შვილებთან ერთად: „სამებამან წმიდამან სამნივე დაიფარნენ მარჯუენითა თჳსითა და ადიდენ ორთავე ცხორებათა“-ო. ხოლო წარწერა, თქმა არ უნდა, დაწერილია მას შემდეგ, რაც ტაძრის შენება სრულიად დამთავრებული იყო, თორემ მშენებლობის გამგე გრიგოლი ასე ზედმიწევნით ვერ აღრიცხავდა, თუ რამდენი რა იხარჯებოდა წელიწადში. და რაკი ამ დროს ადარნასე III კურაპალატი ცოცხალი ყოფილა, ტაძრის დამთავრების დროს ველარ გადმოვიტანთ 966 წლამდის (როგორც ივ. ჯავახიშვილი სჩადის), როდესაც ბაგრატ ერისთავთ ერისთავი გარდაიცვალა. უნდა დავასკვნათ, რომ ოშკის ტაძრის შენება დამთავრებული ყოფილა არა უგვიანეს 961 წლისა, როდესაც გარდაიცვალა ადარნასე III კურაპალატი. აშრიგად, ადარნასე III კურაპალატი არ ეკუთვნის ოშკის ტაძრის მაშენებელთა

---

[1] იხ. ჩვენი „მარიამ დედოფლის ვარიანტი“, გვ. 349.

[2] იქვე, გვ. 349.

[3] იქვე, გვ. 350.

[4] იქვე, გვ. 352.

[5] იხ. ჩვენი ნაშრომი—„Материалы по Арх. Кавказа Моск. Арх. Общ., XII, стр. 138—194.

[6] А. Цагарели, Сведения о памятн. грузин. письменности I, стр. 90—91.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, გვ. 164–165.

რიცხვს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მან თავისი სიცოცხლე ოშკის მონასტერში დაასრულა ვინაიდან სუმბატის ქრონიკიდან ცნობილია, რომ იგი „ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს, მოკუდა უნებლიეთ ფიჩჳთა მოსილი[1]“.

ჩვენ არ ვიცით, თუ რამ აიძულა ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი ასე მოქცეულიყვნენ; უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი კმაყოფილი არ იყვნენ მამით, როგორც კურაპალატით, და მათ სურდათ, რომ ეს თანამდებობა მათ შორის უფრო ღირსეულს გადასცემოდა. ვერსად ვპოულობთ ცნობას, თუ როდის დაიწყეს მათ ოშკის ტაძრის შენება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ ეს მაშინ მოხდა, როდესაც ადარნასე III უკვე კურაპალატი იყო, მაშინ გამოვა, რომ შენება დაუწყიათ არა უადრეს 958 წლისა, ვინაიდან ადარნასე ამ წლამდის არ შეიძლებოდა ყოფილიყო კურაპალატი; მან კურაპალატობა მიიღო ბიძა მისის, სუმბატ I კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (958 წ.), ხოლო თვით მიიცვალა 961 წელს. ამ ანგარიშით გამოვა, რომ ტაძარი 958—961 წლებში უნდა იყოს აშენებული. მაგრამ ეს, ჩვენი აზრით, ყოვლად შეუძლებელია: ასეთი დიდი და რთული ტაძარი სამ წელიწადში ვერ აშენდებოდა და ამას, სულ ცოტა, ათი წელიწადი მაინც დასჭირდებოდა. ამიტომ შენების დაწყება 950 წლის ახლო ხანს უნდა ეკუთვნოდეს.

ყველა ზემონათქვამიდან ასეთი დასკვნა შეიძლება მივიღოთ: ოშკის ტაძარი აშენებულია ადარნასე III კურაპალატის ძეთა, ბაგრატ ერისთავთ ერისთავისა და დავით დიდის, ტაოს კურაპალატის მიერ (რომელიც შენების დროს მაგისტროსის პატივით იყო ცნობილი); აშენებულია მე X საუკუნის მეორე ნახევარში და დამთავრებულია არა უგვიანეს 961 წლისა.

მშენებლობის გამგის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი შეიძლება იყოს სწორედ ის გრიგოლ ოშკელი, რომელიც ცნობილია, როგორც მთარგმნელი გრიგოლ ღვთისმეტყველის ზოგი ნაშრომისა[2]. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს გრიგოლი წარმოდგენილია სამხრეთი სტოას ორნამენტებიანი სვეტის წახნაგის რელიეფზე, ვედრების კომპოზიციის ქვემოთ (ტაბ. 77, სურ. 2 და 78, სურ. 2). არა მგონია, რომ იგი იმავე დროს ტაძრის ხუროთმოძღვარიც იყოს,—როგორც აკადემიკოსი ბროსე ფიქრობს—იმიტომ რომ ხუროთმოძღვარი, როგორც აღვნიშნეთ, გამოხატული ყოფილა ტაძრის აღმოსავლეთის ფრონტონს ქვეშ წარმოდგენილ რელიეფზე, ქართულად შემოსილი, სახელოჩამოშვებული კაბითა და სარტყლით (ტაბ. 55). გრიგოლს კი აცვია ხალათი, რომელიც არ უნდა იყოს ბერ-მონაზვნისა. არც მისი წვერ-ულვაში მოგვაგონებს ბერ-მონაზვნისას. ის საერო კაცი უნდა იყოს.

## II



სურ. 28

მეორე წარწერა აღმოსავლეთი აფსიდის სარკმლის თავზედ არის, ქვაზე, ზერელედ ამოჭრილი უსწორმასწორო ასოებით (იხ. სურ. 28) ბროსსე, Op. cit., pl. II და იკითხება ასე:

1. ქ~ე ძ~ო ღ~სო ად~დნ მ~ფნი ჩ~ნი[3] მო~ნი შ~ნი ბგრტ და დ~თ.
2. ორს~ვე ცხრ~ბსა წ~ო ნთლის მც~ლო[4] მეოხ და მფ~რვლ ეყ~ვ აზ
3. ნაორნი და მსახურნი[5] მათნი[6] დაჲცვნ მ~მჲ მ~ქლ
4. და მ~მჲ ი~ვნე და გრ~გლ ყ~ლსგ~ნ ბრტი საგ~ნ

[1] მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 351.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, მე-2 გამოც., თბ., 1941, გვ. 151—152.

[3] ნ. სარგისიანის ტაბულაზე ეს ორი სიტყვა ნაკლულად არის წარმოდგენილი.

[4] ამ სიტყვის ასოები ც და ლ დედანზე გარყვნილად არის წარმოდგენილი ლ-ს მაგიერ ხ სწერია (იხ. ტაბ. 61).

[5] ამ სიტყვებში ბგერა უ წარმოდგენილია მარტო ო-თი.

[6] ამ სიტყვის წინ დედანზე ორი ნაჯღაბნი ასო მოჩანს, თითქოს ე და დ, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვს. იხ. სურ. 28 არქიტექტორ ციალა გაბაშვილის მიერ გადმოღებული მულაჟიდან და ტაბ. 61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარაგმებს თუ გავხსნით:

„ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდენ მეფენი ჩუენნი, მონანი შენნი, ბაგრატ და დავით, ორსავე ცხორებასა, წმიდაო ნათლის მცემელო, მეოხ და მფარველ ეყავ აზნაურნი და მსახურნი (უნდა იყოს: „აზნაურთა და მსახურთა“), დაიცვენ მამაჲ მიქელ და მამაჲ იოვანე და გრიგოლ ყოვლისა ბოროტისაგან“.

წარწერაში იგულისხმებიან ტაძრის მაშენებლები ბაგრატი და დავითი, რომელნიც წინა წარწერაშიაც იყვნენ მოხსენებული. გრიგოლი ალბათ ის გრიგოლია, რომელსაც უკვე ვიცნობთ მშენებლობის გამგედ, ხოლო „მამა მიქელი“ და „მამა იოვანე“ ეგებ მისი თანაშემწენი იყვნენ.

III

მესამე წარწერა აგრეთვე ზერელედ არის ამოჭრილი მარჯვენა აფსიდის ლავგარდანზე და იკითხება ასე:

„ქ. მეფესა ჩნა ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა[1]“

ესე იგი:

„ქ. მეფესა ჩუენსა ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა“.

გაგრძელება ამ წარწერას არა ჰქონია.

IV

მეოთხე წ.რწერა ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთ კედელზეა აგრეთვე ზერელედ ამოჭრილი და ორი განცალკევებული პწკრისაგან შედგება:

„ქ̃ე შ̃ე დ̃თ — „ქრისტე შეიწყალე დავით!“

„ქ. სმბო წ̃ო ადნ — „ქ. სამებაო წმიდაო, ადიდენ![2]“

**მაშენებელთა ჰორელიეფები და მათი წარწერები.** ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოშკის ტაძრის მაშენებელნი წარმოდგენილი არიან ჰორელიეფებით, რომელნიც ტაძრის აღმოსავლეთით, გლუვ კედელზე არიან მოთავსებული. ეს თლილი ქვის კედელი საგანგებოდ არის გამოყენებული ამ რელიეფებისათვის. იგი იწყება აღმოსავლეთით, სადიაკვნის კედლიდან და გრძელდება 3,5 მეტრის მანძილზე. მისი სიმაღლე უდრის 1,87 მეტრს. ზემოდან მას გაუყვება ქანდაკოვანი ლავგარდანი, რომელიც შემკულია ყურძნის მტევნების ორნამენტით. ქვემოთ, ხუთ ფიქალზე წარმოდგენილია სრულ-ტანოვანი რელიეფები. შუაში ვედრების კომპოზიცია არის, ხოლო კუთხეებში ფიგურები ბიზანტიურად შემოსილ მაშენებლებისა, რომელთაც ეკლესიათა მოდელები უჭირავთ ხელში. (ტაბ. 54, სურ. 2). სამწუხაროდ, ეს ჰორელიეფები ძალზე დაზიანებულია. ვედრების კომპოზიციაში უფრო დაზიანებულია ქრისტეს და იოანეს ფიგურები, ხოლო ღვთისმშობლის ფიგურა უკეთ არის შენახული. მაშენებელთაგან მარცხნივ, როგორც წარწერა უჩვენებს, წარმოდგენილია დავით მაგისტროსი, რომელიც უკეთ არის დაცული, მარჯვნივ კი—ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომლის ფიგურა დაზიანებულია. ეს უკანასკნელი ჩვენ მულაჟით გვაქვს გადმოღებული. თვითეული ფიგურა წარმოდგენილია ცალკე ფიქალზე. ფიგურებს თან ახლავს ასომთავრული წითელ-ფერადოვანი წარწერები, რომელნიც ერთობ წაბლალულნი და მკრთალნი არიან, მაგრამ მათი გარჩევა, როგორც ქვემოთაც დავინახავთ, მაინც შესაძლებელი შეიქნა.

V

ვედრების რელიეფის წარწერა (სურ. 29) მოგვყავს უქარაგმოდ:



სურ. 29

[1] ეს წარწერა ნ. სარგისიანს არ მოჰყავს.

[2] სარგისიანს არც ეს წარწერები აღუნიშნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„1. წმიდაო ღმრთისმშობელო და წმიდაო ნათლისმცემელო, ადიდენ მეფენი ჩუენნი,
2. გლახაკნი შენნი, მაშენებელნი ამის წმიდისა [ეკლესიისანი]
3. და კუალად წარუმართენ
4. მეფეთა ჩუენთა ბაგრატ (ს და)
5. დავითს.“

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჳ ასო წარწერაში თავ-შეკრულია (სურ. 29).

VI

დავით მაგისტროსის ჰორელიეფს აწერია (სურ. 30):

„1. ქ. მონაჲ ღ´თისაჲ მ´ფჱ ჩ´ი
2. დავით მაგისტროსი ა
3. დიდენინ ღ´ნ ორთავე ცხ
4. ორებათა მშნბლი ამს წ´სა
5. ეკლესიისაჲ ა´ნ“.



სურ. 30

**უქარაგმოდ:**

„წ. მონაჲ ღმრთისაჲ მეფჱ ჩუენი დავით მაგისტროსი—ა დიდენინ (sic) ღმერთმან ორთავე ცხორე-ბათა—მაშენებელი ამის წმიდისა ეკლესიისაჲ. ამენ“.

VII

ბაგრატ ერისთავთ ერისთავის წარწერა ყველაზე უფრო შებღალულია, მაგრამ იგი წარმოად-გენს წინა წარწერის განმეორებას და მასში მხოლოდ სახელი და პატივია შეცვლილი. ამიტომ მისი დანამდვილებით აღდგენა ძნელი არ არის. იგი მოგვყავს უქარაგმოდ, აღდგენილი:

1. „ქ. მონაჲ ღმრთისაჲ მეფეჲ ჩუენი
2. ბაგრატ ერისთავთ ერისთავი—ა
3. დიდენინ ღმერთმან ორთავე ცხო-
4. რებათა—მაშენებელი ამის წმიდისა
5. ეკლესიისაჲ. ამენ“.

ზემოთ მოყვანილი სამივე წარწერიდან ბროსეს, სარგისიანის ნაკლოვანი გადმონაწერის გარ-ჩევით, მოჰყავს შემდეგი სიტყვები (Op. cit., p. 10):

„№ 9 près de figures sculptées:
„ადიდენ მეფენი ჩუენნი“.
№ 10. en avant de figures
1. წ. მონაჲ....
2. და ერისთავთ მადს...
3. (ა)დიდენ...
4. (აღმაშენე)ბელი ამის წ—
5. (მიდისა) ეკლესიისაჲ X“.

VIII

ტაძრის მარჯვენა მკლავის შუა კამარის სარკმელს ქვემოთ შემთხვევით შევნიშნეთ წითელ-ფერადოვანი წარწერა, რომელიც დროისა და ატმოსფერული ზემოქმედების გამო ერთობ მკრთალი შექმნილიყო. მიუხედავად იმისა, რომ თვითეული კედელი უბრალო თვალითაც და ბინოკლითაც გულმოდგინედ გავსინჯეთ, ეს წარწერა მხოლოდ მას შემდეგ დავინახე როდესაც ჯერ წვიმა მოვი-და და მერე კი ბრწყინვალე მზემ თავისი სხივები ალმაცერად მოჰფინა წარწერას და ეს უკანას-

კნელი, მანამდე უჩინარი, საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, ისე რომ შევძელი მისი წაკითხვა. ერთი სიტყვა, რომელიც საეჭვოდ მიმაჩნია, კითხვის ნიშნით მაქვს აღნიშნული (სურ. 31).



„ქ[1]. ს˜მ˜ბო წ˜ო ად˜ნ შ˜ნ მ˜რ
გრ˜გნსნნი მფნი ბ˜სლი
და კს˜ტნტი რ˜ლთა მ˜რ
გ˜ნსრლბლ იქმნა მრ˜დ დ˜ბრვი
5. თა ტ˜ძრი ესე ღ˜სჲ მ˜ნზა
გრგლისა და დვთსა (?)
ქ˜ე შ˜ე მ˜ნჲ შენი გ˜რგლ და
წყ˜ლათ მხსნე გლ˜ტზი იესე.

სურ. 31

უქარაგმოდ:

„ ქ. სამებაო წმიდაო, ადიდენ შენ მიერ გჳრგჳნოსანნი მეფენი ბასილი და კოსტანტი, რომელთა მიერ განსრულებულ იქმნა მეორედ დაბურვითა ტაძარი ესე ღმრთისაჲ მონაზონობასა გრიგოლისა და დავითისსა (?) ქრისტე შეიწყალე მონაჲ შენი გრიგოლ და წყალობით მოიხსენე (sic) გალატოზი იესე".

როგორც წარწერა გვაუწყებს, ოშკის ტაძარი ხელმეორედ გადაუხურავთ ბიზანტიის იმპერატორებს ბასილ II-სა და კონსტანტის. ეს ფაქტი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ დავით დიდი კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.) იმიერ-ტაო ბიზანტიამ წაიღო და შემდეგ, 1021—1022 წლებში, ბასილ II-ის მიერ საქართველოს მეფის გიორგი I-ის წინააღმდეგ წარმოებულმა ომებმა ეს მხარე ბიზანტიას დროებით კიდევ უფრო განუმტკიცა[2]. იმიერ და ამიერ ტაოს საზღვარს შეადგენდა, როგორც აღნიშნა ივანე ჯავახიშვილმა[3], ბანის წყალი, ოლთისის წყალთან შეერთებამდე, ხოლო შემდეგ ოლთისის წყალი. მაგრამ, ჩვენი აზრით, ბანის წყლით კი არ იწყებოდა ეს საზღვარი, არამედ მისი შემდინარის, ბარდუსის წყლით, რომელიც ბანის წყალზე უფრო გრძელია. ოლთისის წყლის მარცხნივ მდებარე ადგილები შეადგენდა იმიერ-ტაოს და დარჩა ბიზანტიას, მარჯვენა მხარე კი ამიერ-ტაო იყო და შერჩა საქართველოს (ბანის წყლის შერთვის შემდეგ ოლთისის წყლის სიგრძე შეადგენს 107 კილომეტრს). ამის მიხედვით ოშკი და ხახული მოექცა ბიზანტიის სამფლობელოში, ვიდრე 1034 წელს ისინი უკან არ დაიბრუნა ბაგრატ მეოთხემ. ვინაიდან ბასილი II გარდაიცვალა 1025 წელს, ჩვენი წარწერა და, მაშასადამე, ოშკის „მეორედ დაბურვაც" უნდა მიეწეროს 1022—1025 წლებს.

## IX

6. სარგისიანს ტაძრის სამხრეთი კარის ზედა ნაწილიდან, (ეს ალბათ ის კარია, რომელიც სამხრეთის გალერეაშია მოქცეული) კარაკინიდან გადმოულია კიდევ ერთი წარწერა, რომელიც დღეს აღარა ჩანს. წარწერას ბოლო აკლია, მაგრამ აზრით მისი შევსება, სხვა ამგვარი წარწერების მიხედვით, ადვილია. ამგვარად აღდგენილ სიტყვებს ჩვენ ფრჩხილებში ვათავსებთ (იხ. სურ. 32, და ბროსე, Op. cit., pl, II, № 2):

---

[1] დედანში ქან-წილი მონოგრამის სახით არის წარმოდგენილი.

[2] ამის შესახებ იხ. Z. Avalischvili, La succession du Curopalate David d'Ibérie, dinast de Tao. Byzantion, t. VII, (Bruxelles), pp. 177—202.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1913, გვ. 331—332.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 32

„ ქ.: იესუ ქრისტე, მეოხებითა
წმიდისა ღმრთის მშო-
ბელისაჲთა და
წმიდისა იოვანე
ნათლისმცემე-
ლისაჲთა და
წმიდისა ძელისა
ცხორებისაჲთ
ა და ყოველთა წმიდა-
თაჲთა, ადიდენ
მეფენი ჩუენნი წინაშე შე-
ნსა, მაშენებელნი ამის ეკლე-
სიისანი, ბაგ(რატ ერისთავთა
ერისთავი და დავით მაგისტროსი).

## X

ტაძრის დასავლეთი მკლავის კარის დიდი კარაკინი მთლად მოცული ყოფილა წითელ-ფერადოვანი წარწერებით, რომლებიც ეხლა სულ გაფუჭებული და თითქმის მოსპობილია. ქვა შუაში ამოფშვნილია და აქა-იქ დარჩენილი სიტყვებიც კვამლისაგან შემჭვარტლული: ეტყობა, კარის ძირში ცეცხლი უნთიათ. დარჩენილი სიტყვების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მოთავსებული ყოფილა ტაოს ბაგრატიონთა ალაპების ტექსტი, მათი გარდაცვალების თარიღი და განაჩენები მათი მოხსენების შესახებ. საბედნიეროდ, ორიოდე ასეთი წარწერა ასე თუ ისე მაინც დაცულია და მათი წაკითხვა მოხერხდა ერთი მათგანი ასე იკითხება:
„... (კუა)ლად ჴსენებაჲ არს ბაგრატ მეფისაჲ (ამას დღესა გარდაიცვალა ს)ულითა კურთხეული ბაგრატ ქრონიკონი იყო რჱ:ვ: დღესა სამშაბათსა ღ́ნ ღირს ყავ სასუფეველთა საუკუნოთათა ა́ნ“.

უქარაგმოდ:

„...(კუალად) ჴსენებაჲ არს ბაგრატ მეფისაჲ (ამას დღესა გარდაიცვალა ს)ულითა კურთხეული ბაგრატ ქრონიკონი იყო რჱ:ვ: დღესა სამშაბათსა. ღმერთმან ღირს ყავ სასუფეველთა საუკუნოთათა, ამენ“.

თქმა არ უნდა, წარწერაში მოხსენებულია ბაგრატ ერისთავთ ერისთავი, რომელიც როგორც დანამდვილებით ვიცით, ოშკის ტაძრის ერთ-ერთი მაშენებელია და რომელიც მრავალგზისაა მოხსენებული ზემოთ მოყვანილ წარწერებში. ქრონიკონი უდრის 966 წელს. ამ წელს უჩვენებს აგრეთვე სუმბატის ქრონიკაც. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თუ რამდენად სწორია სუმბატის ქრონოლოგიური ცნობები. უნდა ვიფიქროთ, რომ სუმბატ დავითის ძეს, სხვათა შორის, ამგვარი, წარწერისეული ცნობებითაც უსარგებლია თავისი ქრონიკის შედგენის დროს.

## XI

წინა წარწერის ქვემოთ მეორე წარწერაც არის, ჩვენთვის კიდევ უფრო მოულოდნელი:
1. „(გარდაი)ცვალა თჳთ მპყრობლი წ́(ჲ) მეფჱ ბრძნთჲ ბ́სლი: ქრნკნსა :**სმე**:
2. (თთსა) დკბრსა: **იბ**: დღ(სა) კრკსა: ღ́ნ ს́ლი მისი წ́თა მეფ́თა თნა დწსოს“.

უქარაგმოდ:

„(გარდაი)ცვალა თჳთმპყრობელი წმიდაჲ მეფჱ ბერძენთაჲ ბასილი ქრონიკონსა :**სმე**: (245= 1025 წ.). (თთუესა) დეკემბერსა: **იბ** (12), დღ(ესა) კჳრიაკესა, ღმერთმან სული მისი წმიდათა მეფეთა თანა დააწესოს!“

თარიღი სწორად არის ნაჩვენები, ხოლო გარდაცვალების დღედ კი ბიზანტიური ცნობები პარასკევს უჩვენებენ და არა კვირას, ამ წარწერაში რომ არის.

როგორც ნათქვამი იყო, ოშკის ტაძარი ამ დროს ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა და სწორედ ამიტომ მიუჩნევიათ საჭიროდ მიეწერათ მის კარაკინზე ბიზანტიის იმპერატორის გარდაცვალების ამბავი. იმპერატორი კონსტანტინე, ბასილის ძმა, 1028 წლის 11 ნოემბერს მიიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## XII

დასავლეთი კარის კარაკინზე მრავლად ყოფილა წითელ-ფერადოვანი წარწერები, რომლებიც ეხლა ჩამორეცხილია. ძლივს-ღა მოჩანს შემდეგი სიტყვები:

1. „ ······ მშობელთა ჩნ~თასა······· ადრნესე ·····
2. ······ წელთა დ~დთა······· ერისთ(ავთა)·······
3. წ~ის······· თჳს········"

6. სარგისიანის ცნობის მიხედვით ბროსე გადმოგვცემს შემდეგ სიტყვებს:

1. „ ······ მშობელთა ჩუენთასა····
2. ········ ალაგთა და მაგისტროს·····
3. ·········· ლოდა ძალ ··· და······
4. ·········· მდე წინაშე შენსა ვ······"

ეტყობა, წარწერები იმავე შინაარსისა ყოფილა, როგორიც სამხრეთ კარზეა, ე. ი. შეიცავდა ტაოს ბაგრატიონთა გარდაცვალების თარიღებს, მათთვის განწესებულ აღაპებსა და განაჩენებს მათი მოხსენების შესახებ. ამრიგად, როგორც ჩანს, ოშკის ტაძრის კედლებზე აღნიშნული ყოფილა ერთგვარი მატიანესებრი ცნობები, ტაოს ბაგრატიონთა შესახებ, რომელნიც ეხლა მოსპობილია. არ უნდა იყოს საეჭვო, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ისტორიკოსს, თვით ბაგრატიონს, თავისი ისტორიისათვის გამოუყენებია, სხვათა შორის, ამგვარი ცნობებიც. ამიტომაცაა, რომ სუმბატის გენეალოგია და ქრონოლოგია სწორია.

## XIII

ტაძრის სამხრეთსა და ნაწილობრივ აღმოსავლეთ კედლებზე დაცულია წითელ-ფერადოვანი წარწერები და თვითეულის შუაში დახატული ჯვრები. ეს წარწერები შეიცავენ იმავე რიგის წმიდანთა სახელებს, რომელიც შიდა კედელთა ფრესკებზე სწერია, იმ განსხვავებით, რომ აქ ფრესკების მაგიერ ჯვრებია დახატული. აი ეს წარწერები:

„ წ~ჲ † მარინე"
„ წ~ჲ † ირინე"
„ წ~ჲ † ეკატერინე"
„ წ~ჲ † ბარბარე"
„ წ~ჲ † დამიანე"
„ წ~ჲ † პეტრე"
„ წ~ჲ პავლე"
„ წ~ჲ იაკობ † ძმაჲ უფლისაჲ"

## XIV

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკურთხევლის კედელზე დახატულ ლენტზე დაცულია ფრესკის ისტორიული წარწერა, რომელიც გამოჰყოფს ფრესკების ზედა რიგს ქვედა რიგისაგან (სურ. 33, ტაბ. 67). ეს წარწერა სარგისიანის ტაბულაზე არ არის სწორად გადმოღებული (იხ. ბროსსე, p. 9, № 3, pl, 11). ჩვენ იგი უკეთ გადმოვიღეთ და ფაქსიმილე გადავეცით საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმს. აქ ვათავსებთ ახლად დახატულ სურათს, რომელიც ხუროთმოძღვარმა ციალა გაბაშვილმა შეადგინა ჩვენის ფოტოთი და ბროსეს ტაბულის სურათის მიხედვით. წარწერას თავი და ბოლო აკლია:

„ ····· ნ[1] ······ გნვშ~ნე და შ~ვმკვე ტ~ძრი წ~დისა წ~ნმრბდსჲ ს~ფსჲთა სულკრთხლისა ჯოჯიკ პტრკსჲთა ა~კხენ ღ~ნ და ად~დნ ქრნკნსა ს :ნვ: ბრძთა····".



სურ. 33

[1] ეს ასო სარგისიანის ტაბულაზედ არის, ეხლა კი აღარა ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქარაგმოდ

„... ნ.... განვაშუენე[1] და შევამკვე ტაძარი[2] წმიდისა წინამორბედისაჲ საფასჲთა (sic) სულ-კურთხეულისა ჯოჯიკ პატრიკისაჲთა, აკურთხენ ღმერთმან[3] და[4] ადიდენ! ქრონიკონსა :სნვ: (= 256 ანუ 1036), ბერძენთა.....“

ბროსე, როგორც ვხედავთ, შემოკლებულად გადმოცემულ „გნვშნე“ სიტყვას, რომელიც ყოველ ეჭვს გარეშე „განვაშუენე“-ს ნიშნავს, კითხულობს „განვაშენე“ და ამის მიხედვით გამოჰყავს მცდარი დასკვნა, ვითომც ჩვენი ტაძარი აშენებული თუ განახლებული იყოს მეფე ბაგრატ IV-ის დროს და შემდეგ ჯოჯიკის მიერ (Op. cit., p. 10), მაშინ როდესაც წარწერა ცხადჰყოფს, **რომ ტაძარი განუშვენებიათ, ფრესკებით შეუმკიათ „საფასითა ჯოჯიკ პატრიკისაჲთა“ 1036 წელს.**

ეს ის ჯოჯიკია, რომელიც სომხის ისტორიკოსის ასოღიკის (ანუ ასოლიკის) ცნობით, დავით კურაპალატმა გაგზავნა, თორნიკესთან ერთად, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის მეთაურად. ბროსეს განმარტებით, ეს ჯოჯიკი ბიზანტიელების „ციციკიოსი“-ა („TZITZIKIOS“), რომლის შესახებ ბიზანტიის ისტორიკოსი კედრინი (Cedrenus) 1016 წლის თარიღით გვამცნევს, რომ ის იყო შვილი თევდატ პატრიკის იბერიელისა, იმყოფებოდა ბიზანტიის სამსახურში და ასრულებდა დოროსტოლის პრეფექტის თანამდებობას (ბროსე, Op. cit., p. II).

ქართულ წყაროებში ჯოჯიკი ცნობილია ერისთავთ ერისთავის წოდებით. მაგალითად, ათონის ივერიის მონასტრის ერთ ხელნაწერში („ძლის პირნი და ღვთისმშობლის საგალობელნი“) ვკითხულობთ:

„ქრისტე, ადიდე ჯ ოჯიკ ერისთავთ ერისთავი აწ და უკუნისამდე“; „ქრისტე ადიდე ბევრის ბევრეულთა წელთა ჯოჯ კ ერისთავთა ერისთავი უფროჲს ყოველთა ნაშობთა ქუეყანისათა“[5].

XV

უკანასკნელი წარწერა —ხუროთმოძღვრის რელიეფზე (აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონში) რომელიც, ჩვენი წანაკითხის მიხედვით, გვაუწყებს, რომ ტაძარი 10 წლის განმავლობაში შენდებოდა, ზემოთ იყო განხილული.

## 10. ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ოშკის ტაძარი მდებარეობს ძველ ქართულ თემში, ტაოში. იგი მთის კალთაზე დგას, მდ. თორთუმის წყლის მარცხენა, ფრიად მაღალ ნაპირზე, იქ, სადაც ეს წყალი ერთვის თორთუმის ტბას, რომელიც, როგორც ირკვევა, მხოლოდ დაახლოებით 1791 წელს წარმოქმნილა, შემთხვევითი დაგუბების შედეგად.

ტაძარი ნაგებია მოყვითალო-წითელი, წმინდად თლილი ქვით და, მიუხედავად საგრძნობი დაზიანებისა, დღესაც აოცებს მნახველს სიდიადით, სიმაღლითა და ყველა ნაწილების პროპორციულობით, ქანდაკოვანი დეკორითა და აგრეთვე სხვადასხვაგვარი პოლიქრომული სამკაულით.

სიდიდისა და ქანდაკოვანი სამკაულის მხრივ ეს ტაძარი ტაოში მეორეა, ბანას მრგვალი ტაძრის შემდეგ. იგი თავისუფლად აუბამს მხარს ქუთაისის ტაძარს (რომელიც, როგორც ზემოთაც ითქვა, იმავე სიგრძისაა და გეგმითაც ნაწილობრივ მოგვაგონებს კიდევაც ოშკს) და მცხეთისა და ალავერდის კათედრალებს.

გეგმა ზოგადად იშხნისგანაა ნასესხები, მაგრამ საგრძნობლად გართულებულია: აქ ჩვენ გვაქვს სამ-აფსიდიანი ნაგებობა, ოღონდ ისეთი, რომელსაც ყველა აფსიდის კუთხე მომრგვალებული აქვს და ამიტომ ტაძარს შეგვიძლია მრავალ-აფსიდიანი ვუწოდოთ.

დასავლეთით ტაძარს ორ-სართულიანი პატრონიკე აქვს. ჩრდილო-დასავლეთი ეკვდრის ზედა სართული აგრეთვე პატრონიკეს წარმოადგენს და უერთდება დასავლეთი პატრონიკის ზედა სართულს. ყველაფერი ეს დიდად ამშვენებს შიგნიდან ტაძარს.

სილამაზით გამოირჩევა აგრეთვე ტაძრის დასავლეთი ნავის სამხრეთ კედელს გასწვრივ გაყოლებული გალერეა, რომელსაც ოთხი ღია კამარა და მათი საყრდენი სვეტები აქვს.

---

[1] ბროსე შეცდომით კითხულობს: „განვაშენე“.

[2] ეს სიტყვა ბროსეს გამოტოვებული აქვს.

[3] ბროსე კითხულობს: „უფალო“.

[4] ბროსეს ეს სიტყვა გამოტოვებული აქვს.

[5] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1881, გვ. 248.

ტაძრის ამშენებელნი ყოფილან ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე III კურაპალატის († 961 წ.) შვილები—ბაგრატ ერისთავთ ერისთავი († 966 წ.) და დავით მაგისტროსი, შემდგომ დავით დიდად წოდებული, ტაოს კურაპალატი († 1001 წ.).

რაკი ტაძარი ადარნასეს სიცოცხლეშივე დამთავრებულა, ხოლო მან კურაპალატობა 958 წელს მიიღო (წარწერა მას ამ პატივით იხსენიებს) და იგი 961 წელს გარდაიცვალა, უნდა ვთქვათ, რომ ტაძრის დამთავრება 958—961 წწ. მოდის, არა უგვიანეს 961 წლისა. მშენებლობის გამგე ყოფილა გრიგოლ ოშკელი, ხოლო ხუროთმოძღვარი—ერისკაცი ვინმე, რომელსაც თავისი რელიეფური გამოსახულება აღმოსავლეთი ფასადის თავბანდის ქვეშ მოუთავსებია. ეს ქვა, როგორც ჩანს, ჩამოვარდნილა და გამტყდარა. მისი ზედა ნაწილი დაკარგულია და მარტოოდენ ქვედა ნაწილი შემორჩენილა (მუხლებს ზევით). ეს უკანასკნელიც ბოსტნის ყორეში აღმოჩნდა. ზედ გამოხატულ კაცს ქართული, გრძელ-სახელოებიანი და სარტყლიანი ჩოხა აცვია. ბარელიეფის ორივე მხარეზე დაცულია მცირე წარწერა, რომელიც გვამცნებს, თუ რამდენ წელს უშენებია ამ ხუროთმოძღვარს ტაძარი. მიუხედავად ამ წარწერის პირველი სიტყვის დაზიანებისა, ცხადია, რომ წარწერა ასე იკითხება: „ათსა წელსა აშენებდა“.

სამხრეთი გალერეის ბოლოს, მაჰმადიანთა მიერ ამჟამად უკვე ამოქოლილ კამარაში შემორჩენილა ერთი ლამაზი, ორნამენტოვანი მრგვალი სვეტი და მეორე, ფრიად დიდი, ექვს-წახნაგოვანი სვეტი, რომელსაც სვიმეონ მესვეტის დიდი ქანდაკოვანი ფიგურა აგვირგვინებს. ამ სვეტის წახნაგები კი უხვადაა შემკული რელიეფური ფიგურებით (კოზმანისა და დამიანესი, ვედრების კომპოზიციისა, წმიდა ნინოსი, გრიგოლ ოშკელისა და ნიღბებისა, ხოლო ფერადებით დახატულია ვედრების კომპოზიცია, ყველა ანგელოზთა დასი, მახარებელთა ემბლემები) და ნაირ-ნაირი არაბესკებით. ეს ერთად-ერთი შემთხვევაა ქართულ ტაძრებში სვეტების ამგვარად მორთვისა.

ტაძრის შიდა კედლები საუცხოო ფრესკებით მოუხატავთ (ჯოჯიკ პატრიკიოსის ხარჯით) 1036 წელს, მაგრამ მოხატულობისაგან ძალიან ცოტა რამ შემორჩენილა და ისიც წამხდარია.

ტაძრის გარეთა კედლები დაფარულია მრავალ-რიცხოვანი ასომთავრული, მეტწილად წითელ-ფერადოვანი წარწერებით. ბევრი მათგანი დაღუპულია, ზოგისაგან ცალკ-ცალკე სიტყვა თუ ასოები დარჩენილა, მაგრამ, საბედნიეროდ, მაინც ბევრი; სახელდობრ 15 წარწერა გადარჩენილა და იკითხება. ეს წარწერები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან ტაძრის მშენებლებისა და სხვა ისტორიულ პირთა შესახებ და ამიტომ მათ საქართველოს ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## III. ხახულის მონასტერი

### 1. ტაძრის მდებარეობა და დაცულობა

ხახულის მონასტერი მდებარეობს თორთუმის-წყლის მარცხენა შენაკადის, ხახულის-წყლის ხეობაში.

ეს ხეობა ვიწროა და თითქმის 7 კილომეტრის მანძილზე გრძელდება. სოფელი ხახული მთელი ხეობის გასწვრივ არის გაჭიმული, მდინარის ორსავ ნაპირას. სახლები ამ სოფელში მეტწილად ქვისაა, მიწის ბანიანი, მიწის იატაკიანი და პატარა, უშუშო სარკმლებიანი. სოფელი 7 უბნად („მეჰლედ“) არის დაყოფილი. ეს უბნებია: ჯაფარ-აღა, დერდერისი, რადენსი, ოსმან-აღა, ჩირენსი, იოლუნი და სერთი. შეიძლება ითქვას, რომ მთელი ხეობა ხეხილნარს წარმოადგენს, ნაირ-ნაირი ქლიავ-ჭანჭურის, მსხლის, ვაშლის, ბჟოლის (თუთის) და კაკლის (ნიგვზის) ხეებისაგან შემდგარს; არის აგრეთვე კომში, ლეღვი და ზღმარტლი და ზოგან ვაზიც კი, თუმცა უკვე გატყიურებული. ამ ფრიად ვრცელ ბაღში მიმოფანტულია სოფლის სახლები. ხეხილისაგან თავისუფალ ადგილებზე სიმინდი და პური სთესია, მაგრამ მხოლოდ აქა-იქ და ძალიან პატარ-პატარა ყანებად (40 კვ. მეტრს ყანის ფართობი არსად აღემატება). მოსახლეობა უმთავრესად ხილეულით ირჩენს თავს: ზოგს არზრუმში ჰყიდიან, ხოლო მეტ წილს კი სჩირავენ და საზამთროდ ინახავენ.

ხახულის-წყლის შესართავს ზემოთ თორთუმის-წყალს ერთვის მეორე მცირე მდინარე, კისხას-წყალი (თურქ. „ქისხა-სუ“). ამ ადგილას შემორჩენილია თორთუმის-წყალზე გადებული ძველი მკვიდრი, თლილი ქვით ნაგები ხიდი, რომელსაც ერთი ისრული თაღი აქვს (ტაბ. 108, სურ. 4). ამ ხიდის თავთან, გზის მარჯვნივ, ჩანს თითქმის მთლიანად შემონახული, ჩვეულებრივი რიგის მცირე ეკლესია, უხეშად თლილი ქვით ნაგები (ტაბ. 108, სურ. 5).

ხახულის წყლის მარჯვნივ ამართული ქედი მაღალია, მარცხნივ კი რამდენადმე უფრო დაბალი. ოდესღაც ეს მთები წიწვიანი ტყით ყოფილა შემოსილი, მაგრამ ეხლა ამ ტყის ნაშთები-ღაა შემორჩენილი მდინარის სათავეში და აქა-იქ ფერდობებზედაც.

მონასტერი გაშენებულია შუა ხევში, მდინარის მარცხენა ნაპირზე, მთის ძირას. სამხრეთით მას ნაწილობრივ ჰფარავს მწვერვალი და ამის გამო იგი შორიდან სრულიად არ ჩანს, თითქოს მთის უბეშიაო შემალული (სოფლისა და მთავარი ტაძრის გუმბათის ხედი იხ. ტაბ. 89).

მონასტრის ასაგებად ადგილი საგანგებოდ მოუკავებიათ. ეზო მონასტერს საკმაოდ დიდი ახლავს, ამჟამად ქვის დაბალი გალავნით შემოზღუდული. ამ გალავანს შესასვლელი სამხრეთიდანა აქვს. ეს შესასვლელი უნდა წარმოადგენდეს ნაშთს სამრეკლოს ან ეგებ კოშკის თაღისას, რომელიც სრულიად გამქრალია, თუმცა ზემოთ ამავალი ორი საფეხური კიდევ ჩანს.

მთავარ ტაძარს, ჩვეულებისამებრ, გარს ერტყა მცირე ეკლესიები, რომელთაგან 5 გალავანს შიგნით იდგა, ხოლო 3—გარეთ (შენობათა და გალავნის საერთო გეგმა იხ. ტაბ. 84.).

მაჰმადიანებს მთელი მთავარი ტაძარი გადაუქცევიათ ჯამედ და არა მხოლოდ მისი რომელიმე ნაწილი, როგორც, მაგ., იშხანსა და ოშკში. ამ გარემოებას დიდად შეუწყვია ხელი მთავარი ტაძრის დაცვა-შენახვისათვის. თავის დროზე აქაური ქრისტიანი მოსახლეობის მოწიწება ტაძრისადმი ტრადიციულად გადასულა მათ გამაჰმადიანებულ შთამომავლობაზედაც. ხახულარებს მაშინაც კი არ მიუგდიათ ეს ძეგლი, როდესაც მათ მის შორი-ახლოს მეჩეთი ააშენეს. ისინი დიდი პატივისცემით ეკიდებიან ხსოვნას მეჩეთის „მნათესი“, ვინმე ჰაჯი-ხალილ-ბაქირ-ოღლისა, რომელიც თურმე განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა და ინახავდა ძეგლს. შიგნით ტაძარი მის დროს ხალიჩებით ყოფილა მორთული და სრული წესრიგი და სისუფთავე სუფევდა თურმე. ის კაცი დამარხულია მონასტრის გალავანს შიგნით (რაც სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევას

წარმოადგენს) და მის საფლავზე აღმართულია ძეგლი, რომელზედაც გარდაცვალების თარიღი— ჰიჯრის 1302 წ. (=1884/85 წწ.) არის აღნიშნული.

## 2. მონასტრის ორი უმთავრესი ტაძარი

ხახულის მონასტრის ნაგებობათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი.

პირველია დიდი გუმბათიანი ტაძარი, რომელიც აშენებულია დავით დიდი კურაპალატის მიერ, X საუკუნის მე-2 ნახევარში. რომ ეს ტაძარი დავით კურაპალატს აუშენებია, ამას მოწმობს „ქართლის ცხოვრება“, რომელშიაც პირდაპირაა ნათქვამი, რომ დავით კურაპალატმა ააგო ხახულის ტაძარიო[1].

მეორე მეტად საყურადღებო ეკლესია არის მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარე ერთ-ნავიანი ბაზილიკა. საბედნიეროდ, მისი ამშენებელიც ცნობილია. ვახუშტი ბატონიშვილი წერს თავის გეოგრაფიაში: თორთუმის „ხევზედ, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია—მონასტერი ხახულისა, ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შვენიერს, კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურატპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქავ არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდ-შენი, რომელი აღაშენა მჱ მეფემან დავით. არამედ აწ უქმ ცარიელ არიან“...[2] ეტყობა, ვახუშტის კარგად სცოდნია ხახულის შენობათა აგების ისტორია. მის მიერ დასახელებული 48-ე მეფე არის დავით კურაპალატი (876—881), ძე ბაგრატ კურაპალატისა და შვილიშვილი აშოტ I კურაპალატისა.

ამ ორი ეკლესიის გეგმა მოთავსებული გვაქვს ცალკე ტაბულაზე (ტაბ. 85).

აღნიშნულ ტაძრებს ცალკ-ცალკე აღვწერთ.

**მთავარი, გუმბათიანი ტაძრის** თავდაპირველი გეგმა შიგნიდანაც და გარედანაც ჯვარისებრია და წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვან და ბაზილიკურ ნაგებობათა შერწყმას. ოღონდ ბაზილიკა აქ უკვე სამ-ნავიანია და არა ერთ-ნავიანი, როგორც იშხანსა და ოშკში (ტაბ. 85). აღნიშნული ტაძრებისაგან ხახულს ისიც ასხვავებს, რომ აქ გუმბათს ქვეშ არ არის 4 ცალკეული სვეტი და პირველი ორის მაგივრობას ეწევა საკურთხევლის აფსიდის ნახევარსვეტები (ტაბ. 86). ხოლო მეორე წყვილი, წინა ორი სვეტი ოთხკუთხოვანია და მათ აღმოსავლეთით აქვთ მაღალი, ორნამენტებიანი უბეები მონასტრის წინამძღვრის ან ეპისკოპოსის სადგომად (ტაბ. 94, სურ. 2). თითო არა ღრმა უბე ამ სვეტებს დასავლეთითაც აქვთ (ტაბ. 85). დანარჩენი 4 სვეტი, რომელნიც შუა ნავს გვერდის ნავებისაგან ჰყოფენ, მრგვალია, მათ სხვადასხვაგვარი ძირები და თავები აქვთ 96, სურ. 1; სამხრეთით პირველი სვეტის თავი იხ. ტაბ. 96, სურ, 2. ტაძრის დასავლეთი მკლავის სამხრეთ ნაწილის შიგა პერსპექტიული ხედი იხ. ტაბ. 95; სიგრძივი განაკვეთი სამხრეთით იხ. ტაბ. 86.

თაღები გოდრულია. აფრები ქანდაკოვანი ზოლებითაა შემკული (სურ. 86). საკურთხევლის აფსიდა 0,72 მეტრით უფრო მაღალია, ვიდრე ტაძრის იატაკი. აღსავლის კარისაკენ, ჩანს, სამი ნახევარწრიული საფეხური ადიოდა. სამკვეთლო და სიდიაკვნე არაჩვეულებრივ მარტივია, ერთსართულიანი. ისინი ტაძარს უკავშირდებიან კარებით და საკურთხეველს კი არა. გარედან ისინი მთავარ საკურთხეველზე უშუალოდ ზედ მიშენებული და ქვის ცალფერდა სახურავით დაბურული არიან. საკურთხევლის აფსიდას ამკობს ცხრა მაღალი, თავ-მომრგვალებული უბე, რომელთა ქვედა ნაწილებში დასაჯდომებია გამოკვეთილი (ტაბ. 85). მათ შორის ცენტრალური, საკურთხევლის სარკმელს ქვემოთ მდებარე უბე ფართოა, ეპისკოპოსის საჯდომად განკუთვნილი, ერთ-საფეხურიანი. ამ უბის თაღში არის ფრთა-გაშლილი მტრედის რელიეფური გამოსახულება, ამჟამად გაფუჭებული. უბეს ქანდაკოვანი ჯვარი აგვირგვინებს. ამას გარდა, საკურთხევლის მარჯვენა და მარცხენა კედლებში კიდევ თითო უბეა („ამბრაზური“).

დიდი, მონოლითური ტრაპეზის ქვა ამჟამად ტაძრის სამხრეთი კარის მარჯვნივ ძევს. საკურთხევლის აფსიდის ნახევარ-სვეტებს ემჩნევა კანკელის ლავგარდანის დასამაგრებელი ჭდეები. ეხლა ამ ჭდეებში ჩადგმულია იმ ხის კანკელის შესაკრავები, რომელიც პორუჩიკს ნ. მ. შუგუროვს გაუკეთებია 1916 წელს (იხ. ტაბ. 94, სურ. 1). საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ, ტაძრის მხრივ, კედლებში სათითაო ორნამენტოვანი უბეა, კონუსურ-თავებიანი (ხატებისათვის). მარჯვენა უბის სიმაღლე 1,44 მეტრია, სიგანე—0,73 მეტრი. მარცხენა უბის სიმაღლე 1,71 მეტრია, სიგანე 0,87 მეტრი. ოდესღაც სწორედ ამ მარცხენა უბეში მდგარი ქალკოპრატის ღვთისმშობლის სახელ-

---

[1] მარიამისეული ქართლის ცხოვრება, გვ. 137.

[2] „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941, გვ. 140.

განთქმული ხატი, რომელიც XII საუკუნეში გადმოასვენეს გელათის მონასტერში, სადაც მას გაუკეთეს დიდი სამკარედი, მრავალ-რიცხოვანი ბიზანტიური და ქართული მინაქრით დამშვენებული[1].

## 3. ტაძრის ეკვდრები

ხახულის ტაძარს რამდენიმე ეკვდერი აქვს. მათგან მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ეკვდერია თვით ტაძრის თანამედროვე. მას აფსიდი არა აქვს; მისი კედლები შეულესავია; თაღი გოდრულია, სამ სართავ კამარაზე დაყრდნობილი. აღმოსავლეთით და დასავლეთით ეკვდერს პატარა სარკმლები აქვს. ეკვდერი მხოლოდ ტაძარს უკავშირდება კარით (ტაბ. 85). ეს ეკვდერი, ჩანს, საკუჭნაოსა და მარანს წარმოადგენდა: შიგ მიწაში ჩაფლულია დიდრონი ქვევრები.

სამხრეთით ტაძარს ამჟამად ახლავს დიდი სტოა-გალერეა, რომელიც უეჭველად უფრო გვიანდელია, ვიდრე თვით ტაძარი. ეს გალერეა თავდაპირველად ტაძრის დასავლეთ მკლავს მისდევდა და შედგებოდა შუაში სამი ღია კამარისა და აქეთ-იქით, ბოლოებში სათანადო ყრუ კამარისაგან (ტაბ. 85). კამარები ეყრდნობა [illegible] სვეტებს, რომელთაც სხვადასხვა სახის თავები და ძირები ამშვენებს (ტაბ. 87, 100, 101). ამ სვეტებს შეესაბამება ტაძრის სამხრეთ კედელზე მიდგმულ პილასტრები (ტაბ. [illegible] და 103, 1—2). შემდგომ ეს გალერეა ჯერ დასავლეთი ეკვდრის გასწვრივ განუგრძვიათ ღია კამარებით, ხოლო შემდეგ, სულ ბოლო ხანებში, ეს კამარები უბრალო ქვით ამოუქოლავთ (ტაბ. 85), მათში სარკმლები დაუტანებიათ (ტაბ. 87) და ამრიგად მიღებულ შენობაში სკოლა („მედრესე“) მოუწყვიათ. რომ ეს ორი კამარა გვიანაა დამატებული, ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ ერმაკოვის ფოტოგრაფიაზე ისინი არ ჩანან (ტაბ. 101, 1). ძველი გალერეის აღმოსავლეთ ნაწილში არის ნახევრად მრგვალი უბე, რომელსაც ზევით მრგვალი სარკმელი აქვს. ეს უბე თითქოს საკურთხევლის მაგივრობას ეწევა ამ გალერეისათვის (ტაბ. 85). მისი მრგვალი სარკმელი გარედან შემკულია წრეში მოთავსებული ქანდაკოვანი ჯვრით. გარდა ამისა, გალერეა შემკულია კამარებით, რომლებიც დაყრდნობილია პალმეტებით შემკული თავებისა და ძირების მქონე სვეტებზე (ტაბ. 100 და 101).

ტაძრის დასავლეთი ეკვდერი, ჩემი აზრით, აგრეთვე გვიანდელია. დასავლეთით მას შესასვლელი არა აქვს და იგი ტაძრის დასავლეთ კარს ფარავს (ტაბ. 85). ისეთ ჩინებულ ტაძარს, როგორიც ხახულია, არ შეიძლებოდა მხოლოდ ერთი, სამხრეთი კარი ჰქონოდა. დასავლეთი კარი თავდაპირველად პირდაპირ ეზოში გადიოდა, მაგრამ შემდეგ იგი ეკვდერს ჩაუკეტავს. ამას გარდა, ტაძარს დასავლეთით ახლავს ორ-საფეხურიანი ზეძირკველი, ხოლო ტაძრის კარი შემკულია ნახევრად მრგვალი საპირით, რომლის ქვეშაც კარაკიზე გამოსახულია წრე გეომეტრიული ფიგურებითურთ. ეკვდრის კედლები შიგნიდან თლილი ქვითაა შემოსილი, მოხატული არსადაა. დასავლეთ კედლებში გამოჭრილია სამი სარკმელი, რომელთაგან შუათანა უფრო დიდია დანარჩენებზე (ტაბ. 85 და 88). ეკვდერი, ისევე როგორც მთავარი ტაძარი, დაყოფილია სამ ნავად და ისე, რომ გვერდითი ნავების იატაკი უფრო მაღლა ძევს, ვიდრე შუა ნავისა. ეკვდრის ორი სვეტი, რომლებსაც გოდრული თაღის სართავი კამარა ეყრდნობა, მრგვალია, და მათ თავებიც მრგვალი აქვთ (ტაბ. 85).

როგორც ჩანს, ეს ეკვდერი სამხრეთ გალერეის აშენების შემდეგ გაჩენილა, ხოლო მას შემდეგ, რაც ეკვდერი აშენებულა, სამხრეთი გალერეა განუგრძვიათ დასავლეთი ეკვდრის სამხრეთი კედლის გასწვრივ (ტაბ. 84). დამატებული ეკვდრის გაგრძელება შემდეგ სკოლის ოთახად გადაუკეთებიათ (ტაბ. 85 და 87).

აგრეთვე გვიანდელ ნაგებობას წარმოადგენს ის მცირე სამლოცველო, რომელიც აღმოსავლეთით არის მიშენებული სამხრეთ გალერეაზე. მას აფსიდაში სარკმელი აქვს და სამხრეთით კარი (ტაბ. 85). სამლოცველოს აღმოსავლეთ სარკმელს მომრგვალებულ წრეში მოქცეული ქანდაკოვანი ჯვრით დამშვენებული საპირე აქვს. ეს მინაშენი ეხლა დანგრეულია. ამ ნაგებობას დაუფარავს ტაძრის სამხრეთ კედელში დატანებული ქვა, რომელზედაც ფრიად მოხდენილი, რთული ჩუქურთმაა ამოჭრილი.

სხვაფრივ ტაძარი მთელია, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო ფერდობიდან მას მომცრო კაკლის ხე დასცემია. ეს ხე დღემდე გახიდულია ფერდობსა და ტაძარს შორის და აადვილებს სახურავზე და გუმბათის ყელთან ასვლას. ჩვენც დიდად ვისარგებლეთ ამ „ხიდით“ ძეგლის აზომვა-შესწავლისას. ეს ხე ტაძარს ჩვენი ექსპედიციის მისვლამდის სულ მცირე ხნით ადრე დასცემია, ვინაიდან მას ნ. მ. შუგუროვი არ ახსენებს თავის წიგნაკში.

[1] Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Опись памятников в некоторых храмах и монастырях Грузии, СПБ, 1890, გვ. 6—23.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 4. გუმბათის ყელი

მშვენიერი, მკაცრად პროპორციული ყელი გუმბათისა გარედან შემკულია 16 კამარით, რომელთაგან 8 გლუვია, ხოლო 8-ში კი სარკმლებია გამოჭრილი. ეს კამარები ეყრდნობა ორმაგ



სურ. 34



სურ. 35

ხრახნისებრ სვეტებს, რომელთაც ზედმიწევნით ფაქიზად ნაკვეთი და ნაირ-ნაირი ორნამენტით დამშვენებული ძირები და თავები აქვთ (ტაბ. 93, სურ. 3—5).



სურ. 36



სურ. 37

ყელის ძირს ირგვლივ შემოუყვება წნული ორნამენტის სარტყელი. სვეტის თავები შემკულია პალმეტებით, ყურძნის მტევნებითა და სხვადასხვაგვარი წნულებით. ერთ სვეტის თავზე გამოხატულია მიმინო, რომელიც ნადავლსა ჰგლეჯს. ყელის თვითეულ სარკმელს ორმაგი მომრგვალებული თავსამკაული აქვს. შიდა საპირე მოყვითალო ქვისაა, ფრიად ფაქიზი ჩუქურთმით შემკული, ხოლო გარეთა მუქი წითელი ქვისაა, უჩუქურთმო. სვეტის ძირებზე შემონახულია ასომთავრული წარწერები, რომელნიც ალბათ ტაძრის ამშენებელი ოსტატების ვინაობას გვამცნობენ[1]. სახელები დაქარაგმებულია და ზოგის ამოკითხვა ძირს კიდევაც. 6 სვეტისძირზე სულ 8 სახელია ამოჭრილი (იხ. სურ. 34, 35, 36, 37, 38, 39).



სურ. 38



სურ. 39

1. გურსი
2. ადერკ[2]
3. მიქელ ჯავახ
4. თუალშავ
5. გიორგი და თუალის
6. მხწს (მუხწის?)

ერმაკოვის ფოტო-სურათზე ჩანს, რომ მის დროს გუმბათის ყელის სარკმლები აფიცრული ყოფილა (იხ. ფოტო № 312), ხოლო შემდეგ, ეტყობა, მაჰმადიანებს გაუკეთებიათ ჩუქურთმოვანი ხის დარაბები, რომელნიც ჩვენ უკვე დაძველებული და გამოფიტული დაგვხვდა (ტაბ. 90, 91).

გუმბათი კონუსისებრია, იმგვარივე წითელ-მწვანედ მოჭიქული კრამიტით დაბურული, როგორითაც იშხნისა და ოშკის ტაძართა გუმბათებია. გუმბათის ქვის გვირგვინი—ქუდის სახით იყო იგი წარმოდგენილი, თუ ჯვრის სახით—არ შენახულა. იგი არც ერმაკოვის დროს, ე. ი. 1874 წელს ყოფილა (იხ. ფოტო 312), მაგრამ 1916 წლის 29 მაისს, ხახულის კომენდანტს, პორუჩიკ შუგუროვს გუმბათზე თუთის ხისგან გამოთლილი ჯვარი აუმართავს.

ტაძრის ლავგარდანი ქანდაკოვანია, ღარისებრი. ტაძრის დასავლეთ ნაწილს ზემოთ, სახურავს ქვეშ, სამალავია მოწყობილი. შუგუროვის სიტყვით, ამ სამალავის სიმაღლე რამდენადმე ნაკლებია ადამიანის საშუალო სიმაღლეზე. მის კედლებზე თითქოს შეწებებულია ფიცრები. სამალავის ცალ-

[1] ამ წარწერებში ლ ასოს ნუსხურის მოყვანილობა აქვს.
[2] ამ სიტყვის დასაწყისი მოშლილია. შეიძლება „ავდერკ"-იც წერებულიყო.

კეულ ნაწილებს ერთმანეთთან გვირაბისებრი სავალი აკავშირებს. ეხლა შიგ გუმბათიდან შეიძლება შესვლა და ზოგი ცნობისმოყვარე შესულა კიდევაც[1].

## 5. ტაძრის ფასადები და ქანდაკოვან-ჩუქურთმოვანი სამკაული

ოშკის მსგავსად—თუმცა ნაკლები სიუხვით—ხახულის ტაძარიც შემკულია ქანდაკოვანი და ჩუქურთმოვანი ქვებით. მას მთავარი ფასადი სამხრეთით აქვს და სწორედ ამ ფასადზეა თავმოყრილი სამკაულის უმეტესობა (ტაბ. 87). უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ტაძრის სამხრეთი მკლავის ორმაგი სარკმელი შუა სვეტითა და ზედა ნაწილში კამარებით, რომელსაც ჩუქურთმიანი ძირებისა და თავების მქონე, ორმაგი წნული სვეტები უდგია აქეთ-იქეთ. ზემოთ ამ სარკმლებს აქვთ საერთო, უფრო დიდი, მომრგვალებული თავ-სამკაული, რომელიც ჰორიზონტული ქუსლებით ბოლოვდება. ამ საპირესა და ორმაგ სარკმელს შორის დარჩენილ მ(...)შვენელოვან სივრცეზე თეთრი და წითელი ქვებით გამოყვანილია მარაოს(...)ბრი სამკაული. გაშლილი მარაოს შუაში ჩინებული ბარელიეფია: ფრთა გაშლილ არწივს ჭანგებით ნადავლი (კურდღელი) უჭირავს. ამ სარკმლის მთელი ანსამბლი იშვიათი სილამაზით და მოხდენილობით გამოირჩევა და არაჩვეულებრივ ამშვენებს მთელს სამხრეთ ფასადს (ტაბ. 92).

განსაკუთრებით მდიდრულად ყოფილა მორთული სამხრეთი კარი, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, ჯწინ ამ მხარეზე გალერეა არ ყოფილა. უპირველეს ყოვლისა, თვით კარს ერტყა ირგვლივ ორმაგი, „თოკისებრ“ ნაქანდაკევი სვეტები, თავთავისი ძირებითა და თავებითურთ (ტაბ. 102, 103). ამასთანავე კარს ყოველმხრივ ახლდა ბარელიეფები. ზემოთ კარაკინზე გამოქანდაკებულია ჯვარი—ამაღლება ოთხი ანგელოზის მიერ (ამჟამად ეს ბარელიეფი გაფუჭებულია). კარს არცხნივ, ქვედა სართულში გამოხატულია ლომი (ტაბ. 104, სურ. 1). ამას ზევით რაღაც ზღაპრული მხეცია, თითქოს ურჩხული (დრაკონი) (ტაბ. 106, სურ. 2), ხოლო უფრო ზევით შუბოსანი წმ. გიორგი, მის წინ დედაკაცი, ხოლო უკან—მხეცი. ეს ფიგურა ნაწილობრივ გაფუჭებულია, ხოლო ნაწილობრივ დამალულია გალერეის სართავი კამარის საყრდენი სვეტის მიერ (ტაბ. 103, სურ. 2). უკეთესადაა შენახული ბარელიეფები კარს მარჯვნივ. ზემოთ წარმოდგენილია პეტრე მოციქული, რომელსაც ვეებერთელა კლიტე უჭირავს (ტაბ. 105, სურ. 1), ხოლო ქვემოთ—ვეშაპი, რომელიც ხელ-აპყრობილ იონა წინასწარმეტყველსა ნთქავს (ზღვა გამოხატულია სიმბოლურად, იონას თავთან ორი თევზის სახით, ტაბ. 105, სურ. 2). ამ სცენის ქვემოთ მამალი თუ ფარშევანგია (ტაბ. 106, სურ. 1), ხოლო უფრო ქვემოთ—ლომი, რომელიც ხარს დასცემია (ტაბ. 104, სურ. 2).

ტაბულები 104—106 წარმოადგენენ ჩვენი ექსპედიციის მიერ გადმოღებულ მულაჟთა ფოტოსურათებს[2].

მარჯვნივ კედელზე, რომელიც გალერეას აღმოსავლეთით ჰყოფს გარეთა სამლოცველოსაგან, არის ჩვილედი ღვთისმშობლის მუხლზევითი ბარელიეფი. ღვთისმშობლის აქეთ-იქეთ, ნაპირებზე სრულ-ტანოვანი მთავარანგელოზებია. ღვთისმშობელს სახე გაფუჭებული აქვს[3].

სამხრეთ ფასადის შემდეგ ყველაზე უფრო ღია და თვალსაჩინოა დასავლეთი ფასადი (ტაბ. 88). ამ მხარეზე სამკაული შედგება დასავლეთის ერთად-ერთი სარკმლის მორთულობისაგან. თვით სარკმელი დიდია, ფართო, ორმაგ-თავსამკაულიანი. გარეთა თავსამკაული დიდი აქვს, მომრგვალებული, ქუსლებთან ჰორიზონტულად გამოყვანილი, მშვენიერი აკანთის ფოთლოვანი ორნამენტით

[1] იხ. შუგუროვის უკვე დასახელებული წიგნაკის მე-7 გვ... ჩვენმა ექსპედიციამ ვერ მიაგნო ამ სამალავის შესასვლელს, ალბათ დაუხშავთ.

[2] ისინი ჩემი ნებართვით ადრევე გამოაქვეყნა ი უ რ გ ი ს ბ ა ლ ტ რ უ შ ა ი ტ ი ს მ ა თავის წიგნში: Etudes sur l'art médiéval en Géorgie et en Arménie. Paris, 1929 (pl. LIV, LXIII, LXXI, LXXV, LXXXV).

[3] როგორც ნ. შუგუროვი წერს, ეს დაზიანება 1914—1918 წწ. მსოფლიო ომის დროს უნდა იყოს მომხდარი (იხ. დასახ. წიგნაკის მე-10 გვ.). მეორე მხრივ ჩვენ თვით ვნახეთ, რომ ხახულელი მაჰმადიანი ქალები დიდი მოწიწებით ექცევიან ზემოაღნიშნულ ბარელიეფს ღვთისმშობლისას, რომელსაც მარიამს უწოდებენ. უშვილო, ძნელი ორსულობით შეწუხებული, ურძეო ან სხვა რამით გაჭირვებული ქალები მოდიან ამ ბარელიეფთან, აღაპყრობენ მისკენ ხელებს და შველას სთხოვენ „მარიამს“. ამას პ. შუგუროვიც ამოწმებს (მე-17-ე გვ.). გარდა ამისა, ჩვენ გვიამბეს, რომ „ყურბანბაირამის“ დღეს თურმე ქალებს შეღებილი კვერცხები მოაქვთ „მარიამთან“ და სანთელსაც უნთებენ მას.

საერთოდ იქაური მაჰმადიანები ძალიან პატივსა სცემენ ხახულის ტაძარს და მათ ბევრი თქმულებაც აქვთ მის შესახებ. მაგალითად, იგივე შუგუროვი შემდეგს მოგვითხრობს: ერთხელ ერთი მარჯვე და ღონიერი ყმაწვილი, რომელსაც გაეგონა, რომ ხახულის გუმბათში ჯვართან თითქოს დამალული იყოს დიდძალი საუნჯე, ამძვრალა გუმბათზე, მიუხედავად იმისა, რომ სათანადო მოწყობილობის უქონლად ეს თითქმის შეუძლებელია. ასვლით კი ასულა, მაგრამ ხელცარიელი ჩამობრუნებულა, შინ მისვლისთანავე ჩამჯდარა იატაკზე და სული განუტევებია. „მარიამმა დასაჯა თავხედობისთვისაო“, დასძინა თურმე ამ ამბის მომთხრობმა მაჰმადიანმა (დასახ. წიგნაკი, გვ. 17).

შემკული. შიდა კი შედგება ერთი მთლიანი, მომრგვალებული, უჩვეულო თეთრი ქვისაგან და ქანდაკოვანი ზოლებით არის შემკული. ამ ორ საპირეს შორის გამოყვანილია პოლიქრომული, 17-მუხლიანი, მარაოსებრი სამკაული (9 მუხლი მუქი წითელია, დანარჩენი თეთრი).

**აღმოსავლეთით** ტაძარს სოფლის სახლები აკრავს, მათ შორის სულ მცირე ადგილია დარჩენილი. ამიტომ აღმოსავლეთი ფასადი არაა ფართოდ გაშლილი. მიუხედავად ამისა, საკურთხევლის მთავარ სარკმელს ამ მხარეზედაც ისეთივე სამკაული აქვს, როგორიც დასავლეთით, ოღონდ ნაკლებ მდიდრული. აქაც ვხედავთ ორმაგ თავსამკაულს, ხოლო მათ შორის პოლიქრომულ მარაოს. მთავარ თავსამკაულს ამკობს წნული ორნამენტი, რომლის ზემოთაც არის ოთხკუთხოვანი ქვა ლამაზი, რთულ-მოტივიანი, ქანდაკოვანი ჯვრითურთ. ეს ჯვარი ნაწილობრივ დაზიანებულია (ტაბ. 93, სურ. 1, 2). სამკვეთლოსა და სადიაკვნის გვერდის სარკმლებს მარტივი ქანდაკოვანი საპირეები და წრეში მოვლებული ჯვრები ამკობს. ამას გარდა, აღმოსავლეთი ფასადის თავბანდს ქვემოთ ქანდაკოვანი „მალტური" ჯვარია გამოყვანილი.

**ჩრდილო ფასადი** ფერდობთან ახლოსაა და ამიტ ამ იგი მაინცადამაინც შემკული არ არის. ამ ფასადის სარკმელს მომრგვალებული საპირე აქვს, მარტივი ქანდაკოვანი ზოლებით შემკული. საპირეს ზემოთ აგრეთვე მარტივი და ქანდაკოვანი წრე-შემოვლებული ჯვარია.

## 6. წარწერები

ხახულის ტაძრის კედლებზე, ოშკისაგან განსხვავებით, წარწერები ცოტაა. ტაძრის აგების დროინდელი წარწერები მხოლოდ ისინია, რომელნიც გუმბათის ყელის კამარათა ექვს კვარცხლბეკზეა ამოჭრილი და რომლებიც ტაძრის მშენებელი ოსტატების ვინაობას გვამცნობენ (იხ. ზემოთ). ნ. სარგისიანი ამ წარწერებს არსად აღნიშნავს. მიზეზი ალბათ ისაა, რომ მის დროს გუმბათის ძირთან მისვლა ძნელი იყო, ქვემოდან კი წარწერები არ ჩანს. ჩრდილო ფერდობიდან გადმოწოლილმა კაკლის ხემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ საშუალება მოგვცა გუმბათის ყელის ძირამდე მიგვეღწია და წარწერათა ესტამპაჟები გადმოგვეღო (სურ. 34—39).

მეორე, 11-პწკრიანი წარწერა არის იმ სვეტზე, ან, უფრო სწორედ, პილასტრზე, რომელიც სამხრეთის კართან არის მიშენებული გალერეის სართავი კამარის დასაყრდნობად. იგი უშნო ასომთავრულით არის ნაწერი და თან ძლიერ დაზიანებულია (ტაბ. 102, სურ. 2). სარგისიანს იგი კალკით გადმოუღია. ბროსეს არა აქვს გამოცემული წარწერის პირი. იგი აღნიშნავს, რომ წარწერა ძალზე წამხდარია და მასში მხოლოდ ის ამოიკითხება, რომ ტაძრის დამაარსებლის სახელზე **აღაპი** განუწესებიათ: „...დავდევ აღაპი .... დავით" (J'ai établie une agape... David). აღაპის განწესება სწორადაა ამოკითხული, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარწერაში დავითი სრულიადაც არ იხსენება. მიუხედავად წარწერის ცუდი დაცულობისა, ჩვენ შევძელით ადგილობრივ მისი სრულად წაკითხვა:

| **ქარაგმებით:** | **უქარაგმოდ:** |
| --- | --- |
| ს˜ლითა ღთისაჲ თა | სახელითა ღმრთისაჲთა |
| მე საბა საღირი | მე, საბა საღირი |
| (ს ძე)მან შ˜ვწირე წ˜ლ(ის) | (ს ძე)მან, შევწირე წისქვილი(სა?) |
| (ადგილი) წ˜სა ღ˜თის | (ადგილი) წმიდასა ღმრთის |
| (მშობელ)სა და და | (მშობელ)სა და და |
| ვდევ აღაპი სა | ვდევ აღაპი სა |
| (ლო)ცველ˜დ თვ˜ისა | (ლო)ცველად თავისა |
| (ჩ)მისა (და მშ ბლთა) და | (ჩე)მისა (და მშობელთა) და |
| ძმათა ჩმთათჳს | ძმათა ჩემთათჳს, |
| და ვინცა შეუ˜ცვლ | და ვინცა შეუცვალ |
| ოს შეჩვენებულ არ | ოს, შეჩვენებულ არ |
| ს ღთისა პირითა მა | ს ღმრთისა პირითა, მა- |
| მისა და ძისა და სულსა წ˜დსა | მისა და ძისა და სულისა წმიდისა, |
| ან | ამინ. |

როგორც ვხედავთ, წარწერაში დავითი არსად იხსენიება. ბროსემ, ალბათ ვახუშტის გავლენით, ჩაურთო აქ ეს სახელი: ეგონა, რომ საუბარი ეხება „საქართველოს 48-ე მეფე დავითს", რომელსაც ვახუშტი ხახულში ერთი ტაძრის აშენებას მიაწერს. სხვა არა იყოს რა, ის გარემოება, რომ წარწერა მერმინდელი მინაშენის სვეტზეა გამოყვანილი, ამტკიცებს, რომ იგი არ შეიძლება

ეკუთვნოდეს 871—881 წლებს. ამასვე გვაფიქრებინებს ასომთავრული ასოების მოყვანილ[illegible] სრულიად არ შეიძლება მიეკუთვნოს კლასიკურ ხანას. ეს წარწერა, ისევე როგორ[illegible] ძნელად თუ დათარიღდება XIV საუკუნეზე უფრო ადრე დროით.

შემდეგ ბროსე აღნიშნავს სარგისიანის მიერ აღმოსავლეთი კედლიდან გადმოღებულ წარწერას, რომელიც რამდენიმე, მორიგეობით განლაგებული, ქართული და სომხური ასოებისაგან შედგება და რომელსაც სარგისიანი პირობით ასე კითხულობს: „წმ. გიორგი. . . . . 317 წელს სომხური წელთაღრიცხვისა“ (=868 წ.). ესეც სრული გაუგებრობის ნაყოფია. ხახულში ყოფნისას მე დავრწმუნდი, რომ აფსიდის აღმოსავლეთ კედელზე არის ძალიან გვიანდელი, უშნოდ ამოკაწრული ქართული ხუცური წარწერა, რომელშიაც ვიღაცა შენდობას თხოულობს (სახელი არ გაირჩევა). როგორც ეტყობა, წარწერა ტაძრის რომელიღაც ნახევრად-უწიგნურ მლოცველს ეკუთვნის, გვიანი დროისას. ბროსე არ შემცდარა, როდესაც ეჭვის თვალით შეუხედავს პატივცემული არმენისტის მოსაზრებისათვის ამ წარწერის შესახებ (Op. cit., გვ. 12).

თანამედროვე ხახულართა, ანუ ხახულის მცხოვრებთა თქმით, ხახულის ტაძარი, ისევე როგორც იშხნისა, ოშკისა და პარხლის ტაძრები, აუშენებია ერთს სახელოვანსა და მდიდარ დედოფალს. ალბათ ამ გადმოცემაში თამარ მეფე იგულისხმება, მაგრამ გამაჰმადიანებულ ქართველებს მისი სახელი აღარ ახსოვთ.

## 7. მოხატულობა

მიუხედავად იმისა, რომ, ყოველი ნიშნის მიხედვით, ხახულის ტაძრის კედლები თავდაპირველად მოსახატავად განკუთვნილი არ ყოფილა, იგი მაინც მოუხატავთ. ერთხანს რომ მოხატვას არ აპირებდნენ, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი დაკვირვება: ტაძრის კედლები შიგნიდან ისეთივე სუფთად თლილი, ნაცრისფერი ქვისაა, როგორისაც გარედან; ამასთანავე სვეტები, სვეტისთავები, უბეები და აფრები ქანდაკოვანი სამკაულითაა დამშვენებული.

მოხატულობისა ცოტა რამ-ღა შემორჩენილა. საკურთხეველში ჩანან მოციქულები, რომელთაც ხელში სახარებანი უჭირავთ. (ტაბ. 97,1). აქვეა სხვა წმინდანებიც. შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები: „წ͠ჲ ი-ნე, წ͠ჲ მათე, წ͠ჲ მოდისტოს, წ͠ჲ ბართლომე“. აფსიდის ზენიტში, როგორც ჩანს, დახატული ყოფილან ღვთისმშობელი და მთავარანგელოზები. მიქელ მთავარანგელოზის ფრთები და წარწერა „მ͠ქლ“ ჯერ კიდევ ჩანს. სამხრეთ კედელზე ეხატა მირქმის სურათი, მაგრამ ცუდად შენახულა. იქვეა მეორე, უკეთესად შენახული ფრესკა—იერუსალიმს შესვლა, რომელიც ფერადებით გადმოხატა ექსპედიციის წევრმა, მხატვარმა ლ. გუდიაშვილმა. (ამ კომპოზიციის სურათები იხ. ტაბ. 98, 99)[1]. გუმბათს ქვეშ და გუმბათის ყელის კედლებზე ფრესკები ალბათ უკეთ შეინახებოდა, მაგრამ ჩვენსობას იქ დიდძალი მტრედები ბუდობდნენ და ყელის კედლები სავსებით დაფარული იყო მათი სკინტლით, ისე რომ ვერაფერი ვერ დავინახეთ. თუმცა გუმბათ ქვეშ მაინც მოჩანდა ანგელოზთა მიერ ჯვართამაღლების სურათი, ხოლო მის ქვემოთ—ეტლი და შიგ შებმული სხვადასხვა ფერი ცხენები (ტაბ. 97, სურ. 2). როგორც ეტყობა, აქაც იგივე სურათები ყოფილა დახატული, რაც იშხნის ტაძრის გუმბათის ყელს შიგნით.

მონასტრის წინამძღვრის სადგომ უბეშიც (ტაბ. 94) ყოფილა ფრესკა. ეხლა იგი წაშლილია, მაგრამ მისი წარწერა კი შემონახულა:

„ქ. მათე: მ͠ძრი: ხხლისა: ო͠ლო: შ͠ე.“

უქარაგმოდ: „მათე მოძღუარი ხახულისა, უფალო, შეიწყალე“. სიტყვა „მოძღუარი“, უპირველეს ყოვლისა, „მღვდელს“ ნიშნავს, ხოლო შემდეგ აგრეთვე „წინამძღვარსა“ და „მასწავლებელს“ აქ, რა თქმა უნდა, სწორედ წინამძღვარი იგულისხმება.

მეორე ასეთ უბეში შემორჩენილია გვიანდელი ხუცური წარწერა, რომელიც, ჩანს, სალოცავად მოსულს ვისმე ეკუთვნის:

„წ. ღ͠ო: შ͠ე პაპ
უნა: ა͠ნ“.

უქარაგმოდ: „წმიდაო ღმერთო,
შეიწყალე პაპუნა.
ამინ“.

---

[1] მანვე გადმოხატა ფრესკის ორნამენტის სახეები, მაგრამ მათი ფოტო-სურათები ამჟამად ხელთ არა მაქვს. 5. 1917 წლის არქ. ექსპედიცია...

პირველი სვეტის სამხრეთ წახნაგზე გამოხატულია ღვთისმშობელი, ხოლო მის მარჯვნივ ყოფილა შვეული, გრძელი, 17-პწკრიანი, წარწერა, ამჟამად თითქმის სულ წაშლილი, შენახულია მხოლოდ პწკართა დასაწყისი ასოები, რომელთა მიხედვით წარწერის აღდგენა შეუძლებელია.

ამას გარდა უნდა აღინიშნოს, რომ ნ. შუგუროვმა 1917 წელს თბილისში თავაზიანად გადმოგვცა მის მიერ ხახულის მონასტრის პირველი ნახვისას შემთხვევით გადმოწერილი თურქული წარწერა, ან უკეთ რომ ითქვას, ამ წარწერის ნახევარი. იგი თურმე მეორე ნახევრის გადმოწერასაც აპირებდა, მაგრამ როდესაც მისულა, ენახა, რომ წარწერაცა და კედლის ნალესობაც ვიღაცას მოეფხიკა. ეს თურქული წარწერა მუსულმანურ ლოცვას წარმოადგენდა[1].

## 8. მცირე ერთ-ნავიანი ბაზილიკა, დავით კურაპალატის მიერ აშენებული (976—981 წწ.)

ეს ბაზილიკა პატარა, მაგრამ ერთობ მკვიდრი ნაგებობაა, თლილი ქვით შემოსილი, მოხდენილი და თანაც უზადოდ დაცული (გეგმა იხ. ტაბ. 85). დასავლეთით მას ამშვენებს დიდი და მშვენიერი, გაშლილ-თაღებიანი კარიბჭე (ტაბ. 107, სურ. 2). ბაზილიკის სიგრძე უდრის 7,31 მ, განი—4,71 მ. მისი აღმოსავლეთი ფასადი მოგვაგონებს წრომის ტაძრის (VII ს.) ფასადს (ტაბ. 107, სურ. 1). აქაც, წრომის მსგავსად, აღმოსავლეთი კედლის შუა ადგილას არის ერთი მშვენიერი სარკმელი, რომელსაც აქეთ-იქეთ ახლავს თითო ღრმა უბე. ამ უბეების სიღრმეში არის მრგვალი სვეტები, ისევე როგორც წრომში, ხოლო მათი ზედა ნაწილები ქანდაკოვანი მარაოსებრი სამკაულითაა დამშვენებული. თვით სარკმელი ოდნავ ისრულია და შიგნით შემკულია ორმაგი ნახევარწრიული მოჩუქურთმებული თავითა და სვეტებით, ხოლო სარკმლის თავი—წნული ორნამენტით, რომლის ბოლოებში გამოქანდაკებულია ბურთობები. ნახევარწრეები ეყრდნობოდა სვეტებს, ხოლო სვეტების ბოლოები—ლამაზად გამოქანდაკებულ გველის გამოსახულებას. მეორე დიდი ორმაგი მომრგვალებული სარკმლის თავიც ეყრდნობა უფრო დიდ სვეტებს, რომელთაც ჩუქურთმიანი თავები და განცალკევებული კვარცხლბეკები აქვთ (ტაბ. 107, სურ. 1).

კარი ეკლესიას ერთი აქვს, დასავლეთით, ლამაზი, კვადრატული, ღია კამარებიანი კარიბჭითურთ. მისი კარაკინი შემკულია ჩუქურთმოვანი „აყვავებული ჯვრით“. აგრეთვე ჩუქურთმოვანი საპირე აქვს დასავლეთი კარიბჭის ზედა სარკმელს. ამ კარიბჭის კამარის საპირე, გრეხილური ორნამენტით შემკული, ეყრდნობა რთულ, თავიან-ძირიან სვეტებს (ტაბ. 107, სურ. 2). ლავგარდანი კუთხეებში თავდება მცირე ქანდაკოვანი ბურცობებით. საკურთხეველშიც ორი მცირე უბეა. მთლიანი ტრაპეზის ქვა კედელზეა მიყრდნობილი. იატაკიცა და სახურავიც ქვისაა.

## 9. მთავარი ტაძრის შემდეგ აშენებულ მცირე ეკლესიათა ნაშთები

ზღუდეში, გარდა ორი ძველი ტაძრისა, მოქცეული ყოფილა კიდევ ოთხი მცირე ეკლესია.

ერთი მათგანი მიშენებული ყოფილა შესავალს მარცხნივ, კედელზე, რომელიც ეხლა ისე განადგურებულია, რომ გეგმის აღდგენაც კი შეუძლებელია.

მეორე ეკლესია მის ქვემოთ ყოფილა, ზღუდეზე მიშენებული. მისი გეგმის აღდგენა შესაძლო გახდა (იხ. ტაბ. 84).

მესამე ეკლესია ყოფილა მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ მისი მარტო დაბლა დანგრეული კედლებიღა შემორჩენილა (გეგმა იხ. ტაბ. 84).

მეოთხე ეკლესია დგას მთავარი ტაძრის ჩრდილოეთით, ფერდობზე, რომელიც ეზოს მოვაკება-მოსწორებისას არის 1,47 მ სიმაღლეზე ჩამოჭრილი, ზედ ეკლესიასთან. იგი ყველაზე უფრო დიდია ამ ოთხ ეკლესიათა შორის. აგებულია თლილი ქვით. აღმოსავლეთით აქვს აბსიდა, რომელსაც აქეთ-იქეთ ორი აბსიდიოლა ახლავს. თითო აბსიდაში თითო პატარა სარკმელია: აღმოსავლეთ შუა სარკმელს აქვს მომრგვალებული საპირე, ქანდაკოვანი რგოლებითა და წრე-შემოვლებული ჯვრით დამშვენებული. თაღი ჩამოქცეულია, კედლები მთელია. კარი ეკლესიას ერთი აქვს, დასავლეთით. მას ზემოთ სარკმელია. ეკლესიის ქვეშ არის თაღოვანი სარდაფი, რომელსაც შესასვლელი დასავლეთითა აქვს, ეკლესიის კარს ქვემოდან სარდაფი აწ ცარიელია. ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ეკლესია ბერების სამარხს, საძვალეს წარმოადგენდა.

[1] იხ. შუგუროვის მრავალგზის დასახელებული წიგნაკი, გვ. 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10. გალავანს გარეთ მდებარე მცირე ეკლესიები

ერთი ამათგანი დგას მთავარი ტაძრის სამხრეთით, ხახულის წყლის მარჯვენა ნაპირას, თითქმის ტაძრის პირდაპირ. იგი სრულიად მთელია. შემოსილია უხეშად თლილი ქვით. სამხრეთით ძლიერ ახლოსაა ფერდობთან. კარი ერთი აქვს, ჩრდილოეთით; სარკმელი—ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით (ეკლესიის ხედი აღმოსავლეთიდან; იხ. ტაბ. 108, სურ. 1). ეკლესიის სიგრძე 6,26 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 3,93 მეტრს. საკურთხეველში ორი დიდი უბეა. თალი გოდრულია. მისი სიმაღლე 4,95 მეტრს უდრის. კარს ზემოთ დიდი ქვაა (სიგრძით 2 მეტრი და სიგანით 67,5 სანტიმეტრი), რომელზედაც წრე-შემოვლებული ქანდაკოვანი ჯვარია (იხ. ტაბ. 108, სურ. 2) და ორ-პწკრიანი ასომთავრული წარწერა. ასოები არაა ღრმად ამოჭრილი, თანაც შუაში ქვა ამომტვრეულია და ამიტომ წარწერის გარჩევა ჭირს. იგი შემდეგს ღაღადებს:

1. ესე არიან ბჭენი (უფლისა)ნი და მართალნი შევლ
2. ენ ამს. ქ͠ე შ͠ე ამსა აღ(მშნბლი) მი(რ)დტ მონაჲ წდსა გის.

უქარაგმოდ: „ესე არიან ბჭენი უფლისანი და მართალნი შევლენან ამას. ქრისტე, შეიწყალე ამისა აღმაშენებელი მირდატ, მონაჲ წმიდისა გიორგისი".

„მირდატ"-ის ამოკითხვა მე თითონ საეჭვოდ მიმაჩნია. მეორე ეკლესია მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით დგას, მოშორებით, მთის მაღალ, კლდოვან კონცხზე, ხახულის წყლის მარჯვენა ნაპირას. იგი აგებულია წმიდად თლილი ქვით (ტაბ. 108, სურ. 3). სამხრეთ-აღმოსავლეთით მისი საფუძველი 3,01 მეტრით არის შემაღლებული. ეკლესიის სიგრძე 5,78 მეტრია, სიგანე 3,87 მეტრი. კარი სამხრეთითა აქვს, სარკმელი აღმოსავლეთით. დასავლეთი კედელი არ შენახულა, მაგრამ საფიქრალია, რომ ერთი სარკმელი აქეთაც ექნებოდა. თალი ჩამოქცეულია, მაგრამ აფსიდი მთელია. კედლებს პერანგი ნაწილობრივ შემოცლილი აქვთ.

ამათ გარდა ერთი პატარა ეკლესია არის აგრეთვე ხახულის ხეობის დასაწყისში. იგიც წმიდად თლილი ქვით ყოფილა შემოსილი, მაგრამ ცუდადაა შენახული.

მეორე ჩვეულებრივი, უხეშად თლილი ქვის ეკლესია შუა ხეობაში დგას. ეტყობა, იგი სომხური უნდა ყოფილიყო. ამას გვაფიქრებინებს სარკმელს ირგვლივ შემორჩენილი რამდენიმე სომხური ასო. წარწერას იმდენი აკლია, რომ არავითარი აზრის გამოტანა არ ხერხდება.

* * *

ხახულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო. იქიდან გამოდიოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი, ღვთისმეტყველნი, მქადაგებელნი, მთარგმნელნი, კალიგრაფები და სხვ. საკმარისია იმის გახსენება, რომ საღვთო წერილის სახელ-განთქმულ მთარგმნელს, გიორგი მთაწმინდელს პირველდაწყებითი სწავლა სწორედ ამ მონასტერში მიუღია და აქვე აღკვეცილა ბერად. ჩვენამდე მოაღწია ხახულის მონასტერში გადაწერილმა ხელნაწერებმაც. უეჭველია, რომ, ოშკისა და ოთხთა ეკლესიის მსგავსად, აქაც იქნებოდა დიდი სემინარია-სასტიგნე; იქნებოდა ეპისკოპოსის, მონასტრის წინამძღვრისა და ბერების საცხოვრებელი სახლები და სხვ. მაგრამ არცერთი ამგვარი შენობის კვალიც კი აღარსად გადარჩენილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ხისა იქნებოდნენ (ისევე როგორც სოფელ ხახულის თანამედროვე სახლების ერთი ნაწილი) და ამიტომ უკვალოდ გაქრებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. ექექი

სოფელი ექექი (და არა „ეგრეკი“, როგორც ბროსე წერს) მდებარეობს თორთუმის ხეობის ზემო წელში, მთაზე, თორთუმის ციხის მახლობლად. სოფელში დგას ძველი ტაძარი, წმიდად თლილი, მუქი წითელი ქვით შემოსილი (სოფლისა და ტაძრის საერთო ხედი იხ. ტაბ. 110). ამჟამად იგი ჯამედ არის ქცეული. გეგმით წარმოადგენს ცენტრულ-გუმბათიან ნაგებობას, ბერძნული ჯვრის მსგავსს. აღმოსავლეთ ნაწილში მას აქვს სამი აფსიდი—საკურთხევლისა, სადიაკვნისა და სამკვეთლოსათვის (ტაბ. 109, 1). გარედან სამკვეთლოსა და სადიაკვნის აფსიდები გამოყოფილია საკურთხევლის აფსიდისაგან უბეებით, რომელთაც გეგმაზე სამკუთხოვანი მოყვანილობა აქვთ და რომელთა ზედა ნაწილები შემკულია მარაოსებრი ჩუქურთმებით (ტაბ. 111). სადიაკვნე და სამკვეთლო არ უერთდება საკურთხეველს.

შიგნიდან ტაძარი ახალი შელესილი და შეთეთრებულია და ამის გამო მხატვრობის კვალი არსადა ჩანს, ტაძრის შინაგანი სიგრძე 9,07 მეტრს უდრის, სიგანე 6,55 მეტრს. კარები სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ჰქონია, მაგრამ ეხლა სამხრეთი კარი მაჰმადიანთა მიერ ამოქოლილია, ხოლო ჩრდილო მკლავში მოწყობილია ხის პატრონიკე.

გუმბათი და მისი ყელი ეყრდნობა პილასტრებს, რომელთაც სხვადასხვაგვარი სვეტისთავები აქვთ. გუმბათის ყელი რვაწახნაგოვანია და თითო წახნაგში თითო სარკმელია გამოჭრილი. სარკმელთა კამარები ეყრდნობა გრეხილ-სამკაულიან სვეტებს, რომელთაც სხვადასხვანაირი ძირები და თავები აქვთ (ტაბ. 112, სურ. 1; 111). გუმბათის ყელის სიმაღლე 5,22 მეტრს უახლოვდება. აფრები „კოვზური“ სამკაულითაა დამშვენებული. გუმბათი კონუსურია. იგი დაზიანებულია (ტაბ. 111).

აღმოსავლეთი ფასადის ყოველ სარკმელს აქვს ჩუქურთმოვანი საპირე, ოღონდ შუა (საკურთხევლის) სარკმლის საპირეს არ ახლავს ჰორიზონტული ქუსლები. მის ქვემოთ „მალთური ტიპის“ ჩუქურთმოვანი ჯვარია, იქვეა ბერძნული წარწერა: „M̄P Θ́Y“.

სადიაკვნის სარკმლის საპირის ზემოთ არის წრე-შემოვლებული ჯვარი და წარწერები—ზემოთ ქართული, ნუსხა-ხუცური, ხოლო ქვემოთ ბერძნული (ტაბ. 113, 3). ეს უკანასკნელი უნდა იკითხებოდეს „O Α ΝΙΚΟΛ“. ამასვე უნდა აღნიშნავდეს ქართულიც: „ქ წ̃აო ნიჴოლა“, მაგრამ იგი უმეცრადაა ნაწერი: ძნელი სათქმელია, ბოლო სიტყვეში „ნი“ მარცვლის შემდეგ რაიმე ასო სწერია თუ მხოლოდ ქარაგმა; გარდა ამისა, ჴ ასოს შემდეგი ასო ო არაა მკაფიოდ გამოხატული. მაგრამ ყველაზე უფრო ახირებული ისაა, რომ ბერძნული ასო K ქართულ წარწერაში ჴარით არის გადმოცემული და არა კანით. ამრიგად გამოდის: „წმიდაო ნიჴოლა“. ყველაფერი ეს იმას მოასწავებს, რომ დამწერს ცუდად სცოდნია ქართულიცა და ბერძნულიც. ტაძრის სახურავის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ქვაზე ამოჭრილია ქართული მთავრული ასო Ⴌ̃, რაც ბერძნული N-ს უდრის და, მაშასადამე, ეგებ აქაც „ნიკოლა“ სახელის დასაწყისი გვქონდეს. საკურთხევლის სარკმლის საპირეს ქვემოთ ბერძნული წარწერაა (ტაბ. 113, 2), რომელიც შეიცავს მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელებს: „ΜΧ ΓΑΒΡΙ“.

ჩემი აზრით, ეს უწიგნური ბერძნული და ქართული წარწერები მაინც მოწმობენ, რომ ტაძრის მთავარი საკურთხეველი აგებული ყოფილა ღვთისმშობლის სახელზე, სამკვეთლოს საკურთხეველი — მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა სახელზე, ხოლო სადიაკვნისა — წმ. ნიკოლოზის სახელზე.

სამხრეთი ფასადი წარმოდგენილია 112-ე ტაბულაზე (1). ამ ფასადის კარზე საპირის ქვემოთ არის წრე-შემოვლებული ქანდაკოვანი ჯვარი, ხოლო სარკმელზე პოლიქრომული მარაოსებრი სამკაული, ისეთივე, როგორიც ხახულსა და ოშკში. ამას გარდა, სარკმელს მარჯვნივ, ქვაზე ამოჭრილია მზის საათი ქართული ასომთავრული წარწერით (ტაბ. 112, სურ. 1, 2). ტაძრის სამხრეთ

მხარეზე არის სამ-პწკრიანი, ჩემთვის გაუგებარი, ქართული ვულგარული წარწერა (ტაბ. 113, სურ. 3). ეტყობა წარწერა ნუსხა-ხუცურით არის შესრულებული, მაგრამ ასოები ისე დამახინჯებულია, რომ გარჩევა შეუძლებელია.

დასავლეთ ფასადს მიშენებული აქვს ხის ნაგებობა—სკოლა („მედრესე"), რომელიც ნაწილობრივ სამხრეთ ფასადსაც მოიცავს. ამიტომ დასავლეთი ფასადის ფოტო-გადაღება ვერ მოვახერხეთ. დასავლეთი ფასადის სარკმელი ეხლა სკოლის მეორე სართულში გამოდის. მის აქეთ-იქეთ გამოყვანილია ბერძნული წარწერა: „M⁻P Θ⁻Y". ამ სარკმლის საპირის ქუსლები ჰორიზონტულად კი არაა გაწვდილი, არამედ სადა საბჯენებს („კრონშტეინებს") ეყრდნობა. ჩრდილო ფასადის სარკმელს ისეთივე საპირე აქვს, როგორიც დასავლეთ სარკმელს. პოლიქრომული მარაოსებრი სამკაული არის აგრეთვე გუმბათის ყელის ზოგიერთი სარკმლის თავზე. ჩრდილო კარსაცა აქვს ჩუქურთმოვანი საპირე, ხოლო მის ქუსლებთან არის სვეტებზე დაყრდნობილი კამარებისაგან შემდგარი სამკაული, რომელიც ტაძრის დასავლეთ კედელზედაც გრძელდება.

სარგისიანს ექექში, ტაძრის დასავლეთით მდგარ ერთ-ერთ შენობაზე, აღმოუჩენია ბერძნული წარწერა (სურ. 40). იმ დროს ამ შენობაში თავლა ყოფილა, მაგრამ უწინ იგი ალბათ მცირე



სურ. 40

ეკლესიას („une chapelle") წარმოადგენდაო, შენიშნავს აკად. ბროსე. ეს წარწერა გამოცემული აქვს ბროსეს და ჩვენ აქ მხოლოდ ვიმეორებთ. ბროსე მას ამგვარად კითხულობს და თარგმნის[1], „·····de la très sainte Mère de Dieu, par mois Grégoire, patrice et général de Zarisse et de Macédoine, fils cle Sybat patrice, dit Kikhatzi, l' Ibérien(?), et par les respectables...; or ceci a été bâti sous Basile et Constantin, les grands rois et autocrates porphyrogénètes, en l'année 6515"

სიტყვა „Kikhatzi" (ბერძ. KHXKATI), ბროსეს აზრით, იგივეა, რაც ქართული „კისკასი" („vif:—dans ses mouvemeuts"), ე. ი. „ნართაული" სახელი, რომლითაც იხსენიებენ ქართველ ბაგრატიონს აშოტს ქართული მატიანეცა და კონსტანტინე ძოწით-მოსილიც (Constantin Porphyrogénète[2]). ასეთი შერქმეული სახელის მქონე სუმბატი უცნობია, მაგრამ ბროსეს მაინც ჰგონია, რომ წარწერაში მოხსენებული გრიგოლი და მამა მისი სუმბატი (Sumbatius) ქართველი ბაგრატიონები არიან. პროფ. ნ. ადონცი კი ფიქრობს, რომ ეს გრიგოლი სომეხია, გრიგოლ ტარონელი (Grégoire Taronite), რომელსაც იმ ხანად დიდი ადგილი ეჭირა თესალონიკეში და რომლისთვის შეიძლებოდა ლარისაც მიენდოთ. გრიგოლის მემკვიდრე იყო Roupenès-ი ანუ რუბენ-ი, კილიკიის რუბენიდების წინაპარი, რომელიც 1018—1019 წლებში ლარისისა და საბერძნეთის სტრატეგად იყო.[3] ნ. ადონცს ძნელად თუ დაეთანხმება კაცი: გარდა იმისა, რომ გრიგოლ ტარონელს არ ჰქონია წარწერაში ჩამოთვლილი წოდებანი და ჩვენ არა ვიცით რა მამამისის შესახებ, თვით ადონცის

[1] Mémoires de l'Académie Impériale des sciences de St-Pétersbourge VII[e] série, t. YIII, № 10, 1864, pp. 12—14, Pl. II, № 3a.

[2] Brosset, Add. IX, p. 154.

[3] N. Adontz, Notes Arméno-Byzantines: Byzantion, t. X, p. 194—195.

ქრონოლოგიური მსჯელობაც უშლის ხელს ამ მოსაზრების გაზიარებას. ადონცის აზრით 1006–1007 წლებში, რასაც ჩვენი წარწერის თარიღიც შეესაბამება, გრიგოლი ალა[illegible] ლარისისა და საბერძნეთის სტრატეგოსი, იგი უკვე, ასე ვთქვათ, გადამდგარი ყოფილა, შინ დაბრუნებულა და „აგარაკში" (ე. ი. ექექში) ეკლესიის შენებისათვის მიუყვია ხელი. მეორე მხრივ კი ადონცივე აღნიშნავს, რომ 1018—1019 წწ. რუბენი 23—25 წლისა უნდა ყოფილიყო და, მაშასადამე, იგი უნდა დაბადებულიყო არა უადრეს 993 წლისა; და თუ დავუშვებთ, რომ ის 1007 წელს შეენაცვლა გრიგოლს და არა უფრო ადრე, გამოვა, რომ რუბენს ლარისისა და საბერძნეთის სტრატეგოსობა მაშინ მიუღია, როდესაც ის სულ 14 წლის ყმაწვილი ყოფილა. მაგრამ არ შეიძლება წარმოდგენა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობა 14 წლის ყმაწვილისათვის და ისიც უცხოელისათვის მიენდოთ ბიზანტიელებს.

ამრიგად, ექექის წარწერაში ნახსენები გრიგოლისა და მამამისის პიროვნება ჯერჯერობით გამოურკვეველია. წარწერის თარიღი, როგორც ვთქვით, 1006—1007 წლებს მიგვითითებს, მაგრამ ეს თარიღი ვერას გზით ვერ მიეწერება ექექის მთავარი, გუმბათიანი ტაძრის აშენებას. აღნიშნული თარიღი მხოლოდ იმას მოწმობს, ბროსეს მართებული შენიშვნისა არ იყოს, რომ გრიგოლ პატრიკიოსს, ლარისა-მაკედონიის გენერალსა და სტრატეგს, ექექის მთავარი ტაძრის მახლობლად აუგია მცირე ეკლესია, სამლოცველო, რომელიც შემდეგ მაჰმადიანებს თავლად გადაუქცევიათ. თითქმის იმავე დროს, 1006 წელს, ქართველმა მეფემ გურგენმა ააშენა მცირე ეკლესია იშხნის ტაძართან (იხ. ზემოთ). ექექის მთავარი ტაძარი უეჭველად 1007 წელზე ადრეა აგებული— IX საუკუნის ბოლოს ან X-ს დასაწყისში. იგი ოშკისა და ხახულის წინამორბედია. ქართველ ბაგრატიონთა მიერ ტაო-კლარჯეთში წარმოებული ინტენსიური და შესანიშნავი მშენებლობის პერიოდი IX და განსაკუთრებით X საუკუნეზე მოდის. X საუკუნის ბოლოს კი ეს მშენებლობა წყდება, ვინაიდან საქართველოს და აფხაზეთის მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანების შემდეგ პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი დასავლეთ საქართველოში გადადის და ქუთაისი იქცევა დედაქალაქად გაერთიანებულ ქვეყნისა, რომელსაც მას აქეთ საქართველო ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# V. ႱႭႾႧႭႰႭႧႨ

სოხთოროთი ერთი პატარა სოფელია ექექს სამხრეთით, მისგან 1,5 კილომეტრის მანძილზე, ვიწრო ხეობაში, საიდანაც იწყება ექექს მიმავალი აღმართი. ამ სოფელშიც არის ძველი, ოთხკუთხოვანი, ერთ-ნავიანი ტაძარი, რომელიც ამჟამად ჯამედაა ქცეული (იხ. ტაბ. 114, 4). ნაგებობას თაღი არ შერჩენია და მის მაგიერ იგი მიწა-დაყრილი ხის ჭერით არის დაფარული. ტაძარი აგებულია ნაგლეჯი ქვით, ოღონდ კარები, სარკმლები და პილასტრები წმიდა თლილი ქვისა აქვს. აღმოსავლეთით ზეძირკველი ერთი მეტრითაა შემაღლებული, ვინაიდან ეკლესია დამრეც ადგილასა დგას. აღმოსავლეთსა და დასავლეთ სარკმლებს მომრგვალებული, ჰორიზონტულ-ქუსლიანი საპირეები აქვთ. კარები დასავლეთიდანა და სამხრეთიდან ყოფილა, მაგრამ უკანასკნელი ამჟამად ამოქოლილა და მის მაგიერ სამხრეთით სარკმელია გაჭრილი. კედლებს მოხატულობის კვალი ამჩნევია.

დასავლეთით გვიან მინაშენი ეკვდრის ნაშთებიც შემორჩენილა. ამ ეკვდერს სარკმელი სამხრეთით ჰქონია, ხოლო კარი ჩრდილოეთით, ეს კარი ამჟამად ამოქოლილია. ეკვდერზე მიშენებულია ხის სკოლა („მედრესე“). ეკვდრის ზეძირკველი ორ-საფეხურიანია. ტაძრის სიგრძე გარედან 10,01 მეტრს უდრის, სიგანე 6,60 მეტრს. ტაძარს გარშემო ჰქონია გალავანი, რომელიც ეხლა უკვე დანგრეულია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# VI. ისი

სოფელი ისი მდებარეობს თორთუმის ტბის დასაწყისის მახლობლად, მდ. ოთხთა-წყლის (თურქ. „ოთხთა-ჩაი“) მარჯვენა ნაპირას, თორთუმის წყალთან, მისი შესართავის მახლობლად. სოფლის განაპირას შემორჩენილია ძველი ტაძრის ნანგრევები, რომელთაც ეხლა სათივედ და ჩირის სახმობად იყენებენ სოფლელები.

ეს ტაძარი, ისევე როგორც ძველი იშხანი და სუხბეჩი, ცალკეული, ზერელედ ნათალი ქვითაა ნაგები. ამჟამად იგი მიწითაა ამოვსილი და შიგ შესვლა მხოლოდ სამხრეთ სარკმლიდან თუ შეიძლება.

ტაძრის გეგმა წარმოადგენს ტიპიურ ტრიკონქს, რომელსაც დასავლეთი სწორ-კუთხოვანი მკლავი დაგრძელებული აქვს (იხ. ტაბ. 114, 1). სამკვეთლო და სადიაკვნე წარმოადგენს ცალკე ოთახებს, რომელთა ც შესასვლელები გვერდითი აფსიდებიდანა აქვთ. ტაძრის გვერდის მკლავები გარედან შემკულია ოთხი ღრმა და მაღალი, გეგმაზე მრგვალი უბით. აღმოსავლეთ, სადა კედელში სამი სარკმელია გამოჭრილი, ხოლო სამხრეთში ერთი. კარი ერთი აქვს, დასავლეთ მხარეს. თაღები შერჩენია მხოლოდ საკურთხევლის აფსიდას.

გუმბათის ყელი დაბალი ყოფილა, გარედან რვა-წახნაგოვანი. სარკმლები ოთხ წახნაგსა ჰქონია. თვითეული სარკმლიანი წახნაგი მოთავსებული ყოფილა უსარკმლო წყვილ წახნაგს შორის. გუმბათის ყელისა დასავლეთი ნაწილი-ღა გადარჩენილა, თავ-მონგრეული სარკმლითურთ. სარკმლის სიმაღლე 1,43 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 0,64 მეტრს. ტაძრის კედლის სისქე 1,12 მ-ა, გუმბათის ყელისა 0,80 მეტრი. ტაძრის შინაგანი სიგრძე 12,3 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 8,2 მეტრს.

გუმბათი ჩაქცეულა, მაგრამ ჩანს, რომ იგი საფეხურებიან ტრომპებზედ ყოფილა დაყრდნობილი. შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე, რომ აფრები სამ-საფეხურიან კიბესავითაა აღმართული. სამხრეთ-დასავლეთ აფრაზე შერჩენილია მწვანე და წითელი მოხატულობის ნაშთი: ჩანს მხოლოდ ზოლები და ორნამენტის ნაწყვეტები. პილასტრთა სვეტისთავები მარტივი ჩუქურთმოვანი ზოლებითაა წარმოდგენილი. საკურთხეველშიც შემორჩენილა მოხატულობის კვალი.

ტაძრის აგების დრო არ ვიცით, მაგრამ იგი IX საუკუნეზე უფრო ახალი არ უნდა იყოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# VII. სუხბეჩი

სუხბეჩის ეკლესია მდგარა იშხანს ჩრდილოეთით, „ქარგიელად“ წოდებულ მაღალ მთაზე „ლივანისაკენ“ ანუ ართვინის რაიონისაკენ მიმავალი გზის უღელტეხილს ახლოს. ამ უღელტეხილიდან, რომელიც, სულ ცოტა, 1800 მეტრის სიმაღლეზე ძევს ზღვის დონიდან, პარხლის მთების მშვენიერი პანორამა იშლება თვალწინ. ქარგიელის მთის კალთაზე არის სოფ. სუხბეჩის საძოვრები („იალაღი“) ხოლო იქვე, მინდორზე—ნანგრევები მომცრო ძველი ეკლესიისა, რომელიც, იშხნის ძველი ტაძრისა და ექექის მსგავსად, ცალკეული, ზერელედ ნათალი ქვით ყოფილა აშენებული.

საყდრის გეგმა წარმოგვიდგება, როგორც ტიპიური ტეტრაკონქი, რომელსაც დასავლეთით ეკვდერი აქვს მიშენებული. კარი ერთი აქვს, დასავლეთიდან. სარკმელი ერთი აღმოსავლეთით და მეორე სამხრეთით. დასავლეთ ეკვდერს კარი დასავლეთით აქვს, სარკმელი კი სამხრეთით (იხ. ტაბ. 114, 2).

გუმბათიცა და თაღებიც ჩამოქცეულა. სამხრეთ კედელს ადამიანის ტანზე მეტი სიმაღლე აღარ შერჩენია, ჩრდილო კედელს კი 3,2 მეტრია, კედლის სისქე 0,74 მეტრს უდრის. გუმბათის ყელი აქაც რვა-წახნაგოვანი უნდა ყოფილიყო, ხოლო თვით გუმბათი ტრომპებიანი, ისევე როგორც ისის ეკლესიაში.

ტაძრის შინაგანი სიგრძე 6,84 მეტრს უდრის, ეკვდერიანად-კი—11,08 მეტრს, სიგანე 6,9 მეტრია.

ეკვდერი გვიან მინაშენი უნდა იყოს, ვინაიდან მისი კედლები სხვაგვარადაა ნაწყობი, ვიდრე ტეტრაკონქისა. ეკლესიის კედლები შიგნიდან შელესილი ყოფილა, მაგრამ მხატვრობის კვალი არსადა ჩანს.

იშხნელი ხოჯა მოლა-მუსტაფა-მუსა-ოღლი გვეუბნებოდა, რომ სუხბეჩის ეკლესია იშხნის ტაძართან ერთადაა აშენებული და რომ კირი ორივესათვის სუხბეჩის საძოვრებზე მობალახე ძროხების რძით უზელიათ. მიუხედავად ამ თქმულებისა, სუხბეჩი ძალიან ძველი ნაგებობა ჩანს, არა უგვიანეს V—VI საუკუნეებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# VIII. ოთხთა ეკლესია

## 1. ქართულ წყაროთა ცნობები ოთხთა ეკლესიის შესახებ

ქართულ მწერლობაში ოთხთა ეკლესიას პირველად იხსენიებს გიორგი მთაწმინდელი თავის თხზულებაში „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი“. იოანე, როგორც ვიცით, ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელია, ხოლო ეფთვიმე იმავ მონასტრის მოძღვარი და ცნობილი მწერალი, ბერძნულით ქართულად და ქართულით ბერძნულად, მთარგმნელი. იოანე წარჩინებული კაცი იყო, დავით კურაპალატის საყვარელი დიდებული, მაგრამ მან ადრევე აიღო ხელი ამქვეყნიურ ცხოვრებაზე და მალულად წავიდა ოთხთა ეკლესიის ცნობილ ლავრაში, სადაც მაშინ სათნოებით ბრწყინავდნენ მამანი მოსე და გელასი. მათ აკურთხეს ბერად იოანე. იქვე მივიდნენ ნეტარი მამა იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი. ამ უკანასკნელმა მიატოვა ნინოწმიდის საეპისკოპოსო კათედრა და გაემგზავრა ტაოს, სადაც იგი პატივისცემით მიიღო და შემდეგ ოთხთა ეკლესიაში გაისტუმრა დავით კურაპალატმა.

სამივე ნეტარი მამანი თავმდაბალსა და მორჩილ შრომამოღვაწეობას ეწეოდნენ ლავრაში და მათ ერთმანეთი ძლიერ შეიყვარეს. მაგრამ როდესაც მათი სათნოების ამბავი ფართოდ გავრცელდა, მათ თავი გაარიდეს ყოველგვარ პატივს და დატოვეს ოთხთა ეკლესია. იოანე (ეფთვიმეს მამა) ულუმბოს (ოლიმპის) მონასტერში წავიდა (ბითვინიას, მცირე აზიაში), ხოლო იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი პონტოს ერთ ცნობილ მონასტერში. 965 წელს იოანე და მისი ვაჟი ეფთვიმე ულუმბოდან ათონს გადავიდნენ, ათანასეს ლავრაში[1], სადაც რამდენიმე ხნის შემდეგ, 962—985 წწ. იოანემ და მისმა ნათესავმა, სახელ-განთქმულმა თორნიკე ერისთავმა, ბარდა სკლიაროსის დამმარცხებელმა, დაარსეს ცნობილი ქართველთა („ივერთა“) მონასტერი. იოანემ პონტოდან ათონს მიიწვია თავისი მეგობრები იოანე გრძელისძე და არსენი ნინოწმიდელი და მას შემდეგ ყველანი ლავრაში იღვწოდნენ[2].

ქართულ მწერლობაში ოთხთა ეკლესიის შესახებ ცნობები სხვაგან აღარსად გვხვდება, ოღონდ ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ერთი, 1031 წლის ხელნაწერის გვიანდელ მინაწერში იხსენიება ვინმე ავგაროზ მამაცაშვილი, „ოთხთა მონასტერთა“ დეკანოზი[3].

ზემოთ მოყვანილი ცნობები ცხადჰყოფენ, რომ დავით კურაპალატის დროს, X საუკუნის მეორე ნახევარში, ოთხთა ეკლესია დიდად სახელ-განთქმული ტაძარი ყოფილა, მაგრამ, როგორც შემდგომ დავინახავთ, იგი უფრო ადრეა აგებული.

## 2. მონასტრის მდებარეობა

სოფელი ოთხთა ეკლესია, ამჟამად თურქულად რომ „დორთ ქილისა“ ეწოდება, ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. მცხოვრებნი გამაჰმადიანებული ქართველები არიან. ქართული ყველამ იცის. სოფლიდან 5 კილომეტრის მანძილზე, ჭოროხის მარცხენა შენაკადის, ოთხთა ეკლესიის წყლის (თურქ. „დორთქილისა-სუ“) შესართავთან, მის მარჯვნივ არის დიდი და მდიდრული ბაზილიკის ნანგრევები. თურქული „დორთ-ქილისა“ პირდაპირი თარგმანია ქართული „ოთხთა

[1] Порфирий Успенский, История Афона, т. III, стр. 105.

[2] ათონის მონასტრის ივერიის 1074 წ. ხელნაწერი აღაპებით. გამოცემა საეკლესიო მუზეუმისა, ტფილისი, 1901 წ. გვ. 1—21. ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3). თბ., 1946. Paul Peeters, Histoires monastiques géorgiennes. Bruxelles, 1923, p.p. 13—30.

[3] Ф. Жордания, Описание рукописей Церковного Музея, I. Тифлис, 1903, стр. 114—115.

ეკლესიისა“, მაგრამ სოფლელებს რომ ჰკითხოთ, ტაძარს ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ იგი, იშხანსა, ოშკსა და ხახულს შემდეგ, მეოთხე შესანიშნავი ეკლესიაა. მათი სიტყვით, მთავარი ტაძარი აუშენებია მეფის ასულს, რომელსაც ხელები არ ჰქონია. მას ფული შემოლევია და ხარჯების დასაფარავად თმები შეუკვეცია და გაუყიდია (თქმულების სხვა ვარიანტის მიხედვით კი—თმის სამკაული). სოფელ კობაკში ამ ქალის ვინაობასაც ასახელებენ: თამარი ყოფილა, ნუშირვანის ასული. მამამისს ყველა თავისი შვილი ისლამზე მიუქცევია და მარტო თამარისთვის დაურთავს ნება ქრისტიანად დარჩენისა, განსაკუთრებული დამსახურების გამო. თამარს ისეთი თეთრი რაში ჰყოლია, რომელსაც ერთ დღეს შესძლებია ოთხი ტაძრის—ოშკის, იშხნის, დორთ-ქილისას და პარხლის—შემოვლა. კობაკელები თავიანთი სოფლის მახლობლად ეხლაც გვიჩვენებენ „თამარის ხელის ანაბეჭდებს“ და გეტყვიან, რომ იგი ჯარს მიუძღოდა, ამ ადგილას წაიქცა, ხელით კლდეს დაეყრდნო და კლდეს მისი ნახელარი დააჩნდაო. სოფლელთა თქმულებისვე მიხედვით ოთხთა ეკლესიის ასაგებად ქვა სოფლის მახლობელი ქვასატეხიდან მოუზიდავთ და დაულაგებიათ იქ, სადაც შენებას აპირებდნენ; მაგრამ ერთი ქვა დაჰკლებიათ და ოსტატს ეს გაჰკვირებია, ყველაფერი ზუსტად ვიანგარიშე და უნდა მყოფნოდა, ალბათ გზაში თუ დაუვარდათ ქვაო. მართლაც, დანაკლისი ქვა გზაში უპოვნიათ.

ბაზილიკა ამართულია მთის ძირას, კაკლისა და კომშის ხეებით გარსშემორტყმულ მცირე ვაკეზე. ეს სამკუთხოვანი ვაკე მოქცეულია ოთხთა ეკლესიის ხევსა და მის მარჯვენა პატარა შენაკადს შორის. ეს ადგილი, რა თქმა უნდა, საგანგებოდ არის მოსწორებული ტაძრის, სემინარია-საოსტიგნის და მცირე ორ სართულიანი ეკლესიის ასაშენებლად (ტაბ. 115, 1). ბაზილიკის ჩრდილოეთით მდებარე მთაზე, მისგან 2 კილომეტრის მანძილზე, იწყება საძოვრები და „გუნ-გერმესის“ ზეკარი, რომლითაც გზა პარხალში გადადის.

მთავარი ბაზილიკის გარშემო არის პატარა ეკლესიათა ნაშთებიც. ერთი ხევის გაღმაა, ორი კი—იმავე ნაპირას. არის აგრეთვე ერთი საერთო ნაგებობა. ბაზილიკას მისასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. აღმოსავლეთით და სამხრეთით ციცაბო ფლატეებია. დასავლეთით ბაზილიკა სემინარია-საოსტიგნესა და მთას ებჯინება და იქ ყველაფერი მიწითაა დაფარული. საზეიმო ფასადი ტაძარს ჩრდილოეთითა აქვს (ტაბ. 120, სურ. 1).

## 3. მთავარი ნაგებობა და მისი წარწერები

ძეგლი საერთოდ რიგიანადაა შენახული; ძალიან ჩამონგრეულა მხოლოდ სამხრეთი კედლის პერანგი, ვინაიდან ამ მხრიდან ხეობაში ძლიერი ქარი ქრის ხოლმე. თაღები მთელია, მაგრამ წითელი კრამიტის სახურავი კი აღარ შემორჩენილა. სამხრეთი ფასადის სიმაღლისა 3,2 მეტრი-ღა მოჩანს, ვინაიდან დანარჩენი მთის კალთიდან ჩამონარეცხი ღორღ-მიწითაა დაფარული. სოფლელებს დიდი რიდი აქვთ ტაძრისა და ვერ ბედავენ მის ახლო დასახლებას. ამბობენ, ვინც კი აქ დაესახლა, ყველა გადაშენდაო; ერთხელ რომელიღაც მწყემსმა ტაძარში ჯოგი შერეკა და იგი მოდიდებულმა წყალმა წაულეკაო... მიუხედავად ამისა, საკურთხევლისა და სადიაკვნის შიგნით მჴვარტლის ნიშნები მაინც ჩანს და შენობა აქა-იქ გარედანაცაა შებოლილი.

თავდაპირველად ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა დიდრონი კვადრატული აგურითა და ნაგლეჯი ქვით ყოფილა აგებული, რაც მშენებლობის ბერძნულ-ბიზანტიურ წესს უახლოვდება. ასეთ შენობებს ჩვეულებრივ პერანგით არ მოსავდნენ ხოლმე, მაგრამ ოთხთა ეკლესია კი შეუმოსავთ თლილი მონაცრისფრო-ყავისფერი ქვით. შიგნითაც ყოველი სვეტი, პილასტრი და სართავი კამარა თლილი ქვითაა მოპირკეთებული. რომ ეს მოპირკეთება უფრო გვიან დროს ეკუთვნის, ვიდრე თვით შენობა, ამას, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ დასავლეთ პილონთა პერანგს 2—3 სანტიმეტრით დაუფარავს დასავლეთი სარკმლები, რაც ასახულია ჩვენს გეგმაზე (ტაბ. 115, 1, ტაბ. 116, 117). ეკლესიის შენობა მოპირკეთებული უნდა იყოს X საუკუნის მეორე ნახევარში, დავით დიდის კურაპალატის დროს. ამას მოწმობს ერთად-ერთი კარგად შენახული, ასომთავრული წარწერა, რომელიც აღმოსავლეთ კედელზე, ჯვარს ქვემოთ არის ამოკვეთილი (სურ. 41). და ასე იკითხება



სურ. 41

„ქ̃ე ა̃დე დ̃თ მ̃კპტი“.

მეოთხე სიტყვის პირველი ასო „მ“ ალბათ „მეფე“-ს უნდა აღნიშნავდეს. დანარჩენი ყველაფერი გასაგებია, ამრიგად წარწერა ასე უნდა ამოვხსნათ:

„ქრისტე, ადიდე დავით მეფე, კურაპალატი“.

პერანგის ქვებს შორის აქა-იქ ჩასმულია დიდრონი სამ-კუთხოვანი აგურები, რომლებზედაც ჯვრებია გამოსახული და წარწერებია გამოყვანილი. წარწერები ყველა წამხდარია: მხოლოდ ერთგან შემორჩენილა ასოთა ნიშნები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ წარწერების შინაარსი იგივე ყოფილა, რაც ზემოთ მოყვანილისა. მაგალითისათვის ავიღოთ ერთი ასეთი, შედარებით ნაკლებ დაზიანებული წარწერა, ოღონდ წაშლილი ასოები და სიტყვები აღვადგინოთ (სურ. 42);



სურ. 42

„იეს(ო) ქრისტე, ა(დიდე) და(ვით) კურაპალატი“

ოთხთა ეკლესიის ტაძრის გეგმა წარმოადგენს სამ-ნავიან ბაზილიკას (ტაბ. 115, სურ. 1; 116; 117,), ურბნისის ტაძრის მსგავსს (ქართლში)[1]; მაგრამ იგი ურბნისის ტაძარზე უფრო ლამაზი და რთულია, და მასზე უფრო გვიან უნდა იყოს აგებული — ალბათ IX ს-ში, როცა საბანმა იშხნის ტაძარი ააშენა. ტაძრის სიგრძე, შიგნიდან, 27,05 მეტრს უდრის, სიგანე 14,97 მეტრს; ჩრდილო კედლის სისქე 0,92 მეტრს, დასავლეთისა 0,89 მეტრს, სამხრეთისა 0,74 მეტრს, ხოლო აღმოსავლეთისა 0,94 მეტრს. ზეძირკველი ორ საფეხურიანია, მისი სიგანე 0,30 მეტრს, ხოლო სიმაღლე 0,26 მეტრს უდრის. ზეძირკველი ჩანს მხოლოდ აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან; დასავლეთიდან და სამხრეთიდან კი იგი მიწაშია ჩაფლული. აფსიდი აქვს მხოლოდ შუა ნავს (ისევე, როგორც ბოლნისის ბაზილიკას). იგი ოდნავ ნალისებრი მოყვანილობისაა (ტაბ. 116, 1 და 2). საკურთხეველს აქეთ-იქეთ არის ოთხ-კუთხოვანი გეგმის მქონე, აფსიდისაგან განცალკევებული სამკვეთლო და სადიაკვნე, რომელთაც გარდიგარდმო, ამჟამად უკვე დანგრეული კედლები ორ-ორ ოთახად ჰყოფს. თვითეულ ოთახში თითო სარკმელია. სამკვეთლო-სადიაკვნის ზედა სართულები თითქოს აგრეთვე ორ ოთახადაა დაყოფილი, მაგრამ იქ ამ ოთახებს ერთმანეთთან აერთებს ღია კამარები და თვითეულ ოთახს აფსიდი აქვს, ხოლო საკურთხევლის კედლის სისქეში გამოყვანილია ოთახები, რომელთაც გეგმაზე მსხლისებრი მოყვანილობა აქვთ და რომელნიც ზემოთკენ თანდათან ვიწროვდებიან და კონუსისებრ ბოლოვდებიან. მათ აღმოსავლეთით პატარა ირიბი სარკმლები აქვთ და მათში შესვლა ოთახებიდან შეიძლება (ტაბ. 117, 1). ზედა სართულში აღმოსავლეთ ფასადზე ექვსი სარკმელია და არა ოთხი, როგორც ქვედა სართულში. ამას გარდა, ერთი დიდი სარკმელი მთავარ საკურთხეველსაცა აქვს (ტაბ. 117, 1). „მსხლისებრი“ ოთახების სიმაღლე 5,60 მეტრს უდრის, ხოლო დიდი აფსიდიანი ოთახებისა—4,26 მეტრს. ზედა სართულის განაპირა ოთახებში არის კიბეები, რომლებითაც, ალბათ, სამალავში ადიოდნენ ხოლმე. ეს სამალავი განათებულია აღმოსავლეთიდან სამი მრგვალი პატარა სარკმლის საშუალებით (ტაბ. 118, 1). ამჟამად სამალავში შესასვლელი არსადა ჩანს. ქვედა სართულის გვერდის ოთახებში არის თითო თავ-მომრგვალებული უბე, ხოლო საკურთხეველთან მდებარე ოთახებში ამათ გარდა ღრმა და მაღალი, კონუსური უბეებიცაა (ტაბ. 117, 1), რომელთა დანიშნულებასაც, ეტყობა, კედლების შემსუბუქება წარმოადგენს. საკურთხეველს გარს შემოჰყვება ორ-საფეხურიანი საჯდომი. ნავების შემაერთებელი კამარათა მალები ყველგან ერთგვარი არაა. აღმოსავლეთიდან პირველი წყვილი ყველაზე უფრო ვიწროა (0,26 მ). ეს წყვილი წარმოადგენს გადასასვლელებს საკურთხევლიდან კუთხის ოთახებისაკენ. მეორე წყვილის მალი ყველაზე დიდია: 1,32 მეტრი. ისინი სახავენ ტაძრის შინაგანი დანაწევრების ჯვრისებრობას. ორ უკანასკნელ კამარას ტოლი მალები აქვს: 0,54 მეტრი. ბაზილიკის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმავალ პილონებს შორის მოქცეული კამარები თანდათანობით მაღლდებიან, ხოლო სვეტისთავები კი ერთსა და იმავე 6,71 მეტრს სიმაღლეზე რჩებიან. დასავლეთით პირველი კამარის სიმაღლე 8,73 მეტრს უდრის, მეორისა 8,83 მეტრს, მესამისა 8,94 მეტრს, ხოლო უკანასკნელისა 9,37 მეტრს. ამრიგად იქმნება საკურთხევლისაკენ დიდი სიმაღლისა და ვეებერთელა სივრცის შთაბეჭდილება, ფრიად დიდი ეფექტი (ტაბ. 117, 2).

პარხლის ტაძარში, რომლის გეგმაც საერთოდ განმეორებას წარმოადგენს ოთხთა ეკლესიის გეგმისას, საწინააღმდეგო ხერხია ამ შემთხვევაში გამოყენებული; იქ კამარის თავები ერთსა და იმავე (8,11 მეტრს) სიმაღლეზეა, ხოლო პირველი ორი კამარის კაპიტლები უფრო მაღლაა, ვიდრე შუა დიდი კამარისა და ამრიგად სიმძიმისა და საფუძვლიანობის შთაბეჭდილება იქმნება (პარხლის გეგმა იხ. ტაბ. 132, 1).

---

[1] გ. თაყაიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფილისი, 1924, ტაბ. 50—52.

ოთხთა ეკლესიის კიდევ ერთი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ზედა სარ[illegible] [illegible] სარკმლების უკანასკნელი (აღმოსავლეთი) წყვილი პილასტრებს ეფარება, ისე რომ [illegible] ჩანს და იმავე დროს კი ორი მხრით კარგად აშუქებს საკურთხეველს, რის გამოც ეს უკანასკნელი ძალიან ნათელია და უჩრდილო (ტაბ. 116, 1 და 2). პარხალში, პირიქით, ირიბი სარკმლების მეორე წყვილის ღერძები ტაძრისკენაა მიმართული და არა საკურთხევლისაკენ, ისე რომ ძირს მდგომთ სინათლე თვალსა სჭრის და, რაც მთავარია, საკურთხევლის აღმოსავლეთ სარკმლის ზემოთ მდებარე ნაწილი საკურთხევლის აფსიდისა სრულიად დაჩრდილული რჩება. ოთხთა ეკლესიის დასავლეთ მხარესთან ახლოს მდებარე წყვილი სარკმელი აგრეთვე ოდნავაა დამრეცილი დასავლეთისაკენ და კარგად აშუქებს ტაძრის დასავლეთ ნაწილს.

დასავლეთით, შუა ნავში მოთავსებულია პატრონიკე (ტაბ. 116, 1), მაგრამ უეჭველია, რომ იგი გვიან, ტაძრის განახლებისას და უკვე პარხლის ნიმუშის მიხედვით უნდა იყოს მოწყობილი. პატრონიკის საყრდენად დიდი ნავის შიგნით არის ორი მოგრძო სვეტი, რომელთაც შეესაბამება აგრეთვე მოგრძო მინაშენები კარის პილასტრებზე. კამარათა საყრდენად კი ორ გვერდით პილასტრს მიშენებული აქვს კიდევ უფრო ვიწრო და მოკლე კედლები, რომლებზედაც დანდობილია სამი კამარა, გოდრული თაღის მქონე სამ პატრონიკეს რომ იკავებენ (ტაბ. 116, 1; ტაბ. 126, 2). ორი უკანასკნელი კამარა კონსოლებს ეყრდნობა.

რომ ეს პატრონიკე გვიანდელია, ამას ის ამტკიცებს, რომ გვერდით ნავებში ჩრდილოეთით მიმავალი მალები არაა ამოშენებული. პარხალში, სადაც პატრონიკე იმავე დროსაა აგებული, რა დროსაც თვით ტაძარი, ამას ვერ ვხედავთ. იქ პატრონიკის ზემოთ სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან გლუვი კედლებია და მხოლოდ ჩრდილო კედელშია გაჭრილი კარი. ოთხთა ეკლესიაში პატრონიკის შესასვლელი გაჭრილია ჩრდილოეთიდან მესამე კამარაში და ამჟამად გვიანდელი ეკვდრის სახურავიდან მიდის. ეკვდრის თავზე გაჭრილი კარის საპირის ნაწილი, წარწერითურთ, ჩამოვარდნილია (ტაბ. 127, 2). წარწერისაგან ეს-ღა დარჩენილია:

„ ა(ს)ახელითა ღ̃თა
........ ბ(?)აადრსა
........ გ(?)ა—ნეს“

ე. ი. „..... სახელითა ღმრთისაჲთა ბაადურსა (?) გაიანეს (?)“

საკურთხევლის აფსიდის ჩრდილო და სამხრეთ ბოლოებიდან ორ-ორი საფეხური ადის საკურთხევლის იატაკისაკენ („солея“), მათი სიმაღლე 0,77 მეტრს უდრის. საკურთხევლის შუაში ეხლა საფეხურები აღარ ჩანს. „სოლეის“ კედლები ტაძრის მხრივ მოჩუქურთმებულია.

შუა ნავის სართავ კამარებს ოდნავ ისრული ფორმა აქვს. ამასთანავე პილასტრთა შვერილები ყველგან როდი აღწევს იატაკამდე; ისინი ერთად ჰქმნიან თანდათან გამსხვილებულს სამმაგ სართავ კამარას. ასეთივე ხერხი გამოყენებულია საკურთხევლის აფსიდაშიც.

ტაძარში შესასვლელი არის ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ტაძრის გვერდით ნავებში, ქვედა სართულში 7 სარკმელია, ხოლო ზედაში 5 (ტაბ. 116, 12). შუა ნავის მეორე სართულში ყოველ მხარეზე აგრეთვე 5—5 სარკმელია. დასავლეთით ქვედა სართულში 6 სარკმელი და შუაში 1 კარია (ტაბ. 116, 1), ზედაში სამი სარკმელია: შუაში დიდი და აქეთ-იქეთ პატარები (ტაბ. 117,2). იქვეა პატრონიკეებში ამავალი კარი (ტაბ. 116, 2). ამას გარდა დიდ სარკმელს ზემოდან პატარა მრგვალი სარკმელია (ტაბ. 121, 1).

გარედან ბაზილიკის უმთავრეს სამკაულს წარმოადგენს კამარნარი (ტაბ. 118; 119; 120; 121). აღმოსავლეთით და დასავლეთით შვიდ-შვიდი კამარაა, ჩრდილოეთით და სამხრეთით ათ-ათი; შუა, მაღალ ნავში კი ცამეტია. ჩრდილო ფასადის ჩუქურთმოვანი კამარები ეყრდნობა რთულ სვეტებს, რომელთაც კვარცხლბეკები და სვეტის თავები აქვთ (ტაბ. 121, 2).

ქვედა სართულის ყველა პილასტრის სვეტისთავები შემკულია ჩუქურთმებით (თვითეულს სხვადასხვაგვარი აქვს): რელიეფური ღარულებით, ჯვრებით, ვარდულებით, წრეებით, კვადრატებითა და კლაკნურებით. სარკმლებსაც ჩუქურთმოვანი საპირეები აქვთ. კარაკინთა ქვები ყველგან გამონგრეულია. სამხრეთ ფასადში შუა ნავის ზედა სართულის კამარები, ისევე როგორც ჩრდილო ნავის კამარები, შემკულია. შეუმკობელია ქვედა სართულის კამარები.

ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ კედელზე, დედამიწიდან 2,13 მეტრის სიმაღლეზე ქვაზე ამოჭრილი იყო ასომთავრული წარწერა, რომელსაც ირგვლივ წითელი ფერის აშია ჰქონდა შემოვლებული. ეს წარწერა მიწით იყო დაფარული და ამიტომ ცუდადაა შენახული. ჩვენ ხელთ

არსებული ფოტოგრაფია არ გვაძლევს წარწერის სრულად აღდგენის საშუალებას (ტაბ. 127, 1). ბიბლიოთეკა
გაირჩევა მხოლოდ შემდეგი სიტყვები თუ ასოები:

„ 1. ს˜ხელითა ღ˜ჲთა დაოჳ···
2. დევით ჩ˜ნ ოთხთა ეკ···
3. ···· სა სალ˜ცავი მ˜მა
4. ···· ო˜კს ···· ბ ···
5. ···· სა ···· ე˜ენ ხრს ··· და··
6. ···· ის ···· ღ˜ნ შეწ˜ენ···
7. ···· ვინ არა ულ˜ცს ღ˜ნ მ·გ·ს.“

თუ აზრით ზოგიერთ სიტყვას დავუმატებთ, წარწერის შინაარსი საერთოდ ასეთი გამოვა: „სახელითა ღმრთისაჲთა დაუდევით ჩვენ ოთხთა ეკლესიასა სალოცავი მამა ··· უკუნითი უკუნისამდე ···· ჩუენ ერისთავთა ერისთავმან ხურსი ··· და ვინცა ალასრულოს, ღმერთმან შეეწიენ. ვინ არა ულოცოს, ღმერთმან მიაგოს“.

ეს ერისთავი ხურსი ეგებ მამამთავარი იყოს ხურციძეთა გვარისა, რომლის წევრებიც იხსენებიან ზარზმის მრავალ წარწერაში[1]. ეს გვარი დღესაცაა გურიაში შემორჩენილი.

ზემოთ გარჩეული წარწერა ოთხთა ეკლესიის თლილი ქვით მოპირკეთების თანამედროვე უნდა იყოს, ე. ი. X საუკუნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

აღმოსავლეთი ფასადის სარკმლებს ქვედა სართულში აქვთ მომრგვალებული, ჩუქურთმოვანი ჰორიზონტულ-ქუსლიანი საპირეები. ამათგან ორს, ჩრდილოეთით მდებარეს, საპირეებს ქვეშ შერჩენია პოლიქრომული მარამსებრი სამკაული, ისეთივე, როგორიც ოშკსა და ხახულშია. ზედა სართულის სარკმელთა საპირეები კი გლუვია, ფაქიზი არაბესკებით დამშვენებული, ისევე როგორც შუა კამარის დიდი სარკმლის საპირე (ტაბ. 118, 1; 119 1). დასავლეთის ყველა სარკმელს ჩუქურთმოვანი საპირეები აქვს. აღმოსავლეთით პირველ პილონებში მოწყობილია საგანგებო ორნამენტოვანი უბეები, ხატებისათვის (ტაბ. 125, 1—2).

ბაზილიკას იატაკი მოკირწყლული აქვს. კედლები შელესილია, მაგრამ ნალესობა მეტწილად ჩამოცვენილია.

მოხატული ყოფილა, როგორც ეტყობა, მხოლოდ აფსიდი. ფრესკათა ფოტოგრაფიები, რომელნიც ჩვენ მოგვიტანეს, ერთობ მკრთალია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც გაირჩევა ხარება და წმიდა მამათა რიგი (ტაბ. 123, 1; ტაბ. 124, 1; ტაბ. 125, 1). ამავე ტაბულაზე (124, 1) მოჩანს: მაშენებლის სურათი აღმოსავლეთის სარკმლის თავზე, ხელში ტაძრის მოდელით; ელისაბედისა და მარიამის შეხვედრა (ტაბ. 123,2). მაგრამ ყველაზე უფრო ნათლად ჩანს აღმოსავლეთის სარკმლის შიდა კედელზე მოსეს ფიგურა, რომელიც ღვთაების ხელიდან იღებს, სინას მთაზე, ქვის ფიცრებს მცნებათა წარწერით (ტაბ. 124, 2).

ეს სურათები, რომლებიც სრულიად უჩვეულოა საკურთხევლის კედლისთვის, იმის მაჩვენებელია, რომ ფრესკები იმ დროსაა შესრულებული, როდესაც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო დადგენილი საკურთხევლის მოხატვის რიგი. ჩვენი აზრით, ეს მომხდარა არა უგვიანეს IX საუკუნისა, ე. ი. იმავე დროს, როდესაც თვით ტაძარია აშენებული. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ფრესკებს წარწერები არ ახლავს.

## 4. მთავარი ბაზილიკის მახლობელი ნაგებობანი; საოსტიგნისა და სემინარიის ნაშთები

ასეთი ნაგებობა სამია: **პირველი** უნდა ჩაითვალოს ტაძრის დასავლეთ ეკვდრად — მიუხედავად იმისა, მთავარი ბაზილიკის თანამედროვედ მივიჩნევთ მას, თუ მერმინდელად. **მეორე** — გრძელი სწორკუთხოვანი ნაგებობაა, რომელიც უშუალოდ ახლავს დასავლეთ ეკვდერს და, ჩემი აზრით, ბერების საოსტიგნეს წარმოადგენდა; **მესამე** არის მთავარი ბაზილიკის სამხრეთ-დასავლეთით მდგარი დიდი ორ-ნავიანი ბაზილიკა, რომელიც გრძელი და ვიწრო დერეფნით არის შეერთებული სა-

[1] Е. Такайшвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I. Тифлис, 1905, გვ. 22—40, 66, 71, 76.

ოსტიგნესთან და რომელიც, უნდა ვიფიქროთ, მონასტერთან არსებული სემინარიის შენობას წარმოადგენდა. ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან იგი 3,07 მეტრით არის დაშორებული (ოთხთა ეკლესიის ყველა ნაგებობათა საერთო გეგმა იხ. ტაბ. 115, 1).

ბიბლიოთეკა

ბაზილიკის დაბალი ეკვდერი თლილი ქვით არის ნაშენი და სამ ნავად იყოფა. შუა ნავის სიმაღლე 5,06 მეტრს უდრის, გვერდის ნავებისა კი 3,72 მეტრს. ეკვდერს ქვემოთ ყოფილა საძვალე, რომელსაც ჩასასვლელი (ამჟამად მიწით დაფარული) ჩრდილოეთიდან ჰქონია. ერთი სარკმელი სამხრეთით აქვს, ერთი ჩრდილოეთით, ეს უკანასკნელი კარის თავზეა.

შენობას ჰხურებია სამ ფართო სართავ კამარაზე დაყრდნობილი გოდრული თაღი, ხოლო ეს კამარები თავის მხრივ მარტივს, სვეტისთავიან პილასტრებს ეყრდნობოდნენ. თაღი ამჟამად ჩაქცეულია. დასავლეთი ეკვდერი ეგებ მთავარი ბაზილიკის შემდეგ იყოს აგებული, მაგრამ ყველაფერი მოწმობს, რომ იგი მდგარა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ მაინც, როდესაც მის დასავლეთით გრძელ სამ-ნავიან შენობას აგებდნენ. ეს საოსტიგნე აშკარად დასავლეთ ეკვდერზე მიშენებულია და არა მასზედ ადრე აგებული.

შედარებით თხელი კედელი ეკვდრისა (ტაბ. 116, 1) საოსტიგნის აშენებისას გასქელებულ იქნა (ტაბ. 115, 1). საოსტიგნის დასავლეთი სარკმელი შემოინახა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან საოსტიგნის კედელში ირიბი სარკმელი გაუჭრიათ, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით—სწორი.

საოსტიგნის სიგრძე 16,76 მეტრს უდრის, სიგანე კი 5,32 მეტრს. საოსტიგნე აგებულია უხეშად თლილი ქვით, მაგრამ საძირკველთან ზოგიერთი ქვის სიგრძე 2,13 მეტრს, ხოლო სიმაღლე 0,71 სანტიმეტრს უდრის. საოსტიგნის კედელში ქვებს შორის ბევრგანაა ჩართული სამკუთხოვანი აგურები, რომლებზედაც ჯვრებია გამოხატული და წარწერებია გამოყვანილი. ეს წარწერები ამჟამად მომტვრეულია. ასეთივე აგურები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის აგრეთვე მთავარი ბაზილიკის კედლებში. იქ სწორედ მათზეა ამოჭრილი დავით კურაპალატის წარწერები. ამიტომ საფიქრებელია, რომ საოსტიგნეც დავით კურაპალატის დროსაა აშენებული.

საოსტიგნე, როგორც აღვნიშნეთ, უერთდება სემინარიას გრძელი ვიწრო დერეფნით, რომელსაც გოდრული თაღი და აღმოსავლეთით ერთი სარკმელი აქვს. ამ დერეფნის სიგანე 1,45 მეტრს უდრის. დერეფანი მცირე სიმაღლის სამი კამარის მეშვეობით უკავშირდება სემინარიის დიდ ორნავიან ბაზილიკას, რომელიც აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ მიემართება, ოშკის სემინარიის მსგავსად. ესეც ნაცრისფერი, ოდნავ ნათალი ქვით არის ნაგები. ჩემი აზრით, ოთხთა ეკლესიის სემინარიაც დავით კურაპალატის დროს უნდა იყოს აშენებული (ბაზილიკისა და სემინარიის საერთო ხედი აღმოსავლეთით იხ. ტაბ. 119, 1, ხოლო მათივე საერთო ხედი ჩრდილოეთით — ტაბ. 119 2 და 120, 1; სემინარიის კარი ჩრდილო-აღმოსავლეთით იხ. ტაბ. 130, 1). სემინარიის შენობას ოთხი ჯვრისებრი სვეტი ჰყოფს ორ ნავად, რომელთა სიგრძე 10,52 მეტრს უდრის, დიდი ნავის სიგანე 6,66 მეტრს, ხოლო სიმაღლე 6,13 მეტრს. დიდ ნავს აღმოსავლეთით აქვს კარი და ორი სარკმელი, დასავლეთით მესამე და სამხრეთით მეოთხე. ეს სარკმლები მომრგვალებულია. აღმოსავლეთისანი შემკულია ჩუქურთმოვანი, ჰორიზონტულ-ქუსლიანი საპირეებით, რომელნიც ეხლა გაფუჭებულია. ზედა ორ სარკმელს აქვს მარაოსებრი პოლიქრომული სამკაული. მცირე ნავს კარი ჩრდილოეთითა აქვს, ერთი სარკმელი აღმოსავლეთით, სამი ჩრდილოეთით და ერთიც დასავლეთით (ტაბ. 115, 1). თაღი გოდრული ყოფილა, მაგრამ ამჟამად ჩაქცეულია. სახურავი კრამიტისა ჰქონია, იატაკი ქვისაა. 128-ე ტაბულაზე წარმოდგენილია სემინარიის ჩრდილო დასავლეთი ნაწილის შიდა ხედი, 129-ე ტაბულის 1 სურათზე სემინარიის აღმოსავლეთი კედლის შიდა ხედი, ხოლო 2 სურათზე—იმავე სემინარიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, შიგნიდან.

## 5. მცირე ბაზილიკა

მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 6,4 მეტრის მანძილზე, ბორცვზე დგას მცირე ორ-ნავიანი, ოთხ-კუთხოვანი და მოგრძო ბაზილიკა (ტაბ. 115 1; 119, 1). მისი სიგრძე 8,82 მეტრს უდრის, სიგანე 7,23 მეტრს (ამ ნაგებობის გეგმა და ჭრილი იხ. ტაბ. 115, 3). მისი დასავლეთი ნაწილი ფერდობს ებჯინება, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მიწაზე 4,8 მეტრით მაღლაა. კარი ამ ნაგებობას ერთი აქვს, დასავლეთიდან. ზედა სართული ნაგებია ქვის ფენა-გამორეული აგურით, ხოლო ქვედა—ცალკეული, ზერელედ ნათალი ქვით. თაღები მთელია, სახურავი აღარ არის. ზეძირკველს ერთი საფეხური აქვს. შუა საკურთხეველი დიდია, ოდნავ ნალისებრი მოყვანილობისა. გვერდითი საკურთხევლები ვიწროა და მოგრძო. მთავარ საკურთხეველში ორი უბეა, გვერდით საკურთხევლებში თითო-თითო. მთავარ საკურთხეველს ირგვლივ საჯდომი შემოუყვება. თაღი ეკლე-

სიას დაზიანებული აქვს, სართავი კამარა ერთია. მას ძლიერ გამოწვდილი, რთულ-პროფილიანი პილასტრები აქვს. აღმოსავლეთით სამი სარკმელია, ჩრდილოეთითა და სამხრეთით ორ-ორი, ხოლო დასავლეთით ერთი (კარს ზემოთ). „სოლეა“ 0,32 მეტრით არის შემაღლებული ეკლესიის იატაკთან შედარებით. აღმოსავლეთიდან არის შესასვლელი ქვედა სართულში, საძვალეში, რომელიც გაცილებით უფრო ვიწროა, ვიდრე ეკლესია (მისი სიგანე 4,83 მეტრს უდრის). სართავი კამარა არაა დაკიდული. კარი დანგრეულია და ნაგავში ჩაფლული.

## 6. მცირე ეკლესიათა ნაშთები

მთავარი ტაძრის მახლობლად ყოფილა კიდევ რამდენიმე მცირე ქვის ეკლესია, მაგრამ ეხლა ყველა ნანგრევებადაა ქცეული.

ერთი მათგანი ტაძრის პირდაპირ მდგარა, მდინარის მარცხენა ნაპირას. იგი ოთხ-კუთხოვანი ყოფილა, სიგრძით 4,26 მეტრი, თლილი ქვით ნაგები, შეუმკობელი. მისი თაღები ჩაქცეულია. გლეხების სიტყვით აქ განსასვენებელი უნდა ყოფილიყო, რადგან შიგ ადამიანის ძვლებს პოულობდნენ ხოლმე.

მეორე მდინარის აღმა, მის მარჯვენა ნაპირას, ოთხთა ეკლესიის წყლის შენაკადის შესართავთან მდგარა. მისი ნაშთები-ღა ჩანს.

მესამე რამდენადმე უფრო ქვემოთ მდგარა, ნაპირთან, ისიც დანგრეულია.

არის კიდევ ერთი, საერო ნაგებობა—მდინარის აღმა, მის მარცხენა ნაპირზე. ეს არის ორთვალი საცხოვრებელი სახლი. ერთ თვალს გოდრული თაღი და ორი სართული აქვს, მეორე კი ერთ-სართულიანია, კვადრატული, მრავალ-უბიანი კედლების მქონე. სახლი საერთოდ ნაგლეჯი ქვითაა ნაშენი, ხოლო უბეები აგურით აქვს ამოფენილი.

## 7. ციხე

ოთხთა ეკლესიის ციხე სოფლიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე დგას, იმავე სახელწოდების მდინარის მარცხენა, კლდოვან ნაპირზე. კარი ჩრდილოეთიდან ჰქონია, მაგრამ იგი სავსებით ჩამორეცხილია და ამის გამო ციხეში ეხლა თითქმის არ შეისვლება (ტაბ. 131). მელოს „ოკრუგის“ უფროსმა, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცმა, ა. მატიასევიჩმა, რომელმაც თავაზიანად დამითმო მე ციხის ფოტო-სურათი, მიამბო, რომ მან ყოველი ღონე იხმარა, რომ ციხეში შესულიყო, მაგრამ ვერას გახდა. როდესაც შევატყობინე, რომ ჩვენი ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა ეს შესძლო და იქიდან ეკლესიის წარწერების ასლიც კი ჩამომიტანა-მეთქი, მატიასევიჩი განცვიფრდა. თვით ოთხთა ეკლესიის ბაზილიკა მატიასევიჩს არ ენახა, რადგან მისი არსებობა არა სცოდნოდა და გლეხებს კი ამის შესახებ მისთვის არაფერი ეთქვათ.

ციხე ამჟამად დანგრეულია. შიგ საცხოვრებელი შენობები აღარ შემონახულა, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედ ფლატის თავზე დგას პატარა ეკლესია, ზედმიწევნით წესიერად თლილი ქვით ნაგები. ამ ეკლესიას კარი დასავლეთით აქვს, სარკმლები აღმოსავლეთითა და სამხრეთით. მისი სიგრძე 5,52 მეტრს, ხოლო სიგანე 3,7 მეტრს უდრის. თაღები მთელია, მაგრამ სახურავი აღარსად არის. პერანგი აღმოსავლეთსა და ჩრდილო კედლებს-ღა შერჩენიათ. ზეძირკველი ორსაფეხურიანია. შიგნით ეკლესია მთლად მოხატული ყოფილა და ფრესკები ნაწილობრივ შენახულა კიდევაც. დასავლეთ მხარეზე, მარჯვნივ გამოხატული ყოფილა ნათლისღება, მარცხნივ—ხარება. სამხრეთ კედელზე შემორჩენილა ორი ცალკე ფიგურა. საკურთხეველში ორი ზემოთკენ შევიწროვებული უბეა და მათში ანგელოზთა ფიგურები ხატია. ჩრდილო კედელზე, ზედა სართულში, 12 მოციქულია წარმოდგენილი, ხოლო ქვემოთ—კტიტორთა ფიგურები: მარჯვნივ კაცია, რომელსაც წითელი ქართული სამოსელი აცვია, მარცხნივ—ქალი, რომელსაც თეთრი, გრძელ-სახელოებიანი კაბა აცვია, ხოლო შუაში—ყმაწვილი. სამივენი აღმოსავლეთით, ეტყობა ქრისტესაკენ, იცქირებიან, მაგრამ თვით ქრისტეს ფიგურა არ შემორჩენილა. მხოლოდ ყმაწვილს შერჩენია მთელი სახე, დანარჩენებისა დაზიანებულია. ფიგურებს ზემოთ 5-პწკრიანი ასომთავრული წარწერაა. უკანასკნელი პწკრისა ერთი სიტყვა-ღა დარჩენილა. წარწერა ხელითაა გადმოღებული. იგი ასე იკითხება:

„ 1. სახ˜ლითა ღს˜თა მმსა: ძისა და ს˜ლისა წმიდსათა მეოხებითა ყლად
2. წმ˜დისა: ღ˜თს მშობელისათა: მე: მურვან კავკასიძემ
3. ან: ალვაშენე ეკლესიაჲ: ესე მე(ო)
4. რდ განსრულებით სალოცველად
5. სულისა . . . . . . . . . . “

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უქარაგმოდ:

„სახელითა ღმრთისაჲთა მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე მე(ო)რედ განსრულებით, სალოცველად სულისა . . .“

კავკასიძეები პარხლის მფლობელნი იყვნენ და, როგორც ჩანს, ოთხთა ეკლესიაც მათ ჰკუთვნებიათ. მათგან უძველესი, პეტრიკ კავკასიძე იხსენიება შემოქმედის XI საუკუნის წარწერაში (გურია), ბაგრატ IV-ის პირველ მეუღლესთან, მარიამთან ანუ ელენესთან ერთად[1]. ჩვენი მურვან კავკასიძე კი ალბათ სწორედ ისაა, რომელსაც იხსენიებს ურბნისის სახარების მინაწერი, ზუბა კავკასიძესთან და მის მეუღლესთან, თინათინთან ერთად[2]. არ ვიცით, თუ როდის ცხოვრობდნენ ისინი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ კი, რომ არა უადრეს XV საუკუნისა.

გამოთქმა „მეორედ აღშენება“ ქართულ ეპიგრაფიკაში ეკლესიის აღდგენას, რესტავრაციას გულისხმობს ხოლმე.

---

[1] Е. Такайшвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, I, Тифлис, 1905, გვ. 71.
[2] Ф. Жордания, Описание рукописей Церковного Музея, I, Тифлис, 1903, გვ. 23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IX. ႫႳႾႪႠႿႨႪႨႪႨႱႨ

ოთხთა ეკლესიის დიდი ბაზილიკის ჩრდილოეთით, მისგან 1,5 კილომეტრის მანძილზე, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მუხლაჯილილისად წოდებულ ადგილას (ნასოფლარს?) არის ნანგრევები ეკლესიისა, რომლის გეგმაც წარმოადგენდა თავისებურ ტეტრაკონქს (სქემატური გეგმა იხ. ტაბ. 114, 3). მისი სიგრძე-სიგანე 9,24 მეტრს უდრის. ეკლესია შემოსილი ყოფილა ზერელედ თლილი ქვით. კედლები აღმოსავლეთ აფსიდს შერჩენია, არა უმაღლეს 1,5 მეტრისა მიწიდან, ხოლო დანარჩენ მხარეებზე კიდევ უფრო დაბალია. მარცხენა ზედა კუთხეში არის კვადრატული, აფსიდიანი ოთახი, რომელიც სამკვეთლოს წარმოადგენს.

ალბათ ასეთი სახით იყო წარმოდგენილი სადიაკვნეც, მარჯვნივ, მაგრამ იგი, ეტყობა, დანგრეულა და მოუშლიათ. შესავალი ეხლა ამ მხრიდან აქვს ეკლესიას, მაგრამ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დასავლეთიდან ან სამხრეთიდან და იგი არ შენახულა.

93
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# X. პარხალი

## 1. სოფელი პარხალი

სოფელი პარხალი მდებარეობს პარხლის წყლის (თურქ. „პარხალსუ“) ვიწრო ხეობაში, რომელიც პონტოს ქედზე, „ალთი-პარმახის“ („ექვს-თითა“) მთასთან იწყება, აღმოსავლეთით მოედინება და სოფ. პარხალს ქვემოთ შეირთავს ხევექის, არმენხევისა და კობაკის ხევებს. კობაკის ხევის სიგრძე 20 კილომეტრია. პარხლის ხეობის ვიწრობი სამ კილომეტრზე გრძელდება და ამ სივრცეზე 200 კომლი სახლობს.

სოფელი იყოფა რამდენიმე უბნად (თურქ. „მეჰლე“): გოჭვათი, ე. ი. საგოჭე ადგილი (მამასახლისის, „მუხთარის“ განმარტებით ეს სახელწოდება იმით აიხსნება, რომ აქ უწინ ღორებს აშენებდნენო), კილიონი, პიზვოჯი, ბოგათკეთი, ბუკეთლარი, ჯატელარი, პერსეთი ანანისკეტი, მიზინგილი, ლაზგილი და სულტანგილი. ამ უკანასკნელში დგას სწორედ ბაზილიკა. რამდენიმე უბანი სოფლის გარეთაც მდებარეობს, ხევექის წყალს აღმა. ესენია: დოლოისი, კელენსხევი, ქოლოთეთი, ბორივანი და ქოსალარი. პარხლელთა საძოვრები („იალაღი“) მდებარეობს ალთი-პარმახის მთის კალთებზე. ამ საძოვართა სახელწოდებანია: ცას-ხევი, ბოგათკეთი, საჯათლო, სამჭელიანი, კოსონი, კოსალიცე და ლავაშენი. პარხალსა და მის მიდამოებში უხვადაა წყაროებიცა და საერთოდ წყალიც. ამის გამო პარხლელებს ტაოს სამი მთავარი ტაძრის შესახები თქმისათვის თავისი სოფლის სახელიც დაუმატებიათ და ამბობენ: იშხანი მხატვრობით არის განთქმული, ოშკი მშვენიერებით, ხახული მდებარეობით, ხოლო პარხალი წყლებითაო.

პარხლის მახლობელ სოფლებში შემონახულია ძველი სახელ-განთქმული რუ, რომელიც სოფ. უთავოსთან იწყება, კობაკის ახლო და სოფ. ზავრიეთში მიემართება. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იგი კლდეშია გაჭრილი. ამ რუს გაყვანას თამარ მეფეს მიაწერენ და მის მიერ ამ მხარეში გაკეთებულთაგან საუკეთესო საქმედ მიიჩნევენ.

პარხალში გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობენ. ქართული მოხუცებს-ღა ესმით. იმავე დროს მეზობელ სოფელ კობაკში დიდი და პატარა ყველა ლაპარაკობს ქართულად, ისევე როგორც ხევექში, რომლის მოსახლეობაც სანახევროდ მალულად ქრისტიანობას აღიარებს. გიორგი ყაზბეგის მოგზაურობის დროს მათ ჯერ კიდევ ჰყოლიათ მართლმადიდებელი მღვდელი.

პარხლელები მეხილეობასა და მესაქონლეობას მისდევენ. უწინ ეს სოფელი განთქმული ყოფილა შალეულობით და ჯამე-ბაზილიკის ეზოში ეხლაც ყოველ პარასკევს იმართება ბაზრობა. ამ პარასკეობაზე მრავლად მოდიან მთის გადაღმიდან ჭანები ანუ ლაზები, რომელთაც გასაყიდად მოაქვთ ხის ნაწარმი და კონსტანტინეპოლური იაფი ფართალი. ბაზარშივე მუშაობენ მკერავები, ეწყობა სხვადასხვა სავაჭრო გარიგება, იყიდება სიმინდი, ირჩევა საჩივრები.

ძველი წარმართული კულტის გადმონაშთს წარმოადგენს რთველის დღესასწაული: ტან-გახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ და ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ მდებარე სოფლებში-ღა შემორჩენილა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ.

გზად გამვლელი ჭანები განძს დაეძებენ ხოლმე შიგ ეკლესიაშიც და ეკლესიის მახლობლადაც: ფიქრობენ, რომ საუნჯე იმ ადგილებშია ჩამარხული, სადაც წარწერები, სამკაული და ჯვრებია. ამ რამდენიმე წლის წინ, მამასახლისის („მუხთარის“) სიტყვით, საკურთხევლის სვეტისათვის ერთი ქვა მოუძვრიათ და მის ქვეშ რამდენიმე ოქროს ბეჭედი უპოვნიათ. გიორგი ყაზბეგი იქაურების ნათქვამის მიხედვით წერს, რომ მის ჩასვლამდე სამი წლით ადრე განძის მაძიებლებს აღმოსავლე-

თის კედლიდან ამოუღიათ წარწერიანი ქვები, იმ იმედით, რომ მათ ქვეშ განძს იპოვნიდნენ, არავინ იცის, თუ რა ბედი ეწია იმ ქვებს, მაგრამ მათი კვალი კი მკაფიოდ ჩანს აღმოსავლეთ ფასადზე (ტაბ. 143, 2). სოფლელთა თქმით ტაძარში ოდესღაც ინახებოდა ერთი სახელ-განთქმული ხატი. „რა იქნა ის **ხატი**"? კითხულობდა თურმე მუხთარი.

## 2. ღ. ინჯიჯიანის ცნობები პარხლის შესახებ

ღ. ინჯიჯიანის „ახალი სომხეთის გეოგრაფია"-ში პარხლის შესახებ ასეთი ცნობები მოიპოვება:

„პარხალი, რომელსაც ძველად პარხარი ეწოდებოდა, ლაზიკის მეზობლად მდებარე მთიანი ქვეყანაა. უწინ იგი ტაოს („ტაჲქ"-ის) პროვინციაში შედიოდა. მეორე მხრივ იგი ბაბერდს (ბაიბურთს) და სპერსაც (ისპირს) ემეზობლებოდა. ამ მხარეში საუკეთესო თხები იცის („ალოჯ", თურქ. cepic—ერთი წლის თხა) და მდიდარი რკინის მადნებია. მთავარ სოფელსაც იგივე სახელი ეწოდება, რაც მთელ მხარეს. იგი პარხლის მაღალ-მწვერვალებიანი მთების ძირობაზე ძევს, ართვინს სამხრეთ-დასავლეთით. ართვინიდანაც და არზრუმიდანაც პარხლამდე ოთხი დღის სავალია.

უწინ პარხალი ქალაქი ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობაში მოსახლეობა შეთხელებულა და ქალაქი სოფლად ქცეულა. ამ სოფელში თურქები (ტაჭიკები) ცხოვრობენ. სოფელს ჩაუვლის პატარა მდინარე, სახელად აგრეთვე პარხალი. შიგ სოფელში დგას დიდი ეკლესია, მთლად ქვით ნაგები, აკვნის (ე. ი. ხომალდის) მსგავსი. მას აქვს 32 მარმარილოს სვეტიანი სარკმელი (კამარა). თვითეულ სვეტზე ამოჭრილია ქართული წარწერა. ყოველ წარწერაში ნათქვამია: „აქ იმდენი საუნჯე ინახება, რომ ამაზე უფრო დიდი ტაძრის აშენებას ეყოფა, მაგრამ ჩემთან კი არაა შენახული, არამედ მეორე სვეტთან". ამის გამო მცხოვრებლები გამუდმებით თხრიდნენ მიწას ხან ერთი და ხან მეორე სვეტის ძირას, მაგრამ განძს ვერავინ მიაგნო. ამიტომ 1779 წელს მოიწვიეს ამგვარ წარწერათა ამოკითხვაში დახელოვნებული ხუროთმოძღვარი, რომელმაც წაიკითხა წარწერა და განუმარტა სოფლელებს, რომ განძი მიწაში კი არაა ჩაფლული, არამედ მაღლაა. მართლაც, ფასადის ზედა ნაწილში იყო ერთი პატარა სარკმელი, ხოლო მის წინ ამართული იყო დიდი კაკლის ხე, რომლის ტოტებიც სარკმლისკენ იყო გაწვდილი. მიიდგეს კიბე, ავიდნენ და იმ სარკმლიდან იმდენი განძი გამოიღეს, რამდენსაც კი მოერეოდნენ. ამბობენ, მისი წონა 8 „კოთს", ე. ი. $^{1}/_{4}$ „ქილეს" უდრიდაო. განძი შედგებოდა ექვს-კუთხოვანი, უჭედველი მონეტებისაგან. განძის პოვნის ამბავი უკვე შორს გავარდა და მპოვნელებმა კაკლის ხე მოჭრეს, რათა სხვებს ველარ მიეგნოთ საგანძურისათვის. ეკლესიის გვერდით მონასტრის ნანგრევებია.

პარხალს რომ მთები დაჰყურებენ, ისინი ქალაქ ბაბერდისაგან ჩრდილოეთით (ჩრდილოეთის ქარის, თურქ. „რაუგუზის" მიმართულებით) არიან გაჭიმული და ამიტომ ბაბერდის ანუ ბაიბურთის მხარის მცხოვრებლები ამ ქარს „პარხლის ქარს" უწოდებენ, რაკი იგი ამავე პარხლის მთების მხრიდან უბერავს"[1].

ვახუშტი ბატონიშვილი არაფერს გვატყობინებს პარხლის მონასტრის შესახებ, თუმცა კი ახსენებს „პარხალის" მხარეს და შეცდომით უიგივებს მას ტაოს-კარს ანუ ტაოს. იგი სიტყვა-სიტყვით შემდეგს წერს: „არამედ ართვანს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პ ა რ ხ ა ლ ი ანუ ტ ა ო ს კ ა რ ი ანუ „ტაო"[2]. ბროსეც ზუსტად ვერ თარგმნის ამ ადგილს: „A l'E. du pays du Thorthum, est Parkhal, Taos-Car, ou Tao[3].

## 3. პარხლის ტაძარი

პარხლის ბაზილიკა დგას პარხლის წყლის მარცხენა ნაპირას, ხელოვნურად მოსწორებულ ვაკობზე, რომელზედაც, გ. ყაზბეგის სიტყვით, დასავლეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით, შემორჩენილი ყოფილა ქვის გალავნის ნაშთები. ჩრდილოეთით კი ტაძარი მთას ებჯინება და პირველ სარკმელთა დონემდე მიწითაა დაფარული. სოფლისა და ტაძრის საერთო ხედი იხ. ტაბ. 135; მთავარი ბაზილიკისა და შუა ნავის ზედა სართულის გეგმა—ტაბ. 132, 1—2; ბაზილიკის სიგრძივი ჭრილი და საკურთხევლის II სართულის გეგმა—ტაბ. 133, 1—2. მთავარი სამხრეთი ფასადი ყო-

---

[1] ღ. ინჯიჯიანის წიგნის ეს ადგილი სომხურით რუსულად მითარგმნა აწ განსვენებულმა ივანე ქრისტეფორეს ძე ზავრიევმა, რომლის ხსოვნას დიდ პატივს ვცემ.

[2] „აღწერა სამეფოჲსა საქართველოჲსა", თბილისი, 1941, გვ. 138.

[3] Description géographique de la Géorgie", St.-Pétersbourg, 1842, გვ. 120—121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილა, მაგრამ იგი დამახინჯებულია მერმინდელი ტლანქი მინაშენით (ტაბ. 137, 2) და ამიტომ ჩვენ მოგვყავს მისი მსგავსი ჩრდილო ფასადის ნახაზი (ტაბ. 134, 2). აღმოსავლეთი ფასადი იხ. ტაბ. 134, 1.

მთელი ტაძარი ჯამედ არის ქცეული და ამიტომ უკეთ შენახულა, ვიდრე ოთხთა ეკლესია. დაზიანება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ აღმოსავლეთი კედლიდან რამდენიმე ქვაა მოძარცული[1]. სამხრეთი ნავის სახურავის ფილაქნები აქა-იქ ჩატეხილია (ყველა ნავი დაბურულია, არა ძლიერ ფართო ფილებით). საკურთხეველში ეპისკოპოსის საჯდომი ჩამტვრეულია, სადიაკვნესა და ზედა სართულს შორის კედელი და ჭერი განგრეულია და ამასთანავე ლავგარდნის ქვებიც აქა-იქ ჩამოტეხილი. სხვა ყველაფერი მთელია. ზეძირკველი ორ-საფეხურედია; თვითეულის სიმაღლეცა და სიგანეც 0,25 მეტრს უდრის. ამჟამად ეკლესიის გვერდით დუქანია, ხოლო აღმოსავლეთით—ბოსტანი.

ოთხთა ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნეზე ბევრად ადრეა აშენებული, მაგრამ X საუკუნის მეორე ნახევარში დავით კურაპალატმა თლილი და ორნამენტოვანი ქვის პერანგით შეამოსინა იგი. პარხალი კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, პირველად იმავე დავითს აუგია მაშინ, როდესაც მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა კურაპალატის წოდება და იგი მხოლოდ მაგისტროსი იყო. ტაძრის შენობა მზად ყოფილა უკვე 973 წელს, როდესაც შატბერდელ ბერს იოვანე-ბერას მისთვის სახარება გადაუწერია.

პარხალი ოთხთა ეკლესიის გეგმის მიხედვით არის აგებული. მისი მშენებელი ჰბაძავს ოთხთა ეკლესიისას, მაგრამ მიბაძვა ყოველთვის მარჯვედ და ზუსტად როდი გამოუდის. ამ ორი ტაძრის საოცარი მსგავსება აშკარად გამოსჭვივის გეგმათა, ჭრილთა და ფასადების ნახაზებიდან (ტაბ. 132, 133, 134). ზომებიც თითქმის ერთი და იგივეა: პარხლის შიდა სიგრძე 25,64 მეტრს უდრის, სიგანე 15,7 მეტრს. ოთხთა ეკლესიის სიგრძე კი 27,05 მეტრს, ხოლო სიგანე 14,47 მეტრს უდრის. პარხლის ტაძარშიც იმდენივეა ერთისა და იმავე მოყვანილობის პილონები, რამდენიც ოთხთა ეკლესიაში; აქაც ისეთივე ორ-სართულიანი გვერდითი საკურთხევლებია, ისეთივე მაღალი და განიერი შუა ნავი, იმგვარივე კამარნარები („არკატურები“) კედლებს შიგნითაც და გარეთაც და ა. შ.

მაგრამ ზოგიერთი განსხვავებაც უნდა აღინიშნოს. პარხლის გვერდით ნავებში დასავლეთ კედელს შიგნიდან პილასტრები არა აქვს და გარედან კი აქვს; ამასთანავე ქვედა სართულში გვერდით ნავებს დასავლეთით არა აქვს ორ-ორი სარკმელი, რომელთაც ჩვენ ოთხთა ეკლესიის თვითეულ ნავში ვხედავთ და თითო სარკმელი მოთავსებულია მეორე სართულში, ისევე როგორც ოთხთა ეკლესიაში. ამრიგად, პარხალში დასავლეთი კედლის შიდა პილასტრები არ შეესაბამება გარეთა პილასტრებს (ტაბ. 132,1). ოთხთა ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთი ფასადების ქვედა სართულში 7 სარკმელია, პარხლისაში კი 6. ოთხთა ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, ფრონტონს ქვეშ, კარებს ზემოთ სამი პატარა მრგვალი სარკმელია, პარხალში კი ასეთს რასმე ვერ ვხედავთ. სამაგიეროდ აქ შუა დიდი კამარის ზემო ნაწილში ერთი მრგვალი სარკმელია (ტაბ. 134, 1). პარხლის იმავე ფასადზე შუა კამარის მეზობელი, ორი გვერდითი კამარის სარკმლები ძალზე მაღლაა გამოჭრილი, ოთხთა ეკლესიაში კი სხვა კამარების სარკმელთა დონეზეა. ოთხთა ეკლესიის გვერდითი საკურთხევლების ზედა სართულები დატიხრულია ორ-ორ ოთახად, რომელთაც ღია კამარები აერთებს და რომელთაც თვითეულს აფსიდი ახლავს. პარხლის ზედა სართულში კი სათითაო ოთხ-კუთხოვანი, უაფსიდო ოთახია, რომელთაც აღმოსავლეთით სწორი, მაგრამ ორ-სარკმლიანი კედლები აქვთ (ტაბ. 133, 2). ამას გარდა, პარხალში არაა ის მაღალი, „მსხლისებრი“ მოყვანილობის ოთახები, ოთხთა ეკლესიის მთავარი საკურთხევლისა და მახლობელი გვერდითი საკურთხევლების კედლების სისქეში რომ არის, ზედა სართულში. ოღონდ აქ მარჯვენა გვერდითი საკურთხევლის ზედა სართულში ვხედავთ ერთს ღრმა, უსწორმასწორო უბეს, რომელსაც მარცხნივ შესაბამისი არა მოეპოვება რა (ტაბ. 133, 2). პარხალში ეხლა არსად ჩანს სახურავის ქვედა ნაწილში ან სამალავებში ამავალი კიბეები, თუმცა ასეთი სამალავები აქაც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სწორედ მათ გასანათებლად უნდა იყოს გამოჭრილი პატარა მრგვალი სარკმელი და მასთან მჭიდროდ მახლობელი კამარების ორი სარკმელი (ტაბ. 134, 1). პარხალში საკურთხევლიდან პირველ წყვილს პილონებს არა აქვს სახატე „ამბრაზურები“, მაგრამ სამაგიეროდ სვეტების მეორე წყვილში ვხედავთ მაღალ მომრგვალებულ უბეებს—მონასტრის წინამძღვრისა თუ ეპისკოპოსთა სადგომს (ტაბ. 132, 1; 147). ოთხთა ეკლესიის ჩრდილო და სამხრეთ ნავებში სარკმლებს ქვემოდან 5 ამბრაზურაა, ხოლო პარხალში ასეთი რამ არა გვაქვს. პარხალში ჩრდილო და სამხრეთ კართა

---

[1] როგორც ზემოთაც ითქვა, ამ გარემოებას აღნიშნავს გ. ყაზბეგიც (დასახ. ნაშრ., გვ. 122).

ეროვნული

ზემოდან, მეორე სართულში სარკმლებია (ტაბ. 132, 1), ოთხთა ეკლესიაში კი შუა—ოთხთა ეკლესიის გვერდითი ნავების ზედა მასები კედელთა შესქელებით დამძიმებული და პილასტრთა ორმაგ კამარებზე დაყრდნობილია, ხოლო პარხალში ისინი უფრო მჩატეა და ორივე კამარა ეყრდნობა ერთ შიდა სვეტისთავს პილასტრთა პირველი საფეხურისას (იხ. პროექცია გეგმაზე, სურ. 2, 5). პილასტრთა პირველი შვერილი თითქოს კედელზეა მიდგმული და მას არავითარი ტვირთი არ აწევს. აღნიშნულ განსხვავებათა გამო პარხლის ზედა სართულის კედლები უფრო ვიწროა, ვიდრე ოთხთა ეკლესიისა და ეს ალბათ აქა და იქ გამოყენებული საშენი მასალის სიმძიმის სხვადასხვაობას მიეწერება. გვერდითი ნავის სიმაღლე (იქ, სადაც იგი შუა ნავს ემხრობა) ოთხთა ეკლესიაში 11,82 მეტრს უდრის, პარხალში კი 11,67 მეტრს.

პარხლის დასავლეთი ეკვდერი სულ გვიანდელია, ტლანქი ნაგლეჯი ქვით ნაშენი. სარკმელი მას ერთი აქვს—დასავლეთით; კარი სულ არ ჰქონია და მხოლოდ ეხლა გაუჭრიათ მაჰმადიანებს, სამხრეთიდან. ისინი ეკვდერს ბოსლად და ნაწილობრივ სათივედაც იყენებენ (ტაბ. 132, სურ. 1). აგრეთვე გვიანდელია სამხრეთი კარიბჭე, რომელსაც ორი ღია კამარა და სამხრეთით ერთი სარკმელი აქვს (ტაბ. 137, 2). აღმოსავლეთსა და დასავლეთ კედლებში კამაროვანი „ამბრაზურებია" (ტაბ. 132, 1). შუა კამარის თავზე ერთი სარკმელია, მარაოსებრი პოლიქრომული სამკაულით დამშვენებული. ერთი სარკმელი ფრონტონს ქვემოდანაც არის.

**პარხლის ფახადები** სიმაღლეზე უფრო აწვდილი და ამიტომ ნაკლებ „ტანადი" და ლამაზია, ვიდრე ოთხთა ეკლესიისა. სახურავიც აქ ძალზე დაქანებულია (ტაბ. 134, 1), მაგრამ ეს კლიმატური პირობებით აიხსნება: პარხალში დიდი თოვლი იცის და რასაც დაათოვს, სულ რომ სახურავს ედებოდეს, შენობა ვერ გაუძლებს. განსხვავება ჩანს ირიბად გაჭრილ სარკმლებშიც (როგორც ოთხთა ეკლესიის აღწერისას უკვე აღვნიშნეთ) და აგრეთვე კამარათა განლაგებაში, რითაც ოთხთა ეკლესია სჯობს პარხალს. ოთხთა ეკლესიას 13 კამარა აქვს, პარხალს 12. პარხლის დასავლეთ კედელზე ცენტრალური სარკმელი ძალზე მაღლაა და მას პატარა მრგვალი სარკმელი არ ახლავს. ქვედა სართულში ორი სარკმელია (შუა კამარის უახლოეს კამარაში თითო), ხოლო ზედაში თითო (შუა კამარიდან მესამე კამარაში).

მაგრამ პარხალს ახასიათებს ერთი თავისებურებაც, რომელიც შემდეგ გაუმეორებიათ ოთხთა ეკლესიაში. ვგულისხმობთ იმ პატრონიკეს, რომელიც პარხალში ტაძრის აშენების დროსვეა გაკეთებული (ტაბ. 148, 2), ხოლო ოთხთა ეკლესიაში პატრონიკე უეჭველად მერმე, პარხლის მიბაძვით, დავით კურაპალატის დროს უნდა იყოს გაჩენილი, როდესაც ტაძარი თლილი ქვის პერანგით შეუმოსავთ. ოთხთა ეკლესიის გარეთა კამარები და მათი სვეტისთავები უფრო მდიდრულადაა შემკული, ვიდრე პარხალში, მაგრამ სამაგიეროდ პარხალში მრავლადაა ქანდაკოვანი ფიგურები თუ სხვაგვარი მორთულობა, რაც განსაკუთრებით მდიდრულ იერს ანიჭებს ამ ტაძარს (აღმოსავლეთი კედლისა და აღმოსავლეთი სარკმლის სამკაული იხ. ტაბ. 136, 1—2; ჯვრები იმავე სარკმლის ქვეშ—ტაბ. 143, № 2).

ამას გარდა, აღმოსავლეთი კედლის მარჯვენა ჩრდილო კამარის ქვაზე ტლანქად გამოკვეთილია მონადირე, რომელიც ისარს სტყორცნის ირმებს. პარხლის აღმოსავლეთი სარკმლის საპირეს ლამაზი დაკბილული სამკაული აქვს, ხოლო ამ საპირის ზემოთ ორი წნულებიანი ვარდულია, რო-



სურ. 43

მელთაგან მარჯვენაში ჯვარია გამოქანდაკებული (ტაბ. 137, 1). ჩრდილო სარკმლის, ერთ-ერთი საპირის ზემოდან გამოქანდაკებულია ლომი, ხოლო მის აქეთ-იქეთ ორი სტილიზებული ხე (ტაბ. 141, 2). სარკმლის მეორე საპირის თავზე, იმავე მხარეს, ძლიერ რელიეფურ თოკისებრი ორნამენტის ზემოდან ორი ფრინველია გამოქანდაკებული (ტაბ. 142, 1). იმავე მხრის მესამე სარკმლის თავზე ჩუქურთმებია, რომელნიც მოგვაგონებენ ქართული ბუხრის ასეთსავე სამკაულებს (ტაბ. 142,

2). სამხრეთ კარს ზემოდან გაჭრილი სარკმლის სამკაული იხ. ტაბ. 143, 1. დასავლეთი ფასადის სარკმელს გრეხილოვანი საპირე აქვს, ხოლო მის ზემოდან წნული ჯვარი, სტილიზებული აკანთის ფოთლებით გარს შემორტყმული (ტაბ. 141, 1). ამ ჯვრის მარჯვნივ არის რელიეფური ასომთავრული წარწერა:

„ქ͠ე შ͠ე თდრტ“, ე. ი. „ქრისტე, შეიწყალე თეოდორიტ“[1] (სურ. 43).

სწორედ ეს უნდა იყოს ის წარწერა, რომელიც გადმოულია გ. ყაზბეგს და რომლის შესახებაც იგი ამბობს, დღემდე არ წაუკითხავთ ჩვენ არქეოლოგებსო (დამოწმ. ნაშრ., გვ. 122). წარწერაში ნახსენები თეოდორიტი ჩვენთვის უცნობი პირია.

ბაზილიკის შუა ნავის კამარების ხედი სამხრეთიდან იხ. ტაბ. 138, 139 და 140. სარკმლებს აქ პოლიქრომული მარაოსებრი სამკაული ამშვენებს, როგორც ტაოში წესია. ამ კამარათა წარწერების შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჩუქურთმოვანი სამკაული ტაძრის შიგნითაც არის. ასე მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ საკურთხევლიდან მეორე წყვილ პილონთა უბეებს ლამაზი ჩუქურთმოვანი საპირეები აქვს (ტაბ. 147) და ერთი უბის ჩარჩოს ჯამისებრ სვეტისთავზე ამოკვეთილია ფიგურები: სამხრეთით ექვს-ფრთიანი სერაფიმისა, ხოლო ჩრდილოეთით სვიმეონ მესვეტისა (ტაბ. 147,1).

ეპისკოპოსის საჯდომი, საკურთხევლის აღმოსავლეთ სარკმელს ქვეშ, შემოფარგლულია წვრილი სვეტებით, რომელთაც ჩუქურთმოვანი სვეტისთავები და საპირე ამშვენებს (ტაბ. 145, 1). ამგვარადვეა შემკული საკურთხეველს მარჯვნივ და მარცხნივ, კედლებში გამოყვანილი ორმაგი, ნახევრად მრგვალი უბეები (ტაბ. 146, 1—2). დასავლეთი პატრონიკის საყრდენი წვრილი სვეტები გამოხატულია 148-ე ტაბულის მე-2 სურათზე; საკურთხევლის „ამბიონის“ ზედა ნაწილის მორთულობა და მარჯვნიდან პირველი პილონი — ტაბ. 145, 2; მარცხნიდან პირველი, ფრესკებიანი პილონი — ტაბ. 148, 1.

ფრესკები შემორჩენილია უმთავრესად საკურთხეველში (ტაბ. 144, 2—3), მაგრამ იქაც წამხდარია. 1874 წელს, როდესაც პარხალი მის პირველ მკვლევარს, გ. ყაზბეგს უნახავს, ფრესკები, ჩანს, უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა. იგი წერს: „(საკურთხეველში), ყველაზედ უფრო თვალსაჩინო ადგილას, შენახულია წმინდანთა გუნდით გარს შემორტყმული მაცხოვრის გამოხატულება. წმინდანთა სახეები აქა-იქ-ღა გადარჩენილა, მაგრამ მაინც უკეთესადაა შენახული, ვიდრე ტბეთში-ო“ (დასახ. ნაშრომი, გვ 121).

## 4. ცნობები ბაზილიკის აშენებისა და მისი შუა ნავის მეორე სართულის შემკულობის შესახებ

## სათანადო წარწერები

ბაზილიკის აშენების დროის შესახებ გ. ყაზბეგი შემდეგს გვეუბნება: „ადგილობრივ ვერ მოვკრიბეთ ვერავითარი ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ ვის, როდის ან რომელი წმინდანის სახელობაზე აუგია ეს ეკლესია და რა მნიშვნელობა ჰქონია მას ამ კუთხის წარსულში. იმედი გვქონდა, რომ ყველა ამ კითხვებზე პასუხს გაგვცემდა, უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელი ქართველი მღვდელი, გვარად ღებრაძე, რომელიც პარხლის ახლო, არმენხევში ცხოვრობდა. მაგრამ ამ უსინათლო ბერიკაცმა ისიც კი ვერ გვითხრა, თუ რომელი წმინდანის სახელობაზეა ეკლესია აშენებული. ერთმა ბერძენმა, რომელიც ჩვენ შემდეგ გავიცანით სოფ. ვიტაში, გვიამბო, რომ შვიდი წლის წინ იგი იერუსალიმიდან მისულ ქართველ ბერთან ერთად ყოფილა პარხალში. იმ ბერს სახელად იოანე რქმევია და იგი დიდად განსწავლული კაცი ყოფილა. მას წაუკითხავს კარებზე, რომ 931 წელია გასული მას შემდეგ, რაც ეკლესია აუგია საქართველოს მეფეს ალექსანდრეს და მისი მეუღლეს თეოდოსიას იოანე ნათლისმცემლის სახელზე“ (დასახ. ნაშრ., გვ. 122—123).

აღნიშნული წარწერის შესახებ გ. ყაზბეგი წერს, იგი ალბათ სამხრეთ მინაშენზედ იყო, რომელიც ამჟამად დაზიანებულია და რომელსაც ეხლაც შემორჩენია რაღაც წარწერის კვალიო. „რომ ეკლესია მართლაც იოანე ნათლისმცემლის სახელობისაა—განაგრძობს ყაზბეგი—ეს იმ წარწერის მიხედვითაც არის საფიქრებელი, რომელიც საკურთხევლის მახლობლად მდგარი სვეტის უბეში შემონახულა, მაგრამ იოანე ბერის დასკვნა ეკლესიის აგების თარიღის შესახებ შესამოწმებელია“-ო.

საქართველოს ისტორიაში არ არის ცნობილი ალექსანდრე მეფე, რომელსაც ცოლად თეოდოსია ჰყოლოდეს. მაგრამ თუ სამხრეთი ეკვდრის წარწერაში მართლაც ალექსანდრე მეფე იხსე-

---

[1] უფრო მორბედ გამოდის, ვიდრე თეოდორიტ (რედ.).

ნიება, მაშინ შეგვიძლია ვიგულისხმოთ მხოლოდ და მხოლოდ მეფე ალექსანდრე დიდი (1412—1442) და მას უნდა მივაწეროთ აგება მხოლოდ სამხრეთი, მერმინდელი ეკვდრისა და არა თვით ტაძრისა.

კიდევ უფრო გვიანდელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთის უმსგავსი მინაშენი. იგი შეიძლება XVI საუკუნეში იყოს აგებული, ვინაიდან ჩვენამდე მოუღწევია ერთ გუჯარს, რომელშიც ნათქვამია, რომ სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ 1518 განაახლა პარხლის მონასტერი და შესწირა იგი მცხეთის ეკლესიას[1].

პარხლის მთავარი ტაძრის აშენების დრო გამოირკვა 1889 წელს, როდესაც მე პარხლის სახარება ვიპოვნე და მისი აღწერა გამოვაქვეყნე[2]. ეს სახარება პარხლის ახალი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძრისათვის გადაუწერია შატბერდის მონასტერში (კლარჯეთში) იოანე ბერას, 973 წელს. თარიღი შევამოწმე „დასაბამიდან სოფლისა" წელთაღრიცხვის მიხედვითაც და ქართული ქორონიკონის მიხედვითაც და ორივეჯერ მივიღე 973 წელი ქ. შ. აღნიშნული სახარების მრავალრიცხოვან მინაწერთა შორის ერთგან ვკითხულობთ:

„...ღირს ვიქმენ მე გლახაკი იოვანე, ნართაულად ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა ოთხთავსა, მოღუაწეობითა სულისა წმიდისაჲთა და შეწევნითა ღმერთ-შემოსილთა კაცთაჲთა, სალოცველად სულისა ჩემისა ცოდვილისა და სამოძღურებელად თავისა ჩემისა, და სალოცველად სულისა მშობელთა ჩემთასა და ყოველთა თჳსთა ჩუენთათჳს, სულიერთა და ჴორციელთა, და სალოცველად მეფეთა ჩვენთათჳს: ღმრთივ დიდებულისა ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა ერისთვისა და ღმრთივ მონიჭებულთა ძეთა მათთათვს. ქრისტემან ყოველნი ადიდენინ მოწყალებითა მისითა ჟამთა უკუნისამდე".

„დაიწერა დასაბამითგანთა წელთა ხ: ფ: ო: ზ:"

„ქრონიკონი იყო მეცამეტედ ქცეული რ: ჟ: გ:"

ეტრატის უკანასკნელ ფურცელზე კი ასეთი მინაწერებია: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვას სადიდებლად ღმრთივ გჳრგჳნოსნისა მეფეთა მეფისა (ადიდენინ ღმერთმან!) ღმრთივ დამყარებულისა დავით მაგისტროსისა, მამობასა სარწმუნოჲსა მწყემსისა და კეთილად მოღუაწისა წმიდისა მამისა ეფთიმესა, ქრისტემან შეაწიენ ესე წმიდანი მახარებელნი მათ და ყოველსა კრებულსა პარხლისასა ჟამთა უკუნისამდე, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხორებასა მას საუკუნესა, ა̃ნ.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

„მე ივანე-ბერამან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა, ყოველნი აკურთხენინ ღმერთმან"[3].

მინაწერებში მოხსენებულია შემდეგი პირები: მეფე ბაგრატ III რეგვენი (958—994); დავით მაგისტროსი, შემდეგ დავით დიდი კურაპალატი, ოშკის ერთ-ერთი აშენებელი და ხახულის აშენებელი, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ოშკის წარწერაც მაგისტროსს უწოდებს; სუმბატ ერისთავთ ერისთავი—ჩვენი აზრით სუმბატ კლარჯი, ბაგრატ მამფლის ძე, რომელსაც სუმბატ დავითის ძის ისტორია ერისთავთ ერისთავად იხსენიებს და რომელიც 988 წელს აღესრულა.

ამრიგად, ივანე-ბერა ახსენებს, უპირველეს ყოვლისა, მეფე ბაგრატ რეგვენს, შემდეგ ტაოს ცნობილ მფლობელს დავითს, რომელიც 973 წელს მაგისტროსი იყო, ხოლო 978 წლიდან კურაპალატი, და აგრეთვე ერისთავთ ერისთავს სუმბატს.

მაგრამ ვისი აშენებულია პარხალი? ამ კითხვის პასუხს სახარების მინაწერებში ვერსად ვხედავთ. მათი მიხედვით ზუსტად მხოლოდ იმის დადგენა შეიძლება, რომ 973 წელს პარხლის ტაძრის შენება არა მხოლოდ დასრულებული იყო, არამედ იქ მონასტერიც ყოფილა უკვე მოწყობილი, და ბერების საძმოც ყოფილა და რომ ამ მონასტერს წინამძღვრად ეფთიმე ჰყოლია. პარხლის მშენებლის ვინაობა ირკვევა ერთი წარწერის მიხედვით, რომელიც შუა ნავის კამარაშია შემონახული.

საქმე ისაა, რომ თავდაპირველი მშენებლობისას ტაძრის გვერდითი ნავების კამარები მდიდრული ქანდაკოვანი სამკაულით დაუმშვენებიათ (ნიმუშები იხ. ტაბ. 141, 142 და 143), ხოლო შუა

---

[1] Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, Тифлис, 1881, გვ. 10.

[2] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, ტფილისი, წინასიტყვაობა. ხელნაწერის აღწერა განმეორებულია რუსულ თარგმანში, რომელსაც დართული აქვს ყველა მინაწერის ფაქსიმილე (იხ. Мат. по арх. Кавказа, т. XII, Москва, 1907, გვ. 139—151). ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (ძვ. ქართ. ენის ძეგლები, 2), 1945, გვ. 034.

[3] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ხრონიკა, თბილისი, 1890, წინასიტყვაობა, გვ. VI—VII. Мат. по Арх. Кавк., XII, გვ. 145—147; ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 035.

მაღალი ნავის კამარები შეუმკობელი დაუტოვებიათ. მოგვიანებით აზრად მოსვლიათ ამ ხარვეზის შევსება, მაგრამ საამისოდ ქვის მოჩუქურთმების მაგიერ პოლიქრომული სამკაულები გაუკეთებიათ: მარაოს რგოლების, ჯვრისა და მზის დისკოს სახით. მარაოები ამკობს შუა ნავის ხუთივე სარკმლის ზედა ნაწილებს. სხვა კამარების პოლიქრომული მორთულობა ჩამორეცხილია. მეათე კამარა, ჩანს, მზის დისკოს გამოხატულებით ყოფილა შემკული. ნახატი წამხდარია, მაგრამ კონცენტრული წრეების სახით გამოხატული სხივები კიდევ ეტყობა (ტაბ. 140, 2). უკანასკნელ, მე-12 კამარაზე დახატულია გამოსასვენებელი ჯვარი წარწერებისაგან ორი სიტყვა-ღა გადარჩენილა:"... წმიდა···· ამინ···"

ამ ახალი შემკულობის ინიციატორი ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოვანე, რომლის წარწერა, წითურით ნაწერი, დასავლეთიდან მე-6 და მე-7 კამარებზეა უკლებლივ შემორჩენილი. იგი ხელით გადმოხატულიცა გვაქვს და ფოტოგრაფიულად გადმოღებულიც. შედარება გვიჩვენებს, რომ ორივე გადმონაღები ერთნაირად ზუსტია (იხ. ტაბ. 138, 139). ეს წარწერა საყურადღებოა, პირველ ყოვლისა, მისი კილოკავის ენობრივი თავისებურებებით (ჭანურ-მეგრული კილოკავი გამოსჭვივის) და შემდეგ პალეოგრაფიული თვალსაზრისით: მასში არეულია ხუცურ-მხედრული ასოები. მხედრულია თ, მ და ს, ა და ი ზოგჯერ ხუცურია, ზოგჯერ მხედრული. ამას გარდა, ასო ჲ ზოგ შემთხვევაში ა სა ჰგავს, ზოგ შემთხვევაში კი ი-ს. ზოგიერთი შემოკლებული სიტყვის ამოკითხვა საძნელო ხდება. რადგან მკითხველს წარწერათა ფაქსიმილეებსაც ვუდგენთ, ქვემოთ ტექსტი შეუმოკლებლივ მოგვყავს. მეექვსე კამარაზე სწერია:

※ სახელითა ღმრთისაჲთა, მეოხებითა
წმიდისა ღმრთის მშობელი-
საჲთა (sic.), წმიდისა იოვანე ნა-
თლის მცემლისაჲთა,
(ადიდენ ღმერთმან!) ქრისტეს მიერ
ქართლისა და ყოვლისა აღმოსავლე-
თის პატრიარქსა იოვანეს.
(გაგრძელება წინა კამარის ტექსტისა, მე-7 კამარაზე სწერია):
პარ-
ხალს ე-
კლესიასა
ზედა ჩასდუ-
დარაჲ კურა—
პალატსა აეშ(ე)ნა, აღარავის
ექ(აზ)მა და მან შეკაზმა, ჰგი-
(ეს)მცა დიდებაჲ მისი უკუნისამდე! წ(ინამძღვარსა)[1] გიორგი
ღოღლისასა[2] შეეწიენ ღმერთმან!
ამენ ეყავნ (ან: ექმენ) იოანე
წინ(ა)მაძღ(უა)რჲ (sic)[3] (სურ. 44 და 45).

როგორც აღვნიშნეთ, წარწერიდან ცხადად ჩანს, რომ პარხლის ეხლანდელი მონასტერი დავით კურაპალატს აუშენებია, ხოლო იოანე-ბერას გადაწერილი სახარების მინაწერი გვიმტკიცებს, რომ შენობა დამთავრებული ყოფილა 973-ს წინა წლებში, როდესაც დავითი ჯერ კიდევ მაგისტროსი იყო და არა კურაპალატი. თვით პარხლის სახარების მეორე მინაწერში დავითი უკვე მაგისტროსად არის მოხსენებული.

ყურადღებას იქცევს წარწერაში მოხსენებული ტერმინი **„ჩასდუდარაჲ“**. ეს ტერმინი აქ პირველად გვხვდება ქართულ ლიტერატურაში. ის ჯეროვნად აქვს განმარტებული ნ. მარს, რომელსაც მისი თხოვნით დავუთმე ამ წარწერის პირველი გამოცემა[4].

ავტორი აღნიშნავს: იაფეტური ენების პალეონტოლოგიამ დიდი ხანია დაადგინა, რომ სიტყვა, რომელიც აღნიშნავს „თავს“, „მთას“ და „ცას“, ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ნიშნავს

---

[1] ეს სიტყვა დედანში მხოლოდ წ ასოთი არის წარმოდგენილი.

[2] ჩვენ ასე ვკითხულობთ შემოკლებულ სიტყვას: „ღ´ღლისასა“; შესაძლოა იკითხებოდეს: ღიღელისასა, ანუ სხვა რიგად.

[3] ეს ორი პწკარი სულ ბოლოს, მე-17 პწკარის შემდეგ უნდა წერებულიყო, მაგრამ უადგილობის გამო გადმოუტანიათ ზემოთ, სარკმელს მარჯვნივ, და მოუთავსებიათ მეთორმეტე და მეცამეტე პწკარებს გასწვრივ. უკანასკნელი სიტყვა ჲ-თი თავდება (ი-ნის მაგიერ). სინტაქსური წყობა ისეთივეა, როგორიც მე-7 და მე-8 პწკართა ფრაზაში.

[4] N. Marr, Quelques terms d'architecture désignant «voute» ou «arc»: Яфетический сборник. II. Петроград, 1923. გადაბეჭდილია რუსულად: Н. Марр, Избранные работы, т. III, 1934, стр. 199—218.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურ. 44



სურ. 45

„თალს“ და „კამარას“, და რომ ეს საგანი ეხლა დამტკიცებას პოვებს პარხლის წარწერაში, რომელშიც გვხვდება ტერმინი **ჩას-დუდ-არაჲ**“. ეს ტერმინი ორი სიტყვისაგან შედგება: **ჩა** იგივეა, რაც **ცა** (**ჩა**-ს შეცვლა **ცა**-თი შენიშნულია სამეგრელოს სოფლისა და მისი მონასტრის სახელში: „**ჩაიხი**“ „**ცაიშის**“ მაგიერ); **დუდ** ანუ **დუდი** ჭანურ-მეგრული სიტყვაა და ნიშნავს **თავს**; ხოლო **არ** კარგად ცნობილი დაბოლოებაა მრავლობითი რიცხვისა, რომელიც შენახულია აგრეთვე სვანურსა და სომხურ (ჰაიურ) ენებში. ჭანური ტერმინი „**დუდ-არა**“ იგივეა, რაც ქართული „**კამარა**“, სომხური „**კამარ**“, ბერძნული „*καμάρα*“. ერთი სიტყვით, „**ჩას-დუდ-არა**“ ნიშნავს, ერთსა და იმავე დროს თალს, კამარას და შემდეგ კამარათა მთელ ჯგუფს, ე. ი. კამარნარს ანუ არკატურას.

უეჭველია, რომ წარწერა შესრულებულია პარხლის მონასტრის წინამძღვრის იოანეს მიერ, რომელიც ლოცვით იხსენიებს მეორე წინამძღვარს გიორგის—ეტყობა, თავის თანამოღვაწეს (საქართველოში მონასტრებს ზოგჯერ ორ-ორი წინამძღვარი ჰყავდათ ხოლმე და ორიდან ერთი მთავარ წინამძღვრად ითვლებოდა). ხოლო მთავარი წარწერა მოგვითხრობს პარხლის მონასტრის ზედა კამარათა შემკობის ისტორიას.

ცხადია, წარწერის კურაპალატი—დავით დიდი, ტაოს კურაპალატია (გარდაიცვალა 1001 წ.), რომელსაც პარხლის სახარების მინაწერის თანახმად, პარხლის ახალი ტაძრის შენება 973 წელზე ადრე უნდა დაემთავრებინა.

კათალიკოს პატრიარქ იოვანეს მარტოს როდი მოურთავს ტაძრის კამარნარი; ამ საქმეში მას ექვსი თანაშემწე მაინც ჰყოლია. მათ დაუნაწილებიათ კამარები და თვითეულს თავის მიერ გაკეთებულ სამკაულზე თავისი წარწერა გამოუყვანია. მაგრამ ამ სამკაულთა ყველა ნაწილი და წარწერები როდი შემონახულა—ზოგისა ნაწყვეტები-ღა არის გადარჩენილი. მოგვყავს ეს გადარჩენილი ნაწილები.

დასავლეთიდან პირველ მარჯვენა კამარაზე წარწერა სრულად იკითხება:

„ქ. წ҃ო. ი҃ო: ნთლის: მცემ
(ე)ლო: შ҃(ე) მკო(ბა)რ(ი) მ
იწა მ҃ღე: ყომიელ
ი. და პრხა:ლელი“.

უქარაგმოდ:

„ ქ. წმიდაო იოანე ნათლისმცემ
ელო, შეიწყალე მკობარი მ
იწაჲ მემლვმე(?) ყომიელ
ი და პარხალელი.“

მეორე კამარაზე წარწერა ჩამორეცხილია, მაგრამ მესამეზე შემონახულა მისი გაგრძელება

„ ···ჲ: ესე: კერძი
მის: მიერ შკზმ (შეიკაზმა)“.

მეოთხე კამარის წარწერის ნაწყვეტებში იხსენიება გალატუზი (sic) სიხარული:

„··········სლით (სულით)
სა·····ნ···მ
წმი გლტუზი (=გალატუზი)
სხა
როვლი (=სიხარული) და·····
მა ნი-ენი-მკიე ილ
ეს····ესათა
·······ეთ“



სურ. 46

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე კამარაზე, სარკმლის მარცხნივ იკითხება:



სურ. 47

„მჳდლმ
ან დია მ
ოჳირვ
შ̃ნ ო̃ნ თმდო
—ბრლ შ̃ღ
და ყ̃ნი მო...
ძ...ე“.....

ეს წარწერა შემდეგს უნდა ნიშნავდეს:

„მჳედელმ
ან დია მ
ოიჳირვა(?)
შეუნდვენ ღმერთმან“
(სხვა სიტყვების აღდგენა ძნელია).

მეექვსესა და მეშვიდე კამარაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის წარწერა შემკობის მთავარი ინიციატორის, იოვანე პატრიარქის შესახებ (იხ. ზემოთ).

მერვე კამარაზე შემორჩენილია:



სურ. 48

„ქ ესემ(ე).. ღას(?)..
შეკაზმა შვ(ა) შტოჲზეიო-მა
იყო ამის კალატოზი სჲხა-
როლა
.....შანიფხე კოჩემაი
სათა ი̃ე თ̃დიაკონჲ

აქ უნდა იკითხებოდეს, დაახლოებით:

ქ. ესე მე... შევკაზმე შუა შტოჲ ზეიომა იყო ამისი კალატოზი სიხარ̃ოლა... შანიფხე კოჩემაისათა იოანე მთავარდიაკონი (სურ. 24, 39).

სიტყვა „შანიფხე-“-ში ყურადღებას იქცევს ჭანურ-მეგრული დაბოლოება „ფხე“, რაც ასულს, ქალს ნიშნავს და ჩვეულებრივ ეხლაც ემატება ხოლმე გვარს მდედრობითი სქესის აღსანიშნავად[1]. მამაკაცის ამ გვარის ქართული დაბოლოება იქნება „ძე“ და ამრიგად გამოვა დღემდე შემორჩენილი გვარი შ ა ნ ი ძ ე. „შანიფხე“ ნიშნავს შანიძის ასულს.

[1] И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского языка, СПБ, 1914, გვ. 400. И. В. Мегрелидзе—Женские фамильные окончания в южно-кавказских яфетических языках и в фольклоре, Москва, 1938, გვ. 152—181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-10 კამარაზე, მზის დისკოს ქვეშ, არის წარწერის ნაშთი, რომელშიც შეიძლება შემდეგის ამოკითხვა:

„ქ: სახელითა·····ღ῀ა: (ესე) კერძ
(ი) წიტკალამა: და. სა···ვ··
რ. ქ···სასა: გავაკეთე
თ··(მ)მჭედელი და: დქა···წმ
ნი: და: გ῀ი."

აქ გარკვევით იკითხება მხოლოდ შემდეგი სიტყვები: „სახელითა ღმრთისაჲთა (ესე) კერძი წიტკალამა გავაკეთე··· მჭედელი··· და გიორგი".

მე-12 კამარაზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატულია გამოსასვენებელი ჯვარი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. წარწერისაგან შემორჩენილია მხოლოდ: „წ······ა῀ნ".



სურ. 49

ეხლა გადასაწყვეტია საკითხი: როდისაა ეს წარწერები შუა ნავის ზედა კამარებზე გამოყვანილი? საამისოდ უნდა გაირკვეს, თუ რომელ კათოლიკოს-პატრიარქ იოვანეზეა საუბარი მთავარ წარწერაში. დავით კურაპალატის შემდეგ რამდენიმე იოვანე იყო ასეთი: იოვანე V, ოქროპირად წოდებული (1042—1063), იოვანე VI (1090—1127) იოვანეVII (1204—1209); იოვანე VIII (1497—1507).

მომდევნოებს აღარ ვაგდებთ სათვალავში, ვინაიდან XVI საუკუნის დასაწყისიდან, ოსმალოთურქებთან ბრძოლისა და მათ მიერ ზემო ქართლის დაპყრობის ხანაში ამ წარწერების გაჩენა დიდად საეჭვოა. უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი XV საუკუნის ბოლოს ან XVI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნოდნენ, ე. ი იოვანე VIII კათოლიკოს-პატრიარქის დროს (1497—1507). ამას გვანიშნებს პალეოგრაფიული ხასიათი წარწერებისა, რომლებშიც არეულია ასომთავრული და ნუსხური, და აგრეთვე რამდენიმე მხედრული ასო. (იხ. ტაბ. 138, 139). ეს გარემოება სიახლეს მოწმობს და მკვეთრად განასხვავებს ჩვენ წარწერებს საქართველოს ისტორიის კლასიკური პერიოდის წარწერებისაგან.

## 5. ფრესკების და ფრესკულ წარწერათა ნაშთები

**ფრესკული წარწერები** პარხალში, ჩანს, მრავლად ყოფილა. ჯერ კიდევ განსვენებულ გენერალს გრიგოლ გურიელს (რომლის ამალაშიც იყო პოლკ. გ. ყაზბეგი ოსმალეთის საქართველოში მოგზაურობის დროს) უთქვამს პირადად ჩემთვის, რომ წარწერები ბევრი უნახავთ, მაგრამ ზოგი მათგანი ე. წ. „ყვავისფეხილოვანი" ხელით ყოფილა ნაწერი და მათ ისინი ვერ გაურჩევიათ. გ. ყაზბეგიც აღნიშნავს წარწერათა სიმრავლეს და თუმცა დასძენს, რომ ზოგი მათგანი ალბომში გადმოიხატა, მაგრამ მის წერილს არცერთი წარწერა არ ახლავს თან. თვით ყაზბეგი ვერ გარკვეულა ძველ ქართულ წარწერებში, მაგრამ მის თანამედროვესა და ამხანაგს, სახელ-განთქმულ ქართველ მკვლევარს დ. ბაქრაძეს სულ ადვილად შეეძლებოდა ამ ამოცანის შესრულება. თავისი წიგნის („Археологическое путешествие по Гурии и Адчаре") დამატებაში დ. ბაქრაძეს არა აქვს პარხლის წარწერების არც ერთი სურათი, თუმცა თვით წიგნში მოთავსებული აქვს ყაზბეგის მიერ ჩახატული ესკიზები ოპიზის, ტბეთის, ხახულის და პარხლის ეკლესიათა ხედებისა. როგორც ჩანს, ბაქრაძეს წარწერათა სურათები არც უნახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილო-აღმოსავლეთის პილონის უბეში, წინამძღვართა სადგომად რომ ყოფილა განკუთვნილი, არის წამხდარი ფრესკა, რომელიც, ეტყობა, მონასტრის წინამძღვარს გამოხატავდა. მისი თავის აქეთ-იქეთ ასომთავრული წარწერაა:

„ქ: ქ͞ე ღო შე პ͞(ლისა) წ͞ი აბრ͞ჰამ ან“

ე. ი. „ქრისტე ღმერთო შეიწყალე პ(არხლისა) წინამძღვარი აბრაჰამ, ამინ“.

მეორე ჩრდილო პილონზე დიდი წარწერა ყოფილა, მაგრამ მისი ერთი ნაწილი-ღაა დარჩენილი:

„···არს ქებულ და დიდებულ სხ͞ლი ღ͞თისა: ჩ͞ნ ბ͞ნ სა რლ არს მფლობელი სკუდილისა: და ცხრბისაჲ: და··· და იგი არს გნმგებელი··· ნების···ა დააწ·····ა͞ნ

უქარაგმოდ:

„არს ქებულ და დიდებულ სახელი ღვთისა ჩუენ ბატონ(ი)სა, რომელ არს მფლობელი სიკუდილისა და ცხოვრებისაჲ და იგი არს განმგებელი··· ნების···ა დააწე(სე)ნ: ამინ“.

საკურთხეველში, მარჯვნივ, სარკმელს ქვემოთ იწყება დიდი ასომთავრული წარწერა. შუაში ნალესობა დიდ მანძილზე ჩამოცვენილა და წარწერაც გამქრალა (ტაბ. 144, 2). იკითხება მხოლოდ ეს:

„ქ შწვთა ღჲთა მე გლხ͞კმნ ივ͞ნ͞Ʊ მ͞მნ განვს···
წ͞ნო ღ͞თისნო სყრლისთჳს ღ͞თისა მჴსნ····“

უქარაგმოდ:

„ქ შეწევნითა ღმრთისაჲთა, მე გლახაკმან იოვანƱ
მამამან განვას(რულე)···
წმიდანო ღმრთისანო სიყუარულისათჳს ღმრთისა მომიჴსენ(ეთ)···“

წარწერა უდავოდ თანადროულია პარხლის თავდაპირველი მოხატულობისა.

მეორე დიდი, 17-პწკრიანი ძველი მხედრული წარწერა კი უფრო გვიან გაჩენილა ძველ ფრესკებზე. იგი ძალზე დაზიანებულია. უკლებლივ არც ერთი პწკარი არ შენახულა:

1. ქ. სახელითა ღთისაითა მეოხ···· ბელისაითა მადლითა···
2. და: პატიოსანისა ჯრ͞··თა შეწ····ისა და ნათლისმცემელისაითა··· შეწევნითა···
3. უაღრესისაითა: თანა··· ივ: აღმართებულისა სუეტისა ცხოველისათა კუართისა
4. საუფლოისა: და: წ͞თა მა···· წმიდათა ათორმეტთა: მოციქულთა··· ათთა წ͞წრმტლთა
5. მღდელთ მოძღუა... (ქ)ალწულჟაითა: ესე დაწერილი: მე საბა: მღუდელ მთრ
6. თ უხუცესმა·· (პა)ტრონმა წმნ: ქ კ͞ზმნ: ნკ͞ზ: და საბადრის შვილმა(?)
7. მიბრძანეს: და·····სა· · · · · · · · · · · · და გარიგებული
8. უდაბნოი: ვნახ··· რომელსა: მუნ: მიცვალებულნი უ···
9. ნი სულნი: და მიკ···თა: ამასთან: ვინც: აკლდამა
10. სა: შიგა: პ(წე)ლიწადსა
11. არ: იყო····
12. : ვის: უკლ···
13. გლათ···
14. ნკზსი···
15. ····
16. ·····
17. ანოშვილი“

ამ ნაკლული წარწერის საერთო აზრი ცხადია: პარხლის მონასტრის წინამძღვარს, საბა მთავარეპისკოპოსს (ეტყობა, წარჩინებული გვარის შვილს, ვინაიდან იგი თავის თავს „პატრონს“ უწოდებს) ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზისაგან მიუღია ბრძანება მონასტრის განსასვენებლის საკითხის მოწესრიგების შესახებ. ის კი აღარ ვიცით, თუ როგორ მოაწესრიგა მან ეს საკითხი, რადგან წარწერის სათანადო ნაწილი აღარ შემონახულა.

მეორე კითხვაც ისმის: რომელ ნიკოლოზზეა საუბარი? ამ სახელით ცნობილი პირველი კათალიკოსი XII საუკუნის შუა ხანებში, დაახლოებით 1150—1160 წლებში გვევლინება, მეორე 1209—1212 წწ. მესამე 1240—1273 წწ., ხოლო შემდეგნი XIV და XV საუკუნეებში. სამწუხაროდ, ხელთ არა მაქვს ხელით გადმოღებული ფაქსიმილე ამ წარწერისა, რომ უფრო ზუსტად დავათარიღო იგი მხედ-

ეროვნული

რული დამწერლობის რაგვარობის მიხედვით[1]. ისე კი, რამდენადაც მახსოვს, დამწერლობა XII—XIII საუკუნეზე უფრო ახალი არ უნდა იყოს. ყველაზე უფრო მოსალოდნელია, რომ აქ საქმე უნდა გვქონდეს ნიკოლოზ III კათალიკოსთან (1240—1279), რომელიც დაახლოებით 1246 წელს წავიდა ყარაყორუმს, მონღოლთა მბრძანებელთან და მიიღო მისგან „იერლაყი“ საქართველოს ეკლესიისა და სამღვდელოების ყოველგვარი სახელმწიფო ბეგრისაგან განთავისუფლების შესახებ[2].

## 6. მცირე ეკლესიები

მთავარი ტაძრის პირდაპირ, ხევის გაღმა, მარჯვენა ნაპირას, მთის წვერზე დგას პატარა ეკლესია, რომლის გეგმაც 132-ე ტაბულის 3 სურათზე გვაქვს გადმოცემული. იგი აგებულია სხვადასხვაფერი გრანიტის უხეშად თლილი ლოდებით. თაღები ჩაქცეულია, სამხრეთი კარი და დასავლეთი სარკმელი ჩამონგრეული. ეკლესიის სიგრძე 7,5 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე 5,2 მეტრს. საკურთხეველში მარჯვნივ არის ღრმა უბეები, რომელთაც სარკმლები აღმოსავლეთიდან აქვთ. ეს თავისებური ოთახები სამკვეთლოს და სადიაკვნეს მაგივრობას სწევენ.



სურ. 50

ამ ეკლესიის ქვემოთ, მთის კალთაზე არის მეორე პატარა, ოთხ-კუთხოვანი ეკლესიის ნანგრევები. მისი სიგრძე 3,9 მეტრს, ხოლო სიგანე 1,1 მეტრს უდრის. საკურთხეველს ორი უბე აქვს. საკურთხევლის თაღში ორი სახმო ქოთანი („გლოსარი“) არის დატანებული. კარი ჩრდილოეთით აქვს (ასე მოითხოვდა ეკლესიის მდებარეობა). იგი გადის ვიწრო (სიგანე=1,4 მეტრს) მინაშენში, რომელიც ზედ ფლატეზეა გადამდგარი. ამ მინაშენიდან აღმოსავლეთით ერთი გასასვლელია, კარიდან.

პარხლის დასავლეთით, 30 კილომეტრის მანძილზე, ხევექის წყლის („ხევეკ-სუ“) აღმა, ალპურ საძოვრებთან მდებარეობს განაპირა მთის სოფელი ხევექი. მის პირდაპირ ხევექის წყალს ერთვის პატარა მდინარე „ზედა-ბანი“ (ალბათ „ზედა-უბანი“), რომელზედაც გადებულია ქვის პატარა, ერთკამაროვანი ხიდი, ისეთივე ნაცრისფერი ქვის პერანგით შემოსილი, როგორითაც პარხლის ტაძარია

---

[1] სხვა ამგვარ ნახაზებთან და მასალებთან ერთად ეს ფაქსიმილეც საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა. ამ მუზეუმის მთელი ქონება საბოლოოდ გადაეცა საქ. სახ. ხელოვნების მუზეუმს და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

[2] M. Brosset, Histoire de la Géorgie. I, 2. გვ. 541—542.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტაბულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ი შ ხ ა ნ ი

1

ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



5
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



9
ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა










ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული
ბიბლიოთეკა



35
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ო შ კ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა















59
ეროვნული
ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





77
ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხ ა ხ უ ლ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ე ქ ე ქ ი

ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ისი, სუხბერი,
# მუხლაჯილილისი, სოხთოროთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა











ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოთხთა ეკლესია

ეროვნული ბიბლიოთეკა














ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა






ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





125
ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კ ა რ ხ ა ლ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა







ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა





# ც ი ხ ე ე ბ ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

Е. ТАКАЙШВИЛИ

# АРХЕОЛОГИЧЕСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1917 года В ЮЖНЫЕ ПРОВИНЦИИ ГРУЗИИ

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი მ. სონღულაშვილი
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გელოვანი

ტაბულები დაიბეჭდა ფოტოცინკოგრაფიაში, პლეხანოვის პრ. № 50

გადაეცა წარმოებას 13.10.1959; ანაწყობის ზომა 9×14; ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.6.1960; ქაღალდის ზომა 60×92¹/₈; ქაღალდის ფურცელი 17,5; საბეჭდი ფურცელი 35,0; საავტორო ფურცელი 32,89; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 33,15; შეკვეთა 1635; უე 00410; ტირაჟი 2000
ფასი 25 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. 3/5